# ქართლოსი

**KARTLOSSI** — **ORGANE DU NATIONALISME INTEGRAL GEORGIEN**

რედაქტორი: — ვიკ. ნოზაძე **Directeur : VICTOR NOSADZÉ 26, rue Lacretelle, PARIS (XVe)**

**19-23** **Paris, Mai 1939** მაისი, 1939, პარიზი. **19-23**

†



თ~დი ნიკოლოზ (კოკი) დადიანი

**Prince Nicolas Dadiani**

(1879 — 1939)

†

## თ~დი ნიკოლოზ (კოკი) დადიანი

## LA VIE DU PRINCE NICOLAS DADIANI

(1879 — 1939)

თ~დი ნიკოლოზ დადიანი, რომელსაც მთელი საქართველო კოკის ეძახდა, დაიბადა 1879 წელს, 19 თებერვალს, სოფელ წყემში.

მამა მისი ნიკოლოზი, შვილი ელიზბარ დადიანისა, იყო ერევნის პოლკის კაპიტანი, ეპოლეტებ - ჩამორთმეული, რადგან პოლკის კომანდირს, თავხედ რუსს, ხელით შეეხო; მაგრამ, ომის დროს, ოსმალთა წინააღმდეგ, უეპოლეტებოდაც ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს ცხენოსანთა მილიციას.

დედა განსვენებულისა, თამარ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის ასული იყო, და გიორგი შარვაშიძისა.

დამწუხრებულ დედმამას, ვაჟიშვილები რომ დაეხოცათ, თანხმობა მიუცია ივანე დადიანისათვის, კოკის ბიძისათვის, აღეზარდა ბავში და ივანეს მეუღლეს, აგიაშვილის ასულს, დაიბადა რა კოკი, ძველი წესის მიხედვით, ფანჯარიდან გადაუყვანია — მოუპარავს, და ბავში იზრდებოდა ბიძა მისის ივანე დადიანის ოჯახში, სოფელ ნოსირში. მამა კოკის არ ახსოვდა. მამობრივი სიყვარული, სითბო არ მოჰკლებია ბავშს ბიძის ოჯახში.

— ბიცოლა ჩემი, ჩემი გამზრდელი, განუსაზღვრელად მიყვარდა, — ამბობდა ხშირად, — მაგრამ დედა სულ სხვაა, დედას უფრო ვგრძნობდი.

ათ წლამდე პატარა კოკიმ სოფელში დაჰყო, თავისი აღმზრდელის პოლონელ ემიგრანტ დომბროვსკის (ბარკოვის ფსევდონიმს ატარებდა) ზედამხედველობით.

დარჩენილია ძველი, ფერგადასული სურათი: ცხრა წლის კოკი, გრძელი შარვალით და ძველებური სერთუკით, სდგას თავისი აღმზრდელის გვერდით და წიგნსა კითხულობს. ამ სურათს ბატონი კოკი სიკვდილამდე თან ატარებდა. დიდი სიყვარულით იგონებდა დომბროვსკის, რომელმაც შეაყვარა წიგნი, და რაც მთავარია, ადამიანი.

— მუდამ სოფლის ბიჭებში მათამაშებდა; არავითარ განსხვავებას ჩემსა და მათ შორის არ ვხედავდი: ვჭიდაობდი, ფეხშიშველი დავრბოდი ცვარიან მოლზე, ლელოც

გამქონდა. ვისაც სოფლის ცხოვრება არ უნახავს, ვინც ღელეზე არ გამხტარა, ჩალის წისქვილი არ გაუკეთებია, ძიძის შვილების ერთგულება არ უგრძვნია, ბუხრის წინ ზღაპრები არ მოუსმენია, ვისაც ხალხთან არ უცხოვრია, მან ქართული სინამდვილისა არა იცის რა. — იტყოდა ხშირად და მთელი თავისი არსებით უყვარდა სოფელი, მისი ზნე-ჩვეულება, ხალხი.

დომბროვსკის სურვილით იყო, რომ კოკი სოფლის სკოლაში მიაბარეს და 10 წლამდე იქ დაჰყო.

მას ბავშობიდანვე უყვარდა ქართული წირვა-ლოცვა, ძველებური გალობა და მეტადრე ბიძა მისის, გურია - სამეგრელოს ეპისკოპოსის. გრიგოლ დადიანის სატნოიანი წირვა - ლოცვა.

პატარა კოკი ხშირად დაჰყავდათ ეპისკოპოს გრიგოლთან მარტვილის მონასტერში და იქ მას ზედმიწევნით შეუთვისებია წირვის წესები და განსაკუთრებით თავისი ბიძის ხმა და კილო.

მოახსენეს ამის შესახებ გრიგოლ ეპისკოპოსს.

— ერთი გამაგონეთ მაგი ბიჭი-ო — უბრძანებია და მეორე ოთახში დამალულა.

შეუსვამთ პატარა კოკი სკამზე. მღვდლად მოურთავთ და დაუწყია წირვა...

ბევრი ეცინა ეპისკოპოს გრიგოლს, მაგრამ მაინც დაუტუქსავს ბავში და ყველა იქ დამსწრენი.

— იმ დღიდან, — ამბობდა ხოლმე ბატონი კოკი: — განსაკუთრებული პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება დამაქვს გულის სიღრმეში ეკლესიისა და სამღვდელოებისადმი-ო.

უკანასკნელად მოისმინა სააღდგომო წირვა რუმინულ ეკლესიაში და მხიარულმა მოგვილოცა — ქრისტე აღსდგა!.

13 წლის კოკი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეა. როდესაც შევეკითხებოდით — რისთვის არ დაასრულა კურსი — ღიმილით გვიპასუხებდა:

— მივედი "თავადურ კლასამდე" და მივანებე თავი. მადლობა ღმერთს, რომ დროზე მივანებე და რუსის ჩინოვნიკებს თქვენსავით არ გამოვალაყებინე თავი-ო. უძიროების ტარების უფლებას არ მაძლევდენ და რუსული ფეხსაცმელები ფეხებსა მტკენდა-ო. —

და მართლაც. სიკვდილამდე ვერ შეეჩვია უცხოს: სიარული, მიხვრა-მოხვრა ქართულ ჩოხასთან ჰქონდა შეზრდილი და ევროპიული კოსტუმი ეხამუშებოდა. ხშირად თავის აწევა იცოდა; თეთრი საყელო აწუხებდა, ატლასის ახალუხზე შეჩვეულს.

პარიზში სამჯერ ჩაიცვა ჩოხა: პირველად, 12 წლის წინად, ალექსანდრე ბატონიშვილის საღამოზე: გაიხსენა ახალგაზრდობა და ჩამოუარა დარბაისლური ლეკური.

მეორედ, სამი წლის წინად, მისი საყვარელი მეუღლე მერის პატივსაცემად, იმის სახელწოდების დღის თავზე...

მესამედ... სამწუხაროდ, კუბოში.

ძნელად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭითა და უნარით, ამდენი ნოყიერი საზრდო მიეცეს თავისი ინტელექტისათვის. როგორც განსვენებულს: არ იყო საგანი, რომლის გამო დამუშავებული შეხედულება და სწორი აზრი არ ჰქონებოდა. ბევრი ენახა, ბევრი გაეგონა და ბევრი წაეკითხა. იცნობდა ზედმიწევნით ქართულ ძველს და ახალ ლიტერატურას, ქართულ ისტორიას, ევროპის და რუსულ კლასიკებს. დიდი მახსოვრობის პატრონი იყო. უცხოეთში, ენის უცოდინარობისა გამო, გამოსთქვამდა სინანულს, რომ საშუალებას მოკლებული იყო აქაური ახალი ლიტერატურისათვის თვალი ედევნებინა და გვეკითხებოდა აქაურ მწერლებზე. და რაც ძვირფასი იყო, უყვარდა მოსმენა, ყველას აზრის გაგება. დაეძებდა საქართველოდან მიღებულ წიგნებს. დიდი სიყვარულით ეპყრობოდა ახალ მწერლებს, მათ ნაკლსა და დადებითს აღნიშნავდა განსაკუთრებული სისწორით. მაგრამ მისი გამახნევებელი, ძალის მიმცემი, უდიდესი მეგობარი იყო შოთას „ვეფხის ტყაოსანი".

— რუსთაველი მალამოა ჭრილობისათვის-ო — იტყოდა ხოლმე და ვით სახარება, მუდამ გადაშლილი ედო მაგიდაზე.

17 წლისამ დაიწერა ჯვარი მიქელაძის ასულ ნინოზე და დაესახლა სოფელ წყემში. უვლიდა მამულს, ცხოვრობდა ხალხთან, ლხინშიაც მასთან იყო და ჭირშიაც.

20 წლის კოკი, დასახელებულ იყო მარშლად სენაკის მაზრის თავადაზნაურთა. მიერ, მაგრამ არა-სრულ-წლოვანების გამო არ დაამტკიცეს და ერთი წლის შემდეგ სამჯერ არჩეული, მეფის მთავრობამ იძულებით დაამტკიცა არა-საიმედო კანდიდატი. ექვსჯერ იყო ზედი-ზედ არჩეული და რევოლუციამდე პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

1904 წლის იანვრის და თებერვლის გაზეთ „პეტერბურგსკაია ვედომოსტ"-ის ნომრებში წაიკითხავდით ბატონი კოკის საპოლემიკო წერილებს ვოსტორგოვის წინააღმდეგ. კავკასიის მმართველობის დავალებით ეს მზაკვარი რუსის მოხელე პროპაგანდას ეწეოდა განსაკუთრებული მეგრული ანბანის შემოღების შესახებ.

ახალგაზრდა მარშალმა, სამეგრელოს თავადაზნაურთა სახელით, სასტიკად გაილაშქრა ვოსტორგოვის წინააღმდეგ და მისი დამრიგებელი და გამამხნევებელი, ცნობილ ვექილ მექი ფალავას დახმარებით ეს საქმე მოიგო: ვოსტორგოვი დამარცხებულ იქმნა და მეგრული ანბანის შემოღების ცდა მოისპო.

1906 წელს ბატონი კოკი დაქვრივდა — ორი ქალისა და სამი ვაჟის პატრონი.

1911 წელს დაიწერა ჯვარი თავ. სვიმონ წერეთლის ასულს, ქალბატონ მერიზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მსახურებდა ბატონი კოკი დავით მიქელაძის ასეულში და მთავრობის დამცველ რაზმში. იღებდა მონაწილეობას ბაღდადის, ლეჩხუმის და ბორჩალოს აჯანყებათა ჩაქრობაში.

1917 წლამდე გახლდა წევრი „ფედერალისტების" პარტიისა, შემდეგ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის და იყო უშუალო დამოკიდებულებაში საზღვარგარედ მომუშავე საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან და გერმანული წყალქვეშა ნავით შემოტანილი იარაღი ინახებოდა მის მამულში.

18 მარტს 1921 წელს დასტოვა სამშობლო. ცხოვრობდა ემიგრაციაში მატერიალურად შევიწროებული, მაგრამ სულით მდიდარი, მხნე, მუდამ მომღიმარე, სავსე იმედებით.

10 წლის განმავლობაში იყო წევრი დირექტორიისა — თეთრი გიორგი-ს ორგანიზაციაში. შემდეგ, ჩვენს მოძრაობას, ქართლოსს ჩაუდგა სათავეში, დიდის რწმენით, გაუშრეტელი ენერგიით, საქმით და მჭრელი კალმით. იგი გახლდათ ჩვენი დარაზმულობის საბჭოს თავჯდომარე.

გარდაიცვალა აღდომა დღეს. მშვიდი და უწყინარი იყო მისი ცხოვრება და მშვიდათ და უმტკივნეულოდ განუტევა სული. თავს დასტიროდენ: სიდედრი, მეუღლე, ოთხი აქ მყოფი შვილი და ახალგაზრდა რძალი. გამოსამშვიდებლად ეახლა მთელი კოლონია. ყველა, ვისაც იგი უნახავს, მასთან უსაუბრია ქართულ ჭირ-ვარამზე და ქართულად პური უჭამია, ყველა დასტიროდა მას...

ქირისუფალთ მოუვიდა მრავალი სამძიმარის დეპეშები და წერილები, საფრანგეთიდან და უცხოეთიდან.

ხუთშაბათს, 13 აპრილს, 11 საათზე ბერძნულ ეკლესიაში მოხდა წესის აგება. ეროვნული და ორგანიზაციის დროშებში გახვეულ კუბოს ამშვენებდა ცოცხალი ყვავილები და გვირგვინები ორგანიზაციებისაგან, მოკეთეებისაგან, პირად ნაცნობებისაგან.

წესი აუგო ბერძნების არქიმანდრიტმა, გალობდა მწყობრად ქართული გუნდი.

დაკრძალულ იქმნა 13 აპრილს 1939 წ. ნაშუადღევის 2 საათზე სანტ-უანის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში უამრავ პატივისმცემელთა თანადასწრებით. ქართლოსის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ს. ბერეჟიანმა.

26 აპრილს მოხდა გადმოსვენება საგვარეულო აკლდამაში ბატონი კოკის სიმამრის, თ. სვიმონ წერეთლის ნეშთისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება მათი!

†

## სიტყვა თქმული თ-დ ნიკოლოზ (კოკი) დადიანის დაკრძალვაზე, ბ-ნ. ს. ბერეჟიანის მიერ

## DISCOURS PRONONCES AUX FUNERAILLES DU PRINCE NICOLAS DADIANI PAR M. SIM. BEREIJANI

ბატონო კოკი,

ასე მოგმართავდით ხოლმე შენი უმცროსი მეგობრები და ასეთივე მომართვით მინდა ჩემი და მათი სახელით სამუდამოდ გამოგემშვიდობო.

მშვიდობით, ჩემო ბატონო! ნამდვილო ქართველო ბატონო, ამ სიტყვის ნამდვილი ქართული და მამულიშვილური გაგებით: შთამამავლობით მაღალო, უხვო, თავდაბალო; ჭირშიაც ბატონო, ლხინშიაც ბატონო.

მოგვშორდი ამა ქვეყნიდან და დღეს, შენთან ერთად უცხო მიწაში ვმარხავთ ჩვენს უდიდეს საუნჯეს: ჩვენს წინაპართა ტრადიციას.

შენ გვყავდი ამ უცხოეთში ჩვენი წარსული ლამაზი თაობის მემატიანეთ.

შენ ეკუთვნოდი იმ თაობას, რომელიც ქართული რასის განსაკუთრებულ სიცოცხლის უნარიანობის გამო გადაურჩა გაპარტახებულ ნასახლარს და ჩვენ თაობამდე მოიტანა ძველი დიდების ოდნავ მბჟუტავი ნაპერწკალი.

წილად გხვდა უძნელესი მოვალეობა: აქ, უცხოეთში წამოგველო იგი და ჩვენ, შენი მეგობრები, ბედნიერი ვართ, რომ მისი სიცხოველე, სითბო ჩვენც გაგვიზიარე.

შენ კი მოგვშორდი....

„არას გვარგებს ბედზე მდურვა, თუ კი ერთხელ ჩაიარა"-ო, გიყვარდა ხოლმე შენი ბიძის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილის, გიორგი შარვაშიძის სიტყვები.

ჩვენც გეთანხმებოდით, გულს ვიმაგრებდით, რადგან ასეთია ქართული სიბრძნე ბედთან შებმაში: მაგრამ სავალალო ის არის, რომ ბედი გვღალატობს, ვაი, თუ ბედს უფსკრულისაკენ მივყევართ!?

გიორგი შარვაშიძის თაობის, ამ ძველი ქართული არისტოკრატიზმის შემცვლელი, შენი თაობა იყო; შენი თაობის შემცვლელი ჩვენა ვართ, შენი შვილები და მეგობრები; ჩვენ მოგვდევს ახალი თაობა, რომელიც იქ, ჩვენს გავერანებულ მიწაწყალზე და აქ, უცხოეთში იზრდება მოკლებული ქართულ ბუნებას, ქართულ სინამდვილის და ვაი, თუ დიდ ილიას სიტყვებმა ფუჭად ჩაიაროს: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა"-ო.

თუმცა შენ მუდამ იმედით ალსავსე იყავი: „თქვენ რა გიჭირთ", გვეუბნებოდი ხშირად მოხდენილის ღიმილით: „მე უნდა ვიკითხო, თორემ თქვენ უკეთეს საქართველოს იხილავთ"-ო.

ნეტავი დღევანდელი საქართველო მაინც გენახა, ჩემო ბატონო, და შენი საყვარელი **ნოხირის** ჭის წყალი მაინც დაგელია.

შენი წარსული ცხოვრებიდან აღვნიშნავ ეხლა მხოლოდ ორ ღვაწლს: საქართველოს თავადაზნაურობას არ ახსოვს შენზედ ახალგაზრდა წინამძღოლი. ამით მინდა აღვნიშნო თუ რამდენი ნდობა და სიყვარული დაგიმსახურებია მათდამი, ვინც თავისი ბედი ჩაგაბარა.

შენს მეორე ღვაწლს თვით ჩვენი მტრებიც საქართველოში ვერ მალავენ და იმათ გაზეთებში წამიკითხავს: — ნიკოლოზ დადიანი იყო, რომელმაც გლეხებს მიწები უფასოდ დაურიგაო.

დიდება შენს ხსოვნას, პატივცემულო ქართველო, რათა გყვარებია საქართველო მთლიანი, განურჩევლად წოდებისა, გყვარებია საქართველოს ფუძე, ჩვენი ნოყიერი მიწის შვილი; მუდამ ხალხთან გიცხოვრია, — მეზობლებით და მეგობრებით გარშემორტყმულს; ჭირშიაც მათთან ყოფილხარ და ლხინშიაც.

შენ და შენი მეგობრები, სარგებლობდით რა თქვენი წარჩინებული მდგომარეობით, მუდამ ხალხს ერტყით ფარად:

თქვენ იყავით შემნახველი გაჭირვებულის, ფირალის, პოლიტიკური დევნილის.

ძველი საქართველოს მოტრფიალენი, ახალში გრძნობდით წინსვლას და მუდამ ახალთაობასთან გქონდათ საქმე. და ამით აიხსნება, ჩემო ბატონო, რომ უცხოეთშიაც მათ რიგებში ჩადექი. განზე დგომა არ გიყვარდა და ამით დაამტკიცე კაცობა, „დასტურ" კაცობა.

მე და შენი უფროსი ვაჟიშვილი, დღეს რომ შენს კუბოსთანა სდგას, ბავშობის მეგობრები ვართ. ერთად ვსწავლობდით ქართულ გიმნაზიაში, ქართული კულტურის თავშესაფარში და ვამაყობთ, რომ ქალარა მამამ აქ, უცხოეთში, სიკვდილამდე ჩვენს რიგებში დაჰყო.

შენ გქონდა, ჩემო ბატონო, ის, რაც ახასიათებდა შენს თაობას: — ქართული ინტუიცია და ბევრი განსწავლული ვერ მიაგნებს იმას, რასაც შენი ქართული გულის, სულის და ტრადიციის წყალობით უკვე ხელთა გქონდა.

გსურდა ჩვენი მივიწყებული ზნე-ჩვეულებანი, ადათი, ჩვენთვის, მომდევნო თაობისათვის გადმოგეცა.

ყველაფრისათვის მადლობასა გწირავთ, ბატონო კოკი. შენგან ვისწავლეთ უფროს - უმცროსობა, სიტყვა, პასუხი.

რომელი შენი რჩევა-დარიგება ჩამოვსთვალო, დარიგებანი, რომლებიც თან მოსდევდა საქართველოს დასაბამიდან და ამშვენიერებდა და აფაქიზებდა ქართულ რასას.

ვეცდებით, ჩემო ბატონო, შევასრულოთ შენი სურვილი და მომავალსაც გადავცეთ იგი, რათა არ დამახინჯდეს სილამაზე წარსულისა.

ხშირად მოიგონებდი ვახტანგ გურიელის დასაფლავებას და გული მტკივა, რომ სამეგრელოს სამთავროს გვარის მატარებელს, დადიანს, ვერ ვასაფლავებთ დადიანურად.

სეფა უნდა გაგვეშალა, ჩემო ძვირფასო ბატონო, შენს საყვარელ ეზოში; ცაცხვების ჩრდილის ქვეშ; საქართველოს ყველა ქალაქიდან, კუთხიდან და სოფლებიდან უნდა მოსულიყვნენ ზარით შენი პატივისმცემელნი, ძიძის - შვილები უნდა გდგომოდენ თავთან, იმათ უნდა დაეტირე; შენი საყვარელი ქართული წირვა და ქართული ძველი გალობა უნდა მოგესმინა უკანასკნელად.... მაგრამ, რა ვქნათ, გავიმაგროთ გული და ჩვენ საყვარელ შოთას მივმართოთ:

„სად წაიყვან სადაურსა, სად ალუფხვრი სადით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა"!.

შენმა ქირისუფლებმა და შენმა მეგობრებმა ყველაფრით პატივი გეცით, ალბათ ბევრი გამოგვრჩა, ვერ შევასრულეთ ყველაფერი რიგზე, როგორც ამას მოითხოვს ქართული ადათი, მაგრამ შენ გვერდით არ გვყავდი, და ვინ აგვიხსნიდა?... თავსტუმალი გაგისწორეთ ,ბატონო კოკი, შენი ლამაზი გრძელი ჯიშიერი ხელები გულზე დაგიკრიფეთ და შენი საყვარელი შავი ჩოხა, რომლის გა- — ნათხოვრება არ გიყვარდა: — ამაში უნდა დავიმარხოთ, ჩაგაცვით, ღამესაც გითევდით....

შენს კუბოს ჰფარავს ეროვნული დროშა და იმ ორგანიზაციების, რომელშიც შენ მოქმედებდი და ქართულად აზროვნებდი: „საქართველო უწინარეს ყოვლისა", ჩემო ბატონო!

დაგტირის მთელი ემიგრაცია გაერთიანებული, ყველა, ვისაც დრო ჰქონდა, მოვიდა თავისი წარსულის და ისტორიის პატივსაცემად.

მთლიანი, ძლიერი საქართველოს მოტრფიალე, ხშირად გამოსთქვამდი სურვილს: „ნეტა ერთი კარგი მეგრული გამაგონაო". ბატონმა სპირიდონმა (კედიამ) და ბატონმა ევგენიმ (გეგეჭკორმა) იციან კარგი მეგრულიო". ისინიც აქ ბრძანდებიან, ჩემო ბატონო.

ჩვენი სამი წლის დამოუკიდებლობის ემბლემაც, საქართველოს პრეზიდენტიც მობრძანდა.

მხცოვანი მოხუცი, ჩვენი წარსულის ნაშთთა მოწმე და ალმწერი, ბატონი ექვთიმეც (თაყაიშვილი) გემშვიდობება.

ყველანი შენთანა ვართ, ვისაც უყვარდი, პატივსა გცემდა.

გუგუს — ბაბოს — ბონდოს და დემნას მაგივრად მათმა ძმამ გიძღვნა ყვავილები.

მაგრამ ყველაზე უფრო სასიხარულოა, რომ ნოსირელებმა მოგიკითხეს, ბატონო!

გვირგვინი მოგართვათ, ბატონო კოკი, ნოსირელმა გამსახურდიამ, გამსახურდიების სახელით.

განისვენე მშვიდათ, ჩემო ბატონო, ცივ აკლდამაში. სუბუქად გეჩვენოს უცხო მიწა. მალე მოგიწვევა გვერდით შენი სიმამრი, აწ განსვენებული ბატონი სვიმონი და ჩვენი ქაქუცაც ხომ მეზობლად გყავსთ.

საქართველო გაიმარჯვებს, აღსდგება მკვდრეთით, ვით ქრისტე ჯვარცმული და მშობლიურ მიწას დაუბრუნდება ყველა, ვისაც ბედმა არგუნა უცხო მიწაში განსვენება. მომავალი საქართველო მიიღებს მათ ტანჯულ ნეშთს დიდის ზეიმით.

ეს დღე იქნება დიდი დღე, დღე — მებრძოლი ემიგრაციისა!

ბატონო კოკი, როცა გეთხოვებოდით, გავკადნიერდი და ქილა ამოვიღე შენს საგულედან. მინდა საძახოვროდ დავრჩეს ქართლოსელებს.

ქილის დანიშნულება ორგვარია. ეს შენ ამიხსენი: ქართული ჩოხის დამამშვენებელი და ომში გამოსადეგი იარაღი, კაცის თოფის წამლის სარწყავი.

დღევანდელ არა-რაინდულ ხანაში, შენი ქილა თოფის წამლის სარწყავად არ გამოგვადგება, მაგრამ დაგვრჩება მოსაგონებლად იმ ქართველისა, რომელმაც ქართულად: ლამაზად და რაინდულად განვლო წუთისოფელი.

†



† თ~დი ნიკოლოზ (კოკი) დადიანი

(1879 -- 1939)

## ბატონი კოკის გარდაცვალების გამო

## A LA MEMOIRE DU PRINCE N. DADIANI

არა - ერთი მეგობარი და ამხანაგი მოუტაცნია სიკვდილს როგორც ომში, ისე აჯანყებებში: ხშირი იყო სიკვდილი დახვრეტებითაც, ციხეში; მაგრამ სიკვდილს იქ, ბრძოლის ველზე და ციხეშიც ვურიგდებოდით. მიჩვეული ვიყავით და მოველოდით; დღეს თუ არა, ხვალ გვეწვეოდა იგი. თავზარს არ გვცემდა იქ სიკვდილი.

აქ კი, ბატონ კოკის გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა. არავინ მოელოდა ასეთ უეცარ და საშინელ ამბავს. უცებ დაგვატყდა იგი და მწუხარედ გაოცებული დავრჩით მისი მოულოდნელობითა და სისასტიკით.

ბატონი კოკი იყო სიცოცხლე, სრული სიცოცხლე.

რაა სამოცი წელი, როდესაც სჩქეფს სიცოცხლე ადამიანში! ვინაიდან ბატონი კოკი იყო ყმაწვილი გულით, ჭაბუკი სურვილებითა და აღმაფრენით, მტკიცე შეუვარებულის ნებისყოფით. მას უყვარდა სამშობლო და ნატრობდა მისთვის ბრძოლას. ვაი რომ ვერ მოესწრო, როგორც მას სურდა: ბრძოლაში დაელია სული, რადგან სამშობლოსათვის ბრძოლა და სიკვდილი უმაღლესი მოსახვეჭელია. ასე გვიქადაგებდა იგი და მამულისათვის თავის დადებას ასწავლიდა თავის შვილებს, თავის მეგობრებს, ამხანაგებსა, ნაცნობებს და თავისი კალმით უცნობებსაც. მეგობრები და ამხანაგები მას ბევრი ჰყავდა: ბატონი კოკი იყო მოსიყვარულე, ტკბილი და ფაქიზი. სამშობლოსადმი სიყვარულის ნიადაგზე იგი ადვილად პოულობდა ერთობას სხვებთან და მეგობრობაც იცოდა ნამდვილი.

მეგობრობის ადათი მას წარსულიდან მოჰქონდა, რომელიც ასე ძლიერად უყვარდა და სცდილობდა გადაეცა იგი მომავლისათვისაც. მომავალი და წარსული მის შეგნებაში სინტეზს ჰქმნიდა და თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით ამ ნიადგზე იდგა და მისთვის ილვწოდა.

ბატონი კოკი ეკუთვნოდა დადიანთა იმ სახლს, სადაც ქართული სიტყვისადმი და საქმისადმი სიყვარული მრავალ-საუკუნოვანი ტრადიციით არის განმტკიცებული. ამ ტრადიციას იგი მისდევდა საქართველოში, სადაც ქართულ საქმეს ემსახურებოდა; მასვე განაგრძობდა აქაც, ემიგრაციის დუხჭირ პირობებში: იგი ქართულ საქმეში აქტიურად მონაწილეობას ღებულობდა კალმითა და საქმით. თავისი მადლიანი კალამით, შვენიერი სტილით, იგი სწერდა საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე და იცავდა მედგრად საქართველოს დამოუკიდებლობას, და მთელი თავისი მხურვალე სიყვარულით დაჰფოფინებდა და უვლიდა ქართულ საქმეს, ისე ახალგაზრდულად, ყმაწვილურად... და ანაზდეულად გამოგვეცალა იგი ხელიდან.

თავზარდამცემი იყო ბატონი კოკის უეცარი გარდაცვალება...

ჩვენ, დარჩენილთ, მისდა სასახელოდ გვმართებს განვაგრძოთ მისი გზა შეუდრეკელად და ბრძოლით მივაღწიოთ იმ მიზანს, რომელსაც იგი უანგაროდ და თავდადებით ემსახურებოდა. ბატონი კოკის მიზანის განხორციელება იქნება მისი აღდგომაც.

შალვა მაღლაკელიძე
**Dr. Chalva Maglakélidzé**

## ბატონი კოკის ხსოვნას

## IN MEMORIAM ET IN GLORIAM N. DADIANI

**ხსოვნას?!**

დავსწერე ეს სიტყვა და გამიკვირდა. განა მოგვშორებია ბატონი კოკი და დღეს მის ხსოვნას აღვნიშნავთ? გარდაცვლილა და გამოვშვიდობებივართ კიდეც?!

გამიკვირდა, ვინაიდან ასეთი გრძნობა არა მაქვს. ამჟამადაც მგონია, რომ ბ-ნი კოკი აქ არის, ჩვენთანაა!

ასეთი განცდა მაქვს, რადგან მესმის მისი ტკბილი საუბარი; მესმის მისი ნელი ღელვა; ვხედავ მას, როგორ ენთება, როცა სამშობლოზე ბაასობს; ვუყურებ მის აღგზნებულ თვალებს; ყურს ვუგდებ ლექსებს, რომელსაც იგი ამბობს; ვდავობთ ვეფხისტყაოსანის ტექსტზე, რომელიც მან ზეპირად იცის; მეკითხება, თუ ეს ადგილი ან ეს ნაწყვეტი ლექსისა რომელ მგოსანს ეკუთვნის; უყვარს ქართული სიტყვა და უყვარს გიორგი შარვაშიძის ლექსები, დაუბეჭდავი ლექსები; თვითონაც სწერს ლექსებს და ხელმოუწერელად მიგზავნის. ვბეჭდავ.

მერმე გამომიტყდება; — ჩემი იყო იგიო!

— რატომ ხელში არ მომეცით?

— არა ასე სჯობდა! თუ მოგეწონებოდა **უცნობის** ლექსი, ისედაც დაბეჭდავდიო!

უყვარს საქართველო გაგიჟებამდე და ხშირად იგონებს გარდავლილ ამბებს; იცის დამატყვევებელი მოთხრობა

და ყურს უგდებ დაძაბული; უყვარს თვითეული ქართველი თავდადებული მოღვაწე და ნატრობს თვითონაც წამგალითი გახდეს. ჭაბუკური აღგზნებით იგი მზადაა ეხლავე, დაუყონებლივ ჩაებას ბრძოლაში: უნდა იხმაროს თავისი ხმალი, აქ რომ აქვს თან. ყმაწვილია თავისი იმედებით; ამხნევებს სხვებსაც; ამაგრებს და ასალკლდევებს ყველას გულში ბრძოლის უნარსა და ჟინს; მიიწევს თვით ომის ველზე, და სწუხს, რომ ჯერ კიდევ ჟამი არ მოწეულა. საყვირი არ დაუკრავთ; მალე, მალე დაჰკრავენ ნაღარას და მზად უნდა ვიყოთ, — ერთად უნდა ვიყოთ, მთელი ქართველი ერი ერთად უნდა დაირაზმოს...

და დღეს ვბაასობთ, თუ რა გზით წარემართება ბრძოლა, როგორ სჯობია მოვიქცეთ და საით მივმართოთ გეზი.

ამჟამიერი მოვლენანი მას აღელვებენ და გვაღელვებს ჩვენც; მოუთმენელად ელის „ქართლოსი-ს გამოცემას და სწუხს, რომ ხშირად ვერ ვბეჭდავთ; ქართული ისტორია, საქართველოს დიდებული წარსული უნდა აღვადგინოთ! უბედურება ყველა ერს დასტეხია თავს; სიგლახეს არავინ ეტრფის; კარგი უნდა გამოვიტანოთ მზეზე, სანიმუშოდ! და აქ მესმის ილიას და აკაკის, ვაჟას და გიორგის ლექსთა ნაწყვეტები — ტრფობა სამშობლოსადმი!

ეძებს ქართულ წიგნებს, კითხულობს მათ გამალებით და დიდის ყურადღებით; არ მოსწონს ბოროზდინის სამეგრელოს აღწერა: — ბევრს ამახინჯებს, ბევრს სიცრუეს ლაპარაკობს....

— ბატონო კოკი, არ შეგიძლიათ დასწეროთ შენიშვნები ბოროზდინის წიგნის შესახებ?

— განა შევძლებ?! ბევრი გამიგონია უფროსი დადიანებისაგან, ბევრი თვითონ ვიცი, თუ როგორ მოხდა სამეგრელოს ავტონომიის მოსპობა, ბევრიც წამიკითხავს; მაგრამ რომ ვერ შევსძლო ყველაფრის როგორც საჭიროა დალაგება?

ვიცი: თავდაბალია ბატონი კოკი. როგორ არ შეუძლია!

— იქნებ უკეთესი იქნეს, მემუარები დავსწეროთ?

— რა დროს მემუარებია, ბატონო! ჯერ რა დროსია! ჩვენ კიდევ ბრძოლა გვაქვს წინ!

იღიმის თავისი ტკბილი, მომხიბლავი და კეთილი ღიმილით.

იქნებ არა სჯერა, რომ ბრძოლა იქნება?

როგორ არა, სჯერა და მისთვის უცემს გული, მას ნატრობს.

გული უცემს?!

მისმა გულმა ხომ შესწყვიტა ცემა?

გარნა მისი გულის ნააზრი ბატონობს, მისი გულის გონება გვესაუბრება მისებური ტკბილი და ნაზი საუბარით!

ბატონი კოკი დღესაც ჩვენთან არის.

მან მიიძინა მხოლოდ.

ვიკ. ნოზაძე
**Dr. Victor Nosadzé**

†

### სამძიმარისათვის

უღრმეს მადლობას ვუძღვნით ყველა იმ პირს, ვინც პირადად თუ წერილობით საყვარელი და ძვირფასი მეუღლის კოკის გარდაცვალების გამო თანაგრძნობა გამოგვიცხადა.

მერი წერეთლის ასული დადიანისა

# მესხეთი:

## სამცხე-საათაბაგო = სამუსულმანო საქართველო

ექვთიმე თაყაიშვილი

## ს ა მ უ ს უ ლ მ ა ნ ო   ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

**Prof. E. Takaichvili**

## LA GÉORGIE MUSULMANNE

სამუსულმანო საქართველოს ეხლა, დიდი ომის შემდეგ, შეადგენს თითქმის მთელი ბასეინი ჭოროხის მდინარისა, პატარა პროვინციის გამოკლებით აჭარისტანისა ქალაქ ბათუმითურთ, ზემო-წელი მდინარე მტკვარისა, ყოფილი არდაგანის „ოკრუგი" ყარსის ოლქისა, და ფოცხოვის „უჩასტოკი" მტკვრის შემდინარის ფოცხოვის წყლის ბასეინში, რომელიც წინეთ არდაგანისავე „ოკრუგ"-ში შედიოდა. უკანასკნელ მსოფლიო ომამდის ოსმალეთის ხელთ იყო მხოლოდ ზემო და შუა-წელი ჭოროხის მდინარისა თორთუმის ხეობითურთ. სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი ბასეინისა, სახელდობრ, ჭოროხის მარჯვენა შემდინარის ოლთისის წყლის ბასეინი და ქვემო წელი ჭოროხისა ეკუთვნოდა რუსეთს. უკანასკნელი ადმინისტრატიულად წარმოადგენდა ბათუმის ოლქს, ხოლო პირველი, ოლთისის წყლის ბასეინი, ოლთისის „ოკრუგს" ყარსის ოლქისა.

ძველად მთელი ჭოროხის ბასეინი შეადგენდა სამ დიდ პროვინციას, კლარჯეთს, ტაოს და ისპირს. საზღვრები ამ პროვინციებისა ზოგჯერ იცვლებოდა. მაგრამ საზოგადოთ კლარჯეთი შეადგენდა, ფართო მნიშვნელობით ამ სახელისა, ქვემო-წელს ჭოროხის ბასეინისა და დაახლოებით უდრიდა ყოფილ ბათუმის ოლქს სოფელ მელომდის.

კლარჯეთში შედიოდა თვით კლარჯეთი, ვიწრო მნიშვნელობით ამ სახელისა, შავშეთი, იმერხევი, ნიგალისხევი და, უნდა ვიფიქროთ, აჭარაც.

ნიგალის - ხევი განცალკევებული ხევი კი არ იყო, არამედ ეს სახელი ეწოდებოდა თვით ჭოროხის ბასეინის ნაწილს, თვით ჭოროხის ხეობას, რომელიც დაახლოებით უდრიდა ართვინის „ოკრუგის" ტერიტორიას და შეიცავდა ორივე ნაპირს ჭოროხის მდინარისა; ამასვე ამოწმებს ჩვენი სახელოვანი ბატონიშვილი ვახუშტი, რომელიც სწერს: ... „ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ართვანი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს სამზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ხეობად" 1). იგივე იგულისხმება, როდესაც ვახუშტი ანჩის ეპისკოპოსის სამწყსოს განმარტავს: „იჯდა (ანჩას) ეპისკოპოზი მწყემსი ლიგანის ხევისა გაღმა - გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა" 2). სახელი ლიგანის ხევი ოსმალებმა ლივანე-დ ანუ ლივანა-დ შესცვალეს. გ. ყაზბეგის ცნობით, ლივანა ეწყებოდა მდინარე ჩაირ - სუ-დან, რომელიც ერთვის ჭოროხს ბორჩხასთან (ვახუშტის — ფორჩხა) 3). ინგლისის კონსულის ვ. ჯიფფორდ პალგრევის სიტყვით, ლივანე ერთი საუკეთესო, მდიდარი და ნაყოფიერი პროვინცია

---

1) ვახუშტის გეოგრაფია, ბროსსეს გამოცემა, გვ. 114.
2) იქვე გვ. 110.
3) გ. ყაზბეგი. ტრი მესიაცა ვ ტურეცკოი გრუზიი. ზაპიკი კავკ. ოდელ. გეოგრაფ. ობშჩესტვა. X, გვ. 97.

იყო ტრაპიზონის ვილაეტისა,-ჭოროხის ორივე ნაპირზე (უფრო მარცხენაზე) მდებარე, სიგრძით 80 მილი და განით 35 მილი; მისი სავაჭრო და ადმინისტრატიული ცენტრი იყო ლივანე ანუ ართვინი 4). ერთი ვაჭრის ცნობით, რომელსაც დ. ბაქრაძე გადმოგვცემს, ლივანაში პარხალიც შედიოდა 5).

ლივანა **ლიბანა**-ს სახით ეხლაც დაცულია. ეს არის ერთი სოფლის სახელი, ანუ უკეთ ვსთქვათ, სოფელ ჩიხორის უბნის (მეჰლე-ს) სახელი (მარრის დღიური, გვ. 79).

კლარჯეთში შედიოდა კიდევ **ეგრი**, რომელსაც იხსენიებს უსახელო სომხური გეოგრაფია. ეს სახელი, ჩვენის აზრით, უდრის ეხლანდელს სოფელს **ერგი**-ს ანუ **ერეგს**, ჭოროხის პირზე, ათი კილომეტრის სიშორით ზღვიდან. ამ ადგილას ჭოროხი გამოდის ვიწრო ხეობიდან, ქმნის ფართო კალაპოტს და მიმდინარეობს კახაბერია დაბლობში. აქ თავდებოდა ხიგალის ხევი და იწყებოდა ეგრი, რომელიც შეიცავდა ალბათ მთელს კახაბერის დაბლობს ზღვამდის. ცხადია, იმ დროს, როდესაც სომხური გეოგრაფია არის შედგენილი (ზოგის აზრით მეხუთე საუკუნეში, ზოგის მეშვიდე საუკუნეში), აქ მეგრელები ცხოვრობდენ და ეს მხარე საეგროს შეადგენდა, სამეგრელოს ნაწილი იყო. „ქართლის ცხოვრება"-ც კლარჯეთის საზღვრებს უჩვენებს არსიანის ქედიდან ზღვამდე 6). კლარჯეთი ეხლა ცალკე სოფელსაც ჰქვია, არტაანუჯის რაიონში, სოფელ ტანზოტის მახლობლად. ამ სოფლის დასავლეთით მშვენიერი ციხეც არსებობს ორი კოშკით და მახლობლად ეკლესიის ხანგრევებია დაცული (მარრის დღიური, გვ. 107).

ისპირს შეადგენდა ზემო და შუა-წელი ჭოროხისა. ხოლო ტაოს მთელი დანარჩენი ნაწილი, ესე იგი სამხრეთის და სამხრეთ აღმოსავლეთის ნაწილი ბასეინისა, ყოფილი ოლთისის ოკრუგი, თორთუმი, იშხანი და სხვა; მაგრამ ვინაიდან ისპირი ხშირად ტაოში შედიოდა, მთელი ჭოროხის ბასეინი ჩვენს ისტორიაში ცნობილი იყო ტაო - კლარჯეთად.

## მდინარე ჭოროხი

მდინარე ჭოროხი, რომელიც თავის შემდინარეებითურთ არის სიცოცხლის მიმცემი მთელი ტაო - კლარჯეთისა, იწყება სომხეთის მაღალ პლატოზე ანუ, უკეთ ვთქვათ, ამ პლატოს მთების კვანძში, ერზერუმისა და ბაიბურთის შუა. აქვე აქვთ სათავე მდინარეებს ევფრატს და არეზსაც, მაგრამ ესენი სხვა და სხვა მხრით მიიმართებიან. ევფრატი ეკუთვნის სპარსეთის ზღვის ყურეს, არეზი უერთდება მტკვარს მის ბოლო-წელში და მტკვართან ერთად ეკუთვნის კასპიის ზღვის ბასეინს, ხოლო ჭოროხი შავი ზღვის ბასეინს.

მიმდინარეობა ჭოროხისა ერთობ უსწორ-მასწოროა. თავიდან ის მიიმართება დასავლეთისაკენ, მაგრამ ქალაქ ბაიბურთიდან ჯერ იწყებს დენას ჩრდილოეთით, შემდეგ ჩრდილო - აღმოსავლეთით; ოლთისის წყალის შერთვის შემდეგ მიიქცევს პირს ჩრდილოეთით; ხოლო აჭარის წყალის შერთვის შემდეგ მიიმართება ჩრდილო - დასავლეთისაკენ, გამოდის კახაბერის დაბლობზე და შეერთვის შავ-ზღვას რვა კილომეტრის სიშორით ქალაქ ბათუმიდან. შესართავთან ის ჰქმნის რამოდენიმე ჭალაკს, დელტას.

ჭოროხი მთის მდინარეა. განი მისი კალაპოტისა არსად არ აღემატება 200 საჟენს და საზოგადოთ შეიცავს ასიდან ორმოცდაათ საჟენამდე. ზოგჯერ ჭოროხი იკვლევს გზას სულ ვიწრო კლდის ნაპრალებში და მაშინ მისი განი სულ მცირეა, მაგალითად, ართვინის ხიდთან განი მდინარისა უდრის 12 საჟენს. სიღრმე წყლისა სხვა და სხვაა, მაგრამ საზოგადოთ სამს მეტრს არ აღემატება. ართვინიდან ჭოროხზე ნავოსნობა იწყება, მაგრამ ნავები ბრტყელძირიანებია, კაიუკები, და ბათუმამდის სულ 5 — 6 საათში ჩამოდიან, ხოლო უკანვე მათ ზემოდ ატანას რამოდენიმე დღე უნდება და იგიც საჭეების საშვალებით.

ჭოროხის შემდინარე წყლები ერთობ მრავალია. მარცხენა შემდინარენი იწყებიან პონტოს ქედიდან; ამათი სიგრძე არ აღემატება 30 — 40 კილომეტრს, კლდოვან ვიწრო კალაპოტებში მიმდინარეობენ დიდის სისწრაფით, კიდეები ტყიანი აქვთ. ასეთებია პარხალის - წყალი და მისი შემდინარენი არმენ - ხევი და კობაკი, შემდეგ ბელღევანი, იჩხალა, მურღული და ხატილა. უკანასკნელი ოთხი ბათუმის ოლქს ეკუთვნოდა წინეთ.

მარჯვენა შემდინარენი ჭოროხისა ბევრად უფრო გრძელნი და დიდრონი არიან; მათ შორის აღსანიშნავია აჭარის-წყალი, 70 ვერსი სიგრძით, ერთვის ჭოროხს 15 ვერსის სიშორით მისი ზღვაში შესართავიდან. აჭარის - წყალის აუზი შესდგება თვით თავი აჭარის ხევიდან და შვიდი გვერდის ხეობათაგან. შემდეგი შემდინარე არის მაჭახელის-წყალი, 35 ვერსი სიგრძით, ერთვის ჭოროხს ოთხი ვერსის ზემოდ აჭარის-წყლის შესართავიდან. ეს ჰქმნის მკაცრს ხეობას (ამ ხეობას წინეთ **მიჭიხიანი** ეწოდებოდა); განთქმული იყო საუცხოო იარაღების (თოფების, დამბაჩების) კეთებით (აქაურ თოფს გურიაში მაჭახელა ერქვა). შემდეგი დიდი შემდინარე არის იმერ-ხევი, 70 ვერსი სიგრძით; ამის ზემო-წელი ცნობილია შავშეთის წყლად, რომელიც ძველად იმერხევის სახელსაც ჰფარავდა. იგი ერთვის ჭოროხს ათი ვერსის ზემოდ ართვინისა. იმერხევს მარჯვნით ერთვიან ბაძგირეთი, ჩიხორი, ახალთა და ბერთა, რომელნიც კარჩხალის ქედიდან გამოდიან და სიგრძით თვითეული არ აღემატება 20 ვერსს. მარცხენა შემდინარეთა შორის იმერხევისა აღსანიშნავია სათლელის წყალი, 35 ვერსის სიგრძით, ერთვის იმერხევს სოფელ დოლის - ყანის ზემოდ. მარცხნივ არტანუჯის წყალს ერთვის ქალაქ არტანუჯთან ტანზოთი. საზოგადოთ იმერხევის დიდი აუზი შეადგენს დიდს რაიონს შავშეთ - იმერხევისა, რომელიც შემოზღუდულია ქედებით არსიანის, კარჩხალისა და იალნუზ - ჩალისა და იყოფა ორ ნაწილად, მთიანისა და უფრო სწორისა; პირველს შეადგენს ზემო-წელი იმერხევისა, მეორეს ქვემო ნაწილი. ყველაზე უფრო დიდი შემდინარე ჭოროხისა მარჯვნით არის ოლთისის წყალი, 145 ვერსი სიგრძით; გამოდის სევრიდაგის მთიდან და თავისი მრავალრიცხოვანი შემდინარეებით ჰქმნის დიდს ბასეინს. მარჯვნით მას ერთვის ბანას წყალი, 52 ვერსი სიგრძით. ბანას წყლის შემდინარედ ითვლება ბარდუსის წყალი, 66 ვერსი სიგრძით. შემდეგ ოლთის წყალს ერთვის ყანლის წყალი, 48 ვერსი სიგრძით, და სალაჩურის წყალი, 28 ვერსი სიგრძით. მარცხენა შემდინარეთა შორის საყურადღებოა სევრის წყალი და თორთუმის წყალი. თორთუმის წყალი ჰქმნის თორთუმის ტბას, რომლიდანაც გადმოჰქუხს ლამაზის წყალვარდნით; შუა ნაწილი ოლთისის წყლის აუზისა ასი ვერსის სიგრძით მსოფლიო ომამდის ეკუთვნოდა რუსეთს და შეადგენდა ოლთისის ოკრუგს ყარსის ოლქისა.

## თვისებანი ჭოროხის ბასეინისა

ჭოროხის ბასეინი წარმოადგენს განსაკუთრებით სასტიკ მთიანეთის მხარეს; ის შემოზღუდულია თითქმის ყოველ მხრიდან წყალთ-გამყოფი მაღალი ქედებით და მხოლოდ პატარა ნაწილი ეკვრის შავზღვას ციხისძირიდან კომპუშის კონცხამდე. აღმოსავლეთის მხრიდან მას საზღვრავს მაღალი ქედები არსიანისა და სოღანლუღისა, რომელნიც ამ მხარეს გამოყოფენ კასპიის ზღვის ბასეინიდან. სამხრეთით მთელი რიგი მაღალი ქედებისა სხვა და სხვა სახელით მიიმართებიან აღმოსავლეთიდან დასალეთისაკენ, არზრუმის და ბაიბურთის მიმართულებით, და გამოჰყოფენ ჭოროხის ბასეინს არეზის ბასეინიდან. დასავლეთით მას ზღუდავს ბაიბურთის ანუ ისპირის მთები, რომელნიც ბოლოს ჰქმნიან ცნობილს ზეკარს, გურჯი-ბოღაზად, ესე იგი საქართველოს კარად წოდებულს. ჩრდილოეთის მხრით ამართულია მაღალი პონტოს ქედი, სიგრძით 675 ვერსამდის, რომელიც ჰყოფს ჭოროხის ბასეინს შავი ზღვისა-

4) იზვესტია კავკ. ოტდ. რუსკ. გეოგრ. ობშჩ. VII, გვ. 57 — 62

5) დ. ბაქრაძე. არქ. მოგზ. გურია - აჭარაში, გვ. 39

6) ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, გვ. 156 - 7.

გან. ეს ქედი იწყება მდინარე იეშილ - ირმაკის ქვემო - წელიდან (ძველი ირისი), მახლობლად სამსუნისა და ნიკსერისა. თავში ის ჰყოფს შავ ზღვას იეშილ - ირმაკის და კიზილ - ირმაკის (ძველი ჰალისი) შემდინარეებისაგან და შემდეგ ჭოროხისაგან. პონტოს ქედის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს ყარჩხალის ქედი, რომელიც გამოყოფილია პონტოს ქედიდან ვიწრო ჭოროხის ნაპრალით. კარჩხალის ქედიც მიიმართება სამხრეთ - დასავლეთიდან ჩრდილო - აღმოსავლეთად, 40 ვერსის მანძილზე და უერთდება შავშეთის ქედს. ამიტომ ზოგიერთები კარჩხალის ქედს გულისხმობენ, როგორც გაგრძელებას შავშეთის ქედისა. ამას გარდა ჩრდილოეთის საზღვარს ჭოროხის ბასეინისა შეადგენს კიდევ აჭარის ქედი, რომელიც თავდება ციხისძირთან. ციხისძირიდან პონტოს ქედის შტოის კომპუშის კონცხამდე, საიდანაც მსოფლიო ომის წინათ იწყებოდა რუს - ოსმალთა საზღვარი, ჭოროხის ბასეინი ეკვრის შავ ზღვას 40 ვერსის მანძილზე.

ყველა ჩამოთვლილი წყალ - გამყოფი ქედები გამოყოფენ აუარებელ მკლავებს და ქედ-ქედებს, ზოგჯერ ფრიად დიდებს, რომელნიც ეხლებიან ერთი მეორეს, იკვანძებიან ერთი მეორეში და ჰქმნიან დიდ-რიცხოვან ღრმა ხევებს, ღელეებს, ხრამებს და ნაპრალებს. სწორი ადგილი ცოტაა, საძოვრები უამრავი, ზოგ ადგილას სჭარბობს ტყეები; მაგალითად, ყოფილ ბათუმის ოლქში ორი მესამედი სივრცისა უჭირავს ტყეს. ჰავა სხვა და სხვაა და დამოკიდებულია ადგილის სიმაღლეზე. ღრმა ხევებში, რომელნიც სულ მოცულია ბაღებით, ისე თბილა, რომ ზოგჯერ თოვლი სულ არ არის, მაგრამ მთებზე საკმაოდ დიდხანს ძლებს და ადრეც მოდის 7).

## მოკლე ისტორია ჭოროხის ბასეინისა

ისტორია ჭოროხის ბასეინისა ერთობ რთულია. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვა და სხვა ხალხები: ქართველები, სომხები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თათრები - სელჯუკები, თათრები - ოსმალები და სხვა. იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება. სპრსელებს, არაბებს და სელჯუკიანთ არავითარი თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებიათ ამ მხარეში. დიდია გავლენა ბერძნებისა, ესე იგი ბიზანტიისა, და კიდევ უფრო მეტი სომხებისა.

თავდაპირველი მკვიდრნი ჭოროხის ბასეინისა, ნ. მარის ტერმინოლოგიით, იყო თუბალ - კაინის მოდგმისა, ესე იგი შესდგებოდა ჭან - ლაზ - მეგრელთა ხალხებისაგან 8) მაგრამ ესენი იყვნენ მარტო ერთი ნაწილის კლარჯეთ - ისპირის მცხოვრებნი, ხოლო ტაო - თორთუმი მეორე ქართველთა ტომით, მესხებით, იყო დასახლებული. ქსენოფონტე, რომელმაც 10.000 ბერძენთა მხედარით მე-4 საუკუნეში ქრისტეს წინ ამ მხარში გამოიარა, მცხოვრებთ ტაოხებს (ტაოხოი) უწოდებს. ესე იგი ტაოს მცხოვრებთ.

ჭან - ლაზთა ტომს ეჭირა ზემო და შუა-წელი ჭოროხისა და ორივე მხარე პონტოს ქედისა, შავი ზღვიდან ჭოროხის მდინარემდე; შემდეგ მათი მოსახლეობა გავრცელებული იყო ისპირიდან ტრაპიზონამდე და მის არემარემდე, და ეს დასავლეთის ადგილი იწოდებოდა ქალდეად და მცხოვრებნი ქალდელებად ანუ ხალიბებად; ზოგჯერ ეს მხარე ცნობილი იყო ჭანეთად (ბერძნულად ცანიკად) და მცხოვრებნი ჭანებად (ბერძნულად ცანებად). ხოლო ჭოროხის ქვემო-წყლის მოსახლეობას შეადგენდა ლაზ - მეგრელთა ტომი.

ამგვარად ძველად მთელი ჭოროხის ბასეინი დასახლებული იყო ქართველთა ტომებით. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მეორე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინ, ანტიოხ დიდის დამარცხების შემდეგ, მისმა სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა, სტრაბონის ცნობით, სომხეთი დაიპყრეს, და ამათ გააფართოვეს სომხეთის საზღვრები მეზობელი ერების, ხალიბების, მოსსინიკების და სხვების მიწების შემოერთებით; შემდეგ ტაოც შევიდა სომხთა ამ სამფლობელოში, ტაიკის სახელით. აქედან იწყება სომხური ენის გაძლიერება ამ ადგილებში. ქალდეაში, პლინიუს სეკუნდუსის თქმით, ჩნდება შერეული ტომი სომეხთ - ქალიბებისა (გენს არმენო - ხალიბეს). ასეთი შერეული მოსახლეობა სომხებ - მესხებისა უნდა ვიგულისხმოთ შემდეგ დროში ტაოშიც.

რაც შეეხება კლარჯეთს, ის ზოგჯერ გადადიოდა სომხების ხელში, მაგრამ არა ხანგრძლივად; ქართველები მას იბრუნებდნენ უკან.

ჩვენ გვაქვს ცნობა: მეფე მირდატმა, ბაკურის ძემან, მეოთხე საუკუნეში აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხეში, „რამეთუ პესა კლარჯეთისასა“, უმატებს ქართლის ცხოვრება, „არა იყო ეკლესია“. მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასარმა აღაშენა ციხე არტანუჯში. თვით უსახელო სომხური გეოგრაფია, რომელსაც ზოგნი მიაწერენ მეხუთე საუკუნეს, ზოგნი მეშვიდეს, მოგვითხრობს, რომ კლარჯეთი, შავშეთი, ნიგალი (ნიგალის-ხევი), ეგერი (ეგრი) და აჭარა ქართველების პროვინციებს შეადგენსო 9). მაგრამ ძველი სომეხთა მოსახლეობის გავლენა კლარჯეთშიაც ცხადად მოჩანს მრავალს გეოგრაფიულს სახელებში.

საერთოდ, არაბების შემოსავამდის, უმეტესი ნაწილი ჭოროხის ბასეინისა სომხეთის მხარეს შეადგენდა. აქ იყო გავრცელებული სომხური ქრისტიანული კულტურა. ხოლო არაბების შემოსევამ უცვალა ფერი ამ მხარეს; მეტადრე მურვან - ყრუს გალაშქრებამ 730 თუ 731 წელს ძირიანად მოსპო ყველაფერი: სოფლები განადგურდა, ეკლესიები, მონასტრები და ციხეები ნანგრევებად იქცა. ამას დაერთო კიდევ ხოლერა, რომელმაც ბოლო მოუღო ისედაც განადგურებულ მოსახლეობას. ხალხი ამოწყდა; რაც დარჩა, ტყეში გაიხიზნა. ამ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, როდესაც აქ მოვიდა თავის სეფეწულით და დიდის ამალით, არაბების მიერ დევნილი, ქართლის ერისთავი აშოტ დიდი და აქ კლარჯეთში დაემკვიდრა. ეს იყო ქართველთა პირველი ბაგრატიონი.

აშოტის მამა, ადარნასე, როგორც საფიქრებელია, იძულებით გადმოხვეწილი თავის საპატრონო ტაო - კლარჯეთიდან, არჩილ მეფის დროს მოვიდა საქართველოში და გახდა მისი ქვეშევრდომი, მისი ვასსალი. მიიღო სამფლობელოდ არტანი და შულავერი; მისი ასული ლატავრა შეირთო ცოლად არჩილის შვილმა ჯუანშერმა. შვილი მისი აშოტი გახდა ქართლის ერისთავი. ადარნასემ, როგორც ეტყობა, საქართველოში მოიცა ძალა და ჯუანშერისავე სიცოცხლეში დაიბრუნა თავისი კუთვნილება ტაო-კლარჯეთში, ანუ, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, „იცვალა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა და აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქვემოსა ტაოსა და აწ ციხეთაგან, რომელი ჰქონდეს შვილის - შვილთა ვახტანგ მეფისათა, და შემდგომად მისა წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“ 10).

მაშასადამე, აშოტი დაემკვიდრა თავისი მამის მამულში, ტაო - კლარჯეთში, მოშორებით თბილისის არაბთა საემიროსგან. ამ ქვეყნის გადარჩენილმა ხალხმა ის მიიღო ღტაცებით და აღუთქვა სამსახური. აშოტმა გამოიჩინა დიდი ენერგია და უნარი თავის სამფლობელოს მოწყობისა. განაახლა არტანუჯის ციხე, რომელიც აშენებული იყო ვახტანგ გორგასალის მიერ, აღმართა შიგ ეკლესია პეტრესი და პავლესი და გააშენა ქალაქი ციხის ქვემოდ; აღადგინა გავერანებული სოფლები, შეიძინა და გააშენა ახლები. არტანუჯი გახდა რეზიდენციად პირველი ბაგრატიონისა. მაგრამ მთავარი კიდევ ის იყო, რომ მან დაიჭირა მჭიდრო კავშირი ბიზანტიასთან. მიიღო ხარისხი კურაპალატობისა და ამ სახით გახელმწიფდა ტაო - კლარ-

7) გეოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები უფრო დაწვრილებით იხ. ია. პროსკურიაკოვ. ზამეტკი ო ტურციი. ზაპისკი კავკ. ოტდ. რუსკ. გეოგრ. ობშჩ. ტიფლის, 1905; კნიგა XXV; ვ. ლისოვსკი. ჩოროხსკი კრაი, ტიფლის 1887; პ. ხელმიცკი. კარსკაია ობლასტ, ჩასტ I. ტიფლის, 1892.

8) ნ. მარრი. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. II.

9) იხ .პატკანოვის თარგმანი.

10) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 218 — 219.

ჯეთში (780 — 826). აქედან იწყება გაქართველება წინეთ-გასომხებული ქართველობისა. ეს პროცესი ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ, რომ უკვე მეცხრე საუკუნის ბოლოს ეს ქვეყანა ენითაც და განათლებითაც სულ ქართული იყო, და ის გახდა სავანედ ქართული კულტურისა. ამას ხელი შეუწყო პირველად იმ გარემოებამ, რომ მოსახლეობა აქ შერეული იყო, ქართულ-სომხური, და ქართველობა აქ არასოდეს არ აღმოფხვრილა. მეტადრე კლარჯეთში; მეორედ, ამას ხელი შეუწყო სარწმუნოებამ. დიდძალი სომხობა ამ ქვეყნისა მართლმადიდებელი, ხალკიდონიტი, დარჩა, და გრიგორიანობა არ მიიღო, მჭიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა ყოველ საქმეში ქართველობასთან და წირვა-ლოცვა მათი ქართულს ენაზე წარმოებდა. როგორც ბოლო დროს ჩვენში კათოლიკე ქართველებს თავისთავი ფრანგებად მიაჩნდათ, ისე მართლმადიდებელი სომხები ქართველობდენ. სარწმუნოებას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა დენაციონალიზაციის პროცესში; მესამედ, და ეს მთავარია, ამ პროცესს უმეტესად ყოვლისა ხელი შეუწყო ქართულმა საერო და სამონასტრო კოლონიზაციამ. რომელიც იმთავითვე ტალღასავით მოედვა მთელ ტაო-კლარჯეთს. ქართლიდან დევნილნი და არაბთაგან შევიწროებული მოსახლეობა მიილტოდა ტაო-კლარჯეთში, სადაც სიმშვიდე იყო. აქ მათ ბაგრატიონთა მფარველობის ქვეშ თავისუფლად შეეძლოთ გაეშალათ თავისი მოქმედება სამეურნეო და სავაჭრო დარგში. ქართლიდანვე დაიძრა სამონასტრო კოლონიზაციაც. ამის მოთავე იყო განთქმული და დაუღალავი ბერი გრიგოლ ხანძთელი (759 — 861), რომელიც მოვიდა ქართლიდან კლარჯეთში აშოტ დიდის დროს. გრიგოლს კლარჯეთში დახვდა მარტო ერთი ქართული მონასტერი ოპიზა, ხოლო ბოლო დროს ის გახდა არქიმანდრიტი თორმეტი კლარჯეთის მონასტრისა, რომელთა შორის ხუთი მის მიერვე იყო აშენებული, სხვები მისი მოწაფეების მიერ. ცხოვრება ამ შესანიშნავი მოღვაწისა ეკუთვნის დიდათ ნიჭიერ მწერალს გიორგი მერჩულს და წარმოადგენს შედევრს არა მარტო ქართული მამათა ცხოვრებისა, არამედ საზოგადოთ მთელი ქრისტიანული აგიოგრაფიისა 11).

გიორგი მერჩულის თხუზულება გვიხატავს იმ დროის ცხოვრების სურათს არა მარტო სასულიერო, საეკლესიო ცხოვრებისა, არამედ საეროსაც. აშოტ დიდის და მისი მრავალრიცხოვანი შთამამავლების დროს ტაო-კლარჯეთი აღივსო ეკლესია-მონასტრებით, რომელნიც იმავე დროს შეადგენდენ კერას ქართული განათლებისა. ყოველ მონასტერში იყო სკოლა, სემენარია, სადაც ასწავლიდენ წერაკითხვას, სალმთო სჯულს, ფილოსოფიას, ბერძნულს და სხვა ენებს, გალობას, კალიგრაფიას, მხატვრობას, ოქრომჭედლობას და სხვა. აქედან გამოდიოდენ მღვდელ-მოძღვარნი, მთარგმნელები და გადამწერნი წიგნებისა, მინიატურისტები და ოქრომჭედელნი. ზოგიერთი მონასტრების ნანგრევებთან დღემდის საკმაოდ კარგად დაცულია ასეთი სემენარიების ფრიად დიდრონი შენობანი. რომელნიც „საოსტიგნედ“ ანუ სასადილო შენობებად არიან აღიარებულნი, მაგრამ ეჭვს გარეშე, უფრო სემენარიების შენობებს წარმოადგენენ, ვიდრე სასადილოებს: ყოველ შემთხვევაში ორივე მიზნისათვის უნდა ყოფილიყვნენ განკუთვნილნი. ამ შენობათა გეგმა სამნავიანი ბაზილიკაა, თავისი სვეტებით და ღია კამარებით, მაგრამ მათ ახლავთ კიდევ ერთი მხრით დიდი ზალა, დარბაზი, ტრომპებიანი გუმბათით, გვირგვინით, რომლის ქვეშ წარმოებდა გადაწერა ხელნაწერებისა, ხოლო თვით დარბაზი შეიცავდა ბიბლიოთეკას (იხ. გეგმა და სურათები ასეთი შენობისა ოშკის მონასტერთან).

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაო-კლარჯეთს ქართული კულტურისათვის, საკმარისია აღვნიშნოთ, უძველესი ტყავის ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდი მოუღწევიათ და რომელნიც გადაწერილი არიან საქართველოს ყოფილ საზღვრებში და არა უცხოეთში (სინას მთაზე, პალესტინაში, ათონზე და სხვა), ყველა ეკუთვნის ტაო-კლარჯეთის მონასტრებს. პირველი პერიოდიდან ქართული მწიგნობრობისა, ესე იგი მცხეთა-თბილისის პერიოდიდან, რომელიც გაგრძელდა ქრისტიანობის მიღებიდან, მეოთხე საუკუნის ნახევარში, არაბების დამკვიდრებამდე საქართველოში, მეშვიდე საუკუნის ნახევარში, ჩვენამდე ერთ ხელნაწერს ტყავის წიგნს არ მოუღწევია, თუმცა საფიქრებელია, ის პალიმპსესტის ხანმეტნი ტექსტები, რომელნიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, უნდა ეკუთვნოდენ ამ პირველ პერიოდს, მაგრამ ესენი ფრაგმენტებს წარმოადგენენ და არსად დაცული არ არის არც დრო და არც ადგილი გადაწერისა. უძველესი ქართული მწერლობის ძეგლები ტაო-კლარჯეთმა შეგვინახა.

ამრიგად, მეორე პერიოდში ქართული ისტორიისა, რომელიც გრძელდება მერვე საუკუნის ნახევრიდან მეათე საუკუნის დასასრულამდე, ტაო-კლარჯეთი ხდება სავანედ ქართული კულტურისა, ქართული განათლებისა. ამ პერიოდში საქართველო დაკავშირებულია პოლიტიკურად და კულტურულად ბიზანტიასთან. აქედან იწყება ინტენსიური ელინოფილური პერიოდი. ბაგრატიონთა სახლის წევრები იღებენ ბიზანტიურ საკარისკაცო ხარისხებს, მაგისტროსისა, პატრიკისა, კუროპალატისა. ეს ხარისხი შთანამალობით გადადიოდა უფროს ბაგრატიონთა სახლის წევრებზე, ხოლო როდესაც მეფობა განმტკიცდა და საქართველო გაერთიანდა, მეფენი იღებენ უფრო უმაღლეს და უწარჩინებულეს ხარისხებს, ნობილისიმოსისა, სევასტოსისა და ბოლოს კესაროსისაც.

დიდათ ვრცელდება ვაჭრობა. არტანუჯი გადაიქცა ცენტრად აღებ-მიცემობისა ბიზანტიასა და აღმოსავლეთის შორის და ეს დამოწმებულია იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მის წიგნში **De administrando imperio.** მთელი ქვეყანა მოცულია კარგად გაკეთებულის გზებით; მოსარწყავი სისტემა არხებისა უაღრესად განვითარებულია; მათი ნაშთები დღემდე დაცულია და განსაცვიფრებელია. ფერდოები და ხევები მთებისა საუცხოოდ დამუშავებულია და წარმოადგენენ წალკოტებს. მატერიალურ კეთილდღეობას და სიმდიდრეს ამ ქვეყნისა სხვათა შორის ამტკიცებს უამრავი სახუროთმოძღვრო ძეგლები, რომლებითაც მოცულია მთელი ეს მხარე და რომელთ ნანგრევებსაც განცვიფრებაში მოჰყავთ მნახველნი თავისი კოლოსალური სიდიდითა და სილამაზით. ბოლოს თავი მნიშვნელობა ტაო-კლარჯეთისა არის ის ფაქტი, რომ აქედან დაიწყო და გაერთიანდა მთელი საქართველო ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით. ეს იყო ხანგრძლივი პროცესსი.

საქმე ის არის, რომ არაბთა საემიროს დამკვიდრების
გამო თბილისში, ქართლის ცენტრში, ტაო-კლარჯეთი არ
იყო მარტო ერთი განცალკევებული სამფლობელო
მელიც შორეულ საქართველოს საზღვარზე დაარსდა. რო-
ვე დროს გაჩნდა საქართველოს აღმოსავლეთის მიჯნაზე
კახეთის სამფლობელო, რომლის პატრონნი ქორიკოზებად
არიან წოდებულნი. პირველი ცნობილი ქორიკოზი იყო
გრიგოლი (+ 827). ბოლო ხანს კახეთის მოსაზღვრედ
ერეთში (ძველი ალბანია) დაარსდა კიდევ ერეთის სამფ
ლობელო. ამათზე უფრო ადრე დასავლეთ საქართველ...

11) გამოცემულია დიდებულად ნ. მარრის მიერ ვრცელის წინასიტყვაობით, რუსულის თარგმანით, სიტყვათა და ფრაზათა განმარტებით და სხვა სამეცნიერო აპარატით. გამოცემას დართული აქვს დღიური მოგზაურობისა შავშეთ-კლარჯეთში, რომელშიაც აღწერილია ნაშთები ყველა „ცხოვრებაში“ მოხსენებულის ძეგლებისა და კლარჯეთის სხვა ეკლესია-მონატრებისა. ამას გარდა, შეკრებილია დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა ეხლანდელი ამ მხარის მკვიდრთა, რომელთაც არ დავიწყებიათ ქართული ენა და ქართული ტრადიციები; მოყვანილია მრავალი მათი სახალხო პოეზიის ნიმუშები. „ცხოვრება“ ეხლა გამოცემულია ლათინურ ენაზედაც ცნობილის მეცნიერის ბოლანდისტის პოლ-პეტერსის მიერ. რომლის დაუღალავი ღვაწლით ევროპა ეხლა საკმაოდ იცნობს ქართულ სასულიერო ლიტერატურას. იხილეთ Analecta Bollandina, t. XXXVI — XXXVII = Histoires Monastiques Géorgiennes. Bruxelles. 1923, pp. 207 — 309.

ში გაჩნდა აბხაზეთის სახელმწიფო. ამის დამაარსებელი იყო ლეონ ერისთავი, რომელიც წინეთ ბიზანტიის ერისთავად ითვლებოდა აბხაზეთში, მაგრამ როცა ბიზანტია დასუსტდა ხალიფთა ბრძოლის გამო, იმარჯვა დრო და ხაზართა დახმარებით თავისი თავი გამოაცხადა დამოუკიდებლად და გახდა მეფე აბხაზთა (746 — 791). ამან დაიპყრო ეგრისი და მთელი დასავლეთი საქართველო ლიხის მთამდე; მათი სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი, მაშინ ქუთათისად წოდებული.

პირველად დასავლეთ საქართველოში უფლება ეჭირათ კოლხებს, მეგრელებს, და სახელმწიფო კოლხეთად ანუ კოლხიდათ იყო ცნობილი. შემდეგ ძალაუფლება გადავიდა ლაზების ხელში და ამ მხარეს ლაზიკა დაერქვა; ხოლო ბოლოს აბხაზთა ერი მოექცა სათავეში და დაარსდა აბხაზთა სახელმწიფო.

საქართველოს სამხრეთით, სომხეთში, გაჩნდა რამოდენიმე სამთავრო, ხოლო მეცხრე საუკუნეში ერთი მთავარი, არარატის პროვინციის მფლობელი, ბაგრატიდი აშოტ I (885 — 890) ბაღდადის ხალიფის და ბიზანტიის იმპერატორის თანხმობით გახდა მეფე სომეხთა.

თბილისში ამ დროს იჯდა არაბთა ემირი, მაგრამ თბილისის ემირებიც მოწადინენი იყვნენ თავი გაენთავისუფლებინათ ბაღდადის ხალიფასაგან და დაეარსებინათ დამოუკიდებელი საემირო. ეს მათ კიდეც განახორციელეს, როდესაც შესუსტდა ძალა ბაღდადის ხალიფატისა.

ყველა ამ საქართველოს განაპირა ადგილებში დაარსებულის სახელმწიფოების და სამთავროების მფლობელნი ცდილობდენ გაეფართოებინათ თავიანთი სამფლობელო და შემოეკრიბათ თავისი ბატონობის ქვეშ ყველა საქართველოს ნაწილები. დაიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, რომელიც გაგრძელდა ორი საუკუნე. აქ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, რომელ მთავარს, რომელ დინასტიას უნდა შემოეკრიბა საქართველოს ყველა ნაწილები და გამხდარიყო თვით-მპყრობელი მთელი საქართველოსი.

იყო დრო, როდესაც ძალით ჰარბობდა კახეთის ქორიკოზი; შემდეგ დიდი ძალა-უფლება მოიცვეს აბხაზთა მეფეებმა; ამათ გადალახეს ლიხის მთა და დაიჭირეს აღმოსავლეთი საქართველოს მრავალი ადგილები. აქ მათ ჰყავდათ თავიანთი ერისთავები. თუ სადამდის მიდიოდა მათი ძალა-უფლება, იქიდან სჩანს, რომ კონსტანტინე აბხაზთა მეფემ (873 — 912) დაიწყო შენება საუკეთესო ტაძრისა სამშვილდეში მეოცე წელს თავის მეფობისა, ესე იგი 893 წელს; ხოლო დამთავრდა შენობა მესამე წელს აბხაზთა მეფის ლეონ მეორის მეფობასა, ესე იგი 960 წ. ლეონი 957 — 967 წლებში მეფობდა. ეს ლეონი თავისი მამის გიორგი მეორის სიცოცხლეში (912 — 957) ერისთავად იყო ქართლისა, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ გახდა აბხაზთა მეფედ და 964 წელს ახალქალაქის მახლობლად აღაშენა განთქმული კუმურდოს ეკლესია [12]. მაგრამ ვერც კახეთის მფლობელებმა და ვერც აბხაზეთის მეფეებმა ვერ შესძლეს საქართველოს გაერთიანება. ეს ბედი ერგოთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს. ამისი მიზეზი იყო ერთის მხრით მათი უნარი, ენერგია და შორმხედველობა; მეორეს მხრით, და ეს თავი და თავია, უაღრესი კულტურა, რომელსაც მიაღწია ტაო-კლარჯეთმა მეცხრე და მეათე საუკუნეში.

ტაო-კლარჯეთი იყო მემკვიდრე და გამაგრძელებელი მცხეთა - თბილისის კულტურისა. აბხაზებს, შორეულს მონათესავებს ქართველებისა ენით, მწერლობა არა ჰქონიათ თავის ენაზე; მათი სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო და საზოგადოთ ღრმად განიცადეს ქართული კულტურის გავლენა. აბხაზეთი, როგორც კახეთი, ქართველთა ტომების სახელმწიფო იყო. აბხაზთა სახელმწიფოში, როგორც მოვიხსენიეთ, შედიოდენ ეხლანდელი მეგრელები, სვანები, იმერლები და დიდძალი ქართლელები, ასე რომ მცხოვრებთა უმეტესობა არა - აბხაზები იყო. აბხაზებს მხოლოდ სახელმწიფო ძალა - უფლება ჰქონდათ ხელში; მათი დინასტია უდგა სათავეში რამოდენიმე ქართველთა ტომს, ისე როგორც წინა-დროში ასეთი უფლება ეკუთვნოდა ჯერ კოლხებს (მეგრელებს) და შემდეგ ლაზებს. ამიტომ ამ ხალხების გაერთიანება მთავარ ქართველ ტომებთან, ქართლელებთან და მესხებთან, რომელთაც დიდათ განვითარებული კულტურა და ლიტერატურა ჰქონდათ, სრულიად ბუნებრივი იყო, ასეც მოხდა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა უფლების ქვეშ ჯერ გაერთიანდა აბხაზეთი, ქართლი და ტაო-კლარჯეთი ბაგრატ III დროს (978 — 1014), და ქუთაისი გახდა სატახტო ქალაქად ამ გაერთიანებული სახელმწიფოსი. შემდეგ ამ დინასტიამ შემოიერთა კახეთი და ჰერეთი, და ბოლოს დავით აღმაშენებელის დროს 1122 წელს თბილისიც. მოისპო თბილისის არაბთა საემირო და თბილისი კვლავ გახდა საქართველოს სატახტო ქალაქად. აქედან იწყება ოქროს ხანა გაერთიანებული საქართველოსი.

ამ დროს საქართველომ გამოჰგლიჯა მაჰმადიანებს სომხეთის სამთავროები სამხრეთით, გააფართოვა თავისი მფლობელობა აღმოსავლეთით; შირვანის სამეფო გახდა ვასსალი საქართველოსი; ძალაუფლება საქართველოსი გავრცელდა შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდის. საქართველომ მიიღო ხასიათი კავკასიის იმპერიისა. მისი სახელი განითქვა ბიზანტიაში და დასავლეთ ევროპაშიც. უმაღლეს ხარისხს თავისი პოლიტიკური და კულტურული განათლებისა მან მიაღწია თამარ მეფის დროს (1184 — 1212). მაგრამ ეს ოქროს ხანა გაგრძელდა მხოლოდ მეცამეტე საუკუნის ნახევრამდის, ესე იგი მონღოლთა შემოსევამდის.

მონგოლებმა დაიპყრეს საქართველო და გაჰყვეს ქვეყანა ორ სამეფოდ, აღმოსავლეთისად და დასავლეთისად. შემდეგ ამასაც არ დასჯერდენ და ხელი შეუწყვეს შექმნას მესამე დამოუკიდებელი სამთავროისა, სამცხე - საათაბეგოისა, რომლის მფლობელად გახდენ სამცხის ათაბაგები ჯაყელთა სახლიდან. ათაბაგებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს მონგოლებს წინა-აზიის ომებში, ამით მოიგეს მათი გული, გააფართოვეს თავისი სამფლობელო და გახდენ დამოუკიდებელნი ქართლის მეფეებისაგან. მათმა ლოიალურმა პოლიტიკამ მონგოლთადმი მისცა მშვიდობიანობა სამცხე-საათაბაგოს და ეს მხარე დიდ წარმატებას განიცდიდა შედარებით ქართლის და იმერეთის სამეფოებთან.

ამ სამფლობელოს მაშინ შეადგენდა: სამცხე (ახალციხის მაზრა ფოცხოვითურთ), ჯავახეთი (ახალქალაქის მაზრა), ყოფილი არდაგანის ოკრუგი (ჩილდირი, ფოსო, არტაანი, ერუშეთი და კოლა), ესე იგი მთელი ზემო-წელი მტკვრის ბასეინისა, შემდეგ მთელი ჭოროხის ბასეინი (ტაო-კლარჯეთი, ისპირი, ოლთისი), ბოლოს ლაზისტანი და არზრუმი (ერზერუმი).

პირველი დამოუკიდებელი ათაბაგი იყო სარგის I. ამან დიდი დახმარება გაუწია გულაგუ - ხანს ბრძოლაში ბერკა - ხანთან და მიიღო სამფლობელოდ აზრუმი თავისი პროვინციითურთ. ამით უკმაყოფილო დარჩა ქართლის მეფე დავით V, შეიპყრო სარგისი, მაგრამ იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა იგი ხაკანის მოთხოვნით. მაშინ სარგისი სულ ჩამოშორდა ქართლის მეფეს და დამოუკიდებლად გამოაცხადა სამცხე - საათაბაგო 1269 წელს.

მისმა შვილმა ბექა I (1285 — 1306) კიდევ გააფართოვა თავისი სამფლობელო და შეუერთა მას ლაზისტანი, აქ ლაზისტანი პირველად შემოდის საქართველოს საზღვრებში, და ის რჩება ამ საზღვრებში ოსმალთა მიერ ამ ქვეყნის დაპყრობამდის. აზრი, ვითომც ლაზისტანი საქართველოს პოლიტიკურ სფეროში და საზღვრებში არასოდეს ყოფილიყოს, არ არის მართალი.

პირველ ხანაში დამოუკიდებლობა სამცხე - საათაბაგოსი გაგრძელდა ორმოცდაათი წელი. ამ დროს შესუსტდა მონღოლთა განმანადგურებელი ძლიერება. მონგოლეთი დაიყო რამოდენიმე სახელმწიფოდ, რომელთაც

12) იხ. ჩვენი „არხეოლოგიჩესკია ეკსკურსიი ი ზამეტკი“, II. გვ. 42 — 43 და „ძველი საქართველო“ ტომი II, გვ. 21 — 30. კუმურდოს ეკლესიის შესახებ, იხ. ჩვენი „მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა“, მოსკოვის გამოცემა, ტ. XII, გვ. 35 — 44.

სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთს-შორის. ამ ჟამად საბედნიეროდ საქართველოს ტახტზე ავიდა გიორგი YI, ბრწყინვალედ წოდებული, რომელიც შემდეგ დავით აღმაშენებლისა უნდა ჩაითვალოს მეორედ აღმაშენებლად საქართველოისა (1318 — 1346). ამან პირველმა ალაგმა და განდევნა ოსები, რომელთაც მონღოლთა ხელის შეწყობით დაჭერილი ჰქონდათ მთელი ლიახვის ხეობა ქალაქ გორითურთ და ქართლის სხვა ადგილებიც. გიორგი მეექვსემ შემოიერთა იმერეთი და მისი გამდგარი მთავრები: დადიანი, გურიელი, შარვაშიძე აბხაზეთისა და სვანთა ერისთავი; აღადგინა წინანდელი დამოკიდებულება შირვანთან, ძლია და უკუ-აქცია აზერბეიჯანის ნოინი, რომელსაც უნდოდა კვლავ დაედვა მონღოლთა უღელი გიორგისათვის. ამანვე კვლავ შემოიერთა სამცხე - საათაბაგო და ბექას I შვილს სარგის II უბოძა სამცხის სპასალარობა, მაგრამ სარგის II ამასთანავე იყო მხატვართ - უხუცესიც. მის სურათს ზარზმის ეკლესიაში აწერია: — „სამცხის სპასალარი და მხატვართ - უხუცესი სარგის".

ბექა პირველს სარგის II-ს გარდა ჰყავდა კიდევ ორი შვილი, ყვარყვარე I და შალვა. ყვარყვარე ატარებდა სამცხის ამირ-სპასალარის თანამდებობას. ამ პირველი ათაბაგების დროს სამცხე-საათაბაგო დიდ წარმატებას განიცდიდა. აქ მშვიდობა სუფევდა, მონღოლები მას არ აწუხებდენ; მცხოვრებნი გამრავლდენ; ხვნა-თესვა, წარმოება მაღალ დონეზე იყო.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო ქართლის სამეფო. გაუთავებელმა ომებმა მონღოლებთან, აუტანელმა დაბეგვრამ მონღოლთა ხარკისათვის, სამეფოს გადასახადისათვის, ეკლესია-მონასტერთა, ერისთავთა და მებატონეთა შენახვისათვის მწარმოებელი დაბალი ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო; ხვნა-თესვა და მეურნეობა შეწყდა; ამას მოჰყვა შიმშილობა და ჭირი; პური დიდი ფასითაც არ იშოვებოდა; ხალხი ამოწყდა. ათაბაგ ბექას ქვეყანა ამ დროს სამოთხედ ჩნდა და იქ მიაწყდა მიდა - ქართლის ხალხი, იქ მაინც პური სასყიდლად იშოვებოდა. ამ დროს სამცხე - საათაბაგომ დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს. დიდძალი ხალხი გადაარჩინა გადაშენებას.

ათაბაგი ბექა პოლიტიკურადაც დაეხმარა ქართლის სამეფოს. როგორც მოვიხსენიეთ, ოსებმა ისარგებლეს ქართლის სამეფოს დასუსტებით, ლიახვის ხეობის დაპყრობასაც არ დაჯერდენ, ძამის ციხეც დაიჭირეს და ლამობდენ ძამის ხეობის ხელში ჩაგდებასაც, მაგრამ ბექა ათაბაგმა გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და ალაგმა ოსები.

პირველი ათაბაგები მსჯულმდებელნი და მაშენებელნიც იყვნენ. პირველი მსჯულმდებელი, ესე იგი კანონმდებელი იყო ბექა I (1285 — 1306); მეორე — მისი შვილის-შვილი აღბუღა (ნამდვილად არ ვიცით, ყვარყვარე I-ს შვილი იყო თუ შალვასი). ბექას კანონები გამოცემული მე-XIII საუკუნეში შეავსო აღბუღამ მე - 14 საუკუნეში. ბექას კანონები შეიცავდა 65 მუხლს, აღბუღამ ანუ, უკეთ ვთქვათ, მისგან შედგენილმა საკანონმდებლო კომისიამ მიუმატა მას 35 მუხლი 13).

აღმაშენებლობის ღვაწლი ათაბაგებისა ბევრ ადგილას მოიპოება სამცხე-საათაბაგოში, მაგრამ უმთავრესად ეს ღვაწლი სამცხეს ემჩნევა. აქ მათ მიერ აშენებულია მშვენიერი საფარის და ჭულების მონასტრები; ღვაწლი მათი სჩანს ზარზმის მონასტერშიც. სამივე მონასტერში დაცულია სურათები-ფრესკები სარგის I, მისი შვილი ბექა I და შვილის-შვილების, სარგის II, ყვარყვარე I და შალვასი. უკანასკნელის სურათი მოიპოვება მხოლოდ ჭულებში.

სამი შვილის გარდა ბექა 1-ს ჰყავდა კიდევ ორი ქალი. ერთი მისთხოვდა ტრაპიზონის იმპერატორს მიხეილ კომნენს, ალექსი II-ს შვილს; მეორე — ნათელა — იყო ცოლი ქართლის მეფის დიმიტრი III-ს (გარდაიც. 1289 წ.). დიმიტრის ნათელადან ჰყავდა შვილი გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც საათაბაგო კვლავ მოიყვანა ქართლის მეფის ხელს ქვეშ. ამ დროიდან სამცხე-საათაბაგო 145 წელს ითვლებოდა საქართველოს ნაწილად, მაგრამ ბრძოლა ჩამოშორებისათვის არ შეწყვეტილა. როდესაც 1470 წლის ახლო ხანაში საქართველო გაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ათაბაგებიც გამოვიდენ ქართლის მეფის წინანდელ, ასე ვთქვათ, ნახევარ მორჩილებისაგან და გახდენ სრულნი უფალნი სამცხე-საათაბაგოსი, თუმცა ბრძოლა ქართლის მეფეთა და მათ შორის მაინც გრძელდებოდა. აქედან იწყება დაკნინება მთელი საქართველოს ნაწილებისა და მათ შორის სამცხე-საათაბაგოსი.

ათაბაგები პოლიტიკურ ჩამოშორებასთან ერთად ცდილობდენ ეკლესიურადაც ჩამოშორებოდენ საქართველოს, რომ ამ მხარის ეპისკოპოსები მცხეთაში არ გაეგზავნათ საკურთხად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის მიერ, არამედ ეს უფლება მიენიჭებინათ აწყურის მთავარეპისკოპოსისათვის. ამას ანტიოქიის პატრიარქის ცბიერის დახმარებით ცოტა ხანს კიდევაც მიაღწიეს. ათაბაგები განაგებდენ დამოუკიდებლად თავის სამფლობელოს, მანამ ოსმალებმა არ დაიწყეს მხედრობა სამცხე-საათაბაგოში.

ანატოლიისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა სულეიმან დიდის სულთანის დროს (1552 — 1566) დაიკავეს აზრუმი, ვანი და ყარსი, და დააარსეს ამ ქალაქების საბეგლარბეგოები; შემდეგ ათაბაგ ქაიხოსრო მეორის დროს (1545 — 1573) დაიპყრეს მთელი ჭოროხის ბასეინი, სახელდობრ 1550 წელს ტაო. 1552 წელს არტანუჯი და არდაგანი. ამასთანავე ბაიბურთი, ხახული, ოლთისი და ბანა (პენიაკი) ადმინისტრატიულად სანჯაყებად გამოაცხადეს. შემდეგ განაახლეს ციხეები ყარსისა და არდაგანისა. არდაგანის ციხის კედელზე დღემდე დაცულია წარწერა სულეიმან დიდისა 1555 წლის თარიღით. შემდეგ ლალა - ფაშის დიდი ლაშქრობის დროს 1578 წელს დაპყრობილ იქმნა ჩილდირი, ხერთვისი, ახალქალაქი, ახალციხე და აწყური, და ამრიგად მთელი სამცხე-საათაბაგო მთელად მოექცა ოსმალთა მფლობელობაში. ქაიხოსრო II შვილები, ყვარყვარე Y (1573 — 1582), მანუჩარ II (1558 — 1614), ამისი შვილი მანუჩარ მესამე (1614 — 1625) იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდენ ოსმალებს და მათის სახელით დარჩენილიყვნენ მმართველად ამა თუ იმ საათაბაგოს ნაწილებისა, მაგრამ ჯერ კიდევ ქრისტიანობა შეინარჩუნეს; ხოლო ბექა III-ს შვილმა ყვარყვარე Y-მ, მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი მანუჩარ III, წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსულმანობა საფარ - ფაშის წოდებით და გახდა ახალციხის ფაშა.

ახალციხის საფაშალიკოში შედიოდა არა მთელი სამცხე-საათაბაგო, არამედ მხოლოდ სამცხე და ჯავახეთი. საფარ - ფაშა და მისი შთამომავალნი, ახალციხის ფაშები, ადმინისტრატიულად ემორჩილებოდენ არზრუმის ფაშას. აქედან იწყება ტრაღედია სამცხე-საათაბაგოსი, ამ საუკეთესო კულტურული ნაწილის საქართველოსი.

ვისაც არ სურდა მაჰმადიანობის მიღება, მისთვის ყოველი სახსარი ცხოვრებისა მოსპობილი იყო, ამიტომ თავად-აზნაურობა, რომელმაც არ უღალატა მამაპაპურ სარწმუნოებას, იძულებული შეიქმნა გადასახლებულიყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში და სხვა ადგილებში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებული გვარები არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კავკასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი (ქობულისძე), სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა და სხვა.

ვინც გამაჰმადიანდა და ასეთები უმრავლესობა იყო, მიიღეს თათრული ხარისხი და თანამდებობანი. უბრალო ხალხი მტკიცედ იდგა სარწმუნოებაზე, მაგრამ უამრავი გადასახადებით და ყოველგვარი შევიწროებით იძულებული იყო ცხოვრების შერჩენისათვის თანდათან მაჰმადიანი გამხდარიყო. ეკლესიები და მონასტრები ზედიზედ იკეტებოდა. განძეულობა ეკლესია-მონასტრებისა უმეტესი ნაწილი განადგურდა; ზოგი გადმოტანილ იქმნა სხვა

13) ს. კაკაბაძე: „სჯულმდებელ ბექას და აღბუღას ვინაობა". ტფილისი, 1912. ივანე ჯავახიშვილი: „ქართული სამართლის ისტორია", I, ტფილისი, 1926, გვ. 107 — 108, 111.

და სხვა საქართველოს ნაწილებში, უფრო გურიაში და სვანეთში. ყოველგან შემოიღეს თათრული წესი და თათრული მიწათმფლობელობა. მაინც ეკლესია-მონასტრების საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს; მანამდის ასე თუ ისე, გაჭირვებით, ზოგი მონასტერი კიდევ არსებობდა და მათ წინამძღვრებს სულტანი ამტკიცებდა ფირმანით.

საფარ-ფაშის შვილისშვილის, როსტომ ფაშის დროს (1647 — 1695) სამცხე-საათაბაგო გარეგნულად მაინც გახდა სამუსულმანო ქვეყანად, ხოლო ქობულეთში, აჭარაში და იმერხევში მაჰმადიანობამ ფეხი ვერ მოიდგა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე; არც ოსმალთა პოლიტიკური უფლება ყოფილა აქ განმტკიცებული. ზოგ სხვა ადგილებშიც დიდ ხანს დარჩენ ქრისტიანები ხან ფარულად, ხან აშკარად. მაგალითად, გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს პარხალის ძიდამოებში იპოვა ხუთი კომლი აშკარად აღლვიარებილი ქრისტიანობისა და მათი მღვდელი, გვარად მღებრიძე იყო, ხოლო 80 კომლი ფარული ქრისტიანები იყვნენ 14). ესენი იყვნენ სოფელ ხევეკისა და არმენ-ხევის მცხოვრებნი.

უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსის ჯარმა დაიკავა ჭოროხის ბასეინი, მთელმა ამ სოფლის მოსახლეობამ აშკარად აღიარა თავისი ქრისტიანული რწმენა და დიდ სიხარულს განიცდიდენ. ჩვენმა 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა დ. შევარდნაძემ და ი. ზდანევიჩმა ინახულეს იგინი და ჰქონდათ მათთან საუბარი მრევლის მოწყობის შესახებ; ჩვენს საკათალიკოზო საბჭოს უნდა გაეგზავნა მათთვის მღვდელი, რომ ფრონტი არ მოშლილიყო და რუსის ჯარს არ მიეტოვებინა ეს მხარე. რასაკვირველია, დატრიალდენ ბერძნის მღვდლებიც და უნდოდათ ჩაეგდოთ ხელში სოფელი და დაემყარებინათ იქ ბერძნული წირვა-ლოცვა. თუმცა იქ მთელი სოფელი ქართულად ლაპარაკობს. ამ მიზნით ერთ ბერძენ მღვდელს ცბიერებით გამოერთმია მათთვის ძველი ქართული საეკლესიო წიგნები, რომელნიც მალულად შერჩენილი ჰქონებოდათ. ზოგ ადგილას გამუსულმანებული ქართველები ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს და ჩვეულებას. მაგალითად ყურბან-ბაირამობის დროს (მუსულმანთა აღდგომას) ამზადებენ შეღებილ კვერცხებს და მიაქვთ ეკლესიის ნანგრევებში. ამას აღნიშნავს ე. ვეიდენბაუმიც ბანის ტაძრის შესახებ. რომელიც მან ინახულა 1879 წელს 15). ხახულში. მონასტრის კარის ბჭეში. აღმოსავლეთის კედელში. ღვთის მშობლის სურათია გამოქანდაკებული. რომელსაც მქვიდრნი მარიამს უწოდებენ. თუმცა მუსულმანთა ქალები მეჩეთში არ დადიან, მაგრამ ამ ქანდაკებასთან მოდიან თამამად. აღიპყრობენ ხელებს და სთხოვენ შეილიერებას: ვისაც რძე აკლია, რძის მომატებას; ვისაც ავადმყოფი ჰყავს. მის მორჩენას და სხვას, ვისაც რა აწუხებს. მარიამი დიდათ სწამთ არა თუ დედაკაცებს, არამედ მამაკაცებსაც. მათი რწმენით, მარიამ არავის შეარჩენს ტაძრის გაუპატიურებას და ხელის ხლებას. როდესაც რუსის ჯარმა უკანასკნელი ომის დროს ეს მხარე დაიკავა, ხახულის კომენდანტად დანიშნული იყო პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი და ის გვამცნევს ზოგიერთ თქმულებას ხახულის შესახებ თავის ბროშურაში 16). სხვათა შორის მას უამბეს: ერთს ჩვენს მოხერხებულს და მხნე ახალგაზრდას გაგონილი ჰქონდა. რომ ჯვარის ქვეშ გუმბათისა ხაზინაა დაკრძალულიო, და მან განიზრახა ასულიყო გუმბათზე ხაზინის მოსაპოვებლად. ასვლა მოუწყობლად ასასვლელი-

14) გ. ყაზბეგი: „ტრი მესიაცა ვ ტურეცკოი გრუზიი“., კავკ. გეოგრ. საზ. „ზაპისკები“, X, გვ. 124.

15) იხ. „მატიარიალი პო არხეოლოგიი კავკაზა. ტ. XII, გვერდი 92.

16 პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი მეტად პატიოსანი, სათნოიანი და ღვთისნიერი ადამიანია. როდესაც მან პირველად ხახულის ეკლესია ნახა, გაოცებული დარჩა მისი ლამაზი სტილით, მშვენიერად დაცვით და მკვიდრთა ამ ძეგლისადმი კარგის განწყობილებით. მე და სხვებსაც მოგვწერა არა ერთი აღტაცებული წერილი და გვთხოვ-

სა ძნელია, მაგრამ ასვლით მაინც ავიდა, ხოლო ვერაფერი
ვერ იპოვნა, ჩამოვიდა ძირს, დაბრუნდა სახლში, დაჯდა
იატაკზე და მაშინათვე მოკვდაო. მარიამმა დასაჯა ის
კადნიერებისათვისო, დასძინა მთქმელმა მაჰმადიანმაო.
ზოგ სხვა ადგილებშიაც დიდი მოკრძალება აქვთ ეკლე-
სიისადმი. მაგალითად. ოთხთა-ეკლესიის გვერდით თუმ-
ცა მშვენიერი ბაღნარია, მაგრამ ხალხი იქ არ ცხოვრობს.
იქ არ შეიძლება ცხოვრებაო, ამბობენ, ვინც არ დასახლ-
და, ყველანი ამოწყდაო. ერთხელ ერთმა მწყემსმა ეკლე-
სიაში ფარა შერეკაო, მაგრამ ეს ფარა შემდეგ მოვარდ-
ნილმა წყალმა იმსხვერპლაო. იშხანში მხატვრობა მოშ-
ლილი დამხვდა და ეტყობოდა ზოგიერთი ფრესკის მოშ-
ლა ახალი საქმე იყო. მე ვკითხე მუხტარს, რატომ შლით
სურათებს-მეთქი? მან მიპასუხა. ჩვენ მაგის გვეშინია და
არასოდეს ხელი არ გვიხლია; ესენი სულ რუსის სალდა-
თებმა ხიშტის წვერებით მოშალესო. მართლაც და თვით
ხახულის ყოფილი კომენდანტი შუგუროვი გვიმოწმებს
თავის ზემოხსნენებულს წიგნაკში (გვ. 6) რუსის სალდა-
თების და პრაპორშჩიკების ბარბაროსობას, რომელთაც
მიაწერს ხახულის ღვთისმშობლის ქანდაკების სახის გა-
ფუჭებას და დასძენს: განა ესენი არ იყვნენ, იშხანის ტა-
ძარში მიზანში სროლა რომ ასტეხესო?! ზოგიერთი სალ-
დათის ფსიქოლოგიის მიხედვით. ამბობს ნ. შუგუროვი.
ყველა ეკლესია სათათრეთში. ქართულია ის თუ სომხუ-
რი, „თათრული ეკლესია“ არის და არავითარი პატივის-
ცემის ღირსი არ არისო (გვ. 10).

სოფელ **დასაბოშა**-ში, ნ. მარრის თქმით. არის მოზრდი-
ლი ეკლესიის ნანგრევები ჩვეულებრივი რიგისა; ამ ნანგ-
რევების დიდი შიში აქვთ სომხებს და ქართველ მუსულ-
მანებს. აქ მოდიან სალოცავად შორეული კუთხეებიდა-
ნაც, განსაკუთრებით აღდგომას, ისე სხვა დროსაც. აქე-

და, მოგვეწყო ექსპედიცია ძეგლის შესასწავლად. მეც
დავპირდი. შემდეგ ის თვითონ ჩამოვიდა თბილისში და
6 ივნისს 1917 წელს თბილისის თავადაზნაურთა საკრე-
ბულოში წაიკითხა მოხსენება ხახულის ტაძრის შესახებ.
მეც ვიყავი მოწვეული, მაგრამ მოხსენებას ვერ დავესწარი
სხვა საჭირო საქმეების გამო. ხოლო 1918 წელს ეს მო-
ხსენება დაბეჭდა ბათუმში კ. დ. მაჰავარიანმა რუსულად
(ნ. მ. შუგუროვი: „ხახულის მონასტერი. მცირე მიმო-
ხილვა.“ ბათუმი. 1918. **in** 16. გვ. 21). მოხსენებაში აღ-
ნიშნულია მოკლე ცნობები ხახულის მონასტრის შესახებ
არსებული ლიტერატურის მიხედვით და მოთხრობილია
თუ რა გააკეთა მან ხახულში. შუგუროვს გაუწმენდია
ტაძარი, გაუკეთებია ხის კანკელი, ტრაპეზი. მაგიდა. სამ-
კვეთლო, კარადა სანთლისათვის, საკრაპეზო ჯვარი და
ზედ ქართულად დაუწერია: „აღსდეგ უფალო განსასვე-
ნებლად შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისა“ (ფსალ-
მუნი 131,8). ხატები გამოეგზავნა ოდესიდან დედა-მისს
მ. თ. შუგუროვისას. ერთი სიტყვით შეეკრიბა ყველა-
ფერი, რაც საჭიროა წირვისათვის. გარდა ამისა გაუკეთე-
ბია ორი დიდი ჯვარი ბჟოლის ხისა. ერთი დაუდგამს კა-
რის ბჭეზე, მეორეს დადგმა გუმბათის თავზე უკისრია
ქართველ ჯარისკაცს რახრაძეს, რომელიც სასწაულებ-
რივი სიმარჯვით ასულა გუმბათზე, აუტანია და დაუმა-
გრებია ეს დიდი ჯვარი მთელი გაკვირვებულის სოფლის
თანადასწრებით; სოფლელებს უთქვამთ: მარიამი შეეწია.
თორემ ეს შეუძლებელი იყოო. როდესაც რახრაძეს გაუ-
ჩხრეკია ბუდე, რომლითაც ძველი ჯვარი ყოფილა დამა-
გრებული გუმბათზე, იქიდან ამოუღია ძელის ნაჭერი.
სრულიად კარგად შენახული. ამ ნაჭრიდან შუგუროვს გაუ
ეკეთებინა საკრაპეზო ჯვარი, რომელსაც თან ატარებდა,
და მეც მაჩვენა. ხე, რომლიდანაც ჯვარია გაკეთებული.
თათრულად **ტურგენ**-ი ყოფილა, ჩვენებურად ძელქვა უნ-
და იყოს. ამას შემდეგ ნ. შუგუროვს 24 ივნისს 1916 წელს
ზეიმით უკურთხებია ტაძარი: წირვა გადაუხდია მამა ნი-
კოლსკის, გალობა ყოფილა რუსულად და ქართულად.
წამოსვლის ხანს ნ. შუგუროვს გასაღები ტაძრისა ჩაუბა-
რებია ადგილობრივი ხოჯისათვის, რომელმაც ჩვენი ექ-
სპედიციის დროს ჩვენ გადმოგვცა, და წამოსვლის ხანს
მასვე ჩავაბარეთ.

დან არაფრის წაღება არ შეიძლება. ამბობენ, ერთმა ბეზერმა სცადა აქ ბოსტანის გაშენება, მაგრამ მაშინვე მოკვდაო (დღიური, გვ. 35 — 36).

სამუსულმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სალოცველო ადგილს ჰქვია და ასეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებია, ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვა და სხვა ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები; მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთი - ორ ღამეს; თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმროთ ღამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან, რასაკვირველია, ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან (ნ. მარრის დღიური, გვ. 80). ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიის ნანგრევებია დაცული. ქრისტიანობის ნაშთი ისახება ხოლმე ზოგიერთ თქმულებაშიც. მაგალითად ამბობენ იმერხევში, თავკვეთილობას (იოანე ნათლისმცემელის თავის კვეთას) თოვლი მოვაო (ნ. მარრის დღიური, გვ. 8).

რაც ლეგენდებს შეეხება, ქართველ მეფეთა შორის ლეგენდები ზოგ ადგილას მარტო თამარ დედოფალზეა შენახული. იშხანში, ხახულში, ოთხთა-ეკლესიაში, პარხალში მცხოვრებნი მათი ეკლესიების აშენებას ძლევამოსილს, მდიდარს და შესანიშნავ დედოფალს მიაწერენ. მაგრამ სახელი მისი იციან კობაკში და ბინათში, სხვაგან დავიწყებული აქვთ. ოთხთა-ეკლესიის მცხოვრებნი ამბობენ, იმ მეფის ასულს, რომელმაც ოთხთა-ეკლესია აღაშენა, ფული არ ეყო და თავისი თმის სამკაული გაჰყიდაო. ხოლო კობაკის მცხოვრებლებმა იციან სახელი დედოფლისა, რომელმაც აღაშენა იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა-ეკლესია და პარხალი. ეს იყო თამარ, ანუშირვანის ასული; მამამ ყველა შვილები გაამაჰმადიანა, ხოლო თამარს დიდი დამსახურების გამო ნება დართო ქრისტიანი დარჩენილიყო. თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოევლო ოშკი, იშხანი, ოთხთა-ეკლესია და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო. როცა მან გაიარა ამ კლდესთან თავისი ჯარით, ცხენიდან ჩამოვარდა და ხელი კლდეს მიაბჯინა, რომელზედაც დარჩა ნასახი მისი ხელისაო.

პარხალის ზემო სოფლებში დარჩენილია დღემდის ძველი გრძელი არხი, რომელიც იწყება სოფელ უთავი-დან, კობაკის მახლობლად, გაჭრილია კლდეში რამოდენიმე ვერსის სიგრძეზე და მიდის სოფელ ზავრიეთში; ამას მიაწერენ თამარ მეფეს და ამბობენ, ყველაზე დიდი ღვაწლი, რომელიც მან დასდო ამ მხარეს, ეს არისო. კიდევ უფრო კარგად იციან თამარის სახელი ბინათის მცხოვრებლებმა. ბინათი მდებარეობს მელოს მახლობლად, სოფელ ორჯოხის ზემოდ, ჭოროხის პირზე. ამ სოფელში 219 სული ცხოვრობს. ყველა ქართულად ლაპარაკობს. მათი თქმულებით ამ სოფლის სახელი ასე წარმოიშვა: ერთხელ მეფე თამარმა აქ გამოიარა; ცუდი ტაროსის გამო გზა ველარ განაგრძო და ინება ღამის გათევა ამ სოფელში; მას მიუჩინეს საუკეთესო ბინა და მას შემდეგ სოფელს დაერქვა სახელი ბინათი, რომ ამით აღენიშნათ თამარის ღამის გათევა ამ სოფლის ბინაში 17).

რაც შეეხება ენას, ქართული ენა თანდათან დავიწყებას მიეცა და დაუთმო ადგილი თათრულ ენას. ამას ხელი შეუწყო პირველად სიადვილემ თათრული ენისა, გადმოსახლებამ თათრებისა ქართველ მკვიდრთა შორის, სკოლებმა, სადაც მხოლოდ ყორანს ასწავლიდენ თათრულ ენაზე და სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრ ადგილას ჯერეც შერჩენილია ქართული ენა, ნამეტნავად მთის მივარდნილს და ძნელად მისავალ სოფლებში. მამაკაცებმა ყველამ იცის თათრული, მაგრამ თათრულად ელაპარაკებიან მხოლოდ უცხოელებს და ოსმალთა თანამდებობის პირებს. თავიანთ შორის, ოჯახში მარტო ქართულად ლაპარაკობენ; ნამეტნავად ქალები და ბავშები. არდაგანის და ოლთისის „ოკრუგებში" ნაკლებად არის დაცული ქართული ენა, ვინაიდან აქედან ბევრი ქართველობა გადასახლდა ოსმალეთში რუს-თათართა ომის შემდეგ 1877 — 1878 წლებისა და მათ ადგილას სხვები გადმოასახლეს: თათრები, თარაქამები, ქურთები, ბერძნები და სომხები. არდაგანის ოკრუგში ჩემი ექსპედიციის დროს 1902 წელს ქართულად ლაპარაკობდენ მხოლოდ სოფელ ველში 18), ხოლო ერუშეთში მარტო მოხუცებულებს ესმოდათ ქართული. ოლთისის ოკრუგში, ფანასკერტში, ანზავში, ნიაკომში ქართული ესმოდათ მხოლოდ მოხუცებულებს და უფრო ქალებს, ვიდრე მამაკაცებს. ბევრად უფრო კარგად არის დაცული ქართული ენა ყოფილ ბათუმის ოლქში. ცნობილია, რომ აქ ქობულეთლებსა და აჭარლებს ყველაზე კარგად აქვთ შენახული ქართული ენა. ამას გარდა ქართული ენა დაცულია კლარჯეთში და იმერხევში, სადაც დღემდის დიდათ გავრცელებულია სახალხო პოეზიის ნაწარმოებნი, ლექსები, მეტადრე ფირალებზე. ნიმუშები მათი შეკრებილი აქვს ნ. მარრს (იხ. მისი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", დღიური, გვ. 46 — 74).

ლაზები ამ ოლქისა ლაპარაკობენ თავიანთ ლაზურ ენაზე. კიდევ უკეთ არის შენახული ქართული ენა ზოგიერთ ძნელად მისავალ სოფლებში შუა-ჭოროხის ბასეინისა. ჯერ კიდევ გ. ყაზბეგმა აღნიშნა, რომ პარხალის მახლობელ სოფლებში არმენ-ხევში და კობაკში ყველა ქართულად ლაპარაკობსო, ხოლო პარხალში ყველამ არ იცის ქართულიო( იხ. მისი ზემოდ-ნაჩვენები წერილი, გვ. 119).

ჩვენი 1917 წლის ექსპედიციის მიერ შეკრებილის ცნობებით და ნამეტნავად იმ ცნობებით, რომელნიც გადმოგვცა ალ. სტ.-ძე მატიასევიჩმა. სოფლები, რომლებშიაც ყველა ქართულად ლაპარაკობს, არიან შემდეგნი: — კობაკი, არმენხევი, ხევეკი, გუდახევი, ხუმხალი, ბალხი, ხოდ-სუფლია, უტავი, ვანის ხევი, კირვანსი, ოთხთა-ეკლესი (დორთ-კილისა) და ბინათი. ამ მხარეში არის კიდევ ერთი დიდი სოფელი მაღალ ზეკარზე (ყულე-ოტეხილზე), იშხანის მახლობლად (სოფელი იშხანის საჰუსტა-

---

17) ეს ლეგენდა ბ-ნმა ალექსანდრე სტეფანეს ძე მატიასევიჩმა გადმოგვცა. ეს იყო ომის დროს „ნაჩალნიკი" შელოს „უჩასტკისა", დაიარა ყველა სოფლები ჭოროხის შუა-წელისა და შეკრიბა სტატისტიკური ცნობები მოსახლეობისა და სია გადმოგვცა ჩვენ ჩვენებით, თუ რომელ სოფელში ლაპარაკობენ ქართულად .აგრეთვე მან გადმოვგცა ფოტოგრაფიული სურათები ზოგიერთი სოფლებისა, ძეგლებისა და მკვიდრთა გუნდებისა, რომელთათვის უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ. ა. მატიასევიჩი

მხატვარიც არის; მის მიერ გადმოღებული აქვარელის სურათი იშხანის ტაძრისა ჩვენ შევიძინეთ საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ცნობები ქართული ენის ცოდნის შესახებ ზოგიერთი სოფლობისათვის სრულად არ ჩაითვლება. მის სიაში მოხსენებული არ არის, რომ სოფ. ოთხთა-ეკლესიაში (დორთ-კილისაში) ქართულად ლაპარაკობენ, მაშინ როდესაც იქ ყველა ქართულად მოლაპარაკეა. მცხოვრებნი ყოველთვის არ ამხელენ, რომ ქართულად ლაპარაკობენ. ამას გარდა მამაკაცები, მეტადრე რუსის მოხელენი, დედაკაცებს ვერ ნახულობენ, ოჯახებში ვერ ჩაიხედავენ, სადაც უფრო არის დაცული ქართული ენა. ზოგჯერ არც ეკლესიის შესახებ აწვდიან ცნობებს. მაგალითად, მატიასევიჩმა გადმოგვცა სურათი ოთხთა-ეკლესიის ციხისა და როდესაც ვკითხე, ეკლესიის სურათი არ გადმოიღე-მეთქი, მიპასუხა, იქ ეკელსია არ არისო. შესანიშნავი ოთხთა-ეკლესიის ბაზილიკა მას უნახავი დარჩა, თვითონ შემთხვევით ვერ წააწყდა (ეკლესია ხუთი კილომეტრით მოშორებულია სოფელზე) და მცხოვრებლებმა არაფერი უთხრეს მის შესახებ.

18) ეს დამოწმებული აქვს დ. ბაქრაძესაც, რომელმაც იმოგზაურა ამ მხარეში 1881 წელს. იხილეთ ვახუშტის ისტორია, გვ. 131, შენიშვნა.

რომში შემოდის), სოფელში 208 სული მცხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი რუკაზე არის **ჩილჩიმი**, მაგრამ ნამდვილად მისი სახელია **ჭიმჭიში** და მცხოვრებნიც ასე გამოსთქვამენ მის სახელს. ამ სოფლის სახელი გვამცნევს, თუ საითგან წარმოსდგა სახელწოდება ცნობილის ქართველი მეცნიერის და ფილოსოფოსის იოანე ჭიმჭიმელისა, რომელიც ამდენ დავას და უჯერო განმარტებას იწვევდა მკვლევართა შორის. ეხლა ცხადია, იოანე ყოფილა სოფელ ჭიმჭიმიდან და აქედან წარმოსდგა ჭიმჭიმელი, როგორც რუსთავიდან რუსთაველი, ხონიდან ხონელი და სხვა 19).

მუსულმანი ქართველები ყოველგან თვალსაჩინოდ განირჩევიან სხვა სამუსულმანო საქართველოს მცხოვრებთაგან, თურქებისაგან, ქურთებისაგან, თარაქამებისაგან და სხვებისაგან, განირჩევიან სახით, ჩაცმა-დახურვით, ზნე ჩვეულებით, დარბაისლობით (პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა), სიდინჯით და პატიოსნებით. ტანისამოსი მამაკაცისა ისეთია როგორც გურულებისა, აჭარლებისა და ლაზებისა, ესე იგი ჩაქურა. ხოლო აჭარლებ - ქობულეთლებისაგან განირჩევიან ხასიათით. მათ შორის სისხლის აღება არ არსებობს, მრავალ-ცოლიანობა იშვიათია, ხალხი მშვიდია, პატიოსანი. ქურდობა მათ შორის შეუძლებელია. ხახულის მუხთარს ვკითხე, ქურდობა თუ არსებობს თქვენ შორის მეთქი? დიდად გაიკვირა. ქურდობა ჩვენში არავის გაუგონიაო, ქურდი ქურთია, ჩვენში შეუძლებელიაო. რუსის მოხელენიც, რომლებმაც ისტორია ამ მხარისა არ იცოდენ, ანუ ნაკლებად იცოდენ, ისინიც ამჩნევდენ ამ ტიპიურ განსხვავებას და გამოსთქვამდენ აზრს, რომ ისინი გამაჰმადიანებული ქართველებიაო, მაგალითად ია. პროსკურიაკოვი, ვ. ლისოვსკი და პ. ხელმნიცკი და პორუჩიკი ნ. შუგუროვი, რომელთ წიგნები ზემოდ ვუჩვენეთ. სხვათაშორის ნ. შუგუროვი სწერს თავის წიგნაკში:

„სამი წლის განმავლობაში ჩემი ფრონტზე ყოფნისა მე კარგად დავუკვირდი ნამდვილ თურქებს, მაგრამ ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნავად ახალგაზდებისა, აშკარად შევნიშნე ნამდვილი ქართული სახეები. მეტად თავისებურია დიდრონი შავი თვალები და ანაგება ტუჩისა... განსაკუთრებით ხახულის „თურქთა" (ესე იგი გაჩაჰმადიანებული ქართველების) შესახებ უნდა ვთქვა, ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და ფრიად სტუმართ-მოყვარე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ომით გაუბედურებული იყვენ, მრავალჯერ შეურაცხყოფილი სალდათთა მიერ, მათ მაინც კეთილი განწყობილება დაიცვეს ჩვენდა მომართ, ნამეტნავად ოფიცერთა მომართ. მე არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტისათვის ბოროტით მოეზღოთ. პირიქით. სულ მცირე კეთილისათვის გვიზღვნიდენ ნათელი გულის მადლობით. ერთხელ პროტოიერეი C-სთან საუბრის დროს მე მას გავუზიარე ჩემი დაკვირვება ხახულის მცხოვრებთა შესახებ და ვთქვი: „აი ხალხი, რომელთაც განახორციელეს თავიანთ შორის ქრისტიანული იდეალები!". პროტოიერეი დამეთანხმა (გვ. 15 — 16).

სამუსულმანო საქართველოს დაბრუნება ყოველთვის შეადგენდა ქართველ მეფეების მისწრაფებას და ზრუნვას, მაგრამ პირობები ამას ხელს არ უწყობდა. რუს - თათართა ომის დროს 1768 — 1774 წლებში თითქო ამის განხორციელება შესაძლებელად ჩნდა და ამიტომ მიიღეს ასეთი გულწრფელი და ენერგიული მონაწილეობა ომში ირაკლი მეორემ და სოლომონ პირველმა რუსეთის მხრით. მაგრამ ცნობილის კრიმინალის გრაფ ტოტლებენის მოღალატეობამ სულ აწეწა საქმე და ქართლ - კახეთის და იმერეთის სამეფოები უფრო დიდ განსაცდელში ჩააგდო, ვიდრე წინეთ იყო. თუ მაშინ ეს ორი სახელმწიფო სულ არ დაიღუპა, ამის მიზეზი ამ ორთა მეფის საარაკო გმირობა და ომის წარმოების იდეალური უნარი და ხერხები იყო. ზრუნვა სამუსულმანო საქართველოს დაბრუნების შესახებ შემდეგაც არ შეწყვეტილა.

1783 წლის ტრაქტატში, რომელიც დადებული იყო მეფე ერეკლე მეორესა და ეკატერინე მეორის შორის, ნათქვამი იყო სეპარატიული კონვენციის სახით, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიის აღდგენისათვის. რა თქმა უნდა, აქ სახეში იყო მიღებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება. შემდეგ, როცა რუსეთმა შეშალა პირობა და საქართველოს ანექსია მოახდინა, შეუდგა იგი თავისი იმპერიალისტურის მიზნებით, რასაკვირველია, ამ საქმის განხორციელებას. 1828 — 1829 წლების ომის შემდეგ ოსმალებთან, რუსეთმა მიიღო ადრიანოპოლის ზავის დადგენილებით, 2 სექტემბერს 1829 წელს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები: ხოლო 1877 — 1878 წლების ომის შემდეგ ბერლინის ტრაქტატის ძალით, რუსეთს დარჩა ყარსის და ბათუმის ოლქები. ამით სამი მეოთხედი სამცხე - საათაბაგოსი კვლავ მოედვა საქართველოს ტერიტორიას.

როდესაც საქართველო განთავისუფლდა რუსეთიდან და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, ის ადგილები, რომელნიც შეადგენდენ სამცხე - საათაბაგოს ნაწილებს, ითვლებოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. ეს საზღვრები დაადასტურა თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა, როდესაც საგანგებო ხელშეკრულებით 7 მაისს 1920 წელს აღიარა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობა მის საზღვრებში. ხოლო მეორე წელს ბოლშევიკური რუსეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას და როდესაც საქართველო ამ უთანასწორო ომში სისხლში იწურებოდა, ოსმალეთმა განაახლა აგრესიული მოძრაობა საქართველოსა მიმართ, დაწყებული ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ და შეჩერებული ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების გამო. მან ულტიმატუმით მომართა საქართველოს მთავრობას, დაიჭირა არტან - ოლთისის მხარე, ბათუმის ოლქი და უპირებდა ანექსიას ბათუმსაც, მაგრამ 17 მარტს 1921 წელს ქართველ ჯართა უკანასკნელის გმირული მოქმედებით გაძევებულ იქმნა ბათუმიდან. შემდეგ, 13 ოქტომბერს 1921 წელს ყარსში დადებულის ხელშეკრულობით ოსმალეთმა მიიღო ბოლშევიკებისაგან, რაც დაკარგა ბერლინის ტრაქტატის ძალით, ესე იგი ყარსის და ბათუმის ოლქები და მათ შორის სამცხე - საათაბაგოს ტერიტორია. სახელდობრ არდაგანის ოკრუგი, მისი „უჩასტკებით": ფოცხოვისა, ჩილდ..

---

19) ეს აღარ იწვევდა ეჭვს მას შემდეგ, რაც ჩვენ მცირე „უწყებაჲ ქართველთა მწერალთათჳს" გამოვაქვეყნეთ (იხ. „ძველი საქართველო", ტ. I, განყ. 3, გვ. 1 — 60), მაგრამ იქ აღნიშნული იყო მისი წარმოშობა სამცხის სოფლიდან და მდებარეობა ამ სოფლისა არ ვიცოდით. ამ სოფლის მცხოვრებთა გუნდის ფოტოგრაფიაც გვაქვს.

ჭიმჭიმში ძველად ერისთავიც მჯდარა. ჩემს საბუთიბში ინახება სამი წარწერა, რომელნიც მე გარჩეული მაქვს, მაგრამ მათი ფაქსიმილე ეხლა ხელთ არ მაქვს და არ მახსოვს, ვინ გადმომცა, ან რომელ ძეგლს ეკუთვნიან. ერთი მათგანი, რომელშიაც ჭიმჭიმის ერისთავია მოხსენებული იკითხება ასე:

ქ~ე შ~ე ს~ლი ფ
რ~ნ : ეესჲ ჲვს
ძ~სჲ ჭ~მჭ~მსჲ

ქრისტე, შეიწყალე სული ფირან (თუ ფრიდონ ან ფარსადან) ერისთავთ ერისთავისაჲ, იოვანეს ძისაჲ, ჭიმჭიმელისაჲ.

მეორე წარწერა:

ქ~ე ჲ~სო... დდე ბგრტ და
მმ დდფ

ქრისტე იესო.... [ა]დიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი.

აქ მოხსენებული ბაგრატ უნდა იყოს ბაგრატ მეოთხე (1027 — 1072); ხოლო მარიამ დედოფალი არის დედა ბაგრატისი. ესენი ერთად ხშირად იხსენიებიან ქართულს წარწერებში.

მესამე წარწერა:

ქ~ე შ~ე ს~ლი ნშსჲ ესე კ~თხე მ~სია

ქრისტე, შეიწყალე სული ნუშირვანისაჲ (თუ ნუგეშისაჲ ?), ესე კუთხე მისია.

ამგვარი წარწერები პარხალის მონასტრის ზემო, მეორე სართულის, კამარებზეა და შეიძლება მას ეკუთვნოდეს. იგულისხმება, ვის მიერ არის კამარა შეკაზმული.

დირისა, არტანისა და გელისა, და ოლთისის „ოკრუგი", რომელიც შეიცავდა „უჩასტკებს": ოლთისისა და ტაოსკარისა; ხოლო ბათუმის ოლქიდან მიიღო „უჩასტკები": ართვინისა, არტანუჯისა, შავშეთ - იმერხევისა და გონიისა. საქართველოს საზღვრებში დარჩა ბათუმის ოლქიდან მხოლოდ კინტრიშის, ზემო და ქვემო აჭარის „უჩასტკები" ბათუმითურთ. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ეხლა ეს გაყოფილია: ხულოს, ქედის, ჭოროხის და ქობულეთის მაზრებად.

სივრცით არდაგანის „ოკრუგი" უდრის 5.644,74 კვადრატულს კილომეტრს; ოლთისისა 2.958,38 კვდ კილომეტრს და ის, რაც ბათუმის ოლქიდან დარჩა ოსმალებს, შეადგენს 4.442,61 კვ. კილომეტრს, ხოლო რაც საქართველოს საზღვრებში ითვლება 2.500 კვადრ. კილომეტრს. საერთოდ ოსმალეთს დაეთმო 13.046 კვადრატული კილომეტრი საქართველოს ტერიტორიისა 20). მცხოვრებთა რიცხვი ზედმიწევნით არ ვიცით, მაგრამ 1917 წლისათვის აღემატებოდა 250.000 სულს.

აი, სულ მოკლედ, კონსპექტის სახით, ისტორია სამუსულმანო საქართველოსი და კერძოდ ჭოროხის ბასეინისა.

რაც შეეხება ასე თუ ისე გადარჩენილს შესანიშნავ სახუროთმოძღვრო ძეგლებს სამუსულმანო საქართველოისა, ეს საჭიროებს ცალკე მიმოხილვას და აქ აღარ ვეხებით.

20) სტატისტიკური ცნობები ამოღებულია 1900 წლის კავკასიის კალენდრისაგან, სადაც სივრცე ოლქებისა ნაჩვენებია კვადრატული კილომეტრითაც და კვადრატული ვერსითაც, ხოლო 1917 წლის კალენდარში (ეს უკანასკნელი გამოცემაა) სივრცე ნაჩვენებია მარტო კვადრატული ვერსით და ეს ცნობები ცოტა განსხვავდება 1900 წლის კალენდრის ცნობებისაგან. თუ 1917 წლის ცნობების კვადრატულ ვერსებს გადავიტანთ კვადრატულ კილომეტრებზე, მაშინ არდაგანის ოკრუგში იქნება 5.604,50 კვად. კილომეტრი, ოლთისისაში 2.985,61 კვადრ. კილომ. ხოლო ის, რაც ოსმალებს დარჩათ ბათუმის ოლქიდან, იქნება 4.481,35 კვადრატული კილომეტრი. საერთოდ ოსმალეთის მფლობელობაში გადასული ტერიტორია იქნება 13.071 კვადრატული კილომეტრი. ცნობა, რომ ბათუმის ოლქიდან საქართველოს საზღვრებში დარჩა 2.500 კვად. კილომეტრი ამოღებულია ი. რუხაძის „საქართველოს გეოგრაფი"-იდან, გვ. 63. თბილისი. 1927.

ექვთიმე თაყაიშვილი

# საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ

P. I.

## LES FRONTIERES DE LA GÉORGIE — MÉSKHETIE

ჩვენ აქ ვათავსებთ პ. ი. (პავლე ინგოროყვას) მოკლე სამახსოვრო ცნობას საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, რომელიც 1918 წელს კონსტანტინეპოლში დაიბეჭდა. ვათავსებთ შემოკლებით. ჩვენ ამ წიგნაკს საქართველოში ვიცნობდით, მაგრამ აქ ვერსად ვიშოვნეთ. მხოლოდ ქართლოსის აწყობის დროს ჩვენ იგი გადმოგვცა ბ-ნ ალექსანდრე ცომაიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

**ქართლოსი**

"საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს — ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად.

„საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით.

„საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკალ - გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა — შემოფარგლული ბუნებრივის საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია: —
— ჩრდილოეთით მას აკრავს კავკასიონის ქედი — მისი მთავარი შტოებით;
— სამხრეთით მას ზღუდავს — აგრეთვე თოვლიანი მთების ერთი მთლიანი სისტემა: სამხრეთ - კავკასიის მთავარი წყალთთაგამყოფი ქედი ( — მტკვარისა და ჭოროხის აუზების სამხრეთ მიჯნაზე შემორტყმული;
— დასავლეთით არტყია შავი ზღვა;
— და მხოლოდ ერთის ვიწრო პირით — აღმოსავლეთის მხრიდან — ეკვრის საქართველო ადერბეიჯანის ბარსა, მაგრამ აქედანაც მას მდინარეების ერთიანი ხაზი გაჰყოფს: კავკასიის მთავარი მდინარე მტკვარი, თავისი შემდინარეებით: ძეგამით და ალაზან - ქურმუხით.

„საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნებზე — წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიურ მთლიანობას. ამ ტოპოგრაფიულ ზღუდეებში მოქცეული მხარე - კუნძული არის ერთი ქვეყანა, ერთი ბუნებრივი, ორგანიულად მთლიანი სამეურნეო - ეკონომიური პროვინცია. თვითეული მხარე ამ ქვეყნისა მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, და ამავე დროს მეზობელ ქვეყნებიდან მოწყვეტილია ბუნებრივი ზღუდეებით, და ამიტომაც არც ერთ კუთხეს საქართველოსას არ შეუძლია ეკონომიური არსებობა მთლიან საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც — თითონ გეოგრაფიული პირობებისა გამო — ყველა არტერიებით გადაბმულია მრთელთან, — ეს იქნებოდა ერთი ორგანიული სამეურნეო ეკონომიური სხეულის დასახიჩრება. და თავისთავად შემთხვევითი როდია ისტორიული გაერთიანება საქართველოსი ერთ კოლლექტივად ხემოხსენებულ ბუნებრივ საზღვრებში: ისტორიას აქ ჰქონდა გეოგრაფიის ლოღიკა; ისტორიას გენეტიური კავშირი ჰქონდა საქართველოს ორგანიულ ეკონომიურსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან.

„დასასრულ საქართველოს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც მთლიან ერთეულს წარმოადგენს. როდესაც ეთნოგრაფიაზე ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს რასაკვირველია არა ცალკე სოფლები, ან ცალკე რაიონები, რომლის გამოთიშვა შეუძლებელია მისი ბუნებრივი სამეურნეო - ეკონომიური ჰინტერლანდისაგან; ეთნოგრაფიაზე მსჯელობის დროს, ცხადია, სახეში უნდა გვქონდეს მრთელის პერსპექტივა, ქვეყანა აღებული მის ბუნებრივს გეოგრაფიულსა და ეკონომიურ ფარგლებში, — და არა ცალკე ხელოვნური ჩამონაჭრები ორგანიულად მთლიანი ტერიტორიული სხეულისა. და საქართველო — **ასე კლასიკურად დამთავრებული თავის საზღვრებში — თითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებზე; ჩამოქნილი ერთ ორგანიულ სხეულად — როგორც ბუნებრივი სამეურნეო - ეკონომიური მთლიანობით, ისე მრავალ - საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და ისტორიულ - კულტურული პირობებით,** — ეს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც დიდ ერთფეროვნებას წარმოადგენს.

„საქართველოში — ქართული ელემენტი მრთელი მოსახლეობის სამ მეოთხედამდე აღწევს (საქართველოში — გარდა ქალაქებისა — ქართველობა შეადგენს 77,6 %-ს მთელი მოსახლეობისას, ხოლო ქალაქების მითვლით — 72,5 %-ს).

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

„ამნაირად ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ეთნოგრაფიული მთლიანობა თავისი ქვეყნისა იმ მრავალი განსაცდელის მიუხედავად, რომელიც მას ისტორიამ არგუ-

ნა, და ამ მხრივ ხომ განსაკუთრებით საფრთხეს განუმზადებდა საქართველოს მთლიანობას წარსული საუკუნეს რუსთა მფლობელობისა, როდესაც რუსეთის მმართველობა ყოველნაირად ხელს უწყობდა საქართველოს კოლონიზაციას უცხო ელემენტების მიერ, რათა ამით დაესუსტებინა ქართველობა — როგორც ყველაზე კულტურული ერი კავკასიაში და ამასთან ერთად-ერთი ერი ამ მხარეში, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოებრივი წარსული.

საზღვრები საქართველოს სახელმწიფოსი (ეს ამავე დროს საქართველოს ისტორიული საზღვრებია) — შემდეგი არის:

ა) ჩრდილოეთით: **კავკასიის მთავარი ქედი და მისი შტო კავკასიონის პირიქითელი ქედი.**

ბ) აღმოსავლეთით: **მდინარეების — ქურმუხისა და ალაზნის აუზების აღმოსავლეთი მიჯნა, მდ. მტკვარი, და მდ. ძეგამი.**

გ) სამხრეთით: **მტკვარ - არაქსის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი.**

დ) საქართველოს დასავლეთი საზღვარია — **შავი ზღვა.**

„ტერიტორიას საქართველოს სახელმწიფოსას, მოთავსებულს ამ საზღვრებში, შეადგენს ... ადმინისტრატიულის დანაწილებით შემდეგი პროვინციები: გუბერნიები — ტფილისისა და ქუთაისისა; ოლქები — სოხუმისა, სოჭისა და ზაქათალისა; ბათუმისა და არტანის მხარეები: და ტფილისის პროვინციის მხარეები: ქვემო-ყარაიას ველი, ბამბაკი და ყაზახ-შამშადილი.

„საქართველოს პროვინცია მესხეთი (— ეს ძირეული ქართული ქვეყანა, რომელიც საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა) მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს. მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ხელახლა შემოერთებულია ოსმალეთისაგან (ახალციხე - ახალქალაქის მხარე — 1829 წელს, ბათომი და არტაანი — 1878 წელს). ეს მხარეები ამის შემდეგ ხელახლა შეადგენენ საქართველოს განუყოფელ ნაწილს.....

სამივე მხარეში (ახალციხე - ახალქალაქისა, ბათომსა და არტაანში), მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა მუსულმანია სარწმუნოებით, ნაწილი ქრისტიანი.

„1) **მუსულმანი ქართველები.** მუსულმანობა გავრცელდა აქაურ ქართველთა შორის მეჩვიდმეტე საუკუნიდან, მას შემდეგ რაც ეს მხარეები ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს. ქართველ მუსულმანებში წმიდად არის დაცული ქართული რასსა, დიდ ნაწილს შეუნახავს ქართული დედაენა, და მთელი ხალხი დღემდე თავისთავს გურჯს (ე. ი. ქართველს) ეძახის.

„კერძოდ ქართული ენის გავრცელების შესახებ — უნდა შევნიშნოთ:

"მთელი ქართველი მუსულმანობისათვის ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე, და მეცხრამეტე საუკუნეშიაც, დედა-ენა ქართული იყო. ბოლო დროებში — წარსული საუკუნის მანძილზე — ქართული ენის ცოდნა ზოგ ადგილას შემცირდა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსულ რეჟიმს. რუსეთის მმართველობა, რომლის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველობის დასუსტებისაკენ. ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოვებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. ყველაფერი ქართული აქ დიდ დევნას განიცდიდა. თუ სადამდე მიდიოდა კერძოთ ქართული ენის შევიწროება ამ მხარეში — ადვილად წარმოსადგენია მარტო იმ ფაქტიდან, რომ აქ თურქების მფლობელობის დროს სოფლის სამმართველოსა და სამსაჯულოში ქართული ენა იხმარებოდა, რუსეთის მმართველობამ კი რუსული და **თურქული** ენები შემოიღო. რუსულ - თურქული ენა შემოღებულ იქმნა აგრეთვე სკოლებში. ქართულ ენის ასეთ დევნას შედეგად მოჰყვა, რომ ახალციხე - ახალქალაქის მხარეში — მაგალითად, სადაც მთელი მუსულმანი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა აქ ზოგ კუთხეში დავიწყებას მიეცა. ასეთ რაიონებში ძველ თაობას დღემდე ახსოვს ქართული, ახალგაზრდობა კი ველარ ლაპარაკობს დედა-ენას. ასევეა აგრეთვე არტაანის კუთხეებში — ფოცხოვის და ტაოსკარის რაიონებში.

„ქართული ენის გავრცელების დღევანდელი სურათი შემდეგია:

ა) ახალციხე - ახალქალაქის მხარე. აქაურ მუსულმან ქართველებიდან ქართულს დედა-ენაზე ლაპარაკობს 50 %-დან 60%მდე. ქართული განსაკუთრებით შენახულია აწყურის უბანში, აგრეთვე ზემო-ქობლიანში და ურავლის უბნის ქვემო სექტორში.

ბ) ბათომის მხარე. აქ ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა. ბათომის მხარე განიყოფება ორ ოლქად: ბათომისა დაართვინისა; აქედან ბათომის ოლქის მთელი მუსულმანი ქართველობა ლაპარაკობს უწმინდეს ქართულ ენას. ართვინის ოლქის მუსულმან ქართველების უმრავლესობა (დაახლოებით 60 %-მდე) აგრეთვე ლაპარაკობს ქართულს ენას დედა-ენაზე, სახელდობ — მურღულის, ლივანის, იმერხევის და ზემო - შავშეთის მოსახლეობა.

გ) არტაანის მხარე. ქართული ენა აქ ძალზე შესუსტებულია. ქართული შემონახულა ადგილ-ადგილ ფოცხოვის უბანში არტაანის ოლქისა, ტაოსკარის უბანში ოლთისის ოლქისა, და არტაანის ოლქის ცალკე სოფლებში, მაგ. სოფ. ველში.

სულ სამივე მხარეში — ახალციხე - ახალქალაქში, ბათომში და არტაანში ითვლება ქართველი მუსულმანობა: სოფლის მოსახლეობა 238.000 სული, ქალაქებში 5.000 სულამდე: მათ შორის ქართულ დედაენაზე ლაპარაკობს არა ნაკლები 140.000-ისა.

2) **ქართველი ქრისტიანები.** (მართლმადიდებელი და კათოლიკე). ესენი ითვლებიან აქ 50.000 სულამდე: სოფლებში (უმთავრესად ახალციხე - ახალქალაქის მხარეში) — 30.000 სული, ქალაქებში — 20.000 სულამდე. ქრისტიანი ქართველების დედა-ენა — ქართულია.

რაც შეეხება დანარჩენ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს — ესენია:

**თურქები.** მათი რიცხვი არც თუ ისე დიდია (ისინი აღწევენ აქ 20.000 სულამდე). თურქები მოსახლეობენ არტაანის მხარის ცალკე კუთხეებში: ჩილდირში, ტამალის საზოგადოებაში, და პენიაკ-ჩაის სათავეებში. რაც შეეხება ახალციხე - ახალქალაქისა და ბათომის მხარეებს, აქ თურქების მხოლოდ თითო-ოროლა სოფლებია, როგორიც — სოფ. გონია (ბათომის მხარეში) და სოფ. ყულალისი (ახალქალაქის მაზრაში).

**სომხები** (კოლონისტები). მოსახლეობენ უმთავრესად ახალქალაქის მაზრის შუა სექტორში, აგრეთვე ქალაქებში. სომხობა გადმოსახლებულია ამ მხარეში რუსეთის მმართველობის მიერ 1829 წელს. დანარჩენი პატარა ჯგუფებია: ქურთები, ბერძნები და რუსები.

### მესხეთის მოსახლეობა

(ავტორს აქ დაწვრილებითი ცნობები აქვს მოტანილი, ჩვენ გამოვკრიფეთ მხოლოდ დასკვნითი რიცხვები. ქარ.).

ახალციხის მაზრაში (გარდა ქალაქებისა) მცხოვრებთა
საერთო რიცხვია — 72.000; აქედან ქართველები — 66.
000. ახალქალაქის მაზრაში სულ არის 101.000 სული:
აქედან ქართველები — 22.000; სომხები — 70.000. ორივე
მაზრაში — ახალქალაქისა და ახალციხისა — ქართველთა
რიცხვი უდრის — 88.000 ანუ 50,9 %-ს.
ბათუმის ოლქში — 82.000 სულია; აქედან ქართველე-
ბი არიან — 74.000 სული.
ართვინის ოლქში სულ არის — 61.000 სული: აქედან
ქართველობაა — 56.000. სულ ბათუმ - ართვინის მოსახ-
ლეობის რიცხვი უდრის — 143.000 სულს; აქედან ქართ-
ველობაა — 130.000 ანუ 90,9 %.
არტაანის მხარეში: —

1. ფოცხოვის უბანში მოსახლეობს 15.00 სული, ყველა ქართველია.

2. არტაანის ოლქში მოსახლეობა უდრის — 56.000: აქედან ქართველებია — 15.000 სული.

3. ოლთისის ოლქში ცხოვრობს სულ — 32.000; აქედან ქართველებია — 20.600.

სულ მთელი არტაანის ანუ არდაგანის მხარეში მცხოვრებთა რიცხვია — 103.000: აქედან ქართველებია — 50.000 ანუ 48,6 %.

სულ მესხეთში მცხოვრებთა რიცხვი უდრის — 419.000 სულს; აქედან ქართველები არიან — 268.000 ანუ 64 %.

ამნაირად მესხეთის პროვინციაში მოსახლეობის მთავარ ლემენტს შეადგენს ქართველობა. —

„ამავე დროს, — და ეს ყოვლის უწინარეს მისაღებია მხედველობაში — ქართველ ერს ამ მხარეზე წმიდა ისტორიული უფლება აქვს. ეს პროვინცია — ძირეული ქართული ქვეყანა არის, აქვანი ქართული კულტურისა. რაც მისი ქვანიც კი ლაღადებენ, — მრავალფეროვან ქართულ კულტურის მონუმენტები“.

პ. ი.

კონსტანტინეპოლი, 4 — 6 ივლისი, 1918.

მესხეთი:

ზემო ქართლი = სამცხე-საათაბაგო = სამუსულმანო საქართველო



# საქართველოს ალდ გენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო

D[r]. Victor Nosadzé

## LA LUTTE POUR L'INTEGRITÉ TERRITORIALE DE LA GÉORGIE — La question de la Méskhéthie

ისტორიის მთელ სიგრძეზე მესხეთის პოლიტიკური ამბავი არის სამხრეთ მეზობლებთან საქართველოს ურთიერთობის ქვაკუთხედი. ამ მცირე ნარკვევიდანაც ჩანს, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მესხეთს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის და რაოდენი მსხვერპლი გაუღია ქართველ ერს მესხეთისათვის ბრძოლაში. ამ ნარკვევის ავტორმა თავისი ყურადღება შეაჩერა მესხეთის უკანასკნელი ჟამის ამბებზე და მათ გასარკვევად ისარგებლა მხოლოდ გამოქვეყნებული, რადგან არქივებში მდებარე მასალები მისთვის მიუწვდომელი იყო; ავტორი ფიქრობს, მესხეთის ისტორიის სრული სურათის აღბეჭდვა ჯერ-ჯერობით ნაადრევია; ეს ნარკვევი გვაჩვენებს მხოლოდ საერთო ხედს, რომელზეც საკმაო სიცხადით მოჩანს მესხეთის სახე და საქართველოს ბედი.

***

„ნუ იპოებიან ჭურჭელსა შენსა სასწორი ერთი დიდი და ერთი კნინი, ნუ იყოფინ სახლსა შენსა ორი საწყაული, ერთი დიდი და ერთი კნინი, არამედ ... საწყაული ჭეშმარიტი და მართალი".
(II შჯული, XXV. 13)

„სასწორი მართალი და საწყაო მართალი და კაბიწი მართალი იყავნ თქვენდა".
(ეზეკიელი 45,10)

### 1. ძველი მესხეთი და საქართველო

**ზემო - ქართლი** ანუ მესხეთი შესდგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან:

**შავი ზღვის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაპირზე:**

1) აჭარა, 2) ქობულეთი, 3) ლივანა, 4) ჭანეთი ანუ ლაზიკა (ლაზისტანი);

**ჭოროხის ხეობაში:**

5) შავშეთი, 6) კლარჯეთი, 7) ტაო, 8) ბასიანი, 9) ისპირი, 10) თორთომი;

**მტკვარის ხეობაში:**

11) სამცხე, 12) ჯავახეთი, 13) არტაანი (არდაგანი), 14) კოლა, 15) აბოცი (ანუ პალაკაციო, ანუ ყაიყული, ანუ ჩალდირი).

ისპირი და ლაზისტანი უძველეს დროში ხალიბებს ანუ ლაზებს ეკუთვნოდა; მეორე საუკუნეში ქრისტეს წინ სომხებმა დაიკავეს ტაო და გაქრისტიანების დროს (მე-4 საუკუნე), ეს მხარე თითქო სომხების ხელში უნდა ყოფილიყო; მაგრამ მალე ისევ ქართველთ ანუ იბერიელთ განუვრციათ აქ თავისი ხელისუფლება და როგორც პროკოფი კესარიელი, ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი, რომელიც გარდაიცვალა დაახლოებით 562 წელს, სწერს: — მესხები „ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი" არიან (ანუ პოლიტიკურად ქართლს ეკუთვნიან) და მათ „მთებში აქვთ საბინადრო ადგილები"-ო.

მეექვსე საუკუნეში და შემდეგ, ომებისა და მძაფრი სენის შედეგად თითქმის მთელ ზემო-ქართლში, განსაკუთრებით კი სამცხეში, შავშეთ - კლარჯეთში და ტაოში მოსახლეობა სრულებით მოსპობილა. მხოლოდ მეცხრე საუკუნედან იწყება ამ მხარეში ქართველების ხელ-ახალი დასახლება და მეთერთმეტე საუკუნეში იქ უკვე წმინდა ქართული მოსახლეობაა და იგი ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული აკვანია.

„ზემო-ქართლი ანუ მესხეთი სამცხე - ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთ - ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა. მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მესხეთის მთავრის განსაგებელი იწყობოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან და კარნუქალაქამდის აღწევდა. მეცამეტე საუკუნის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულის ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა ლაზისტანი, ანუ ჭანეთი. მაგრამ შემდეგში გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წელს სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა".

ათაბაგის ანუ ათაბეგის სახელწოდება პირველად იხმარეს თამარ მეფის (1184 — 1214) დროს, როდესაც მესხეთში გამგედ დანიშნეს ივანე მხარგრძელი. გიორგი მეხუთემ (1334 — 1346) ათაბაგობა უბოძა ყვარყვარე ჯაყელს (1334 წელს), ხოლო გიორგი მერვეს დროს ყვარყვარე მეორემ 1463 წელს თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და ამას შემდეგ ამ მხარეს დაერქვა სამცხე - საათაბაგო, რომელიც ხან მტრულ და ხან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო დანარჩენ ქართულ სამეფოებთან.

ოსმალეთის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ და 1453 წ. ბიზანტიის იმპერიის მოსპობის მერმე, აგრეთვე ტრაპეზუნის იმპერიის განადგურების შედეგად (1446 წ.) ოსმალეთი ხშირად ესხმოდა მესხეთს ანუ სამცხე-საათაბაგოს და საუკუნეთა მანძილზე მათ შორის მუდმივი ომი ხდებოდა. ოსმალეთის იმპერიის ძლიერებით ქედ-მოხრილი ათაბაგები დაბოლოს იძულებული გახდნენ სულთანის უზენაესი ხელისუფლება ეღიარებინათ. მაგრამ ეს ათაბაგები ქართველ მეფეებთან ჯერ კიდევ კავშირს არა სწყვეტდნენ და ქართული ქრისტიანული კულტურის ფარგალში იმყოფებოდნენ.

სამცხეს უკანასკნელი ქრისტიანი ათაბაგი იყო მანუჩარ (1614 — 1624), რომელმაც ცნობილ და განთქმულ მარაბდის ომში სპარსეთის წინააღმდეგ დანარჩენ ქართველ მეფეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო; მან აღიარა ოსმალეთის უზენაესი ხელისუფლება, მაგრამ მისმა ბიძამ მოწამლა იგი, თვით წავიდა სტამბოლს, მიიღო მაჰმადიანობა და სულთანის ანუ ხონთქარის მიერ იგი დანიშნულ იქმნა ახალციხის ფაშად, საფარ - ფაშის სახელით.

საფარ-ფაშამ მესხეთში შემოიღო ოსმალური წესები, ანუ როგორც აგვიწერს ბატონიშვილი ვახუშტი (1696 — 1772): „და დაჯდა ესე საფარ - ფაშა და დაიპყრა სრულიად საათაბაგო.... და მართვიდა, ვითარცა წესი არს ოსმალთა: ამან აღწერა ქვეყანა და შეჰკვეთეს ხარკი ქრისტიანეთა სულზე დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შვიდის-თავი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამბეჩზედ ექვსი შაური; ხოლო საფაშოდ ხარკი დრაჰკანის მესამედი, რომელი არს ათი შაური წესისამებრ ოსმალთა: არამედ ეპისკოპოსნი და მონასტერნი წინათვე შლილობათა ამათ შინა ათაბეგთათა და უმორჩილებითა ქართლისა კათალიკოზისათა შემცირდებოდნენ ურწმუნოებითა მესხთათა. რამეთუ მიუხმიდნენ (ართმევდნენ) მამულ-შეწირულებათა, შემცირდებოდნენ და მოიშლებოდნენ მთავართაგან და შემდგო-

მად უმეტეს დაპყრობისა ტაო - კლარჯეთისა და შავშეთ-არტანუჯისა ოსმალთაგან, არღარა მოიპოვებოდა მუნ. ვინადგან მიუხვნეს ოსმალთა სრულიად მამულ-შეწირულებანი და არღარავინ იყო მეტრფე მონაზონებისა... ვინადგან რისხვითა ღუთისათა გამაჰმანდიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამ ქვეყნისანი და დაიწყეს მიერით თათრობა... ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდნენ და მალვიდნენ ხატთა, ჯუართა და ნაწილთა წმიდათათ და სხუთა წარაქუნდათ პირველსაებრ იმერეთს და ქართლს ველტოდიანცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა, რამეთუ განაგებდა საფარ - ფაშა ნებითა ოსმალთათა ყოველსავე"...

როგორც ვხედავთ, ოსმალთა გავლენით საფარ - ფაშამ დაიწყო ადმინისტრატიული და ფისკალური ზომებით ქრისტიანობის ანუ ქართველობის წინაალმდეგ ბრძოლა და ქართული კულტურის ამოფხვრა. ეს ძველი ნაცადი, მაჰმადიანური ბრძოლის მეთოდია. ქართველობის წინაალმდეგ არა-ერთხელ ნახმარი. და ეს ბრძოლა გაგრძელდა ორ საუკუნეზე მეტს; ამ ბრძოლაში ქართველობა დამარცხდა, თუმცა აქა-იქ გადარჩენ ქრისტიანული კერანი, ხოლო ქართული ენა დიდხანს კიდევ გაბატონებულად ითვლებოდა, ვინაიდან თვით ახალციხის ფაშებიც ქართულ სამეფოებთან ქართულ ენაზე აწარმოებდენ მიწერ-მოწერას; ოღონდ მესხთა ზნე-ჩვეულებაში ნელნელა ფეხს იკიდებდა თურქული, და ეს ბრძოლა იმდენად მწარე და მწვავე უნდა ყოფილიყო, რომ მასში საქრისტიანო საქართველოს ქალებიც კი ჩაერიენ: ეს მჟღერმეტყველურად სჩანს იმ ლექსიდან, რომელიც დღემდე სიმღერად არის დარჩენილი აჭარაში; ძველი გადმოცემით, ეს ლექსი ქართლელ ქალებს მიუწერიათ მესხი ქალებისათვის:

თქვენც ქალები, ჩვენც ქალები,
მაგრამ არ გვგავართ სრულებით.
მზის ნამზგავს სახეს იფარავთ,
გაქვან ფარული ჩადრები,
რაც კაცმა მაგი გასწავლა
ნურას გზით ნუ ეთანხმებით"....

ქართველი ქალი, რომელიც იყო ქრისტიანობისა და კულტურის დამცველი, შემნახველი და გადამცემი. ლიტერატურულ ომს უტეხს მესხ ქალებს და, ალბათ დროთა განმავლობაში კილო - შეცვლილი. ამ პოლიტიკური ლექსით. რომელიც სიმღერად იქცა აჭარაში. ბრძოლა ქართველობის შესანარჩუნებლად გრძელდებოდა. ... ოღონდ ჟამი იყო მეტად მძიმე და უხეშობით დატვირთული... და ამას ნათლად ადასტურებს ბატონიშვილი ვახუშტი. რომელიც ქართველი ერის ტომთა დახასიათების დროს, მესხთა შესახებ სწერს: "ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტან-ახოვანნი, მკნენი. შემმართებელნი, შვენიერნი. ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი. არამედ აწ, მაჰმადიანობისა გამო, არღარა"...

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი მეოთხედიდან დაწყებული „გათათრების" პროცესი მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა: ამ ხანის განმავლობაში ქართლი. იმერეთი. გურია მუდამჟამს სცდილობდენ მესხეთის დაბრუნებას და ხელში ჩაგდებას. მაგრამ ამაოდ. ახალციხის ფაშას ზურგს უმაგრებდა სტამბოლის ხონთქარი და ხშირად ახალციხის ფაშა ოსმალეთზე დაყრდნობით. და უფრო ხშირად ოსმალეთის კარნახითა და ჯარითაც ქართულ სამეფოთა საქმეებში ერეოდა და ოსმალურ პოლიტიკას ატარებდა.

დაბოლოს ოსმალეთმა მოიწადინა მესხეთის ავტონომიური არსებობის მოსპობაც და ათაბაგ უსუფ მესამის შემდეგ (1737 — 1744) სამცხის ათაბაგობა აღკვეთილ იქმნა (1744 წ.). და მთელი სამცხე თურქულ ადმინისტრაციას დაუმორჩილეს.

ქართველი მეფეები იმედს მაინც არა ჰკარგავდენ მესხეთის საქართველოს წიაღში დაბრუნებაზე და ერეკლე მეორე, რუსეთთან ხელშკრულების დადებისას (1783 წ.) მოითხოვდა მომავალისათვის მესხეთის შემოერთებას *), მაგრამ რუსეთმა პირველად ყოვლისა თვით საქართველო „შეიერთა".

## 2. მესხეთი რუსეთის იმპერიაში

პირველად 1828 წლის რუსეთ - ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა და „საქართველოს" „შეუერთდა" ძველი მესხეთის ნაწილები. — ქობულიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი. ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჯარაქი, ფოცხოვი, და აბოცი (ჩალდირი); ანუ: ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო (აბოცი) და ერუშეთი.

შემდეგ: 1877 — 78 წწ. რუსეთ - ოსმალეთის ომის შედეგად, პარიზის ზავით (მუხ. 58) შემოერთებულ იქმნა მესხეთის მეორე ნაწილი: —
აჭარა - ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა - არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი.

მთელი ეს მხარე რუსეთის იმპერიის დროს მოქცეული იყო შემდეგ ადმინისტრატიულ ერთეულებში: —

1) ახალციხის მაზრა (სამცხე), 2) ახალქალაქის მაზრა (ჯავახეთი), ბათუმის *) ოლქი ( (აჭარა, ქობულეთი, შავშეთი), ყარსის ოლქი (ერუშეთი, ფოცხოვის უბანი), არტაანი ანუ არდაგანი და ოლთისი).

რუსეთის დროს შემოერთებული ტერიტორია შემდეგი სივრცისა იყო: —

ახალციხის მაზრა — 2.706 კვადრატული კილომეტრი; ახალქალაქის მაზრა — 2.793: ბათუმის ოლქი — 3.779: ართვინის ოლქი — 3.339: ფოცხოვის უბანი — 588: არდაგანის ოლქი — 5.137: — ოლთისის ოლქი — 3.051.

სულ მესხეთის ტერიტორია უდრიდა 21.393 კვადრატულ კილომეტრს ანუ მთელი საქართველოს მესამედზე მეტს!

ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვარში დარჩა ჭანეთი ანუ ლაზისტანი და ზემო-ჭოროხზე მდებარე ნაწილი.

„ადგილები. რომელნიც ერგო რუსეთს ოსმალეთისაგან ბერლინის ტრაქტატის ძალით 1878 წელს", გვამცნობს ჩვენი მხცოვანი მეცნიერი, პროფ. ექ. თაყაიშვილი. „რუსის მთავრობამ გაჰყო ორ ადმინისტრატიულ ოლქად. ყარსისა და ბათუმისა. ყარსის ოლქს შეადგენდა ოკრუგები ყარსისა, ყაღიზმანისა, არდაგანისა და ოლითისისა. ისტორიულად და ეთნოგრაფიულად ყარსის და ყაღიზმანის ოკრუგები ეკუთვნოდა სომხეთს, არდაგანისა და ოლთისის საქართველოს. ოლთისის ოკრუგი ხელოვნურად იყო მიწერილი ყარსის ოლქზე, გეოგრაფიულად ის უნდა შესულიყო ბათუმის ოლქში, ვინაიდან ის მოქცეულია ჭოროხის შემდინარე ოლთისის წყლის არემარეში, და ჭოროხი ეკუთვნის შავი ზღვის ბასეინს. ხოლო ყარსის სხვა ოკრუგები ეკუთვნიან კასპიის ზღვის ბასეინს. არდაგანის ოკრუგი. რომელიც მდებარეობით წარმოადგენს ზეგანის

---

*) «Содержание 2-го артикула трактата указываю прямо на ахалцихский пашалык или Самцхе-Саатабаго, древнее достояние царей грузинских». (Н. Бутков: Материалы...).

---

**) ბათუმის შესახებ შემდეგი ცნობაც არსებობს: — 1828 წელს, როდესაც იწერებოდა ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რუსეთმა მოითხოვა და ოსმალეთმა დაუთმო მას მთელი ტერიტორია მდინარე ჭოროხამდე (ძველად: აკამპსის), რომელიც შეერთვის შავზღვას ბათუმის იქით, დასავლეთით. ამ დათმობის მიხედვით. ბათუმი უკვე 1828 წელს უნდა შეერთებოდა რუსეთს. მაგრამ ხელშეკრულებაში და საზავო რუკის შედგენის დროს. საზღვარი გაყვანილ იქმნა მდინარეთა სახელწოდების შერევის გამო არა მდინარე ჭოროხთან. არამედ მდინარე ჩოლოქთან. რომელიც ერთვის ზღვას ბათუმის აქეთ. ჩრდილო-დასავლეთით; ამ შეცდომის მიხედვით ბათუმი დარჩა ოსმალეთს. შეცდომა შემჩნეულ იქმნა ხელშეკრულებაზე ხელისმოწერისა და დამტკიცების შემდეგ. — მაგრამ უკვე გვიან იყო ამ საკითხის ხელახლა აღძვრა, და ამ შეცდომის შედეგად ბათუმი ოსმალეთს შერჩა. (იხ. ჯ. ბრაისისა და ფონ ტილმანის შრომები).

პლატოს, გაყოფილი იყო უჩასტკებად: ჩილდირისა, არდაგანისა, გელისა და ფოცხოვისა. პირველი სამი უჩასტკა მდებარეობს მტკვრის ზემო-წელზე, ხოლო ფოცხოვის უჩასტკა ფოცხოვის წყალზე. ეს უჩასტკაც ხელოვნურად იყო მიწერილი არდაგანის ოკრუგზე, ვინაიდან გეოგრაფიულად ფოცხოვი სრულიად არ შეადგენს არდაგანის ზეგანის პლატოს ნაწილს, არამედ ეკუთვნის ახალციხის ტერასას, შეიცავს ფოცხოვის წყლის ბასეინის ნაწილს".

ამ ადმინისტრატიულმა პოლიტიკამ მერმედ გამოიღო ნაყოფი და საქართველოს ტერიტორიული საზღვრების საკითხი მეტად გაართულა: ამას ჩვენ ხშირად შევხვდებით ხოლმე.

თვით შემოერთებულ მესხეთში, ომის გამო, მოსახლეობის მოძრაობა მოხდა, გადასვლ-გამოსვლა დაიწყო. მაჰმადიანი ქართველები არ შეურიგდენ ქრისტიანული რუსეთის მოსვლას, ათასობით აიყარენ მესხეთიდან და ოსმალეთს მიაშურეს. პირველი ასეთი დიდი აყრა მოხდა 1828 წელს, განსაკუთრებით ჯავახეთიდან (ახალქალაქის მაზრა), ხოლო 1878 წ. მარტო არდაგანის რაიონიდან ოსმალეთში გადასახლდა 22.743 სული ქართველი მაჰმადიანი. სამაგიეროდ ამ მხარეებს მოაწყდენ სომხები, რომელნიც ქრისტიანულ რუსეთში თავშესაფარს ეძებდენ. რუსეთის მთავრობაც მათ დახმარებას უწევდა და ქართულ მიწაწყალზე ასახლებდა. ახალციხის აღების შემდეგ, მაშინდელ კავკასიის მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგენ და მას ქართველ მეფეთა წყალობის წიგნები მიართვეს, რომლითაც მტკიცდებოდა, ქართველთა უფლება ახლად შემოერთებულ სამცხე - ჯავახეთზე. მაგრამ მთხოვნელებს პასკევიჩმა ცივი უარი სტკიცა და გაურისხდა, ხოლო გადმოსახლებულ თითოეულ სომეხს 25 მანეთი დახმარება მისცა და ექვსი წლის განმავლობაში გადასახადებიდან გაანთავისუფლა. მარტო ახალციხე - ახალქალაქის (სამცხე-ჯავახეთში) მაზრებში ჩასახლებული იქმნა 30.000-მდე სომეხი. აი ამ გზით გაჩნდენ სომხები მესხეთში და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა მიეცა, როცა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების მოხაზვის საკითხი წამოიჭრა.

რუსეთის ბატონობის დროს საზღვრების საკითხი საიმპერიო იყო, რასაკვირველია, და თუ ქართველობას პირდაპირ ეხებოდა იგი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ოსმალეთთან ომი ხდებოდა. ამ ომში ქართველობას შეჰქონდა თავისი განსაკუთრებული აღტყინება და თავგანწირულებასაც იჩენდა. ამისი მთავარი მიზეზი იყო დროთა განმავლობაში ოსმალეთის მიერ საქართველოსადმი მუდმივი მტრობა და ქართული საკუთარი მიწაწყლის წაგლეჯა, და ამ ნიადაგზეც შურისძიების სურვილიც.

ოსმალეთმა ქართველ ერს უდიდესი და აღურიცხველი ზიანი და ზარალი მიაყენა და მით წარუშლელი დაღი დააჭდო ქართულ შეგნებასა და სულს. ამიტომაც ოსმალეთთან ომის დროს ფიცხლავ და ზეიმით ირაზმებოდა ქართველობა, და რეგულიარულ ჯარს გარდა, მილიციაც სდგებოდა ხოლმე. ყოველი გამარჯვება რუსის იარაღისა ქართველობას სიხარულს ჰფენდა და თითოეული ნაჭერი მიწა, უკან მიღებული, ახლა უკვე გამაჰმადიანებული სამკვიდრებელისა, დაკარგული ძმისა და მამულის დაბრუნებას უდრიდა. ამიტომ დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა და გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის პირით ამ ზეიმს მთელს საქართველოს აცნობდა. საზეიმოც იყო: — თუმცა რუსეთის ფარგლებში, მაგრამ მაინც საქართველოს უბრუნდებოდა ძველი მესხეთი, მრავალი ნაჭირნახულევი და საკუთარ კერას მოწყვეტილი ძმათა სამკვიდრებელი და ქართული კულტურის სავანე; და ქართველობა რუსული ადმინისტრაციის ხელისშეშლისა და დატუქსვის მიუხედავად, მესხეთზე შეძლებისგვარად ზრუნვას შეუდგა; რუსული ადმინისტრაცია თავის მხრივ მესხეთში გამარუსებელ პოლიტიკას მისდევდა და სკოლებში შემოიღო რუსული და თურქული. დიახ, თურქული ენა: ქართული განდევნილი იყო! და ამის გამო ქართული ენა, გუშინ კიდევ მოსახლეობის მიერ ხმარებული, რუსულმა და თურქულმა შესცვალა; ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსული ენა ეჯავრებოდათ და მას ადგილობრივი გარემოცვაც არა ჰქონდა, ცხადია, თურქულმა იწყო ბატონობა. მაგრამ ამის მიუხედავად ქართული ელემენტი მესხეთში მაინც სჭარბობდა და 1917 წლისათვის მესხეთის მცხოვრებთა საერთო რიცხვში — 419.000 — ქართველთა რიცხვი უდრიდა — 268.000 — ანუ 64 %-ს.

და ეს გასაკვირია, რადგან რუსეთის მთავრობა ხელოვნურ ზომებს მიმართავდა მესხეთში დარჩენილ ქართველ მაჰმადიანთა გადასაგვარებლად. ქართულ ენას ხომ უსპობდა მათ! მაგრამ ამასთანავე იქ სხვადასხვა ეროვნებებს ასახლებდა (სომხებს, თურქებს, ქურთებს, ბერძნებს და რუსებს);მაინც მესხეთის მოსახლეობის სურათი 1917 წ. ამგვარი იყო: —

**ახალციხის მაზრა** — მთელი მოსახლეობა იყო 72.000 სული; ქართველები — 66.000 სული.

**ახალქალაქის მაზრა** — მთელი მოსახლეობა იყო — 101.000 სული; ქართველები — 22.000.

**ბათუმის ოლქი** — მთელი მოსახლეობა — 82.000 სული: ქართველები — 74.000.

**ართვინის ოლქი** — მთელი მოსახლეობა — 61 000: ქართველები — 56.000.

**ფოცხოვის უბანი** — მთელი მოსახლეობა — 15.000: ქართველები — 15.000.

**არდაგანის ოლქი** — მთელი მოსახლეობა — 56.000; ქართველები — 15.000.

**ოლთისის ოლქი** — მთელი მოსახლეობა — 32.000; ქართველები — 20.000.

**სულ მთელს მესხეთში** მოსახლეობის რიცხვი უდრიდა — 419.000; **ქართველების რიცხვი — 268.000 სულს** ანუ **64 პროცენტს**, რაც ეთნოგრაფიულადაც ჭარბი არის.

მსოფლიო ომის დროს (1914 — 1918 წ.) ნაციონალისტ ქართველების ზოგი წრე ლაზისტანის შემოერთებაზეც ზრუნავდა და ამ მიზნისათვის ქადაგობდა, რუსეთს გამარჯვებას უსურვებდა; მაგრამ რუსეთის იმპერია დაემხო ამ ომში, რევოლუციამ კი სრულიად ახალი ვითარებანი შეჰქმნა და 1918 წ. მაისის 26-ს თვით საქართველომ გამოაცხადა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

## 3. საზღვრების საკითხი კავკასიაში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ბუნებრივად, თანდაჰყვა საზღვრების გამიჯვნის საკითხიც. საქართველო იმიჯნებოდა არა მარტო რუსეთისაგან, არამედ ოსმალეთისაგან და სომხეთ - აზერბაიჯანისაგანაც.

რევოლუციამდე შინა-კავკასიური საზღვრების საკითხი არც არსებობდა. კავკასია დაყოფილი იყო ადმინისტრატიულ ნაწილებად: გუბერნიებად, მაზრებად, სოფლით საზოგადოებებად; თითოეულ ადმინისტრატიულ ერთეულს განაგებდა სათანადო მოხელე, რომელთა თავში იდგა ნამესტნიკი და ეს უკანასკნელი ცენტრალ ხელისუფლებას მორჩილებდა.

პირველად შინა-კავკასიური გამიჯვნის საკითხი წარმოსდგა კავკასიაში ერობის („ზემსტვო") შემოღების გეგმასთან დაკავშირებით და ამ შემთხვევისათვის საჭირო გახდა რაიმე საერთო დებულების მიღება ტერიტორიების გასანაწილებლად. მაშინ არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, დიდი დავის შემდეგ, აღიარეს რეალური მოსახლეობის პრინციპი; ეს იმას ნიშნავდა, რომ საერობო ტერიტორიების შემოხაზვის დროს ყურადღება მიექცეოდა არა ეროვნულ-ისტორიულ, ეკონომიურ-სტრატეგიულ და სხვა რომელიმე მოსაზრებას, არამედ მხოლოდ მოსახლეობის ეროვნობის უმრავლესობას; სადაც, მაგალითად, სომხობა იყო მეტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე ქართული იყო ისტორიულად და შეხედულებითაც, იგი სომხურ ერობას უნდა მიკუთვნებოდა. ერობისათვის ამ პრინციპის დადება შესაძლოდ ხდიდა უმტკივნეულოდ კავკასიაში ერობის ადმინისტრატიული დანაწილების მოხდენას. მაგრამ ერობის შემოღებას ომმა მოუსწრო და კავკასიის ადმინისტრატიული გადამიჯვნის საკითხი გამოურკვეველი დარჩა; ხოლო როდესაც კავკასიის ხალხებმა თავისი

სახელმწიფოებრივი განცალკევება შეჰქმნეს, რასაკვირ-
ველია, საზღვრების საკითხი პირველ რიგში წამოიჭრა და
გადაწყვეტის წინაშე დადგა. საზღვრების საკითხი ერთბა-
შად წამოიჭრა ჯერ ოსმალეთის მხარედან და შემდეგ ში-
ნა-კავკასიურ ასპარეზზეც.

რა დებულებით უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს
რესპუბლიკის მთავრობას საზღვრების დადგენის საკითხ-
ში? შეეძლო აღნიშნულ მთავრობას, იმის მიუხედავად
რომ იგი დემოკრატიული და სოციალისტური იყო, რე-
ალური მოსახლეობის პრინციპით ანუ ეთნოგრაფიული
დებულების მიხედვით ეხელმძღვანელა და მით შემოესა-
ზღვრა საქართველო? თუ საზღვარის საკითხი არის მო-
სახლეობის გარდა ისტორიის, პოლიტიკის, სტრატეგიის,
ეკონომიკის, თავდაცვის საკითხიც; ეს უბრალოდ თეო-
რიული საკითხი აღარ იყო, და დღეს, როდესაც ვიხსე-
ნებთ ამის გამო ქარიშხალივით მოხეთქებულ დავასა და
ომს, დადებითად უნდა დავაფასოთ ის ბრძოლა, რო-
მელიც საქართველოს მთავრობამ გასწია საზღვრების გა-
ყოლების საქმეში.

ჩვენ აქ მოკლედ და ზოგადათ შევეხებით შინა-კავკა-
სიურ საზღვრებს, რადგან ამჟამად უმთავრესად ოსმალუ-
რი საზღვრების ამბავი გვაინტერესებს.

რას მოითხოვდა სომხეთი? რა მოიწადინა აზერბაიჯან-
მა? ჩვენმა მეზობლებმა?

სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენისათვის უეც-
რად ყველამ მოიგონა პარტიათა – შორისო შეთანხმება
ერობის შემოღების საკითხში რეალური მოსახლეობის
პრინციპის გატარების შესახებ; მაშასადამე, სახელმწიფო-
ებრივი საზღვრები უნდა გატარებულიყო ეთნოგრაფიის
თუ მოსახლეობის მიხედვით და კიდევ მეტიც: რელიგიის
მიხედვითაც, მუსულმანობის საფუძველზე.!

სომხებმა გაამზადეს სომხეთის რუკა პარიზის საზავო
კონფერენციისათვის წარსადგენად; და ამ რუკაზე, რო-
გორც სომხეთში შემავალი ტერიტორიები, აღნიშნული
იყო: — თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა,
ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის
ოლქი!

მოსახლეობის პრინციპის მიხედვით სომხეთი მოითხოვ-
და, მაშასადამე, საქართველოს უძველეს დედაქალაქს —
მცხეთას, საქართველოს ძველ დედაქალაქს — თბილისს,
საქართველოს მუდმივსა და განუყოფელ ნაწილს — ბორ-
ჩალოს და მთელს მესხეთს! — ასეთი იყო სომხური გეგმა.

რას მოითხოვდა აზერბაიჯანი?

აზარბაიჯანმაც არ გამოიჩინა ნაკლები მადა, ვინემ
სომხეთმა. პარიზის საზავო კონფერენციისათვის აზერბა-
იჯანლებმაც განამზადეს მოთხოვნილებანი, რომელთა
მიხედვით, აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეული-
ყო: — საინგილო (ზაქათალა), ბორჩალოს მაზრა, ახალ-
ციხის მაზრა, ბათუმის ოლქი. მაშასადამე, უძველეს ქარ-
თულ ტერიტორიების გარდა, აზერბაიჯანი მოითხოვდა
აგრეთვე მესხეთს ბათუმითურთ.!

ეს მოთხოვნილება უკვე ემყარებოდა რელიგიურ პრინ-
ციპს, ვინაიდან ცნობილია, რომ ეთნოგრაფიულად არც
ერთ მხარეს არავითარი საერთო არა აქვს აზერბაიჯანულ
მოდგმასთან.

ამგვარად: ყველა მეზობელი საქართველოს მიწაწყალს
მოისურვებდა და მის გაგლეჯას ლამობდა.

საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა
1918 წლის მაისის 26-ს, და იმავე წლის 11 ივნისს ნოე
ჟორდანიას წინადადებით დაარსებულ იქმნა საზღვრების
გამომრკვევი კომისია, რომელსაც სომხეთთან და აზერბა-
იჯანთან საზღვრების საკითხი უნდა გაესინჯა ესე იგი
საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები დაედგინა. დასა-
ხელებულ კომისიაში შედიოდენ: ირაკლი (კაკი) წერეთე-
ლი (სოც.-დემ.), დავით ონიაშვილი (სოც.-დემ.), პავლე
ინგოროყვა და გენერალი ოდიშელიძე. კომისიამ გამოი-
მუშავა საქართველოს საზღვრები, რომელიც ამნაირი
უნდა ყოფილიყო: —

საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთიდან
გადის მცირე-კავკასიის ქედზე, მიდის ბორჩალოს მაზრის
სამხრეთ საზღვართან, გადადის გოქჩის ტბის ჩრდილო-ნა-
პირამდე, უხვევს ჩრდილოეთით მდინარე აქსტაფაზე. მა-
დის სადგურ ძეგამდე, შეიცავს საინგილოს და თავდება
სილაგათის მთით. — ესე იგი: ყველა ის მხარენი, რომელ-
ნიც მეზობლებმა თავის საკუთრებად და თავისად გამოა-
ცხადეს, საქართველომ თავისად აღიარა.

განსაკუთრებული ბრძოლა ასტეხეს სომხებმა, რომელ-
თაც უცხოეთის პრესაშიც კი საქართველოს მთავრობას
განგაში დაუწყეს და იმპერიალისტობაში, დემოკრატიი-
სა და სოციალიზმის ღალატში ბრალსა სდებდენ. ეს ხომ
დიდი ცოდვა უნდა ყოფილიყო სოციალდემოკრატიული
ქართული მთავრობისათვის! საკითხი მუშათა სოციალის-
ტურ ინტერნაციონალშიც კი დაისვა!

მაინც სოციალდემოკრატმა ირაკლი წერეთელმა ასეთი
"იმპერიალისტობა" გამოიჩინა და სომხებს უმტკიცებდა,
რომ ახალქალაქის მაზრა, ბორჩალოს მაზრა ყოველთვის
საქართველოს ეკუთვნოდა და იყო მუდამ მისი ბედელი,
ურომლისოდ ქართველ ხალხს ცხოვრება არ შეუძლია,
ხოლო ბამბაკისა და კაზახის რაიონები საქართველოსათ-
ვის თავდაცვითი სტრატეგიული მნიშვნელობის არიანო,
და საერთოდ, სახელმწიფოს აშენების დროს, ქართველ
ხალხს არ შეუძლია უბრალო ეთნოგრაფიული, მცხოვ-
რებთა მოსახლეობის პრინციპით იხელმძღვანელოსო ბო-
ლო ნოე რამიშვილი, საქართველოს მთავრობის სახელით
1918 წ. 17 ივნისს, აზერბაიჯანის მთავრობას სწერდა,
რომ საინგილო და ბორჩალო მუდამჟამს საქართველოს
ეკუთვნოდა და ეს სადავო არასოდეს არ ყოფილა, თუმცა
იქ შერეული მოსახლეობა ყოველთვის იყოო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს ჩვენ შინა-კავკასიურ
საზღვრების საკითხს არ ვეხებით: პირველ რიგში გვაინ-
ტერესებს მხოლოდ მესხეთის ამბავი და ამგვარად ოსმა-
ლეთთან დამოკიდებულებათა და ურთიერთობათა საკით-
ხი, რომლის გამო საქართველოს ომები და აჯანყებანი
დაატყდა თავზე.

## 4. ამიერკავკას. სეიმი და საზღვრების საკითხი

ცენტრალ სახელმწიფოთა მხარეზე და ანტანტის
წინაალმდეგ მსოფლიო ომში ჩარევის შემდეგ, ოსმალეთმა
გაუქმებულად გამოაცხადა 1916 წლის ნოემბრის 1-ს პა-
რიზის (1856 წ.) და ბერლინის (1878 წ.) ხელშეკრულე-
ბანი, და მაშასადამე, ამ ხელშეკრულებათა გაუქმებით,
სხვათა შორის, კვლავ დასმულ იქმნა კავკასიისა და კერ-
ძოდ საქართველოს საზღვრების გადასინჯვის საკითხიც.
და როდესაც მსოფლიო ომის მძიმე ტექნიკურ-ეკონომი-
ურ და მორალურ პირობებში რუსეთის იმპერია აცხლტდა
და წაიქცა, რევოლუციამ იგი შთანთქა, გამარჯვებულმა
ცენტრალ სახელმწიფოთა კავშირმა, გერმანიის მეთაუ-
რობით, ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკურ ხელისუფლე-
ბასთან საზავო მოლაპარაკება გამართა.

რევოლუციით რუსეთს მოწყვეტილმა ამიერკავკასიამ
შექმნა ამიერკავკასიის კომისარიატი 28 ნოემბერს 1917
წელს, ევგენი გეგეჭკორის თავჯდომარეობით. დასახელე-
ბული კომისარიატი თავისთავს ადგილობრივ დროებით
ხელისუფლებად სთვლიდა, რადგან ბოლშევიკების დაცე-
მასა და დემოკრატიული რუსეთის აღდგენას სულ მოკლე
ხანში მოელოდა. ეს იყო ყალბი რწმენა და საზიანო მი-
მართულება, რომელზეც დაშენდა ამიერკავკასიის კომი-
სარიატის პოლიტიკა, რის მიხედვითაც ამიერკავკასია
კვლავ რუსეთის იმპერიის ნაწილად ითვლებოდა. ამ პო-
ლიტიკის წყალობით, როგორც ეს ჩვენ უკვე ერთჯერ და-
ვახასიათეთ (იხილ. „ორნატი". კრებული მესამე, მაისი,
1934 წ.), „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხა-
დება მოხდა მეტად გვიან, როცა ამიერკავკასიის საქმე
უკვე წაგებული იყო და მადაგახსნილი ოსმალეთის ჯარს
დამოუკიდებლობის ბეგ-
დლობას კავკასიის მკერდზე ბებუთი მობჯენილი ჰქონ-
და". მაგრამ როგორც არ უნდა ეფიქრა ევგენი გეგეჭკო-
რის კომისარიატს, იგი მაინც იძულებული ხდებოდა ოს-
მალეთთან დამოუკიდებელი დიპლომატიური ურთიერ-
თობა ეწარმოებინა, ან ომი განეგრძო.

ომის გაგრძელება კავკასიას არ შეეძლო და მაშასადა-
მე, ისმებოდა ოსმალეთთან ზავის საკითხი. მართლაც 4

დეკემბერს 1917 წელს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოიტანა დადგენილება: ოსმალეთთან დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. 18 დეკემბერს 1917 წ. დაიდო ამ დროებითი ზავის ხელშეკრულებაც, რომლის მიხედვით არც ოსმალეთს და არც ამიერკავკასიას უფლება არა ჰქონდათ სტრატეგიული გადასვლა თუ გადაჯგუფება მოეხდინათ. ცოტა ხნის შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ ამ./კავკ. კომისარიატი მიიწვია (16 იანვარს 1918 წ.) ბრესტლიტოვსკში საზავო მოლაპარაკებაზე და ამასთანავე, ალბათ ზეგავლენის მიზნით, 22 იანვარს 1918 წ. დაარღვია დროებითი ზავის პირობები. ოსმალეთის მთავრობას ამ./კავკასიის კომისარიატის პასუხი ბრესტლიტოვსკში წასვლა - არ - წასვლის შესახებ ჯერ კიდევ არ მიეღო, და 12 თებერვალს 1918 წ. ოსმალეთის ჯარი კავკასიის საზღვრებისაკენ დაიძრა; ვინაიდან 1918 წლის დეკემბერ - იანვრის განმავლობაში რუსეთის ჯარი დაიშალა, გაინგრა და გააშიშვლა კავკასიის ფრონტი, ოსმალებმა დაიწყეს წინსვლა და ადვილად დაამარცხეს სომხური ახლად შედგენილი ნაწილები და 30 დეკემბერს 1917 წ. დაიბრუნეს ერძიჯანი, 4 თებერვალს 1918 წ. ბაიბურთი, 8 თებერვალს — მამახათუნი, 12 მარტს — ერზერუმი (არზრუმი, კარნუ-ქალაქი). ამის საპასუხოდ ამ./კავკ. კომისარიატმა დაადგინა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება, რაც ევგ. გეგეჭკორმა ოსმალეთის სარდალს ვეხიბ - ფაშას აცნობა. იწყებოდნენ მეტად რთული და პასუხსაგები მოვლენანი, რომელთა გარკვევა არც იოლი იყო, და ისმებოდა საზღვრების საკითხიც.

1 მარტს 1918 წ. საზავო კომისიის სახელით ამ./კავკ. სეიმში ნოე რამიშვილმა წინასწარმეტყველური განცდით განაცხადა: —

„როგორც უწყით, მოქალაქენო, ამიერკავკასიის სეიმის წევრნო, ჩვენ, რევოლუციური პარტიების წარმომადგენელნი, სრულებითაც არა ვართ იმის თაყვანისმცემელნი, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უსათუოდ დავიცვათ ძველი სახელმწიფოებრივი საზღვრები.... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთი მხრით ამიერკავკასია და მეორე მხრით ოსმალეთის იმპერია, იმ საზღვრებში, რომელშიაც ისინი არსებობდენ ომამდე, 1914 წელში, წარმოადგენენ განსაზღვრულ მთლიანობას და ამ მხრით ყოველგვარი დარღვევა სახელმწიფოებრივი საზღვრებისა მიგვიყვანდა ისეთ გართულებამდე, რომლის შედეგები გამოჩნდება მრავალი წლის განმავლობაში. ეს შედეგები იქნება მეტად სავალალო როგორც ჩვენთვის, ისე ალბათ ოსმალეთის იმპერიისათვისაც. ჩვენ ვფიქრობთ, ამიერკავკასიის ხალხები ისე შეზრდილი არიან თავისი სასიცოცხლო ინტერესებით, რომ ყოველგვარი ჩამოჭრა თუგინდ უმცირესი ნაწილისა, გამოიწვევდა ისეთ არევდარევას, რომელიც მოიტანდა მეტად არა-სასურველ შედეგებს ამიერკავკასიის ხალხების მშვიდობიანი ცხოვრებისათვის... კომისია ფიქრობდა, რომ მომავალ საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც არსებობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის გამოცხადების დროს 1914 წელში“..

ამნაირად: ამ./კავკ. თავიდანვე გამოარკვია თავისი შეხედულება საზღვრების შესახებ და 1 მარტს 1918 წ ამ../კავკასიის სეიმმა ერთხმად და ერთსულოვანად დაადგინა: — ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად დაედოს ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც არსებობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის გამოცხადების დროს, 1914 წელს

ამ დავალებით არჩეულ იქმნა საზავო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავჯდომარეობით.

ამავე დროს, პარალელურად, ბრესტლიტოვსკში გრძელდებოდა საზავო მოლაპარაკება და კავკასიის საკითხიც იქ იჭრებოდა. ოსმალეთს სურდა ფორმალურად რუსეთისაგანაც მიეღო ზავი და ამავე დროს ამიერკავკასიის ფაქტიურ მთავრობასთანაც ეწარმოებინა მოლაპარაკება, — ოსმალეთი მოიგებდა ან ბრესტლიტოვსკში, ან თბილისში. ამგვარი გზით ერთ-ერთ ხაზზე მოსალოდნელი იყო მისი გამარჯვება, და როგორც ვიცით, ამ გამარჯვებას ოსმალეთმა მიაღწია სწორედ ბრესტლიტოვსკში

## 5. საზავო მოლაპარაკება ბრესტლიტოვსკში და მესხეთის ბედი

როგორ მოხდა ბრესტლიტოვსკის ზავის ხელშეკრულება და რა მოხდა იქვე მესხეთის შესახებ?

როგორც ცნობილია, ფრონტის მოშლის შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობამ გადასწყვიტა გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების დაწყება და ცენტრალ სახელმწიფოების (ანუ გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის) წარმომადგენლები ბრესტლიტოვსკში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს შეხვდენ. საზავო მოლაპარაკება დაიწყო 22 დეკემბერს 1917 წ., და ეხებოდა უმთავრესად საერთო პრინციპებს, რომელზეც ზავი უნდა აგებულიყო. ეს მოლაპარაკება შესწყდა და ცხრა იანვარს 1918 წ. განახლდა.

კავკასიური საზღვრების საკითხი ამ პირველ ხანაში არ წამოჭრილა, ხოლო მეორე ხანაში, 18 იანვარს 1918 წ., პოლიტიკური კომისიის სხდომაზე, გერმანიის საზავო დელეგაციის წარმომადგენელი, სტატსსეკრეტარი ფონ-კულოვი შეეკითხა ბოლშევიკური დელეგაციის წარმომადგენელს ლეონ ტროცკის: — არის თუ არა კავკასიის არმია ბოლშევიკური ხელისუფლების ანუ პეტროგრადის მთავრობის განკარგულებაში? ფონ-კულოვმა ისიც დაუმატა, რომ ტროცკის შეუძლია ამაზე პასუხის არ-გაცემაო. მაგრამ ტრაბახა და მკვეხარა „ქიდმა“ ტროცკიმ, რომელიც მაშინ მსოფლიო რევოლუციას სასწრაფოდ მოელოდა, მას განუცხადა, რომ კავკასიის არმია არის სახალხო კომისართა ბრძანებულებაშიო.

ამით გადასწყდა ფორმალურად კავკასიის საკითხი, ვინაიდან: რადგან ტროცკიმ განაცხადა, რომ კავკასიის ჯარი მის განკარგულებაშია, მაშასადამე, კავკასიური ჯარის მიერ დაკავებული ოსმალური ფართო ტერიტორიების დაცლასაც მასვე მოსთხოვდენ.

სწორედ ასეც მოხდა. 9 თებერვლის 1918 წ. სხდომაზე ფონ-კულმანმა განაცხადა, რომ მიუღებელი იქნება ისეთი საზავო ხელშეკრულება, რომელშიაც აღნიშნული არ იქნება გარანტიები, რომლის მიხედვით პეტროგრადის მთავრობა გერმანიის მოკავშირის (ესე იგი: ოსმალეთის) ტერიტორიებს არ დასცლისო. კულმანმა დასძინა: ტროცკის მიერ წინად ნათქვამი: რომ პეტროგრადის მთავრობის განკარგულებაში იმყოფებიან ჯარები, რომელთაც ოსმალური ტერიტორიები აქვთ დაკავებული, ეკვს არ იწვევსო. ტროცკიმ უპასუხა: — ჩვენ ისე დავსცლით ანატოლიის ადგილებს და სომხეთს, როგორც სპარსეთსო.

აი ამ სიყალბით და სიცრუით ჩაეყარა საფუძველი ფორმალურ ლაპარაკასა და დავას კავკასიის საქმეების შესახებ, — ამ სიყალბითა და ტყუილით. ვინაიდან 1918 წლის იანვარ - თებერვალში და მაშინ არც ერთ დროს, საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში და კავკასიის ფრონტზე არ არსებულა. ამ ტყუილით გერმანიისა და ოსმალეთის დელეგაციას მიეცა ფორმალური საბუთი : მოეთხოვათ ტროცკისაგან არამც თუ რუსეთის მიერ დაკავებული ადგილების დაცლა ოსმალეთში, არამედ მეტიც; ის მეტიც, რომელმაც კავკასიაში დიდი უბედურება გამოიწვია, ესაა — ბრესტლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლი, რომელიც კავკასიას ეხება.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების მეორე ხანა უშედეგოდ დასრულდა; გერმანელებმა ომი განაახლეს ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ და თან წარუდგინეს ულტიმატუმი 21 თებერვალს 1918 წ., რომლის მეხუთე მუხლის მიხედვით, რუსეთს სასწრაფოდ უნდა დაებრუნებინა ოსმალეთისათვის „ანატოლიის პროვინციები“; თუ რა იყო ეს „ანატოლიის პროვინციები“, რუსეთის დელეგაციამ კარგად გაიგო, როცა ეს ულტიმატუმი მიღებულ იქმნა და საზავო მოლაპარაკება მესამეჯერ განახლდა. ახლა უკვე ხიშტების მფარველობის ქვეშ. ვინაიდან ომი ზავის დასრულებამდე არა სწყდებოდა და ზავზე ხელი სამი დღის განმავლობაში უნდა მოეწერათ.

და აი, 1 მარტს 1918 წ. გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელმა, ელჩმა როზენბერგმა წაიკითხა ის საზავო ტექსტი, რომელიც რუსეთს უნდა მიეღო და ულტიმატუ-

მში ზემოხსენებულ მეხუთე მუხლის შესახებ შემდეგი განმარტება გააკეთა: —

რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებს შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ მეხუთე მუხლში ჩვენ ვლაპარაკობდით არა იმ ოსმალურ ოლქებზე, რომელნიც რუსულ ჯარებს ჰქონდათ დაკავებული, არამედ სახელდობრ აღმოსავლეთ - ანატოლიის პროვინციებზე. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ანგარიში გავუწიეთ არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქთა მცხოვრებლების სურვილს. იმ ოლქებისა, რომელიც 1878 წ. ოსმალეთმა რუსეთს იძულებით დაუთმო. ადგილობრივმა მუსულმანურმა მოსახლეობამ ჩვენ მოგვმართა თხოვნით. მივეშველოთ მას და ვიხსნათ იგი იმ ძალადობისაგან, რომელსაც ხმარობენ მასზე რუსული ჯარები; ეს მუსულმანური მოსახლეობა დაჟინებით სთხოვს ოსმალეთისა და ბერლინის მთავრობას: მიეცეს მას საშუალება ხელახლა ოსმალეთს შეუერთდეს. მაგრამ ჩვენ ამას დაჟინებით არ მოვითხოვთ, რომ არ დაგვაბრალონ ანექსიური მისწრაფებები: ამგვარად, მეოთხე მუხლის მეორე ქვემუხლი განისაზღვრება ჩვენ მოთხოვნათა მინიმუმით, ესე იგი: არდაგანისა, ყარსის და ბათუმის ოლქები დაუყონებლივ უნდა დაცლილ იქმნენ რუსული ჯარებისაგან: რუსეთი არ ჩაერევა აღნიშნული ოლქების შინაურ ცხოვრებაში და საერთაშორისო მდგომარეობაში და მისცემს უფლებას მოაწყონ მათ თავისუფალი სახელმწიფოებრივი მშენებლობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთან. შეთანხმების გზით. პირველ პირობას მიზნად აქვს შეძლებისგვარად უზრუნველყოფილ იქმნეს მოსახლეობა შემდგომი ძალადობისაგან; მეორე პირობა კი, რუსეთის მთავრობის მიერ განცხადებული პრინციპის თანახმად, ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ, მიზნად ისახავს აღნიშნული ოლქების მცხოვრებლებს მიეცეს საშუალება გამოსთქვან აზრი თავისი მომავალი ბედის შესახებ...

ამგვარად იქმნა დასაბუთებული გერმანული დელეგაციის წარმომადგენლის მიერ ბათუმ-ყარს-არდაგანის საკითხი, ხოლო 3 მარტის 1918 წ. სხდომაზე რუსული დელეგაციის წარმომადგენელმა .სოკოლნიკოვმა ფორმალურად უარჰყო გერმანული დასაბუთება და განაცხადა:

გერმანიის მთავრობის მიერ 21 თებერვლის ულტიმატუმში წარმოდგენილი პირობები ახლა დარღვეულია: გერმანიის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქების მცხოვრებთა ნამდვილ ნებისყოფას და გერმანია გვართმევს ამ ოლქებს ოსმალეთის სასარგებლოდ, რომელიც ოსმალებს არც კი დაუპყრიათ. ოსმალეთის ხელში ყარსის გადასვლა ნიშნავს თბილისის დაცვის შესუსტებას და ბათუმის დაკარგვა კი სწყვეტს ნორმალურ ურთიერთობას თბილისთან და ბათუმი გახდება სამხედრო ოპერაციების ბაზად კავკასიის წინააღმდეგ. რიონისა და მტკვარის ხეობებზე თავდასასხმელადო და სხვა.

თავისთავად იგულისხმება, რომ აღძრულ საკითხზე რასკოლნიკოვს პასუხი გასცა ოსმალეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ხაკკი - ფაშამ. იგი იხსენებს, რომ ყარს - არდაგან - ბათუმის ოლქები ოსმალეთს ეკუთვნოდა ოთხი საუკუნის განმავლობაში; ყარსი არასოდეს არ ემუქრებოდა რუსეთს. იგი იყო თავდაცვითი სიმაგრე რუსეთის წინააღმდეგ; რუსეთმა მას ანექსია მოუხდინა; ოთხი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთს არ უსარგებლებია ბათუმით კავკასიაზე თავდასასხმელად რაც შესანიშნავია, ეს ის, რომ ისეთი დიდი იმპერია, რომელსაც ხელთ ჰქონდა პორტი ბათუმი, არასოდეს თავს არ დასხმია პატარა სახელმწიფო საქართველოს. რუსეთს აქვს კავკასიაში საკმაო პორტები, მაგალითად, ფოთი, რომელიც მოხერხებულია თბილისთან ვაჭრული ურთიერთობისათვის. ბათუმი დავუთმეთ რუსეთს 1877 — 1878 წ. ბერლინის ტრაქტატით, როგორც სამხედრო კონტრიბუციის ნაწილი, რომელსაც დღევანდელი პრინციპები, საზავო კონფერენციის მიერ აღიარებული, აღარ სცნობს. ჩვენ ამ ოლქებს ანექსიას არ ვუხდენთ. რაც შეეხება არდაგან - ყარს - ბათუმის მოსახლეობის ინტერესებს, მე ვკითხულობ: რომელ სახელმწიფოს აქვს მეტი უფლება ამ მხარეზე. ვინემ ოსმალეთს, რომელსაც ოთხი საუკუნის განმავლობაში ეპყრა იგი და თავის წინააღმდეგ არავითარი რევოლუციური მოძრაობა არ გამოუწვევია? ამას გარდა, ბევრი რამ აკავშირებს ოსმალეთს ამ ოლქებთან, მაგალითად, საერთო ეროვნობა. რუსეთმა ძალით მოუხდინა ანექსია ამ სამ ოლქს ვალში. რომლის გადახდა ჩვენ არა გვსურს. ამ ოლქების მცხოვრებთათვის რუსეთის ხალხი უცხოა ყოველი მხრივ: თუ მათ უნდა მოახდინონ შეთანხმება. მგონია, მხოლოდ ოსმალეთთან.

კამათში ერევა გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელი როზენბერგი და საკითხს ასე განმარტავს: — მეოთხე მუხლის პირობები არ ლაპარაკობს ოსმალურ პროტექტორატზე, არ ლაპარაკობს არც ამ აღნიშნული ოლქების ოსმალეთისათვის შეერთებაზე, — იქაა ლაპარაკი მოსახლეობის უფლებაზე დამოუკიდებლად გადასწყვიტოს საკითხები სახელმწიფოებრივ - უფლებრივ და საერთაშორისო - უფლებრივ დამოკიდებულებით. რაც შეეხება იმ შიშს თბილისისა და სამხრეთ კავკასიის შესახებ, რომელიც გამოთქვა რუსული დელეგაციის თავჯდომარემ, ეს შიში უსაფუძვლო მგონია, რადგან ჩვენი წინადადების პირობები ზუსტად მიუთითებს, რომ ახალი წესრიგი დამყარდება აღნიშნული ოლქების მოსახლეობასთან შეთანხმებით, და მაშასადამე, მოსახლეობას საშუალება ექნება თავისუფალი ნებისყოფის გამოჩინებისათ

აი მთელი ის კამათი, რომელიც კავკასიას შეეხებოდა. და ვინაიდან საზავო ხელშეკრულებაზე ულტიმატუმის ძალით ბოლშევიკურ რუსეთს ხელი უნდა მოეწერა სამი დღის განმავლობაში, დაიბადა 3 მარტს 1918 წელს ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება.

უკვე ორ მარტს 1918 წ. კარახანი იტყობინებოდა. რომ რუსეთს ჩამოეჭრა ყარსის, არდაგანის და ბათუმის მხარეენი თვითგამორკვევის უფლებითურთო.

რასაკვირველია, თბილისში ამაზე პასუხი არ დააყოვნეს და იმავე დღეს, 2 მარტს 1918 წ. ევგენი გეგეჭკორმა და ნ. ჩხეიძემ პროტესტი განაცხადეს ბრესტლიტოვსკის ზავის გამო. უარჰყვეს იგი და ეს პროტესტი ყველა სახელმწიფოს შეატყობინეს.

როგორც სჩანს ბრესტლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებათა ანგარიშებიდან. თავიდანვე არ იდგა კავკასიის საზღვრების საკითხი და იგი წამოიჭრა მხოლოდ 18 იანვარს 1918 წ. ოსმალეთის მოთხოვნილებით. ამ მოთხოვნილებას გერმანიამ. როგორც მოკავშირემ, მხარი დაუჭირა და დაეთანხმა.

კავკასიის სახელმწიფოების საკითხი მაშინ არ არსებობდა; ბოლშევიკური რუსეთი კავკასიას თავისად სთვლიდა პასუხიც მას მოსთხოვეს, თუმცა იმავე დროს, როგორც მოვიხსენიეთ, ოსმალეთმა მიიწვია ამიერკავკასიის კომისარიატი ბრესტლიტოვსკში საზავო მოლაპარაკებაზე, რაც უკანასკნელისაგან მიღებული არ იქმნა. ასე რომ გერმანიის მიერ ოსმალეთისათვის მხარის მიცემა გასაკვირი არ იყო. არამედ ბუნებრივიც. ასეთი გაგება სჩანს თვით ლუდენდორფის მოგონებიდანაც, სადაც ამ საკითხის შესახებ იგი ამბობს: — „ თურქებმა მოითხოვეს ბათუმი და ყარსი; ორივე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ეკუთვნოდა ოსმალურ სახელმწიფოს. ჩვენთვის (ოსმალოთა) ეკუთვნილება უმნიშვნელო იყო. მათი განხორციელება შეეფერებოდა ჩვენ საკავშირო ურთიერთობასაც “ -ო.

ამნაირად: ამიერკავკასიის ერების დაუკითხავად, ამერთა სურვილისა და დასტურის გარეშე დაიდო ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება ( 3 მარტს 1918 წ.). რომლის მეოთხე მუხლის ძალით ყარსის, არდაგანის და ბათუმის მხარენი რუსეთს დაუყონებლივ უნდა დაეცალა და ამ მხარეთა ბედი თვითგამორკვევის გზით უნდა გარკვეულიყო.

ამ დადგენილებით აღჭურვილი და თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული ოსმალეთი მოადგა ამიერკავკასიის მთავრობას და 10 მარტს 1918 წ. ვეჰიბ-ფაშამ მოითხოვა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის მხარეთა დაცლა-მიტოვება.

## 6. ბრძოლა მესხეთის გამო ტრაპიზონში და ომი ოსმალეთთან

ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავჯდომარეობით უკვე ტრაპიზონში იმყოფებოდა და 10 მარტსვე 1918 წ. ევგ. გეგეჭკორი მას აცნობებს, რომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება, რაც დადებულია იმ მთავრობის (ბოლშევიკების) მიერ, რომელსაც ჩვენ არა ვსცნობთ, ჩვენთვის სავალდებულო არაა და რომ ამიერკავკასია, როგორც თვითმყოფი ერთეული, მზად არის აწარმოოს საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთანო.

ამიერ-კავკასიის სეიმმა 11 მარტს 1918 წელს იმსჯელა ბრესტის ზავის შესახებ და ერთხმად უარჰყო ოსმალეთის მოთხოვნილებანი, ხოლო 13 მარტს 1918 წ. გაიხსნა ტრაპეზონის საზავო კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ოსმალეთი ისე ამიერკავკასია.

ამიერკავკასიის რესპუბლიკა ყალბ მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ მხრით, რომ მას დღემდე ფორმალურად არ ჰქონდა დამოუკიდებლობა გამოცხადებული, თუმცა ფაქტიურად იგი ასეთი იყო. მაგრამ ოსმალეთი დაინტერესებული იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ ხელმოწერილი ბრესტლიტოვსკის ზავი თვით ამიერკავკასიასაც დაედასტურებინა, და ამიტომ ტრაპეზუნის საზავო კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციის თავჯდომარე რაუფ - ბეიმ მოითხოვა 16 მარტს 1918 წ. ყარს - არდაგან - ბათუმიდან ამიერკავკასიის გასვლა.

ამავე დროს ოსმალოს აგენტები შეესიენ მესხეთს და შეადგინეს მუსულმანური რაზმები, რომელთაც ხელთ იგდეს 19 მარტს 1918 წ. არდაგანი, — დაიწყო საერთო აღრევა და ქრისტიან მცხოვრებთა ლტოლვილება.

ამიერკავკასიის დელეგაციამ რაუფ - ბეის საპასუხოდ განუცხადა, რომ მისთვის ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება ფორმალურად სავალდებულო არ არის და არც არსებითადაა იგი მისაღებიო. მაგრამ გამარჯვებული ოსმალეთი ამ განცხადებას ყურად არ იღებს და იმავე 20 მარტს 1918 წ. ამიერკავკასიის დელეგაციისაგან ხელშეკრულების მიღებას მოითხოვს. .

მეორე დღეს, 21 მარტს 1918 წ. აკ. ჩხენკელი არდგენს საზავო გეგმას, რომლის მიხედვით საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს 1914 წლის საზღვრები. თავის მხრით ოსმალეთის დელეგაცია უპასუხებს, რომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულოა ამიერკავკასიის მთავრობისათვისაცო.

ეს საკითხი განმეორებით იქმნა დასმული თბილისში და 25 მარტს 1918 წ. ამიერკავკასიის სეიმის პრეზიდიუმის, მთავრობის და ფრაქციათა წარმომადგენლების გაერთიანებული კრება ერთხმად ადგენს: — დაცულ იქმნას 1914 წლის საზღვრებიო: იგივე დადასტურებულ იქმნა სეიმის სხდომის გადაწყვეტილებით 25 მარტს 1918 წ. მაგრამ ამავე დროს აკაკი ჩხენკელს მიეცა სრული, არა-ჩვეულებრივი რწმუნება, აწარმოოს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება.

შექმნილ მძიმე პირობებში, ხიშტის წინაშე, ხდება ერთგვარი დახევა და ამ.-კავკასიის დელეგაცია 5 აპრილს 1918 წ. ოსმალეთისას აცყობინებს საზღვრების ახალ ხაზს, რომლის მიხედვით ოსმალეთის ხელში გადავა: ოლთისის მხარე, არდაგანის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ყაღიზმანის დასავლეთის ნაწილი.

ეს მცირე დათმობა ოსმალეთს არ ეჭაშნიკება და 7 აპრილს 1918 წ. რაუფ - ბეი აკ. ჩხენკელს ულტიმატუმს ურდგენს: — 48 საათის განმავლობაში პასუხი გასცეს: — ღებულობს იგი თუ არა ბრესტლიტოვსკის ზავს.

იმავე 7 აპრილს 1918 წ. ჩხენკელი სთხოვს ევგ. გეგეჭკორს: დაუსვას მან საკითხი სეიმს პირდაპირ: — შეუძლია თუ არა მას დაიცვას იარაღით ბათუმი, არდაგანი, ყარსი?

მაგრამ ოსმალეთმა უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯი და მისი ჯარები უკვე შემოიჭრენ ამიერკავკასიის საზღვრებში; ამგვარად, ოსმალეთმა მოისურვა ამიერკავკასიის ფაქტის წინაშე დაყენება.

ამ მოვლენისა და ულტიმატუმის შედეგად, 8 აპრილს 1918 წ. თბილისში მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმის და სეიმის ყველა ფრაქციების თავჯდომარეთა სხდომამ დაადგინა ოსმალეთს დაეთმოს ის საზღვრები, რაც აღნიშნულია თვით აკ. ჩხენკელის დეპეშაში, ესე იგი: ყარსის ოლქი ყარსითურთ და ართვინის მხარე თვით ართვინის მაზრის გამოკლებით, ხოლო სომხები სთხოვენ აკ. ჩხენკელს: როგორმე შესძლოთ ქალაქ ყარსის დატოვება ამიერკავკასიის ფარგლებშიო.

მაგრამ იმავე 8 აპრილს 1918 წ. ოსმალებმა მიიღეს ბრძანება ჯარები წასწიონ ამიერკავკასიის საზღვრებს შიგნით, და ამიტომ აკ. ჩხენკელი ევგ. გეგეჭკორისაგან მოითხოვს: მთარობამ ბრესტლიტოვსკის ზავი მიიღოსო.

შემოსეულ ოსმალურ ჯარებს წინდახვდა არა-რეგულიარული სომხური და ქართული რაზმები და ომი დაიწყო; ამავე დროს დიპლომატიური მოლაპარაკება გრძელდება და 10 აპრილს 1918 წ. აკ. ჩხენკელიატყობინებს ოსმალეთის დელეგაციას, რომ იგი ალიარებს და სცნობს ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებას. ხოლო საზავო დელეგაციის წევრი სომხები: ა. ხატისოვი და კაჩაზნუნი, ატყობინებენ ტრაპეზონიდან მთავრობის თავჯდომარე ევგ. გეგეჭკორს, რომ შექმნილ პირობებში ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მიღება ერთად-ერთი გამოსავალია და ნაკლები უბედურებაო; ამიტომ აკ. ჩხენკელი თავის მხრით 12 აპრილს 1918 წ. სთხოვს ევ. გეგეჭკორს: შეაჩეროს სამხედრო მოქმედება ოსმალეთის წინაალმდეგ; ამავე დღეს, 12 აპრილს 1918 წ., ოსმალეთის მთავარსარდალი ულტიმატუმს ურდგენს ბათუმის კომენდანტს და მოითხოვს დაუყონებლივ დასცალოს ბათუმი.

ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში, 13 აპრილს 1918 წ., თბილისში მოხდა ამიერკავკასიის მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმის და სეიმის ფრაქციათა წარმომადგენლების გაერთიანებული კრება, რომელზეც ერთხმად იქმნა მიღებული ირაკლი წერეთელის რეზოლუცია: — გამოწვეულ იქმნას ტრაპეზონიდან საზავო დელეგაცია.

იმავე დღეს იგივე დადგენილება მიიღო სეიმმაც, მაგრამ იქ გარკვევით აღმოჩნდა, რომ სეიმის მაჰმადიანური ნაწილი ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველად მაჰმადიანები ჯარში არ გაჰყავდათ, ასერომ პრაქტიკულად მაჰმადიანი ჯარისკაცები არც არსებობდენ; მაგრამ ამასთან თვით აზერბაიჯანული უძლიერესი პოლიტიკური პარტია „მუსავატი" („თანასწორობა") ოსმალური ორიენტაციის მომხრე იყო და გასაკვირველი არ იყო ის მოვლენა, რომ სეიმის იმავე სხდომაზე, აზარბაიჯანელმა რუსტამბეკოვმა, როგორც „მუსავატის" ფრაქციის, მაჰმადიანთა უპარტიო ჯგუფის, რუსეთის მუსულმანური პარტიის (იტტიხადის) ანუ მთელი მაჰმადიანური ნაწილის სახელით, 13 აპრილს 1918 წ., განაცხადა, რომ ოსმალეთთან ომი შეგვეძლოა მოვიგოთ მხოლოდ სრული სოლიდარობით და ერთიანობით. „მაგრამ", ამბობდა იგი, „ამ ერთიანობის მიღწევაში ჩვენ ეჭვი გვეპარება, თუ დაიწყება სამხედრო მოქმედება. ამ ომში აქტიური მონაწილეობის მიღება ჩვენ არ შეგვიძლია, და ამიტომ აქტიური პასუხისმგებლობა ჩვენ არ გვეკისრება"-ო.

ამგვარად, როგორც პრაქტიკულად, ისე ფორმალურად აზერბაიჯანი უარს აცხადებდა ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებაზე და რუსტამბეკოვის განცხადების მიხედვით „ნეიტრალიტეტს" იცავდა, თუმცა სეიმს სიტყვიერად აღუთქვამდა: რაც შეიძლება დაგეხმარებითო!

მაშასადამე: სანამ ოსმალეთთან ზავზე მოლაპარაკების საკითხი იდგა აზერბაიჯანი მონაწილეობას ღებულობდა, ბოლო ომის საკითხში უარს ამბობდა; მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზავის საკითხშიც აზერბაიჯანი ოსმალეთის თვალსაზრისზე იდგა.

ცხადია: თავიდანვე ამ ომისა და ზავის საკითხზე მოხდა ამიერკავკასიის ხალხთა დანაწილება და ერთი - მეორესაგან დაშორება; და ამგვარად, სეიმის რეზოლუცია საზავო დელეგაციის უკანგამოწვევის შესახებ, რომელიც ომის გაგრძელებას ნიშნავდა, მოკლებული იყო მაჰმადიანების მხრიდან პრაქტიკული განხორციელების საშუალე-

ბას, და ბრძოლის ველზე რჩებოდენ მხოლოდ და მარტოდ სომხები და ქართველები.

ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება შესწყდა და დაიწყო ომი ოფიციალურადაც. იმავე დღეს მთავრობამ მოუწოდა ხალხს იარაღისაკენ.

არა - ოფიციალურად უკვე 9 აპრილიდან 1918 წ. დაწყებული ომი, 13 აპრილს უკვე ოფიციალური ხდება და სამხედრო მოქმედება ოსმალურ ჯარსა და ქართულ - სომხურ ნაწილებს შორის გრძელდება 22 აპრილამდე 1918 წ. მოუწყობელი ქართულ - სომხური მოხალისე რაზმები ოსმალურ რეგულიარულ ჯარებს ვერ უძლებენ; 15 აპრილს 1918 წ. ოსმალებმა დაიკავეს ბათუმი ; უკვე 7 აპრილს ოზურგეთი და ბოლოს გაიმართა ბრძოლა ჩოლოკზე, სადაც ოსმალები სასტიკად დამარცხდენ.

მაგრამ მაინცდამაინც ოსმალეთის იარაღს ხვდა „ბრწყინვალე" გამარჯვება და მათ მიერ დაკავებულ იქმნა ამიერკავკასიის დიდი ნაწილი, კერძოდ მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე.

ასეთ ვითარებაში ომის გაგრძელება უკვე შეუძლებელი გახდა და ამიერკავკასიის მთავრობამ გამოაცხადა რა 22 აპრილს 1918 წ. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, იმავე დღესვე დაადგინა: ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება.

დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე აკაკი ჩხენკელი ვეხიბ-ფაშას სთხოვს 23 აპრილს 1918 წ. სამხედრო მოქმედების შეჩერებას, რაც იმავე დღეს სრულდება; მაგრამ ოსმალები მას მაინც არღვევენ, შედიან ყარსში და მიიწევენ გუმბრისაკენ ანუ ალექსანდროპოლისაკენ. აკ. ჩხენკელი პროტესტს აცხადებს ოსმალთა ასეთი საქციელის გამო, მაგრამ ოსმალეთი მას ყურადღებას არ აქცევს; ხოლო ვეხიბ-ფაშა ატყობინებს მას რომ, ოსმალეთის მთავრობამ აღიარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და საზავო მოლაპარაკება დანიშნულია ბათუმშიო; 3 მაის 1918 წ. კი იგივე ვეხიბ-ფაშა აცნობებს აკ. ჩხენკელს, რომ ოსმალების ჯარები გავლენ ოზურგეთიდან და დასდგებიან 1877 წლის საზღვრებზეო. ეს იმისი ნიშანი იყო, რომ ოსმალებს დაებადათ განზრახვა: ბრესტლიტოვსკის ზავი განზე დაეტოვებინათ და ახალი საზღვრების დადგენა მოეთხოვათ, ამჟამად უკვე 1877 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრების მიხედვით; ამიტომაც ბათუმის საზავო კონფერენციის გახსნაც არ დაყოვნებულა და 11 მაისს 1918 წ. დაიწყო საზავო მოლაპარაკება.

ოსმალეთის იუსტიციის მინისტრი და ოსმალური საზავო დელეგაციის თავჯდომარე ხალილ - ბეი კონფერენციის გახსნისათანავე მოითხოვდა ამიერკავკასიის რკინისგზებით ოსმალეთის ჯარების გაშვებას ბაქო - სპარსეთისაკენ; 15 მაისს 1918 წ. ამიერკავკასიის მთავრობისა და დელეგაციის თავჯდომარე აკ. ჩხენკელი ამის გამო პროტესტს აცხადებდა. მაგრამ იმდღესვე, 15 მაისს 1918 წ., ოსმალები ალექსანდროპოლისაკენ გაეშურენ; ამიერკავკ. დელეგაციამ პროტესტით მიმართა გერმანიის წარმომადგენელს, ოსმალეთის მოკავშირეს, ოსმალთა სამხედრო მოქმედების შესახებ; და იმავე დღეს, 15 მაისს 1918 წ., ხალილ - ბეიმ მოითხოვა აკ. ჩხენკელისაგან: — მიიღოს მან ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება და ამას გარდა დადგენილ იქმნეს ახალი საზღვრებიო.

მდგომარეობა გართულდა კიდევ იმით, რომ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი გერმანიის მთავრობასთან პროტესტს აცხადებს ამიერკავკასიის მთავრობის არსებობის წინააღმდეგ, მოითხოვს ბათუმის საზავო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას და თან დასძენს, რომ ასეთი მონაწილეობა ამიერკავკასიის მთავრობის ცნობას არ მოასწავებსო.

ამიერკავკასიის დელეგაციამ, რასაკვირველია, უარჰყო ხალილ-ბეის მემორანდუმი და თავის მხრით მოითხოვა: საზავო მოლაპარაკება სწორედ ბრესტლიტოვსკის ზავის ფარგლებში უნდა მიმდინარეობდესო.

ამავე დროს გერმანიის წარმომადგენელი ფონ - ლოსოვი უკვე ღებულობს მონაწილეობას დავაში და 16 მაისს 1918 წ. ატყობინებს აკ. ჩხენკელს, რომ მან მიიღო ზომები ოსმალთა ჯარის წინსვლის შესაჩერებლად და თავისი აზრიც აცნობა ოსმალეთის დელეგაციასო. მაგრამ ოსმალებმა ფონ - ლოსოვის ეს ნაბიჯი ალბათ უბრალო დიპლომატიურ მოვლენად ჩასთვალეს და ალექსანდროპოლზე თავდასხმა გააჩაღეს, რის შესახებ აკ. ჩხენკელი კიდევ პროტესტს აცხადებს, რაზეც იმავე დღეს ხალილ-ბეი უპასუხებს, რომ ოსმალური ჯარები მხოლოდ სტრატეგიულ მოძრაობას აწარმოებენო.

იმავე დღეს, 17 მაის 1918 წ. ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია კვლავ უმეორებს ოსმალეთის დელეგაციას, რომ საზავო ხელშეკრულება უნდა დაიდოს ბრესტლიტოვსკის ზავის ფარგლებშიო, მაგრამ ამის საპასუხოდ ოსმალებმა 18 მაისს 1918 წ. დაიკავეს ალექსანდროპოლი და მოითხოვეს გზა ჯულფისაკენ ულტიმატუმით და პასუხის მიცემის ერთი საათის ვადით.

ასეთი ძალადობის წინ იმავე დღეს, 18 მაისს 1918 წ., აკ. ჩხენკელი ატყობინებს ხალილ-ბეის, რომ იგი არ არის წინააღმდეგი ოსმალებმა გადაიყვანონ ჯარები სპარსეთისაკენ, მაგრამ საჭიროა გარანტიები მცხოვრებთა დასაცავადო. იმავე დღეს ოსმალეთის დელეგაცია ამიერკავკასიისას ურდგენს მემორანდუმს, სადაც ნათქვამია, რომ ამიერკავკასიისათვის ამ ჟამად ახალი საზღვრების საკითხი უნდა დაისვასო.

საბჭოთა რუსეთის ჩარევა ამიერ კავკასიის საქმეებში, რასაკვირველია, მიუღებელი იყო და 19 მაისს 1918 წ. აკ. ჩხენკელი მიმართავს გერმანიის იმპერიის დელეგაციის მეთაურს გენერალ-მაიორ ფონ-ლოსოვს და ამ მიმართვით ჩიჩერინის ნოტას უკუაგდებს. ამ დროს გერმანია უკვე აქტიურად ერევა ამიერ კავკასიის და ოსმალეთის შორის დავაში, და 19 მაისს 1918 წ. ფონ-ლოსოვი სწერს ამიერ კავკასიის დელეგაციას: — ვინაიდან თქვენსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება წინ არ მიიწევს, წინადადებას ვიძლევი, მოიხმაროთ ჩემი შუამდგომლობაო, რაც იმავე დღეს სიხარულით იქმნა მიღებული.

ამ მოლაპარაკებათა და მიწერმოწერის დროს ოსმალებს ჯარების მსვლელობა, რასაკვირველია, არ შეუჩერებიათ და 20 მაისს კარაკლისის ფრონტისაკენ გაიწიეს და ნაზარბეკოვის ცნობით, ისინი მიიწევენ ლორესაკენ და თბილისის დასაკავებლადო.

25 მაისს 1918 წელს თბილისის თვითმართველობა აცნობებს ხალხს, რომ ოსმალთა ჯარები მოდიან ქალაქისაკენ და საჭიროა თბილისის დაცვაცო; აკ. ჩხენკელი კი კვლავ პროტესტს უგზავნის ოსმალეთის დელეგაციის ჯარების წამოწევის წინააღმდეგ. შეტაკებები ხდება.

ამ უბედურებათა დროს საბჭოთა რუსეთი კვლავ ერევა ამიერკავკასიის ამბებში და 19 მაისს 1918 წ. თარიღით დეპეშით პროტესტს აცხადებს იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის მთავრობა ზღვისაკენ გზას უჭრის აფხაზეთს, რომელიც საბჭოთა რუსეთის ერთგულიაო; ამაზე თვითონ ფონ-ლოსოვი უპასუხებს: სოხუმიდან და ბაქოდან თვით საბჭოთა რუსეთი ემუქრება ამიერკავკასიის ტერიტორიას და შეიკავეთ თავიო. აქ აღსანიშნავია, რომ ამდროს სოხუმში ბოლშევიკური აჯანყება მოეწყო, რომელიც ქართული ძალებით იქმნა ჩაქრობილი; მაშინ ჩიჩერინმა ისევ მოითხოვა საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა და ითხოვა მოლაპარაკება სწარმოებდეს რომელიმე სხვა ქალაქში მოსკოვთან ახლოსო. იმხანად უკვე აღარავის ეცალა მისთვის პასუხი გაეცა.

24 მაისს 1918 წ. ოსმალეთის დელეგაციის თავჯდომარე ხალილ-ბეიმ უარჰყო ფონ-ლოსოვის შუამდგომლობა საზავო მოლაპარაკებაში შუაკაცობის შესახებ და 25 მაისს 1918 წ. თვით ფონ-ლოსოვი ამაზე უარს აცხადებს, ვინაიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკა თვით არის დამოუკიდებელი და თავისი გზაზეო. [sic: lines partly cut at left edge]

26 მაისს 1918 წ. ოსმალეთის დელეგაცია ამიერკავკასიის დელეგაციას ულტიმატუმს ურდგენს და პასუხს მოითხოვს 72 საათის განმავლობაში შემდეგ საკითხებზე: — ახალი საზღვრების დადგენა, ჯარის თავისუფალი გადაყვანა და სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთს არავითარი წინააღმდეგობის არ-გაწევა.

იმავე 26 მაისს 1918 წ. სამ საათზე შესდგა ამიერკავკა-

სიის სეიმის სხდომა, სადაც გამოტანილ იქნა რეზოლუცია ერთხმად: — დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის შესახებ.

რა მოხდა? რამ დაშალა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა?

## 7. ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის მიზეზები

25 მაისს 1918 წ. ფონ-ლოსოვმა უკვე აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაშლის გზაზეა. მაგრამ ფაქტიურად მისი დაშლა დაიწყო უფრო ადრე, მაშინ, როცა ოსმალეთის ჯარები კავკასიას მოადგნენ და კავკასიის მუსულმანური მოსახლეობის მეთაურებს გაეღვიძათ სურვილი ოსმალეთთან შეერთების თუ ოსმალეთის მფარველობის შესახებ.

რუსეთი აღარ იყო; ამიერკავკასიის რესპუბლიკა მათ არ სწამდათ და არც უნდოდათ, და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდნენ ოსმალეთის წინაშე ამიერკავკასია დაეჩოქებინათ და ამგვარად მთელი კავკასია სულთნის იმპერიის გარემოცვაში ჩაეყენებინათ. ამიტომ იყო, აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენელნი, როგორც მთავრობაში, ისე სეიმში უარს აცხადებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაშასადამე, ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაცვაზე; და ამავე დროს ფართო ქადაგებით მაჰმადიანურ მოსახლეობას მესხეთში და სხვაგან აჯანყებდნენ, აწერინებდნენ თხოვნებს ოსმალეთთან დაბრუნების შესახებ, და საზავო მოლაპარაკებათა განმავლობაში ხან ჩუმად, ხან აშკარად მხარს უჭერდნენ ოსმალურ დელეგაციას, რომლის ნამდვილი აგენტები ამიერ - კავკასიურ დელეგაციაში ისინი იყვნენ.

ამნაირად: აზერბაიჯანის მხრივ ოსმალური ორიენტაციის აღებამ საფუძველი გამოაცალა ამიერკავკასიის მთლიანობას და ამით ამიერკავკასიის რესპუბლიკა განწირული აღმოჩნდა, როგორც სახელმწიფო. ეს არ შეეძლო არ დაენახა გერმანელ ფონ-ლოსოვსაც; მით უმეტეს, ამას ცხადათ ხედავდნენ სომხები და ქართველები, რომელნიც განმარტოებულნი დარჩნენ ბრძოლის ველზე ოსმალეთის წინააღმდეგ. ასეთი არაჩვეულებრივი მძიმე და სასტიკი ვითარება შესაფერად დაახასიათა ამ.-/კავკ. სეიმში ირაკლი წერეთელმა, როდესაც მან ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის მიზეზების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„ამიერკავკასიის გამაერთიანებელი ძალები უფრო სუსტი აღმოჩნდნენ, ვინემ დამარღვეველი ძალები... განსაკუთრებით საგარეო ვითარებათა გავლენით — ამიერკავკასიის საზღვრებთან უცხო და მტრული ძალის მოახლოებისა და შემდეგ შემოსევის დროს. ოსმალეთის მოახლოებამ და ამიერკავკასიის ფარგლებში მისმა შემოჭრამ გააძლიერა ოსმალეთისაკენ მიდრეკა, ამიერკავკასიის მთლიანობისაგან ჩამოგლეჯა მრავალრიცხოვან ეროვნებაში, რომელიც სახლობს ამიერკავკასიაში — მუსულმანურ ეროვნებაში... მდგომარეობის საშინელება არა მხოლოდ იმაშია, რომ უფრო ძლიერი მტერი გვიკარნახებს ულტიმატუმით, რომ იგი იჭრება ჩვენს საზღვრებში და ჩვენ გვაყენებს ამიერკავკასიის ამა თუ იმ ოლქის ფაქტიური ოკუპაციის წინაშე; საშინელება იმაშია, რომ როცა სახელმწიფოებრივ ორგანიზმში იჭრება ეს დამარღვეველი ძალები, ამ სახელმწიფოს არა აქვს ორგანიზაციაც კი, რომელიც გამოხატავს მთელ მცხოვრებთა ჭეშმარიტ მისწრაფებებს, რომელსაც, როგორც ასეთს, ანგარიშს უწევდეს მოწინააღმდეგე ძალა... იქ, ბათუმში, არ არის ორი მხარე, ერთი მეორის წინააღმდეგ მდგომი... ჩვენ წინააღმდეგ არის ოსმალთა იმპერიის სახელმწიფო დელეგაცია, გერმანიის იმპერიის დელეგაცია, მაგრამ მას უპირდაპირდება დელეგაცია, რომლის შესახებ იქვე მყოფი სხვა დელეგაციები, რომელნიც ამიერკავკასიის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობასთან უსათუოდ დაკავშირებული არიან, აცხადებენ, რომ ეს დელეგაცია (ამიერკავკასიის მთავრობის ვ. ნ.) არ გამოხატავს მცხოვრებთა უმრავლესობის ნებისყოფასა და განწყობილებასო. სახელმწიფო სახე, რომელსაც დამარცხების შემთხვევაში მაინც კი, შესძლებოდა ლაპარაკი, ჩვენის მხრით, ბათუმში არ არსებობს... რა მოხდა? მოხდა ის, რომ საზავო მოლაპარაკებათა პროცესში ტარდება სასწრაფო ოკუპაცია ამიერკავკასიის ტერიტორიისა, სასწრაფო ოკუპაცია, რომელიც წინააღმდეგობას ხვდება მხოლოდ მცხოვრებთა ერთ ნაწილში, ერთი ხალხის შორის, მაგრამ არამც თუ არ ხვდება წინააღმდეგობას, არამედ აშკარა თანაგრძნობას მცხოვრებთა მეორე, საგრძნობი ნაწილის მხრივ; და ჩვენ ვხედავთ, რომ მოწინააღმდეგე მხარე მშვენივრად სარგებლობს შექმნილი ვითარებით და ამიერკავკასიის რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენლობას აყენებს ამა თუ იმ ოლქის დაკავების ფაქტის წინაშე... ფაქტიურად აღმოსავლეთი ამიერკავკასია (აზერბაიჯანი. ვ. ნ.) ზურგს არ უმაგრებს იმ გადაწყვეტილებებს, რომელთაც ღებულობს მთელი ამიერკავკასიის ოფიციალური წარმომადგენლობა აქ, ან ჩვენი ოფიციალური დელეგაცია ბათუმში... ამიერკავკასიის დიდი ნაწილი (მაჰმადიანური. ვ. ნ.) პირდაპირ თუ არაპირდაპირ არის მათ მორჩილებაში, ვინც ჩვენს დელეგაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებს (ოსმალეთი ვ. ნ.). ამიერკავკასიის დიდი ნაწილი უკვე ჩამოშორდა ამიერკავკასიის რესპუბლიკას; ერთი იარაღის ძალით: აქ მხედველობაში მყავს სომეხთა ერი, რომელმაც გააკეთა ყველაფერი რაც შეიძლო, მაგრამ იძულებული გახდა თავისი ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი მტრისათვის მიეცა, რომელსაც მეტი ძალა ჰქონდა. მეორე ნაწილიც (აზერბაიჯანი. ვ. ნ.) ფაქტიურად წავიდა, რადგან მან გადამწყვეტ წუთში მხარი არ დაგვიჭირა და მისი წარმომადგენლები კი გვერდში ამოუდგნენ მოწინააღმდეგე მხარეს (ოსმალეთს. ვ. ნ.), აშკარად თუ ოფიციალურად"-ო...

და ამიერ კავკასიის რესპუბლიკის სეიმმა ყველა ხმით ორის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: —

"ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდნენ ძირითადი განსხვავებანი იმ ხალხებს შორის, რომელთაც შეჰქმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, და ამიტომ შეუძლებელი გახდა გამოსვლა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლებისა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის დაშლის ფაქტს და თავის რწმუნებულებაზე უარს ამბობს".

ამგვარად: დაირღვა ამიერკავკასიის რესპუბლიკა; დაიშალა იგი ორიენტაციის სხვადასხვაობის ნიადაგზე და კავკასიური პოლიტიკის უქონლობის გამო; დაიღუპა მესხეთის და ყარსის დაცვის ნიადაგზე; და გამოცხადდნენ: დამოუკიდებელი რესპუბლიკები: — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი.

## 8. საქართველოს რესპუბლიკისა და ოსმალეთის იმპერიის ბათუმის საზავო ხელშეკრულება და მესხეთის ბედი

26 მაისს 1918 წ. 4 საათზე და 50 წუთზე გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. მთავრობის თავჯდომარე — ნოე რამიშვილი.

მაგრამ იარაღ-ამოღებული ოსმალეთი, გაშიშვლებული ხმლით თავს დაადგა ახლად-შობილ რესპუბლიკას და 27 მაის 1918 წ. საქართველოს მთავრობამ მიიღო იგივე ულტიმატუმი, რაც ამიერკავკასიის მთავრობას 26 მაისს 1918 წ. წარედგინა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე ნოე რამიშვილი ეკითხება ხალილ-ბეის: ეხება ეს ულტიმატუმი თუ არა საქართველოსო. 31 მაისს 1918 წ. ხალილ ბეი ულტიმატუმს უდასტურებს და 12 საათის ვადაში მასზე პასუხს მოითხოვს.

აქ უკვე აშკარად ასპარეზზე გამოდის გერმანია, რომელმაც საქართველოს აღუთქვა დახმარება და თან ურჩია ოსმალეთთან მალე ზავის დამყარებაც. ამიტომ 31 მაისსავე 1918 წ. ნოე რამიშვილი ხალილ-ბეის პასუხს აძლევს და აცყობინებს: ოსმალეთის ჯარს უფლებას ვაძლევთ ისარგებლოს რკინის გზებით, ხოლო საზღვრები უნდა დადგინდეს ბრესტლიტოვსკის ზავის მიხედვით; რაც შეიხება ახალქალაქ - ახალციხის საკითხს, ამაზე საზავო მოლაპარაკებისას ვიმსჯელოთო.

ეს საზავო მოლაპარაკება დასრულდა ბათუმში 4 ივნისს 1918 წ., სადაც საქართველოს რესპუბლიკასა და ოსმალეთის იმპერიის შორის დაიდო „ზავისა და მეგობრობის" ხელშეკრულება. ამ ბათუმის ხელშეკრულების ძალით ოსმალეთმა მიიღო მთელი სამხრეთ - დასავლეთი საქართველო ანუ სამუსულმანო საქართველო, ანუ მთელი მესხეთი აწყურისა და აბასთუმანის გამოკლებით.

ვინაიდან, ბათუმის ზავის მიუხედავად, ოსმალების ჯარი კიდევ მიიწევდა საქართველოს საზღვრებში და ამიტომ შეტაკებები ხდებოდა, გერმანიის შტაბმა მიიღო ზომები ოსმალთა ეს წინსვლა შეეჩერებინა.

ქართველ ერს საქართველოს მთავრობამ გერმანული ჯარების შემოსვლის შესახებ ოფიციალურად აცნობა 13 ივნისს 1918 წ. და ამ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ გერმანული ჯარები მოწვეული არიან თვით მთავრობის მიერ და მათ მიზნად აქვსთ მთავრობასთან შეთანხმებით და მთავრობის მითითებით დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიო.

მართლაც, გერმანიის ჯარის ნაწილებმა მონაწილეობაც მიიღეს ოსმალების წინააღმდეგ მოქმედებაში და 13 ივნისს 1918 წ. მაგალითად ბორჩალოს მაზრაში ბრძოლამ ოსმალების წინააღმდეგ რამოდენიმე გერმანელიც იმსხვერპლა. ამასთანავე ფონ-ლოსოვმა აუწყა საქართველოს მთავრობას, რომ რკინისგზებზე და პორტებში დაყენებული გერმანული და ქართული ნაწილები ოსმალებს იარაღით არ შეხვდენ, არამედ განუცხადონ, რომ ისინი დაყენებული არიან გერმანიის მთავრობის ბრძანებითო.

ბათუმის ხელშეკრულებით დასრულდა ომი ოსმალეთსა და საქართველოს შორის. ამ ომის წაგების გამო საქართველომ დაჰკარგა მესხეთი და ბრძოლა დატრიალდა ახლა ბრესტლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლის განხორციელების გარშემო.

ბრესტლიტოვსკის ზავის მე-4 მუხლის ძალით ყარს, არდაგანს და ბათუმს უნდა მომხდარიყო თვითგამორკვევა კენჭისყრით; ოსმალეთი თავისი აგენტების საშუალებით, რომელთაც ოსმალეთის მოსვლის დროს მესხეთში აჯანყებები მოაწყვეს, ახლა სდევნიდა ყველა მათ, ვინც საქართველოს ორიენტაციის აღმოჩნდენ.

უკვე 29 ივნისს 1918 წ. ნოე ჟორდანია სთხოვს გერმანიის წარმომადგენელს გრაფ ფონ- დერ - შულენბურგს, მიაქციოს მან ყურადღება ოსმალების უკანონო მოქმედებებს ბათუმში; ოსმალები იჭერენ და ასახლებენ აჭარლებს და საერთოდ იმ მაჰმადიანებს, ვინც ქართველად გრძნობს თავსო.

მაგრამ ოსმალეთის გეგმა მესხეთის ხელში ჩაგდებით არ ამოწურულა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მათი შეტევა ბორჩალოში. ახლა მათ მოიწადინეს აფხაზეთის წაღებაც და ივნისში იქ დესანტი გადასხეს. საქართველოს მთავრობა 28 ივნისს 1918 წ. აცნობებს რა ამას გენერალ ფონ კრესს კრესსენშტაინს, აფხაზეთის ეროვნულ საბჭოსთან ერთად პროტესტს აცხადებს და სთხოვს მას მიიღოს ამისი საწინააღმდეგო ზომები. ამასთანავე ბათუმის ზავის მიხედვით საქართველოს მთავრობა მოითხოვს ოსმალეთმა გაანთავისუფლოს აწყური და აბასთუმანი (ოძრხე).

ბორჩალოსა და აფხაზეთს გარდა ოსმალები შეიჭრნენ საინგილოშიც (ზაქათალა), სადაც ადგილობრივ მოსახლეობის შორის აგიტაციას ეწეოდენ ქართველების წინააღმდეგ. 18 ივლისს 1918წ. საქართველოს მთავრობა ნოტას უგზავნის გენერალ ფონ-კრესს საინგილოს შესახებ, სადაც ნათქვამია: საინგილო ანუ „ზაქათალის ოლქი ისტორიულად და გეოგრაფიულად მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან; მისი ნაწილი დასახლებულია ქართული ტომით — ინგილოებით"-ო.

ამავე ხანაში ოსმალები ამზადებენ რეფერენდუმს ბათუმში და 14ივლისს 1918 წ. კიდეც მოაწყვეს იგი მარტოდ, მაშინ როცა რეფერენდუმის მოწყობაში მეზობელ სახელმწიფოებსაც და მაშასადამე, საქართველოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. რეფერენდუმის ოსმალური წესის შესახებ საქართველოს მთავრობა აცნობებს გერმანიის წარმომადგენელს ფონ-კრესს, რომელიც ადასტურებს, რომ ოსმალთა მიერ შემოღებული წესი რეფერენდუმისა არ არის კანონიერიო. საქართველოს მთავრობა 1 აგვისტოს 1918 წ. ოსმალეთს პროტესტს უცხადებს ბათუმში არა-კანონიერად მოწყობილი რეფერენდუმის გამო, მაგრამ 12 აგვისტოს, ესსადი, ოსმალეთის მეხუთე არმიის უფროსი, პასუხს იძლევა, რომ რეფერენდუმი კანონიერად მოხდა.

ამავე დროს საქართველოს მთავრობამ საკითხი გადაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე და მიმართა ყველა სახელმწიფოებს და ერებს განსაკუთრებული მემორანდუმით, სადაც მოთხრობილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორია და აღნიშნულია საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული შემადგენლობა შემდეგი სახით: —

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია შესდგება : „ამიერკავკასიის ყოფილ სამ გუბერნიისაგან: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის და ორ ოლქისაგან: სოხუმისა და ზაქათალის. ეს ტერიტორია შეიცავს დაახლოებით 80. 000 ოთხკუთხედ კილომეტრს და მასზე სცხოვრობს 3. 100. 000 სული. აქედან ბათუმის გუბერნია, დაახლოვებით 7.000 ოთხკუთხი კილომეტრი 200.000 მცხოვრებით დაჭერილი აქვს სრულიად უკანონოდ ოსმალეთის ჯარს, რომელიც თანახმად პრეზიდენტ ვილსონის პროგრამისა დაუყონებლივ გაყვანილ უნდა იქნას იქიდან.... როცა ოსმალეთი გაიყვანს თავის ჯარებს ყოფილ ყარსის გუბერნიიდანაც, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გაიყოს შუაზე და აქედან დასავლეთი ნახევარი (არტაანისა და ოლთისის ოლქები) უნდა შეუერთდეს ეთნოგრაფიულად და ისტორიულად მონათესავე საქართველოს, ხოლო მეორე, აღმოსავლეთი ნახევარი (ყარსის ა და ყაღიზმანის ოლქები) უნდა შეუერთდეს სომხეთს"-ო.

ამგვარად: საქართველოს მთავრობა, იმის მიუხედავად, რომ თითქმის მთელი მესხეთი ოსმალეთს ეპყრა, მოითხოვდა არამც თუ ბათუმის მხარის შემოერთებას, არამედ არდაგან - ოლთისის მხარის საქართველოს საზღვრებში მოქცევას, ესე იგი, მოითხოვდა სამუსულმანო საქართველოს, მოითხოვდა მთელ მესხეთს. ეს ბრძოლა იყო ახლა მხოლოდ დიპლომატიური, მაგრამ დიდათ მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის; მოითხოვდა მაშინ, როცა ოსმალეთი მესხეთში ბატონობდა; მაგრამ უკვე მოახლოებული იყო ჟამი განწირვისა; ოსმალეთს კბილები ჩაამტვრიეს მცირე აზიაში და სწრაფი ნაბიჯით თვით ოსმალეთის იმპერიაც ნგრევისაკენ მიექანებოდა.

საბოლოოდ დამარცხების წინ, 18 ოქტომბერს 1918 წ. ოსმალებმა გაანთავისუფლეს ბათუმის ზავით საქართველოსათვის დატოვებული აწყური და აბასთუმანი, ხოლო სტამბოლში ხიკმეტ-ბეი საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელს ზურაბ ავალიშვილს ეუბნებოდა, რომ ოსმალეთი დასტოვებს ყველა იმ ადგილს, რაც ბრესტლიტოვსკის ზავში არაა აღნიშნულიო; ხოლო იზზეტ-ფაშა ამბობდა: — თუ ოსმალეთი იძულებული იქნება დასტოვოს სამი სანჯაყი (ბათუმი, არდაგანი, ყარსი), მაშინ იგი მზადაა ამ ტერიტორიის ქართული ნაწილი დაუთმოს საქართველოსო...

ცნობილია, რუსეთს ჰქონდა გერმანიასთან ბრესტლიტოვსკის „დამატებითი ხელშეკრულება" 17 აგვისტოსი 1918 წ. ამ დამატებითი ხელშეკრულების ძალით გერმანიამ რუსეთის თანხმობით, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მე-13 მუხლი ამ მოვლენას ასე გამოხატავს: — „რუსეთი თანხმობას აცხადებს, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არსება", და ამავე ხელშეკრულების მიხედვით ბაქო უნდა დარჩენილიყო რუსეთის ხელში (მუხლი 14). გერმანიის მთავრობის ოფიციალური განმარტება ამ საკითხის შესახებ ამბობს შემდეგს: — კავკასიის სხვა სახელმწიფოთა შესახებ ვერ მივაღწიეთ ისეთი შედეგი, როგორც საქართველოსათვის, რადგან საბჭოთა რუსეთი ბაქოსა და მისი ნავთის შენარჩუნებას დიდ ფასსა სდებდა. ამგვარად ბაქო რუსეთს დარჩა და როდესაც, 15 სექტემბერს 1918 წ. ოსმალურმა ჯარებმა ბაქო დაიკავეს, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 20 სექტემბერს 1918 წ. ამის გამო პროტესტი

განაცხადა და ფორმალურად კიდეც გააუქმა ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება, რამდენადაც იგი რუსეთ - ოსმალეთის ურთიერთობას ეხებოდა.

შემდეგ, გერმანიაში მომხდარი რევოლუციის შედეგად, უკვე 13 ნოემბერს 1918 წ. საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ძთლიანად ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება.

ამ ხანის განმავლობაში, ბათუმის 4 ივნისის 1918 წ. საზავო ხელშეკრულებას ძალა არ მისცემია, არავის დაუმტკიცებია, რადგან მიღებულ იქმნა ზომები ეს მძიმე და საქართველოსათვის აუტანელი ხელშეკრულება თუ არ მოსპობილიყო, შეცვლილიყო მაინც. ამიტომ, აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ორი დღის შემდეგ, ესე იგი, 6 ივნისს 1918 წ. ქართულმა მისიამ ბერლინში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბათუმის ზავზე ხელისმოწერა მოხდა ოსმალური ხიშტების ძალდატანებით და მოთხოვნილი იყო, რომ ბათუმის საზავო ხელშეკრულება გადასინჯული ყოფილიყო ცენტრალ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ კონფერენციაზე. გერმანიის მთავრობის თავჯდომარე ფონ-კლუმანმა გაიზიარა ქართული მისიის წინადადება და აცნობა მას, რომ იგი დაუყონებლივ მიიღებს ზომებს, რათა ასეთი კონფერენცია მოწვეულ იქმნესო. ოსმალეთი დაეთანხმა გერმანიას კონფერენციის მოწვევაზე, მაშასადამე, ბათუმის ხელშეკრულების გადასინჯვაზე. ამგვარად, აღნიშნული ბათუმის ხელშეკრულება აღარ დამტკიცებულა და თვით კონფერენცია კი აღარ მოესწრო ცენტრალ სახელმწიფოთა დამარცხების გამო.

მსოფლიო ომში განადგურებულ და განიავებულმა ოსმალეთმა ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენელ გენერალ კალთორპთან მუდროსის დროებითი საზავო ხელშეკრულება დასდო 30 ოქტომბერს 1918 წ.

უკვე დაზავებამდე ოსმალეთმა დაიწყო ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანა; ხოლო მუდროსის დაზავების მე-11 მუხლის ძალით, სადაც ეს ფაქტიც არის აღნიშნული, ოსმალეთს უნდა გაეყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიის იმ ადგილებიდანაც, რომელიც ჯერ ოსმალების მიერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული, თუ ამას ანტანტა მოითხოვდა. მუდროსის დაზავების მე-15 მუხლის ძალით: ამიერკავკასიის რკინისგზები, რომელზეც კი ოსმალებს კონტროლი ჰქონდათ, გადადიოდა ანტანტის კონტროლში. აქვე იყო აღნიშნული აგრეთვე ბათუმის ოკუპაციის შესახებაც და ნათქვამია აგრეთვე, რომ ოსმალეთი ხელს არ შეუშლის ანტანტას ბაქოს დაკავების საქმეშიო.

ამნაირად: გაუქმებული იქმნა ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება, რომელიც მოისპო საბოლოოდ ვერსალის საზავო ხელშეკრულებით (მუხლი 116) 1919 წლის 19 ივნისს

დამარცხებულმა ოსმალეთმა საქართველოს მთავრობას ადრევე აცნობა, რომ იგი სტოვებს მის მიერ დაკავებულ ადგილებსო. ამდენი უბედურებითა და სისხლით მორწყული მესხეთიდან ოსმალები გადიან. ასე დასრულდა იმხანად ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკა: დასრულდა სრული დამარცხებით.

## 9. ოსმალეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკა და მისი მარცხი

ამ მცირე დროის, მაგრამ მრავალ და მდიდარ მოვლენათა ასპარეზზე, გამოაშკარავდა ოსმალეთის ზრახვები და მისი პოლიტიკის საერთო გეზი. გამარჯვებულ ოსმალეთს მადა გაეხსნა და ძველ ხონთქართა პოლიტიკას ისევ ფრთები შეასხა: მან როგორც წარსულ საუკუნეთა განმავლობაში, ახლაც მოისურვა მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება. ამისათვის მან ბრესტლიტოვსკში მიღებული ყარს-არდაგან-ბათუმი საბაბად გამოიყენა და ამნაირად კავკასიაში ფეხისშემოდგმით მისი დაპყრობა მოიწადინა.

მაგრამ ვიფიქროთ ასე: ამიერკავკასიის მთავრობა რომ თავიდანვე დათმობის გზაზე დამდგარიყო, და ოსმალეთს ბრესტლიტოვსკის ზავზე უყოყმანოდ დასთანხმებოდა, — შეჩერდებოდა ოსმალეთი ამ ფარგლებში და არ გადასცდებოდა იგი ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქებს? — ამ საკითხზე უეჭველი პასუხის გაცემა შეიძლება.

კავკასიის ფრონტზე დამარცხებულმა ოსმალეთმა, როცა რუსეთის რევოლუცია მოხდა, რუსული ჯარი დაიშალა და ფრონტი გაშიშვლდა, სწრაფი ნაბიჯით დაიბრუნა თავისი დაკარგული ტერიტორია და 1914 წლის კავკასიის საზღვრებს მოადგა. აქ ოსმალეთის წინაშე დადგა საკითხი: — დახმარება გაეწია ფაქტიურად შექმნილ ამიერ კავკასიის მთავრობისათვის, ხელი შეეწყო ამიერ კავკასიის რესპუბლიკის შექმნასა და დამკვიდრება - განმტკიცებისათვის, — თუ ესარგებლა შემთხვევით და ეცადა ძველებურად კავკასიის დაკავება, ყოველ შემთხვევაში ეცადა მისი სამუსულმანო ქვეყნები წარელო?

ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა, როდესაც მოვლენებს უკან თვალსვავლებთ, აღმოჩნდა ბეცი, არა-შორმჭვრეტი; მან მოიწადინა კავკასიის ხელში ჩაგდება, და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც ამას, რადგან ოსმალეთის ხელში იმყოფებოდა: მთელი აზერბაიჯანი, სომხეთის რესპუბლიკის ნახევარზე მეტი, და საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი ადგილები: ბათუმის ოლქი, ყარსის ოლქის ქართული მხარე, ახალქალაქის მაზრა, ახალციხის და ბორჩალოს მაზრების დიდი ნაწილები; და განსაკუთრებული იერიში მიიტანა კავკასიის საქრისტიანო ნაწილზე, ვინაიდან ეს იყო ერთად-ერთი ხელისშემშლელი ოსმალეთის პანთურანული პოლიტიკისათვის.

ოსმალეთის იმპერიის პანთურანული პოლიტიკა იყო ფართო; კავკასიის გარდა იგი სწვდებოდა სპარსეთს, თურქესტანს, ავღანისტანს და საერთოდ ცენტრალ აზიას და ამ გზაზე კი სწორედ კავკასია წარმოადგენდა ერთ იმ რგოლს, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ამ პანთურანულ პოლიტიკაში იმყოფებოდა.

ცნობილია, ენვერ-ფაშას ძმამ, ნური-ფაშამ მოაწყო კავკასიაში განსაკუთრებული ჯარი, ეგრედ-წოდებული „ისლამის არმია". რომლის მთავარი შტაბი იმყოფებოდა განჯაში და რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ყველა მუსულმანურ - თურქული ქვეყანა: თურქესტანი, ცენტრალური აზია, ჩრდილო სპარსეთი, კავკასია, სამხრეთ რუსეთის თათრები და სხვ. ამ საერთო, დიდ პანთურანულ გეგმაში კავკასიას თავისი საპატიო ადგილი ეჭირა პირველ რიგში, რასაკვირველია, და აი, კავკასიის ფრონტის გაშიშვლების შემდეგ, ოსმალური ჯარი შეეცადა სწორედ მის დაკავებას, — ეს ოსმალურ მხედრობას იოლი ეგონა: მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო უბრალო სამხედრო გასეირნება, რადგან აქ მოელოდენ მოძმე აზერბაიჯანელთა, საერთოდ მუსულმანთა დიდ დახმარებას, რაშიც არც მოსტყუვდენ, მაგრამ ამასთან აღმოჩნდა, რომ ამ გასეირნებას წინ გადაეღობენ მოუწყობელი ქართული და სომხური ჯარები და ქართული დიპლომატიაც. დაიღვარა სისხლი, გაფუჭდა დღემდე არსებული კეთილი განწყობილება, შეიქმნა მტრობა, და ბოლოს გერმანიის ჩარევით, მადა შეუკვეცეს ფართო ოსმალურ გეგმას კავკასიის მიმართ. ჩვენი მოსაზრება რომ მართალია, ამას ადასტურებს აგრეთვე გერმანიის ჯარის მთავარსარდალი ლუდენდორფიც, თავის „სამხედრო მოგონებებში" იგი სხვათა შორის სწერს: —

„ყარსისა და ბათუმის დაკავებას ოსმალები არ დასჯერდენ; „ისინი არ ფიქრობდენ ამით დაკმაყოფილებულიყვნენ, არამედ სურდათ კავკასიაში კიდევ მეტი გავლენა მოეპოვებინათ. ამ მიზნით მათ აზერბაიჯანის მაჰმადიანურ მოსახლეობაში გაფურჩქნეს და ააყვავეს პროპაგანდა; ენვერის ძმაც, ნური, გაჩნდა იქ, რათა ახალი რაზმები შეედგინათ. ამავე დროს ოსმალეთმა დაიწყო მოლაპარაკება კავკასიის სამხრეთში რუსეთის ნაწილ რესპუბლიკების საქართველო, აზერბაიჯან, სომხეთთან, რომელსაც გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებით გენერალ ფონ-ლოსოვი ესწრებოდა.

„თავისუფლად შემეძლო მე ოსმალეთის მიერ მიღებული ზომები დამედასტურებინა, რომელიც საერთოდ ომის წარმოებას ხელს შეუწყობდა. მაგრამ იმ ზომებს არ უნდა გამოეწვიათ ოსმალეთის განსაკუთრებული სამხედრო ამოცანების შესუსტება ან გაეძნელებინათ ჩვენთვის კავ-

კასიიდან ნედლ მასალათა მიღება, რომლისაგანაც ჩვენ მეტად საგრძნობ შემსუბუქებას მოველოდით. ენვერის ამოცანა იყო ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა, და სახელდობრ პალესტინის ფრონტზე. ამაზე მივუთითებდი გამუდმებით მე მას გარკვეული დეპეშებით. ახლა ჩნდებოდა შემთხვევა ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისელებს შევხვედროდით. რკინისგზა ბათუმიდან თბილისზე თავრიზისაკენ ამას ხელს უწყობდა. ჩრდილოეთ სპარსეთში ოსმალებს შეეძლოთ ინგლისელებზე უპირატესობა ჰქონოდათ. აზერბაიჯანის მცხოვრებთა გამოყენება მათ წინააღმდეგ დამსახურება იქნებოდა. ყველაფერს გულითადათ დავეხმარებოდი, რაც ამას გამოადგებოდა. ენვერი და ოსმალური მთავრობა უფრო ნაკლებ ფიქრობდენ ინგლისის წინააღმდეგ ომზე, ვინემ თავის პანისლამისტურ მიზნებზე კავკასიაში. ამასთან დაკავშირებული იყო მეტად რეალური მიზნებიც, სახელდობრ იქაური ნედლ მასალათა მომგებიანი ხმარება. რომ გერმანული სამხედრო მეურნეობას ამით სამსახური არ ეწეოდა, იცოდა თვითეულმა, ვინც იცნობდა ოსმალთა საქმიანობის უნარს. ამგვარად . ჩვენ დავუპირისპირდით ოსმალეთის მიზნებს".

ამ დაპირისპირებამ ანუ ინტერესთა წინააალმდეგობამ და გერმანიის მთავრობის საქართველოსადმი კეთილად განწყობილმა პოლიტიკამ გამოიწვია გერმანიის ხელისგამოწვდენა საქართველო - სომხეთისადმი, და კერძოდ საქართველოს დახმარება, როგორც ეს ჩვენ უკვე აღვწერეთ.

რას მიაღწია ოსმალეთმა კავკასიაში?

გერმანელი მხედარი ლიმან ფონ ზანდერს, რომელიც განაგებდა ოსმალეთის მილიტარულ მოღვაწეობას, სხვათაშორის, თავის "მოგონებებში" სწერს, რომ ოსმალეთის ამოცანა იყო დაეცვა დარდანელი, დაეპყრო ეგვიპტე, აღედგინა სპარსეთის დამოუკიდებლობა, დახმარებოდა კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნას და საფრთხე შეექმნა ინდოეთისათვის ავღანისტანის გზით.

იმის მაგივრად, რომ ოსმალეთი კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს დახმარებოდა, გაემაგრებინა, მან, პირიქით, ბრძოლა გამოუცხადა მათ: და ამნაირად არ გაუმართლა იმედი დიდ ქართველ, ცნობილ პატრიოტს, მიხეილ წერეთელს, რომელიც ფიქრობდა, რომ ოსმალეთი კავკასიას დაეხმარებოდა; თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიხეილ წერეთელსაც ეჭვი ეპარებოდა ამაში და ოსმალებს აფრთხილებდა ციურიხში სამ ენაზე გამოცემულ თავის წიგნში მსოფლიო ომისა და საქართველოს შესახებ, სადაც სწერდა: — კავკასიის მკვიდრთა წინააღმდეგ ძალით გატარებულ დაპყრობას ოსმალების მიერ აღმოსავლეთისათვის და შეიძლება დასავლეთისათვისაც საშინელი შედეგები ექნესო; იგი, კავკასია გახდება მუდმივი მიზეზი ომებისა და არეულობისა; „ამიტომ ოსმალებმა ამგვარი ფიქრი თავიდან უნდა მოიშორონ და კავკასიის ხალხებს თავის სოლიდარობა გამოუცხადონ, რათა დამოუკიდებელი და ნეიტრალური კავკასია შეიქმნას. ეს არის ერთად ერთი შესაძლებელი გადაწყვეტა კავკასიური პრობლემისა"-ო, დაასკვნის მიხ. წერეთელი.

მაგრამ ასეთ წინასწარ გაფრთხილებას ოსმალეთმა ყურადღება არ მიაქცია; არ მიაქცია მან ყური არც სხვა ქართველების და კერძოდ ნიკო ნიკოლაძის და ზურაბ ავალიშვილის საბუთებს, რომ ოსმალეთისათვის სასარგებლოა ძლიერი კავკასია. პანისლამიზმითა და პანთურქიზმით გატაცებულმა ოსმალეთმა კავკასიაში დაღვარა სისხლი, დასთესა უნდობლობა თავისადმი, დაანგრია ამიერკავკასიის რესპუბლიკა; ხელისშეწყობის მაგიერად გაანახევრა და ძირი გამოუთხარა სომხეთ - საქართველოს; ხოლო საბოლოო დამარცხების შემდეგ სადავოდ გახადა მის მიერ დაკავებული ტერიტორიები, რადგან მუდროსის ზავის ძალით, ყველა მხარე, სადაც ოსმალური ჯარები იდგენ, აწ მოკავშირეთა ჯარებს შეეძლოთ დაეკავებინათ. ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ ვერ გამოიჩინა გამჭრიახი პოლიტიკა და მის პოლიტიკურ შეცდომათა შედეგების ნაყოფს, მაგრამ მწარე ნაყოფს, მომავალშიაც ვიგემებთ.

## 10. საქართველო - სომხეთის დავა და ომიც მესხეთის გამო

ჩვენ უკვე ვთქვით, ოსმალეთმა შემოსევის წინ და მერმე დიდი პროპაგანდა გასწია კავკასიის მუსულმანურ მხარეებში თავის სასარგებლოდ-თქო. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს ხდებოდა ეს მუშაობა და ოსმალური აგენტები დაძრწოდენ ყველგან; ხოლო იმპერიის დაშლადანგრევამ მათ მუშაობას ფართო გასაქანი მისცა და რევოლუციის ალში გახვეულ კავკასიაში მათთვის თითქმის თავისუფალი ასპარეზი შეიქმნა.

ოსმალების მოახლოებისათანავე მოწყობილ იქმნა მაჰმადიანური შეიარაღებული რაზმები, რომელნიც ოსმალურ ჯარს წინ მოუძღოდენ და გზას უკაფავდენ. მესხეთში ამ აგენტებმა მოაწყვეს აჯანყება ამიერკავკასიის რესპუბლიკის დროს; მათ ხელში ჩაიგდეს თითქმის მთელი ეს მხარე და ოსმალეთის ოკუპაციას შეეგებენ. ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციის დროს ამ მხარეში იგივე აგენტები აწყობდენ კრებებს, გამოჰქონდათ რეზოლუციები ოსმალეთთან შეერთების შესახებ და ამ მუშაობაში აზერბაიჯანელი მოღვაწეებიც გაცხარებულ მონაწილეობას ეწეოდენ. მოხსენებული რეზოლუციებით იქაური მცხოვრებნი „მოითხოვდენ" ოსმალეთთან შეერთებას და ამ რეზოლუციებს აგზავნიდენ ბრესტ-ლიტოვსკში და ტრაპიზონში, შემდეგ კი ბათუმის საზავო კონფერენციაზე. ასეთია მაგალითად, ერთი ოფიციალური რეზოლუცია, მიღებული 13 აპრილს 1918 წ. ახალქალაქისა და ახალციხის მუსულმან მცხოვრებთა „დელეგატების" მიერ; ეს „დელეგატები", რიცხვით 40 კაცი, თავის რეზოლუციაში ამბობდენ: — ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მალე დასრულდება ომი ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის, ვაცხადებთ, რომ ჩვენი მხარე უნდა შეუერთდეს ოსმალეთსო. ამ „თვითგამორკვევის საბუთით", ოსმალები, რასაკვირველია, ითხოვდენ მთელი მესხეთის მათთვის შეერთებას და ბათუმის ზავით ამას კიდეც მიაღწიეს. მაგრამ ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, მას მუდროსის დაზავების შედეგად, უნდა დაეტოვებინა მთელი მესხეთიც და მე-11 მუხლის ძალით ყველგან, სადაც იდგა ოსმალეთის ჯარი და სადაც ამას საჭიროდ დაინახავდა ანტანტა, იქ მოკავშირეთა სახელმწიფოების ჯარი (ანტანტის) უნდა დამდგარიყო. მუდროსის დაზავების მიხედვით (და კიდევ უფრო ადრეც) ოსმალები შეუდგენ საქართველოს ტერიტორიის დაცლას; და საქართველოს მთავრობა შეუდგა დაცლილი ადგილების დაკავებას.

ჯერ კიდევ ცხრა ნოემბერს 1918 წ. საქართველოს მთავრობამ მოწოდებით მიმართა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრათა მცხოვრებთ და სიხარულით აღნიშნა მათი სამშობლოს წიაღში დაბრუნება. იმ მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: — „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მისგან დამოუკიდებელ ვითარებათა გამო , აქამდე საშუალება არა ჰქონდა გამოეჩინა თავისი მზრუნველობანი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მკვიდრთა მოსაწყობად. ეს მხარე რამოდენიმე თვის განმავლობაში საქართველოსაგან უცხო ძალების მიერ მოწყვეტილი, ისევ უბრუნდება მას"... და გენერალ-მაიორი ქ. მაყაშვილი 10 ნოემბერს 1918 წ. აცხადებს, რომ იგი დანიშნულია ახალციხე ახალქალაქის მხარეთა ჯარების უფროსად გენერალ - გუბერნატორის უფლებებით და მოუწოდებს ხალხს წესრიგისა და მშვიდობისაკენ....

მაგრამ აქ წამოიჭრა სამი მოვლენა, რომელიც ერთი მეორის გვერდით წარმდინარდა. ერთია — სომხეთ - საქართველოს ომი; მეორეა — ინგლისის შემოსვლა და მესამე — ეგრედ - წოდებული „სამხრეთ - დასავლეთ კავკასიის მთავრობის" ამბავი.

18 ოქტომბრიდან 1918 წ. საქართველოსა და სომხეთს შორის დაიწყო დიპლომატიური დავა საზღვრების შესახებ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დასაწყისში სომხები ბევრ რამეს ითხოვდენ და სომხეთის საზღვრებში არამც თუ მესხეთს, არამედ თბილისსა და ბათუმ-გორსაც ათავსებდენ.

საზღვრების გაურკვევლობის საკითხი თავიდანვე ჩვეულ მოვლენად გადაიქცა და უცხო სახელმწიფოთა ჩა-

რევისათვის საბაბად. ჯერ კიდევ ოსმალეთის პატრონობის დროს, 4 ივნისს 1918 წ. საქართველოს მთავრობა პროტესტს აცხადებდა იმის გამო, რომ აზერბაიჯანმა და სომხეთმა ოსმალეთთან მოლაპარაკება დაიწყეს საზღვრების გაყვანის შესახებ. საქართველოს მთავრობა ამბობდა, რომ საზღვრების საკითხი არის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხი, და ამ საქმეში ოსმალეთს არ უნდა ერევდეთო.

ვინაიდან ოსმალეთს ეჭირა დიდი ნაწილი კავკასიისა, თავისთავად საზღვრების საკითხის გამორკვევა იმხანად არც სასურველი და არც შესაძლებელი იყო; ხოლო ოსმალეთის წასვლის მოლოდინში, საქართველოს მთავრობამ აცნობა 27 ოქტომბერს 1918 წ. სომხეთს, აზერბაიჯანს და ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირს, რომ სასურველია კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის მოწყობა, რათა ამ ქვეყნებს ეცნოთ ერთმანეთი და მოეგვარებინათ ყველა სადავო საკითხი. ამ კონფერენციისათვის მიწერ - მოწერა გაგრძელდა; ბოლოს სომხები მას არ დაესწრნენ და ამგვარად სადავო საკითხები გადაუწყვეტელი დარჩა იმ დროს, როცა ინგლისური ჯარი კავკასიაში უნდა შემოსულიყო.

საქართველო - სომხეთის ცხარე დიპლომატიური დავა დაიწყო 19 ოქტომბერს 1918 წ., როდესაც საქართველოს მთავრობამ პროტესტი განაცხადა სომხების მიერ თბილისის გუბერნიის ნაწილის ანუ ბორჩალოს მაზრის (ქვემო - ქართლი), კობერისა და სანაინის დაკავება მოხდა. დაწვრილებით ამ მიწერმოწერას არ შევეხებით, ხოლო აღვნიშნავთ, თუ საერთოდ როგორ განვითარდა მდგომარეობა.

ოსმალეთის წასვლის მერმე საქართველომ შეიყვანა, როგორც მოვიხსენიეთ, თავისი ჯარები მესხეთში და 5 დეკემბერს 1918 წ. დაიკავა ახალქალაქი. ამავე დღეს სომხეთმა მოითხოვა, რომ საქართველოს არ შეეყვანა თავისი ჯარები ახალქალაქში, რომელიც უკვე დილის ათ საათზე, დაკავებული იყო. ამის საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრი ევგ. გეგეჭკორი სწერდა სომხეთის მთავრობას: — საქართველოს მთავრობის მიერ ახალქალაქის მაზრის დაკავება არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად, არც მორალურად სადავო არ არის — და საერთოდ საზღვრების შემოხაზვაზე კი კეთილგანწყობილად მოვილაპარაკოთო.

ამავე დროს სომხები აწვებოდენ ბორჩალოს მაზრაში და აგროვებდენ ძალებს ახალქალაქის მიმართულებითაც. 13 დეკემბერს 1918 წ. სომხური ჯარები, სომხეთის მთავრობის დადგენილებით, იწყებენ მოქმედებას ლორისა და ბორჩალოს მაზრის დასაკავებლად.

საქართველოს მთავრობამ არა-ერთჯერ მოითხოვა სომხეთ - საქართველოს კონფერენციის მოწვევა სადავო საკითხების გადასაჭრელად, ოღონდ სომხები შეეცადენ იარაღით გადაეჭრათ საკითხი და ომის მუქარით მოითხოვეს საქართველოსაგან: ბორჩალოს მაზრის და ახალქალაქის მაზრის დაუყონებლივ დაცლა. ომიც დაიწყო. საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია 17 დეკემბერს 1918 წ. საქართველოს პარლამენტში ამბობდა: —

„ჩვენ დავიკავეთ ბორჩალოს მაზრის ხაზი, რომელიც ჩვენ გვეჭირა ორი თვის წინადაც მათთან (სომხებთან) შეთანხმებით... ჩვენ თავის დროზე გავაცხადეთ, რომ საქართველოს ფარგლებში ჩვენ ვსთვლით მთელ თბილისის გუბერნიას და რომ ამ ტერიტორიას დავიკავებთ... ჩვენ დავიკავეთ ჯავახეთი. ჩვენ დიდი ხანია გავგზავნეთ იქ ჯარები და დავაწესეთ განსაკუთრებული გენერალ-გუბერნატორობა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ჩვენ ამის გამო მიწერ-მოწერას ვაწარმოებდით ოსმალეთთან. ოსმალები წავიდენ, და ჩვენ დავიკავეთ ეს ადგილები, და ეს არავისათვის საიდუმლო არ იყო, არც მოულოდნელი ყოფილა“...

საკითხი უკვე იარაღით სწყდებოდა.

სომხურმა მმართველმა წრეებმა ომი გაბედეს მხოლოდ იმ იმედით, რომ კავკასიაში მომავალი ინგლისი მათ მხარს დაუჭერდა, და თუ სომხეთი ინგლისელებს ფაქტის წინაშე დააყენებდა, მას ხელში შერჩებოდა ყველა, მის მიერ დაკავებული ტერიტორია.

სომხური ფართო გეგმის მიზანი იყო — თბილისის ხელში ჩაგდება და მესხეთის დაკავება. ამგვარად: სომხეთი ზღვასთან იქნებოდა შეერთებული ბათუმით.

ამ მიმართულებით სომხებს ანტანტის წარმომადგენელთ შორის სათანადო პროპაგანდაც ჰქონდათ გაწეული და მოელოდენ კიდეც თბილისის აღებას, მაგრამ ძოლოდინი არ გამართლდა და სომხები დამარცხდენ. და ამის შედეგად არც მეორე მოლოდინი გამართლდა: ინგლისელები ფორმალურ ნიადაგზე დადგენ და მოითხოვეს მხოლოდ სადავო ტერიტორიების დაცლა; ხოლო რაც შეეხებოდა იმ ადგილებს, რომელნიც ოსმალებს ეკავათ, იქ ინგლისელების ჯარი უნდა შესულიყო პარიზის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებამდე.

საქართველოს მთავრობამ მიიღო წინადადება ომის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ მოითხოვა სტატუს ქვე ანტე ბელუმ-ის აღდგენა, ესე იგი, ომის დრომდე არსებული მდგომარეობის დამტკიცება და ამასთანავე სადავო საზღვრების შეთანხმებით გამორკვევა.

ინგლისელი გენერალ-მაიორი რაიკფორტი, ფრანგი კოლონელი შარდინი და საქ. მთავრობის თავჯდომარე ნ. ჟორდანია მორიგდენ 21 დეკემბერს 1918 წ. შემდეგ საფუძველზე: — დაუყოვნებლივ შეწყდეს სომეხ-ქართველთა საომარი მოქმედება; ინგლისელი და ფრანგი ოფიცრების კომისია, რომელსაც დაემატება საქ. მთავრობის წარმომადგენელი, გაემგზავრება ფრონტზე, ადგილობრივ გამოარკვევს შეთანხმების მუხლებს, განახორციელებს მათ, ესე იგი, აღადგენს ომამდე არსებულ საზღვრებს. სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი არ დაეთანხმა ამ შეთანხმებას იმ მუხლში, რომელიც ახალქალაქის მაზრას ეხებოდა; იგი ამ ახალქალაქის მაზრის სომხეთზე გადაცემას მოითხოვდა. ამის მიუხედავად, 25 დეკემბერს 1918 წ. რაიკფორტმა, შარდინიემ და ჟორდანიამ დაადგინეს: — ინგლისელ, ფრანგ, ქართველ და სომეხ წარმომადგენელთა შერეული კომისია სასწრაფოდ გაემგზავრება ფრონტზე, რათა განახორციელოს შემდეგი შეთანხმება: — კომისია განსაზღვრავს გარნიზონების რიცხვს, რომელიც უნდა დასტოვონ ქართველებმა ბორჩალოს მაზრის ჩრდილო ნაწილში და რამდენი უნდა დასტოვონ სომხებმა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში და რამდენი ქართველებმა ახალქალაქის მაზრაში; ქართული ჯარები დარჩებიან მათ მიერ დღეს დაკავებულ ხაზზე; სომხები დაიხევენ ოსმალური ხაზისაკენ — დისიხ - ჯელალ - ოღლი. ინგლისური პიკეტები ჩადგებიან რკინისგზაზე ქართველ და სომეხ ჯარების შუა. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული. ახალქალაქის მაზრაში ადმინისტრაცია იქნება ქართული, ხოლო მას მეთვალყურეობას გაუწევს ანტანტის წარმომადგენლების კომისია, რომელშიაც შევლენ აგრეთვე ადგილობრივი სომხების და მუსულმან მცხოვრებთა წარმომადგენლებიც; საბოლოოდ საზღვრები გამორკვეული იქნება პარიზის საზავო კონფერენციაზე.

30 დეკემბერს 1918 წ. სომხეთის მთავრობამ მიიღო ეს დადგენილება და 31 დეკემბერს 12 საათზე საქართველო - სომხეთის ომი შესწყდა.

ამგვარად: სომხეთის ცდა, რათა განეხორციელებინა თავისი დიდი გეგმა მესხეთის დაპყრობის შესახებ, უშედეგოდ დასრულდა. მაგრამ საქართველოს ვნება დიდი მიადგა. ზარალი იყო თვით ომი. ზიანი იყო ის მოვლენა, რომ უდავო ქართული ტერიტორია, ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა სადავოდ გახდა ინგლისელების თვალშიც და მაზრის ქართული ადმინისტრაცია ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კომისიის მეთვალყურეობაში დარჩა, თუმცა დროებით.

სწორედ ჯავახეთისათვის დავაში იჩინა თავი იმ პოლიტიკამ, რომელიც გაატარა პასკევიჩმა იქ სომხების დასახლებით და რუსის მთავრობის ამ ვერაგულმა პოლიტიკამ შესაფერი ნაყოფიც დასტოვა ერთა ურთიერთ გადაკიდებისათვის.

**
*

## 11. „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის“ მთავრობა და ინგლისელების პოლიტიკა მესხეთში

ომის დასრულების შემდეგ და მუდროსის დროებითი ზავის მიხედვით, ანტანტის სახელმწიფოთა ჯარებს ოკუპაცია უნდა ძოეხდინათ ყველა იმ მხარესათვის, სადაც ოსმალოთა ოკუპაცია არსებობდა, ან სადაც ისინი ამის საჭიროებას დაინახავდენ. 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ინგლისური ჯარის წარმომადგენლები უკვე თბილისში იყვნენ და საოკუპაციო ჯარების უფროსმა გენერალმა ტომსონმა განაცხადა, რომ ინგლისის ჯარი მოდის წესრიგის დასამყარებლად „კასპიისა და შავი ზღვის შორის მდებარე რუსეთის ტერიტორიაზე“-ო. ამ განცხადებამ საქართველოს მთავრობის წრეებში და საზოგადოებაში გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია და გენერალს მთავრობამ პროტესტით მიმართა, ხოლო ზემოაღნიშნული განცხადების ქუჩებში გაკვრის ნება არ მისცა და დაატუსაღა კიდეც პროკლამაციის გამკვრელნი. გენერალი ტომსონი იძულებული გახდა კილო შეეცვალა და განეცხადებინა, რომ ინგლისელები საქართველოს დამოუკიდებლობას სიმპატიით უყურებენ და მის შინაურ საქმეებში არ ჩაერევიანო. მაგრამ იქ, სადაც მათ პირდაპირ უფლება ჰქონდათ ამისათვის, ბათუმში და მის ოლქში, ზემოაღნიშნული განცხადება გააკრეს კიდეც და 18 იანვარს 1919 წ. ინგლისური ჯარიც შევიდა ბათუმში და მთელი ოლქის ოკუპაცია დაიწყო.

ინგლისელების მოსვლამდე, როდესაც ოსმალეთი საბოლოოდ დამარცხდა, საქართველოს მთავრობა შეუთანხმდა ოსმალეთის მთავრობას იმის შესახებ, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები დაცლილ იქნებოდენ ერთი თვის განმავლობაში — 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე 1918 წ. — და დაცლისათანავე იქ შევიდოდენ ქართული ჯარები. გენერალი მაყაშვილი იქმნა დანიშნული ამ მაზრების გენერალ-გუბერნატორად და მასვე დაევალა 4 დეკემბერს ქართული ჯარის ნაწილები შეეყვანა ამ მხარეში.

მაგრამ, როდესაც ოსმალებმა გაანთავისუფლეს ახალქალაქის მაზრა, მაშინვე დაარსდა იქ კომისარიატი და გამოცხადებულ იქმნა ყარსში „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის მთავრობა“.

„სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის“ სახელმწიფოს პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურად საძირკველი ჩაეყარა უკვე 1917 წელს აბასთუმანში მოწყობილ მაჰმადიანთა ყრილობაზე. ამ ყრილობამ მაშინ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით: — აჭარა, არტაანის მხარე, ახალციხე და ახალქალაქის მაზრები ყარსის ოლქს უნდა გაერთიანებოდა და შექმნილიყო, ამგვარად, ცალკე ადმინისტრატიული ერთეული, სადაც მაჰმადიანური მოსახლეობა ამის შედეგად გაერთებული იქნებოდა. მაგრამ ეს გეგმა მაშინ ცხოვრებაში არ გატარდა და ეხლა შეუდგენ მის განხორციელებას, ხოლო უკვე სხვა სახით — სახელმწიფოს შექმნით. აშკარაა: მესხეთის საქმეს გამოცდილი და ჭკვიანი ნება ხელმძღვანელობდა.

რა იყო ეს უცნაური „ყარსის მთავრობა“? ვინ შეადგინა იგი და რას ემსახურებოდა?

ამ საქმეში ასპარეზზე მოსჩანს — სერვე-ბეკ ათაბაგი, სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელი შთამომავალი, ქობლიანის პრინცი.

სერვერ ათაბაგი თავიდანვე საქართველოს მტერი არა ყოფილა; იგი არც ოსმალეთის მოტრფიალე იყო.

რევოლუციამ თავისთავად დააფრთხო მესხეთის მაღალი წოდება; სოციალისტურმა ქადაგებამ ააღელვა მორწმუნე მაჰმადიანობა, განსაკუთრებით სასულიერო წოდება; აგრარულმა რეფორმამ გადაატრიალა მიწისმფლობელთა მდგომარეობა და მამულის დაკარგვის აუცილებელმა შიშმა ერთბაშად შექმნა თბილისის საწინააღმდეგო განწყობილება. ეს ვითარება პირდაპირ სცემდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, სერვერ ათაბაგი — დიდი მფლობელი, ფრიად გავლენიანი — გახდა საქართველოს მოწინააღმდეგე მოძრაობის მეთაური. და საქართველო მაშინ იყო ხომ სოციალისტური!, მაგრამ მაინც საქართველო.

ეს წარჩინებული და განათლებული პიროვნება გადაუდგა საქართველოს და ჩაება მეტად რთულ ავანტიურაში, რომლითაც მხოლოდ საქართველოს მტრებმა ისარგებლეს. ეს იყო ქართული სოციალისტური, კლასობრივი პოლიტიკის ნაყოფი: — საქართველოს ყველა კუთხისათვის ერთი ზომით აგრარული რეფორმის გამოცხადება, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ თვით ეს აგრარული რეფორმა როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურ-ეროვნული თვალსაზრისით მიუღებელი იყო, რასაკვირველია, დაუშვებელი და შეუძლებელი იყო მესხთისათვის, ადგილობრივ პირობათა და ვითარებათა განუკითხავად. საქართველო „ტაბულა რაზა“, სუფთა ფიცარი არ იყო, რომ მასზე ფანტაზიის შთაგონებით ეხაზათ, როგორც ეს ზოგს პასუხისმგებელ პირთ ეგონათ.

და აი, ეს სერვერ ათაბაგი, იმჟამად უკვე საქართველოზე გადამტერებული, თავისი მომხრეებით მოევლინა გენერალ მაყაშვილს აწყურში და განუცხადა მას, რომ იგი არა სცნობს საქართველოს მთავრობას, და რომ მას ჰყავს საკუთარი მთავრობა, რომელიც „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის სახელმწიფოს“ წარმოადგენსო...

გენერალი მაყაშვილის პასუხი იყო სადა: — გენერალი მხოლოდ თავისი მთავრობის განკარგულებებს ასრულებს, არა სცნობს არავითარი ახალი ხელისუფლების შექმნას, არა სცნობს სერვერ-ბეგს, და მან იცის: ოსმალებმა დასცალეს ახალციხე-ახალქალაქი საქართველოსათვის გადასაცემადო.

როდესაც გენერალმა მაყაშვილმა დაიკავა ახალციხის მაზრა, ათაბეგი წავიდა ბათუმს და ინგლისურ მისიას იქ გადასცა მემორანდუმი, რომელზეც ხელი უწერია ხუთ კაცს. ამ პირებმა მუშაობა განაგრძეს ბათუმიდან; იქიდან აგზავნიდენ ისინი თავის აგენტებს ფოცხოვში, ახალციხეში და ახალქალაქში. აწყობდენ და ამზადებდენ აჯანყებას საქართველოს წინააღმდეგ.

ინგლისელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული არდაგანის მხარე და ოლთისი, და თავის მხრივ გენერალი უოკკერი დაჰპირდა ნოე ჟორდანიას, რომ იგი დაამყარებდა წესრიგს ამ მხარეებში; საერთოდ ამ გენერალს სასურველად მიაჩნდა, რომ მთელი ბათუმის მხარე საქართველოს დაბრუნებოდა და რომ იგი ამისათვის მიიღებს კიდეც შესაფერ ზომებსო. მაგრამ ეს იყო სიტყვიერი დაპირება, და ფაქტიურად კი ქართული ჯარი სერვერ-ბეგის აჯანყებულ რაზმებს ებრძოდა.

თუ ოსმალთა შემოსევის დროს ანტი-ქართული მოძრაობის მიზეზები ადვილად ასახსნელი იყო, რადგან მას მიზნად ჰქონდა დასახული ოსმალეთთან მესხეთის და საერთოდ მთელი მუსულმანური კავკასიის შეერთება და აშკარად მოწყობილი იყო ოსმალთა აგენტების მიერ, — ასე ადვილი ასახსნელი და მისახვედრი არაა ანტი-ქართული მოძრაობა ინგლისელების მოსვლის დროს, რადგან ამ მოძრაობაში გადახლართულია სხვადასხვა ინტერესები და ნაკარნახევია იგი ნაირი ზრახვებით.

მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია თავისი საუბარის დროს ამიერკავკასიაში ინგლისელების ჯარების უფროსთან უოკკერთან ამ მოძრაობის მომწყობად თვით ინგლისელებს აცხადებდა და ბრალსა სდებდა ინგლისის სარდლობას ამ საქმეში. ნ. ჟორდანიამ სიტყვა-სიტყვით გენერალ უოკკრეს განუცხადა: — „საქართველოს მთავრობა ყოველთვის სთვლიდა, რომ ბათუმისა და არდაგანის ოლქები იმყოფება ინგლისის სამხედრო ძალების პირდაპირ გავლენაში და მმართველობაში, და მე ვფიქრობ, რომ ოსმალური ჯარის ასკერები და ოფიცრები ამ ტერიტორიიდან გაყვანილი იქნებიან ინგლისური სარდლობის განკარგულებით... ყარსის ოლქს რაც შეეხება, ჩვენ გვევონა — და ამისი საბუთი გვქონდა — მას კანონიერ ნიადაგზე სომხეთს გადასცემდით. ახლა კი ჩემს მიერ აღნიშნულ სივრცეებზე შედგენილ იქმნა ახალი, ცრუწოდებული (სამოზვანნოე) სახელმწიფო, რომელიც აშკარად აცხადებს, რომ იგი იმყოფება ინგლისის პირდაპირ მფარველობაში... ამ ცრუ მთავრობამ შეადგინა რეგულიარული ჯარი, რომელშიც იმყოფებიან ასკერები და სადაც მსახურებენ, როგორც ოსმალო, ისე რუსის ოფიცრები: იგი აწარმოებს

ჩვენს წინააღმდეგ ომს, და მისი ჯარები შემოიჭრენ არდაგანიდან ახალციხეში, და ყველაზე მნიშვნელოვანი და სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ ამ აჯანყებულთა ბანაკში (სხვაგვარ არ შემიძლია მათ ვუწოდო) იმყოფებოდა ორი ინგლისელი ოფიცერი, რომელიც შევიდა იქ აჭარით ბათუმიდან. ჩვენ ყოველთვის გვეგონა, რომ ინგლისი თავისი გავლენიანი სიტყვით ნებას არ მისცემდა მათ შემოჭრილიყვნენ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, და ამ რწმენის ნიადაგზე ჩვენ იქ არ ვაგზავნიდით ჩვენს ჯარებს, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა, და ჩვენ იძულებული გავხდით გაგვეწმინდა მათგან ახალციხე“-ო.

გასაკვირველი არაა, რომ გენერალმა უოკკრემა ნოე ჟორდანიის ასეთი ბრალდება უარჰყო და განაცხადა, რომ ინგლისელებს ამ საქმეში არავითარი ბრალი არ მიუძღვით და თან დაურთო: — „მე ამჟამად გავაგზავნე ახალციხის მაზრაში ინგლისური რაზმები, და ალბად, გავაგზავნი პიკეტებს სხვა ადგილებშიც“-ო.

აღძრული საკითხის შესახებ მთავრობის თავჯდომარე და გენერალ უოკკერის შორის საუბარი მოხდა კიდევ 1919 წ. 23 თებერვალს. ამ საუბარის ინიციატივა ეკუთვნოდა უკვე გენერალ უოკკერს, რომელიც შეეკითხა ნოე ჟორდანიას: თუ როგორი იქნება საქართველოს შემდგომი პოლიტიკა ახალციხის მაზრაში. ნოე ჟორდანიას პასუხი ერთია: ჩვენ მოვსპობთ შეიარაღებულ ბანდებს და გავაძევებთ არა-სასურველ ელემენტებსო. და რადგან გენერალ უოკკერს ეგონა, რომ აჯანყებულნი არიან მარტო ადგილობრივი მცხოვრებნიო, ნოე ჟორდანია მას უმტკიცებს, რომ სერვერ-ბეგის განკარგულებაში იყო ათასი ჯარისკაცი, რომელთაგან უმრავლესობა ოსმალო ასკერები არიანო.

სერვერ-ბეგის მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო საქართველოს წინააღმდეგ, შეეძლო დიდი საფრთხე შეექმნა საქართველოსათვის, და ამიტომ ქართული წრეები შეეცადენ მისთვის საფუძველი გამოეცალათ თვით ხალხის შემწეობით — საქართველოსათვის პროპაგანდის გაწევით; და 1 იანვარს 1919 წ. ახალციხის გლეხთა ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საქართველოს მთავრობას და ამასთანავე მოუწოდა დანარჩენ სამუსულმანო საქართველოს შემდეგი სიტყვებით: — „ახლა, როდესაც საქართველოს გაუერთიანდა მუსულმანური საქართველოს ერთი ნაწილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სახით, სდგება საკითხი დანარჩენი მუსულმანური საქართველოს: აჭარის, ქობულეთის, არდაგანის და შავშეთის განთავისუფლების შესახებ... მხოლოდ ერთად მუშაობით, მუსულმანური და ქრისტიანული საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ოჯახში გაერთებული ძალებით მთელი საქართველოს მცხოვრებნი მოიპოვებენ ბედნიერებას“....

რასაკვირველია, სერვერ-ბეგი და მისი მომხრენი, რომელთაც შეჰქმნეს „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის“ მთავრობა არა სცხრებოდენ და როდესაც ქართულმა ჯარებმა ახალქალაქიც დაიკავეს, სერვერ-ბეგმა თავისი რაზმებით ქართულ ჯარებს ბრძოლა გაუმართა, დაამარცხა კიდეც ეს მცირე ნაწილები, რომელნიც იძულებული გახდენ ბორჯომისაკენ დაწეულიყვნენ, მაგრამ ცოტა ხნის მომზადების შემდეგ და გენერალ გ. კვინიტაძის ხელმძღვანელობით დაიწყო კონტრშეტევა და ქართული ჯარების მიერ აღებულ იქმნა ახალციხე და ახალქალაქიც. ხოლო 20 აპრილს 1919 წ. მათ დაიკავეს არდაგანიც. არდაგანის დაკავება არღვევდა ფორმალურად ინგლისური ოკუპაციის ხელისუფლებას, თუმცა იქ ჯერ ინგლისური ჯარი არ იდგა. ამიტომ გენერალ უოკკერის შემდეგ დანიშნულმა გენერალმა კორიმ კატეგორიულად მოითხოვა, არდაგანიდან ქართული ჯარის გაყვანა; მოლაპარაკებათა შედეგად, ამ მოთხოვნილების ძალით, ქართული ჯარები გამოყვანილ იქმნენ და მოლაპარაკების თანახმადვე გენ. კორისთან, არდაგანში დატოვებულ იქმნა მცირე ქართული რაზმი, 50 კაცისაგან შემდგარი. 1919 წ. 31 მაისს კი, გენერალმა კორიმ, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის მოთხოვნილების თანახმად, საქართველოს მთავრობას კვლავ მოსთხოვა ეს მცირე ქართული ნაწილიც გაეყვანა არდაგანიდან და ამისათვის მოიმიზეზა, რომ იქ ინგლისურ რაზმს ვაგზავნით და მისი მისვლისთანავე ქართული ჯარის ნაწილმა უნდა დასტოვოს ქალაქიო. ამავე დროს არდაგანში გამოჩნდა სომეხი ჯარის ოფიცერი და აშკარა გახდა, რომ ინგლისელებს სურდათ არდაგანის მხარე სომხებისათვის გადაეცათ. გენერალმა კორიმ ასეთი ბრალდება, რასაკვირველია, უარჰყო და განაცხადა, რომ ინგლისელების არდაგანში მისვლის შემდეგ არც სომხური და არც ქართული ჯარის ნაწილები საჭირო აღარ იქნებიანო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საბოლოოდ გამოირკვა ის ეჭვი, რომელიც საქართველოს მთავრობას აწუხებდა, მაგრამ ქალაქ არდაგანში საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი და ქართული მცირე რაზმი მაინც დატოვებულ იქმნა, ხოლო შემდეგში შეყვანილ იქმნა აგრეთვე სომხური რაზმიცა და ინგლისური ჯარის ნაწილიც.

## 12. ქართულ - სომხურ, ინგლისურ - ოსმალური და რუსული ინტერესები მესხეთში

დასახული გართულება გამოწვეული იყო იმ მოვლენით, რომ საქართველოს გარდა, არდაგანს მოითხოვდა სომხეთიც, და ფორმალურად კი ოკუპაცია ინგლისს ეკუთვნოდა. არსებითად აქ ინგლისი სწყვეტავდა საკითხს და როგორც სჩანს იგი მომხრე იყო იმისა, რომ არდაგანის მხარე სომხებისათვის გადაეცათ, — ეს სურვილი ღიად გამოჩნდება კიდევ შემდეგში. ამიტომ გენერალმა კუკ - კოლისმა, რომელსაც ებარა ბათუმის ოლქის ოკუპაცია, კვლავ მოითხოვა, ქართველებს დაეტოვებინათ არდაგანი. საქართველოს მთავრობამ ამაზე კიდევ განაცხადა უარი და მოლაპარაკების შედეგად გადაწყვეტილ იქმნა: — ინგლისელები დაიკავებენ მთლიანად არდაგანის ოლქის ჩრდილო ნაწილს, სომხები დაიკავებენ სამხრეთ ნაწილს, ხოლო ქართველების მცირე რაზმი კი ქალაქ არდაგანში ისევ დარჩებოდა.

ამნაირად: მესხეთში აღარ იყო ტერიტორია, რომელზეც შეეძლო „სამხრეთ- დასავლეთი კავკასიის“ მთავრობას ეარსებნა და იმ მთავრობას თვით ინგლისელებმა მოუხდინეს ლიკვიდაცია. მაგრამ სერვერ-ბეგს და მის მომხრეთ იარაღი არ დაუყრიათ და შეჰქმნეს მათ ეგრედ-წოდებული "სამხრეთ - დასავლეთ - კავკასიის მთავრობის“ დელეგაცია და ადგილებზე კი უკვე დაარსებული „მუსულმანთა ეროვნული კომიტეტები“ ამოძრავდენ, რომელთა მიზანი იყო ერთი მხრით საქართველოსთან ბრძოლა, მეორე მხრით არ-არსებული „სამხრეთ - დასავლეთი - კავკასიის მთავრობის“ დაცვა.

უფრო ადრე, 28 ივლისს 1919 წ. „არდაგანის მუსულმანთა ეროვნული კომიტეტი“ პროტესტს აცხადებდა ქართველების არდაგანში შესვლის გამო და „ახალციხისა და ახალქალაქის მუსულმანთა ეროვნული კომიტეტი“ ახალციხე-ახალქალაქიდან (სამცხე - ჯავახეთიდან) ქართული ჯარების გაყვანას მოითხოვდა.

თავის მხრით კიდევ, ხუთ აგვისტოს 1919 წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსულმანთა ცენტრალური კომიტეტის“ სახელით ყარსიდან დ-რ ესსადი ამავე მხარის ზემოაღნიშნულ დელეგაციას სთხოვდა: — დიდი სახელმწიფოების წინაშე პროტესტი განეცხადებინა სომხების მიერ ყარსის დაკავების გამო.

ინგლისის ოკუპაციის ფრთის ქვეშ მოკალათებული რუსული (თეთრგვარდიელი) ძალებიც ჩაერიენ ამ გაცხარებულ ბრძოლაში მესხეთის გამო. რუსი თეთრგვარდიელები. რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ ურიგდებოდენ, ებრძოდენ მას გამწარებით და ამ მხრით ერთგვარ გავლენასაც ახდენდენ ინგლისურ წარმომადგენელთა პოლიტიკაზეც. მაგრამ რუსები პრაქტიკულადაც ჩაებენ ამ ბრძოლაში. დენიკინის აგენტები აგზავნიდენ თავის აგენტებს მესხეთში და ეწეოდენ პროპაგანდას საქართველოს წინააღმდეგ; ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნ სოფლებში გამოეტანინებინათ რეზოლუციები, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული და სადაც ნათქვამი უნდა ყოფილიყო, რომ სოფელს არა სურს საქართველოსთან შეერთება. ასეთი რეზოლუციები ზოგგან

გამოჰქონდათ კიდეც და მყისვე დენიკინელები მას უგზავნიდენ რუსეთის იმპერიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს საზონოვს, პარიზში, რომელიც პარიზის საზავო კონფერენციაზე დიდი და განუყოფელი რუსეთის ინტერესების დაცვას მოელოდა. თუ ეს მიზანი მიღწეული არ იქნებოდა, დენიკინელები ფიქრობდენ მაინც, რომ გაგზავნილი რეზოლუციების მიხედვით, ბათუმის ოლქი მაინც შერჩებოდა რუსეთს და ეს იქნებოდა ის გზა, საიდანაც შემდეგ, როგორც საქართველოს, ისე მთელ კავკასიას ისევ ხელში ჩაიგდებდენ.

მაგრამ არც ქართველობა იყო გულზე ხელდაკრეფილი და ისიც იბრძოდა თავისი ქვეყნის ნაწილის საქართველოს ფარგლებში შემოყვანისათვის.

ამ მხრით სწარმოებდა ქართულ ძალთა თავდადებული მუშაობა ქართველ მუსულმანთა შორის საქართველოს მხარის დაჭერის გულისათვის. 31 აგვისტოს 1919 წ. ბათუმში, ინგლისელების ოკუპაციის დროს, მაშასადამე სავსებით ხელისშემშლელ პირობებში, შესდგა ბათუმის ოლქის მაჰმადიანთა ყრილობა, რომელმაც შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: —

„ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენელნი, რიცხვით ასი კაცი, ვაცხადებთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსულმანები, ისტორიით, სისხლით და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ვართ მუსლიმანი ქართველები და ტერიტორიალურად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა-სამშობლოს საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა.

„გამოვსთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას: ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, სამუსულმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე და ამ ავტონომიის ფარგლებში უმცირესობათ მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება. დადგენილება ესე ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიიღოს ყოველივე ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად“.

ყრილობის მიერ არჩეული, ოცი კაცისაგან შემდგარი, დელეგაცია მაჰმედ - ბეგ- აბაშიძის ხელმძღვანელობით ეწვია თბილისს და გადასცა საქართველოს დამფუძნებელ კრებას ყრილობის დადგენილება.

ეს იყო პასუხი როგორც ოსმალების აგენტებისათვის, ისე ინგლისელებისა და რუსებისადმი.

## 13. „მუსულმანური კომიტეტების“ ბრძოლა მესხეთში

1919 წლის აგვისტოს დამლევს ინგლისელებმა დასტოვეს მათ მიერ დაკავებული ზონა არდაგანის მხარეში; მათი დადგენილების თანახმად, ეს მხარე სომხეთს უნდა გადასცემოდა; მაგრამ ქართული რაზმის მეთაურმა მიიღო სათანადო ზომები საქ. მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით და არდაგანში სომხები არ შეუშვა და თანაც გამოაკრა განცხადება, რომ არდაგანის ჩრდილო ნაწილიც, სადაც აქამდე ინგლისელები იდგენ, საქართველოს უერთდებაო. ამ გზით, არდაგანის ჩრდილო ნაწილი ფაქტიურად საქართველოს მიემატა (და 1920 წელს, ნოემბერში, როდესაც ოსმალეთი სომხეთს თავს დაესხა, სომხები იძულებული გახდენ ოსმალების მიერ ყარსის დაკავების გამო, გზის გადაჭრის შედეგად, არდაგანის ოლქის სამხრეთი ნაწილი მიეტოვებინათ; ქართველებმა დაიკავეს სომხ. მიერ ეს მიტოვებული, არდაგანის სამხრეთი ნაწილიც, და ამგვარად მთელი არდაგანის მხარე საქართველოს ხელში აღმოჩნდა).

საქართველოს მოწინააღმდეგე „მუსულმანურმა კომიტეტებმა“, რომელნიც მუშაობას არ აჩერებდენ, იმჟამად კალამს წაავლეს ხელი და საქართველოს წინააღმდეგ საჩივრების წერა დაიწყეს.

რასსიმ - ბეი, არდაგანის „მუსულმანური კომიტეტის“ თავჯდომარე, მურტაზა - ბეი, ახალციხისა და ახალქალაქის „მუსულმანთა კომიტეტის“ თავჯდომარე, ესსადი და სხვები მოხსენებებს უგზავნიან ბათუმში მოკალათებულ „სამხრეთ - დასავლეთ კავკასიის დელეგაციას“ და მისი საშუალებით მიუთითებენ დიდ სახელმწიფოებს ქართველთა მიერ ჩადენილ უწესოებაზე მესხეთში და მოითხოვენ გაყვანილ იქმნან ქართული ჯარები ახალციხე - ახალქალაქიდან. ხოლო ამ მოძრაობის სულისჩამდგმელი სერვერ - ათაბაგი, პარიზის საზავო კონფერენციისათვის მემორანდუმს ამზადებს და ბათუმში 19 ოქტომბერს 1919 წ. კიდეც აქვეყნებს.

სერვერ - ათაბაგის მემორანდუმი ნათლად გვაჩვენებს ჩვენ, თუ რა პოლიტიკას მისდევდა მის მიერ შექმნილი ანტი-ქართული მოძრაობა და საით სურდა მას წაეყვანა მესხეთი.

სერვერ ათაბაგი, პრინცი კობლიანი, მიმართავს პარიზის საზავო კონფერენციას და „ მუსულმანური ეროვნული ყრილობის სახელით“ გამოდის, ხოლო ხელს აწერს შემდეგნაირად: „ ს. ფ. ათაბეკ, პრინცი კობლიანისა, სამხრეთ - დასავლეთ კავკასიის მცხოვრებთა ინტერესების დამცველ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტის მაგიერ“...

რას ატყობინებს ათაბაგი პარიზის საზავო კონფერენციას და რას მოითხოვს იგი?

მემორანდუმში აღნიშნულია სამცხე - საათაბაგოს სრულიად მოკლე ისტორია და შემდეგ ნათქვამია, რომ ქართველებმა და სომხებმა ეს მხარეააწიოკესო. ამიტომ დაისვა საკითხი, რა გვსურს ჩვენ: — გვსურს ჩვენ დამოუკიდებლობა, თუ გვსურს დავრჩეთ სისხლიანი მჩაგვრიობის უღლის ქვეშო.

მემორანდუმი ამბობს: —

"ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის მხარეებს, ზეიმით უპასუხა ამ საკითხს, გამოაცხადა რა კატეგორიულად თავისი დამოუკიდებლობა“-ო.

და ეს განცხადება, რასაკვირველია, დასაბუთებულია მაშინ ხელიხელ საგოგმანები ვილსონური პრინციპებით.

უნდა გავეცნოთ ამ მემორანდუმს. იქ ნათქვამია შემდეგი: —

„ვემყარებით რა ვილსონის პრინციპებს, რომელიც ხალხებს თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს, ეროვნული ყრილობა ფიქრობს, რომ კავკასიის სამხრეთ - დასავლეთში მდებარე ტერიტორიები არის კანონიერი საკუთრება იმ ხალხებისა, სადაც ისინი ცხოვრობენ და რომელზედაც გადაბმული არიან ინტერესების კავშირებით, მინიჭებულ ისტორიულ და პრეისტორიულ უფლებათა გაუნკითხავად“.

„ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც შეიცავს თვით უმცირესობის შემადგენელ ნაწილებს, როგორიც არიან რუსები, ბერძნები და სხვანი, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება“:

„1. სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის სახელმწიფო, რომელიც შესდგება პროვინციებისაგან: ბათუმისა, ყარსისა; მაზრებისაგან: ახალციხისა და სუმარლისა; აგრეთვე: ახალქალაქისა და ეჩმიაძინის მაზრების ჩრდილოეთ ნაწილებისაგან და რომელნიც დასახლებული არიან დიდ ნაწილად მუსულმანების მიერ, არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი აცხადებს რესპუბლიკას ამ მხარეებში, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ეროვნული ყრილობა უარს არ აცხადებს არც იმ წინა დადგენილებაზე, რომელი მიიღო ბათუმის, ყარსის და არდაგანის მცხოვრებლებმა და რომელიც ოსმალეთთან შეერთებას შეეხებოდა. კიდევ მეტი, იმ შემთხვევაში, თუ წინანდელი პლებისციტის შედეგები ნაცნობი იქნება ან საზავო კონფერენცია გადასწყვეტს ხელახლა მიმართოს ახალ პლებისციტს, ეროვნულ ყრილობას სურს, რომ ეს პლებისციტი მოხდეს აგრეთვე სუმარლისათვის და ჩრდილოეთის ნაწილში ახალქალაქისა და ეჩმიაძინისა“-ო.

რას გვეუბნება ჩვენ ეს მემორანდუმი და რა მიზნითაა იგი გამსჭვალული?

მემორანდუმის ავტორები ათქმევინებენ „ეროვნულ ყრილობას“ და სთვლიან, რომ „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის“ სახელმწიფოში უნდა შედიოდეს მთელი ბათუ-

მის ოლქი, ახალციხე - ახალქალაქის მაზრები, - - ეს ქართული ტერიტორია, და ამასთანავე სომხური ტერიტორია: სუმარლი და ეჩმიაძინი!

მემორანდუმის ავტორები ათქმევინებენ „ეროვნულ ყრილობას“ და სთვლიან, რომ ისინი დროებით აცხადებენ რესპუბლიკას, თორემ არსებითად ოსმალების მიერ 1918 წ. ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით მოწყობილი პლებისციტის ძალით: ბათუმის, ყარსის და არდაგანის მხარენი ახლავე შეუერთდენ ოსმალეთსო და ამის წინააღმდეგი არა ვართო.

მაშასადამე: მთელი ეს ხუხულა „სახელმწიფო“ და მთელი მოთხოვნილება საზავო კონფერენციისადმი პარიზს და მთელი ბრძოლა და ომი, რომელიც აწარმოა სერვერ-ათაბეგმა მიმართული ყოფილა იქით, რომ „სამხრეთ - დასავლეთი კავკასია“ ოსმალეთს მიეძლვნას და დაემკვიდროს!

აშკარაა: სერვერ -ბეგის მოძრაობა დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკასთან, რომელიც ოსმალეთმა დაიწყო და ერთ ხანაში გაატარა კიდეც კავკასიაში იარაღის ძალით. ოსმალეთს სურდა მთელი მესხეთი შეეერთებინა და სომხეთის ნაწილი; ამას მან მიაღწია, როგორც ვიცით, დიდი ომის დროს; და დამარცხების შემდეგ მას დარჩა კავკასიაში ერთგული აგენტები, რომელნიც მის პოლიტიკას განაგრძობდენ, შექმნილ მძიმე და რთულ ვითარებაში საქართველოს ებრძოდენ და მის სუვერენიტეტს მესხეთზე ხან იარაღით, ხან დიპლომატიით ეწინააღმდეგებოდენ.

საქართველომაც თავის მხრით მიიღო თავდაცვის ზომები, დაიკავა მესხეთი მთლიანად, სადაც კი ინგლისური ოკუპაცია არ არსებობდა და ბათუმში 1919 წ. 31 აგვისტოს შემდგარ მაჰმადიანთა ყრილობის დადგენილების თანახმად, 1919 წ. 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა და მიანიჭა სამუსულმანო საქართველოს ავტონომია და მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიამ მოუწოდა ქართველ მუსულმანებს ძმური სიტყვით, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: —

„რამდენიმე საუკუნის წინეთ, დროთა ვითარებით, თქვენ მოსწყდით ძველ საქართველოს და მას ქირსა და ლხინში ვამოეთიშეთ, მაგრამ თქვენი სულიერი კავშირი სამშობლო კერასთან, საქართველოსთან, არ შეწყვეტილა. თვით დაუძინებელი მტერიც კი თქვენ გურჯებად, ანუ ქართველებად გიხსენიებდენ. მიუხედავად სასტიკი დევნისა, დღემდის შეინარჩუნეთ მამა-პაპათა ენა და ადათები. თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას. თვით მუსლიმან - ქართველების წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი თავის გემოზე მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს, დაამყარებენ სამშობლო მხარეში ბედნიერებას“....

თავისთავად, ავტონომიის გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით ერთგვარად საფუძველი ეცლებოდა იმ დემაგოგიურ ქადაგებას, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ.

როგორც მოვიხსენიეთ, ინგლისის ოკუპაციური ჯარების წასვლა მესხეთიდან დაიწყო 1919 წ. აგვისტოდან და ამნაირად თითქმის მთელი სამუსულმანო საქართველო, ძველი მესხეთი (რუსეთის ფარგლებში), და არდაგანის სამხრეთი ნაწილის გამოკლებით, რომელიც მაშინ სომხებს ეკავათ, საქართველოს საზღვრებში შედიოდა. ინგლისელების ოკუპაციაში დარჩა მხოლოდ ბათუმი.

ასე დასრულდა ამ მცირე და ბრძოლით მდიდარი ხანის მოკლედ მოთხრობილი ამბავი 1919 წლის ბოლომდე, — იწყება ახალი, კიდევ უფრო რთული და მძიმე ბრძოლა.

## 14. ქართული პოლიტიკის გამარჯვება მესხეთში

როგორც ვხედავთ, მესხეთის სივრცეზე თავი მოიყარა და ერთმანეთს დაეჯახა: ქართული, სომხური, ოსმალური, ინგლისური და რუსული ინტერესები.

ქართული ინტერესები იყო ბუნებრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით დატვირთული და განმტკიცებული; მესხეთი საქართველო იყო და არის დღესაც.

სომხური ინტერესები სურვილს აცხადებდა ჯერ მთელ მესხეთზე, მერმე ჯავახეთ ანუ ახალქალაქის მაზრაზე, და ერუშეთზე (ფოცხოვის უბანი, არტაანზე) და მხედველობაში ჰქონდა შავშეთ-ქობულეთი - აჭარა. სომხეთი ამ თავის სურვილებსა და მოთხოვნილებას ასაბუთებდა ნაწილობრივ მით, რომ ამ მხარეებში ბევრი სომეხი ცხოვრობსო, და კიდევ მით, რომ მას სჭირდებოდა ზღვისაკენ გზა.

ოსმალეთს ახსოვდა, რომ დიდიხნის განმავლობაში მთელი მესხეთი მის ხელში იმყოფებოდა; რომ იქ მრავალი გამაჰმადიანებული მცხოვრები იყო და რომ მესხეთში ბატონობით მას კავკასიაზე ბატონობაც შეეძლო.

აქ ყველაზე უცნაურია ინგლისელების მოქმედება. რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ ინგლისელებს მესხეთში?

ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ მესხეთის მიმართ ინგლისელებს ჩამოყალიბებული და გარკვეული პოლიტიკა არა ჰქონიათ. თავიდან ისინი არ ეწინააღმდეგებოდენ საქართველოს მთავრობას, რომ მას დაეკავებინა ახალციხე - ახალქალაქი და ნებაც კი მისცეს ერთდროს მას არდაგანში დარჩენილიყო. მერმე მხარი დაუჭირეს სერვერ - ათაბაგის მოძრაობას, როცა ნახეს, რომ მას ერთგვარი ასპარეზი ჰქონდა; დაჰპირდენ დახმარებასაც; საერთოდ, ინგლისელები ხომ ოსმალეთის მხარეზე თვითონაც ჰქმნიდენ ახალ-ახალ სახელმწიფოებს და კეთილგანწყობილად ექცეოდენ კიდეც. ამით აიხსნება ალბათ, რომ თავში, როცა შეიქმნა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის“ მთავრობა, ინგლისელებმა იგი მიიღეს ფაქტად (ან ხელიც შეუწყვეს) და დახმარებასაც დაჰპირდენ. მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ ეს „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის“ მთავრობა უმწეო იყო და საქართველოს ძალებმა იგი გაჰფანტეს; როცა აღმოჩნდა, რომ სერვერ ათაბაგი ოსმალურ პოლიტიკას აწარმოებდა, და ამ დროს ინგლისელები ოსმალეთს თვითონ უპირებდენ განადგურებას, მათ თვითვე მოუხდინეს ლიკვიდაცია "სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობას“ და ყურადღებასაც აღარ აქცევდენ „მუსულმან კომიტეტების“ საჩივრებსა და არძებს.

სულ სხვაა ინგლისელების შემდგომი პოლიტიკა, როცა მათ არდაგანის სომხეთზე გადაცემა მოისურვეს; ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ პოლიტიკით, რომელიც საჭიროდ სთვლიდა სომხეთი ზღვას შეერთებოდა. ამ პოლიტიკურ მიდრეკილებას ჩვენ კიდევ შევხვდებით.

საქართველოს დაუბრუნდა სამცხე (ახალციხე) და ახალქალაქის (ჯავახეთი) მაზრები. ეს მხარე ჩაება საერთო საქართველოს ცხოვრებაში და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა იმ არჩევნებს, რომელიც საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის აქ უნდა მომხდარიყო. არჩევნებს ჰქონდა არა მარტო შინა-პოლიტიკური მნიშვნელობა; იგი უფრო ფართო ხარისხის იყო და მას მიეცა პლებისციტის ხასიათი: გაიმარჯვებდა არჩევნებში ქართული ორიენტაცია თუ არა. არჩევნები მოხდა მაშინ განთქმული ოთხკუდიანი ფორმულის მიხედვით.

ახალციხის მაზრაში არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 30.000 კაცმა. ამ რიცხვიდან ქართულმა პარტიებმა მიიღეს 26.500 ხმა; სომხურმა პარტიამ მხოლოდ 3.000 ხმა; სხვა პარტიები სრულიად უმნიშვნელო იყვნენ.

ახალქალაქის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 21.687 კაცმა. აქედან ქართველებს ერგოთ 13.000 ხმა; სომხებს — 8.000.

ამ არჩევნებმაც დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ეს მხარე სადავო არ იყო და იგი არჩევნების მიხედვითაც საქართველოს ეკუთვნოდა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალურმა არჩევნებმაც დაამტკიცა, რომ იქ, ოკუპაციის მიუხედავად, ბათუმის მცხოვრებთა უმრავლესობა საქართველოსთან იყო და ზემოაღნიშნულმა ქართველ მუსულმანთა ყრილობამ კიდევ ცხად ჰყო, რომ სამუსულმანო საქართველოს ქრისტიანულ საქართველოსთან დარჩენა სურდა. თბილისის გარშემო იკრიბებოდა და მთლიანდებოდა დიდი საქართველო.

## 15. ინგლისი და ბათუმის საკითხი

იმ ხანისათვის მაინც, 1919 წლის დასასრულს, საქართველოს ბრძოლა მესხეთის გულისათვის გამარჯვებით დასრულდა. იდგა მხოლოდ ბათუმის საკითხი და აქ საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ვითარებაში ჩავარდა. ეს ვითარება ნაშობი იყო თვით საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობით და საერთაშორისო გარემოებით.

დაიკავეს თუ არა ინგლისელებმა ბათუმი,*) მათ იქ რუსული პოლიტიკის წარმოება დაიწყეს. ინგლისი იმჟამად თეთრგვარდიელთა მოძრაობას ეხმარებოდა; ამიტომაც ინგლისელებმა ბათუმის მოვლაპატრონობა ჩააბარეს ე. წ. „მმართველ საბჭოს" რუს მოსლოვის ხელმძღვანელობით. თუმცა მოსლოვი მალე გააგდეს ბოროტმოქმედებათათვის, მაგრამ ეს „მმართველი საბჭო" რუსულ პოლიტიკას მაინც განაგრძობდა ესე იგი: სდევნიდენ ქართველებს, განსაკუთრებით ებრძოდენ ქართული ორიენტაციის მაჰმადიანებს, ხსნიდენ რუსულ სკოლებს, შენობას არ აძლევდენ ქართულს, შეადგინეს რუსული ადმინისტრაცია და თავისი აგენტების საშუალებით დიდ პროპაგანდას ეწეოდენ აჭარაში ქართველების წინაალმდეგ, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ. ინგლისი რუსების ასეთ მოღვაწეობას ხელს არ უშლიდა და მფარველობდა კიდეც. ამის მიუხედავად, როდესაც მოხდა ბათუმის საქალაქო არჩევნები, 29 თებერვალს 1919 წ. გამოირკვა ყველასათვის, რომ ბათუმიც საქართველო იყო.

ასარჩევი იყო 36 ხმოსანი. და ვინაიდან არჩევნები მოხდა ინგლისის სარდლობის მიერ დანიშნული კომისიის მიერ დადგენილი წესით, ეროვნების პროპორციულობის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ქართველებმა გაიყვანეს დიდი უმრავლესობა — 20 ხმოსანი, რუსებმა — 2, სომხებმა — 4, ებრაელებმა — 2, ბერძნებმა — 8. ამ არჩევნებს დი ეროვნულ - პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცა, რადგან იგი ერთი მხრივ აბათილებდა 14 ივლისს 1918 წ. ოსმალების მიერ უწესრიგოდ და უკანონოდ მოწყობილ პლებისციტს, და ამასთან ინგლისის სარდლობასაც უმ ბდა, რომ ბათუმი საქართველოა და არა რუსეთი.

ამასთან აღსანიშნავია და გვგონია, რომ დანარჩენი ეროვნებებიც და კერძოდ ებრაელები, ბერძნები და სომხებიც კი ბათუმში უსათუოდ საქართველოს ორიენტაციისა იყვნენ, და ამგვარად ბათუმი, მოხდენილი არჩევნებით, და მთელი მოსახლეობის დასტურით თავისთავს საქართველოს წიაღში აქცევდა.

მეორე ასეთივე პასუხი იყო ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ყრილობის რეზოლუცია, 31 აგვისტოს 1919 წ., რომელიც ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა. მაგრამ თავისთავად ბათუმის საკითხი უბრალო და მარტივი საკითხი აღარ იყო.

ინგლისელების წასვლა ამიერკავკასიიდან ნიშნავდა ამ ქვეყნის თავისანაბარა მიტოვებას, როდესაც მას რუსეთი ჩრდილოეთიდან უკვე უახლოვდებოდა და სამხრეთით კი ახალი ოსმალური, ქემალისტური ძალები ირაზმებოდენ. ჯერ განუმტკიცებელ საქართველოს რესპუბლიკას დამხმარე ხელი ესაჭიროებოდა, და ამას თვით საქართველოს მთავრობა კარგადა გრძნობდა. ამიტომ ბუნებრივი და მიზანშეწონილია ის დიპლომატიური მუშაობა, რომელსაც მთავრობა ეწეოდა. ეს მუშაობა ქართველი ერის პოლიტიკური თავისუფლების ნიადაგზე და დამხმარე ძალის მოპოვებაზე იყო დამყარებული. ერთი მხრივ, მაშასადამე სწარმოებდა მუშაობა და ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული აღდგენისათვის, დიდი საქართველოსათვის; — მეორე მხრივ: ამ საქართველოს სახელმწიფოებრივი განმტკიცებისათვის; მესამე მხრივ: ამ განმტკიცებისათვის აუცილებელ და საჭირო დამხმარე ძალის შოვნისათვის. ამიტომ იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, 4 სექტემბერს 1919 წ., ეუბნებოდა ამიერკავკასიაში ინგლისის განსაკუთრებულ კომისარს ოლივერ უორდროპს შემდეგს:

„ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, თუ არ გვეყოლა ძლიერი მოკავშირე, ძნელი იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის მოპოვება, რადგან არამც თუ მარტო ჩვენ, არამედ ევროპის, შედარებით დიდ სახელმწიფოებსაც, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ფინანსიური მხრით, ეხლანდელ დროში არ შეუძლიათ გარედან დაუხმარებლად არსებობა. საქართველოს მთავრობას ესმის, რომ იგი უნდა დაეყრდნოს რომელიმე მაგარ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, და ამ შეგნებამ უკარნახა მას გარკვეული ორიენტაცია ინგლისზე.... იგი სთხოვს დახმარებას ინგლისს და სურს იცოდეს, რას მოისურვებს ინგლისი სამაგიეროდ.. ახლანდელი მომენტი რთულდება ამიერკავკასიიდან ინგლისური შეიარაღებული ძალების წასვლით... საკმარისია: ინგლისელები, რომელნიც არიან შემაკავებელი ელემენტები, წავიდენ, რომ დაიწყოს გართულება სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ამ თვალსაზრისზე მდგომნი, ჩვენ ოფიციალურად ვთხოვდით საზავო კონფერენციას, ლონდონს და აქაურ ინგლისურ სარდლობას: დაეტოვებინათ ამიერ - კავკასიაში ინგლისური ჯარების მხოლოდ ერთი ნაწილი. ჩვენ დაგვპირდენ პასუხს, მაგრამ დღემდე იგი არა გვაქვს"-ო.

ამის პასუხი იმჟამად იყო ის, რომ ბათუმში დარჩა ინგლისური საოკუპაციო ჯარის ნაწილი და ბათუმის გარშემო დიპლომატიური სჯაბაასი დაიწყო და გაგრძელდა. გაგრძელდა იმ მხრით, რომ საქართველოს მთავრობა დიდი ხანია მოითხოვდა ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოზე გადაცემას; და ბათუმის ოლქის ინგლისელების მიერ დაცლის შემდეგ, საკითხი მხოლოდ თვით ქალაქ და პორტ ბათუმს ეხებოდა.

საქართველოს მთავრობის აზრით: ბათუმის ოლქი და თვით ბათუმი საქართველოს უნდა გადასცემოდა: თვით პორტი ბათუმისა კი, როგორც სამხედრო ბაზა და საქვანახშირო სადგური, ინგლისელების ხელში ყოფილიყო. ასეთი წინადადება ინგლისელებმა პრინციპში მიიღეს, მაგრამ საბოლოო პასუხი მაინც არ გაუციათ.

საბოლოო პასუხი საქართველომ მიიღო 1920 წლის ივლისში, როდესაც ინგლისმა ბათუმი სავსებით გაანთავისუფლა და იგი საქართველოს ჩააბარა. მაგრამ ეს იყო სულ სხვა ამბავი, კიდევ სხვა ამბავთან დაკავშირებული, — ეს იყო ინგლისის ორიენტაციაზე უარის თქმა საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულობის (7 მაისი, 1910 წ.) დადების ძალით და თვით ინგლისის პოლიტიკის შეცვლით ახლო აღმოსავლეთში და კერძოდ ამიერ კავკასიის მიმართ. ამას ქვემოდ შევეხებით, ხოლო ამ წუთს აღნიშნავთ, რომ 1920 წ. დასასრულს საქართველო იყო პატრონი მთელი მესხეთის, რომელიც რუსეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდა ძველად, და 1921 წლის დამდეგს ქრისტიანული და მაჰმადიანური საქართველო უკვე გაერთიანებული იყო: — აღსდგა ძველი საქართველო თავისი მესხეთით. (ჩვენ აქ ლაზისტანზე არა გვაქვს ლაპარაკი, რომელიც ოსმალეთის ფარგლებში ჩარჩა).

ასე დასრულდა თვით საქართველოში ის დიადი და მწარე, სისხლით გაჟღენთილი და მსხვერპლით აღსავსე ბრძოლა, რომელსაც საქართველო შეუჩერებლივ სამი წლის განმავლობაში თავდადებით აწარმოებდა. დასრულდა სრული გამარჯვებით, რომელსაც სულ მალე, ორი თვის შემდეგ დამარცხება მოელოდა, დამარცხება, რომლის შედეგად დაიკარგა საქართველოს თავისუფლება და მესხეთის დიდი ნაწილიც.

## 16. საქართველო - რუსეთის ხელშეკრულება

საზღვრების დადგინების საკითხისათვის საკმაო არაა ცალმხრივი განცხადება; აუცილებელია აგრეთვე მისი ცნობა და დადასტურება მოსაზღვრე ქვეყნების მიერაც. ამ მხრივ საჭირო ხდებოდა ორი წლის განუწყვეტელი ცხოვრების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დამორკვევა, თუ საბოლოოდ არა, დროებით მაინც ზოგიერთ მეზობელთან. მხოლოდ ამ მიმართულებით, დიდ ნაბიჯს

*) სიტყვა „ბათუმი" ბერძნულია და ნიშნავს „ღრმა ნავთსადგურს" (იხ. ბრაისი).

წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება 1920 წ. 7 მაისს.

საზღვართა საკითხი რუსეთის მხრიდანაც არა ერთჯერ წამოიჭრა, მაგრამ რუსეთში სამოქალაქო ომის მიმდინარეობის გამო, მუდამ გაურკვეველი დარჩა. პრაქტიკულად იგი დაისვა მას შემდეგ, რაც წითელმა რუსეთმა აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაიკავა (27 / 28 აპრილი, 1920 წ.) და რუსული ჯარები მაისის დამდეგს საქართველოს საზღვრებს მოადგენ და ომი გამართეს. ამ ომში რუსები დამარცხდენ, ხოლო ამავე დროს მოსკოვში დაიდო საქართველო - რუსეთის ხელშეკრულება.

1920 წლის 7 მაისს მას ხელი მოაწერეს და იგი იმწუთსავე ძალაში შევიდა. ამ ხელშეკრულების მიხედვით რუსეთმა დე-იურედ აღიარა საქართველოს რესპუბლიკა შემდეგ ტერიტორიაზე: შავიზღვის (ჩერნომორსკაია) გუბერნია მდინარე ფსოუმდე, თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია, ბათუმის ოლქი, ყველა მაზრებითა და „ოკრუგებით", ზაქათალითა და აფხაზეთით.

რუსეთ - საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების ძალით: აქამდე სადავო ტერიტორიები: — საინგილო (ზაქათალა) ბორჩალო, ბათუმის ოლქი — იმიერიდან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიად ითვლებოდა, ხოლო ღიად და გაურკვევლად რჩებოდა მხოლოდ ყარსის ოლქის ორი ქართული ნაწილის: არდაგანისა და ოლთისის საკთხი.

აი აქაც იჩინა თავი იმ ადმინისტრატიული დანაწილების ამბავმა, რომელიც ძველად რუსეთის მმართველობამ მოახდინა ამ ტერიტორიების შემოერთების შემდეგ 1876 — 7 წ. ომის მერმე; მაშინ ხომ ეს ქართული ტერიტორია რუსეთმა ხელოვნურად მიაკერა ყარსის ოლქს, იმის მიუხედავად, რომ არდაგანი და ოლთისი ბათუმის ოლქს უნდა მიკუთვნებოდა, როგორც გეოგრაფიულად, ისე ეკონომიურად. სწორედ არდაგან - ოლთისის საკითხი იგულისხმება საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე განყოფილებაში, სადაც ნათქვამია შემდეგი: — ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული საზღვრების გარდა, მაშასადამე: ბათუმის ოლქის გარდა, თუ საქართველო მიიღებს არსებული ან მომავალში მოსალოდნელი სხვა სახელმწიფოსაგან ახ. ტერიტორიებს, მაშინ საბჭოთა რუსეთი აღიარებს საქართველოსათვის იმ ტერიტორიებს, რომელიც ძველად შედიოდა კავკასიის სანამესტნიკოშიო. ცხადია, საკითხი არ ეხება ოსმალურ ტერიტორიას; იგი ეხება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოთა, სომხეთის ან აზერბაიჯანის საზღვრებს, საერთოდ ძველი კავკასიის მოცულობაში, და კერძოდ კი ამ შემთხვევაში: არდაგან - ოლთისის მხარეს.

ეს მხარე 7 მაისის ხელშეკრულების ხანაში, როგორც ზემოდ მოთხრობილი იყო, სადავო იყო კიდევ და მასზე პრეტენზიებს აცხადებდა მხოლოდ სომხეთი. ამგვარად: საქართველოს პირდაპირ სომხეთთან უნდა გამოერკვია ეს საკითხი, და რუსეთიც აღიარებდა იმ საზღვარს, რომელიც მათ შორის საბოლოოდ დადგენილი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ: 1920 წლის მაისის 7-ის ხელშეკრულებამ საქართველოს რესპუბლიკას დაუდასტურა მთელი მესხეთი, არდაგანისა და ოლთისის გამოკლებით. თავისთავად, ტერიტორიულ საკითხში აღნიშნული ხელშეკრულება ფრიად მნიშვნელოვანი და დადებითი იყო, მაგრამ მისი სივაგლახე და უბედურება სხვამხრით იყო სავალალო. არსებითად, ეს ხელშეკრულება, რომელმაც საქართველოს მოუტანა საბჭოთა რუსეთისაგან დე-იურედ ცნობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის შემოფარგვლა, გახდა იმ ჩელტად, წნელისაგან გაკეთებულ, მოქანავე ხიდათ, რომელმაც პირველ სიმძიმეს ვერ გაუძლო, ჩაემხო და თან ჩაიტანა უფსკრულში მთელი რესპუბლიკა, მთელი ქართველი ერი.

საქმე ის არის, რომ 7 მაისის ხელშეკრულება მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიის მიერ გამოცხადებულ და ზეიმით მიღებულ ევროპის ორიენტაციაზე უარის თქმას წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიამ ხმამაღლად განაცხადა: — ჩვენ გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალიზმი აღმოსავლეთის ბარბაროსობასო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნოე ჟორდანია საბჭოთა რუსეთის ორიენტაციას უარჰყოფდა; და 7 მაისის ხელშეკრულებით კი სწორედ საბჭოთა რუსეთი შეიქმნა ბატონპატრონი კავკასიაში. და ეს იმ მეხუთე მუხლის ძალით, რომელიც საქართველოსაგან მოითხოვს: — დაუყონებლივ გაძევოს ან განაიარაღოს ყველა ის უცხო ძალა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა. ამ „უცხო ძალა"-ში, რასაკვირველია, პირველად ყოვლისა იგულისხმებოდა ინგლისი და მისი საოკუპაციო ჯარი ბათუმში.

როგორც ვთქვით ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა ხელისმოწერისათანავე და მას არავითარი დამტკიცება - რატიფიკაცია არ ესაჭიროებოდა; და ამგვარად: საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქმნა ინგლისისათვის მოეთხოვა: დაუყონებლივ დაეცალა ბათუმი, და ვიცით: რა გამწარებული ქადაგება და ფართო დემონსტრაციები ხდებოდა საქართველოში ინგლისის წინაალმდეგ. და ეს მაშინ, როცა საქართველოს მთავრობის საგარეო მინისტრი ევგენი გეგეჭკორი მთელ თავის ღონეს იმას ახმარდა. რათა დაერწმუნებინა ინგლისი საქართველოდან თავისი მცირე რაზმი ჯარისა არ მოეხსნა.

ახლო აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკა კრიზისს განიცდიდა იმ დროს; იგი ყველგან ცდილობდა საოკუპაციო ჯარები მოეხსნა და ხარჯები შეემცირებინა; ხოლო საქართველო - რუსეთის 7 მაისის ხელშეკრულებამ ინგლისი დაარწმუნა, განსაკუთრებით აზერბაიჯანის გაბოლშევიკების შემდგომ, რომ მისი გავლენა კავკასიაში უკვე დამქნარი იყო და ამიტომ, დიდი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ინგლისმა თავისი უკანასკნელი საოკუპაციო ნაწილიც ბათუმიდანაც მოხსნა და ეს ქალაქი საქართველოს ჩააბარა., მაშასადამე: ქვეყანა მან უპატრონოდ დასტოვა, კავკასიაში შემოსული რუსეთის საფრთხის წინაშე; და ამგვარად: საქართველოს მთავრობის წინადადებას, რომ ბათუმის პორტი ინგლისის ხელში დარჩენილიყო, სრული მისი დაცლით პასუხი გასცა: 4 ივლისს 1920 წ.

ამ დღეს დაიხურა საქართველოს ევროპიული ორიენტაცია და ფაქტიურად უკვე საქართველო მოემწყვდა საბჭოთა რუსეთის გავლენის ფარგლებში. ამიტომ ვთქვით ზემოდ, რომ 7 მაისის ხელშეკრულება მხოლოდ ამ მიმართულებით, ესე იგი, საქართველოს სახელმწიფოს დე-იურედ ცნობისა ,და ტერიტორიის შემოფარგვლის მხრით, იყო დადებითი მოვლენა-თქო. თორემ საერთოდ: — 7 მაისის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისათვის იყო ხელისგახსნა საქართველოს რესპუბლიკის განადგურების მიზნით. (ჩვენ, რასაკვირველია, აქ არ ვეხებით იმ საკითხს, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი 7 მაისის ხელშეკრულების დადებაში. — ეს დღეს ჩვენი თემის საგანს არ შეადგენს).

## 17. მესხეთისათვის ბრძოლა უცხოეთში

იმ დროს, როდესაც მესხეთის გარშემო თვით კავკასიაში მწვავე ბრძოლები ხდებოდა, იგივე საკითხი არა-ნაკლებ იყო საბრძოლო საგანი დიპლომატიურ ასპარეზზეც, მაგრამ ევროპაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ პარიზის კონფერენციაზე გაგზავნა საქართველოს დელეგაცია ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის თავჯდომარეობით. დელეგაციას უნდა წარედგინა მემორანდუმი საქართველოს რესპუბლიკის შესახებ და დაეცვა მისი ინტერესები საზავო კონფერენციაზე, პარიზში.

უკვე 1919 წლის ივლისში ნ. ჩხეიძის დელეგაციამ პარიზის საზავო კონფერენციის სამდივნოს გადასცა მემორანდუმი, რომელიც, ცხადია, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებსაც არკვევდა.

მოხსენებული ქართული მემორანდუმის მიხედვით საქართველოს ტერიტორია უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს: „თბილისისა და ქუთაისის პროვინცია, სუხუმისა და ზაქათალას დისტრიქტი, ბათუმის პროვინცია, ყარსის პროვინციის დასავლეთის ორი დისტრიქტი (ოლთისი და არდაგანი) და ზოგი ნაწილი შავიზღვის პროვინციისა და ტრაპიზონის ვილაიეტისა"...

აი, აქ არის წამოჭრილი საკითხი ტრაპიზონის ვილაიეტისა ანუ ლაზისტანის ანუ ჭანეთის შესახებ.

მოხსენებულ მემორანდუმში ამის შესახებ სწერია: —

„ამას გარდა, როცა სომხეთის საზღვრები გარკვეულ იქნება ყოფილ ოსმალეთის იმპერიაში, საქართველო მოითხოვს დაბეჯითებით, რომ ლაზისტანი, ამჟამად ოსმალეთის, უნდა შეუერთდეს მის (საქართველოს) ტერიტორიას; იგი მოითხოვს აგრეთვე საზღვარის გასწორებას მდინარე ჭოროხის სათავეში, ვინაიდან მის (საქართველოს) გარდა არავის არა აქვს უფლება იმ ძველ ქართულ მიწა-წყალზე“-ო.

რა საბუთის ძალით ითხოვდა საქართველოს დელეგაცია ყველა აღნიშნულ ტერიტორიას? დასაბუთება ასეთია: —

„ეს ტერიტორია უეჭველად ქართულია, 75 პროცენტი ქართული მოსახლეობით და შეადგენს ეთნიურ და ისტორიულ და აგრეთვე ეკონომიურ მთლიან ერთეულს აღმოსავლეთის ქრისტიან სახელმწიფოთა შორის“-ო.

და ეს იყო და არის ჭეშმარიტება.

იმავე პარიზის კონფერენციაზე წარმოდგენილ იყვნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებიც. განსაკუთრებით დიდ პატივში იყო სომხეთის საკითხი, რომელიც ოსმალეთის საკითხთან იყო დაკავშირებული და დიდი სომხეთის აღდგენის გეგმაც განხორციელების წინ იდგა.

ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, მსოფლიო ბედის გადამწყვეტმა დაწესებულებამ, სომხეთის საკითხის გამოსარკვევად შეჰქმნა გახსაკუთრებული კომისია, რომელშიც წევრებად იმყოფებოდენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლები.

ვინაიდან მოხსენებული კომისია ფიქრობდა, რომ სომხეთს ზღვისაკენ გასავალი უნდა ჰქონოდა (და ასე იყო აღთქმული ვილსონისგან: ყველას უნდა მიეცეს გზა ზღვისაკენო!), ამიტომ შეიქმნა დავა ლაზისტანის შესახებაც. ხოლო ამ შემთხვევაში საქართველოს დელეგაცია თვითონ მოითხოვდა ლაზისტანს და შუა-ჭოროხზე ისპირისაკენ საზღვრების გამოსწორებას საქართველოს სასარგებლოდ. იგივე დელეგაცია, რასაკვირველია, საქართველოსათვის მოითხოვდა ყარსის დასავლეთ ნაწილსაც ესე იგი: არდაგანისა და ოლთისის მხარეს. „ეს გეგმა“, ამბობს ბ. ზურაბ ავალიშვილი, „ნიშნავდა საქართველოსათვის ეგრედწოდებული სამუსულმანო ანუ თურქული საქართველოს ყველა ნაწილების შეერთებას“-ო და თვით ბ. ზ. ავალიშვილი იცავდა მას.

კერძოდ, ბათუმის საკითხის გამო საქართველოს დელეგაცია თავისი ნოტით უმაღლეს საბჭოსადმი 1 მარტს 1920 წელს, ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა და ამასთანავე წინადადებას არდგენდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა მეზობელ სახელმწიფოებთან ხელშეკრულებას დასდებდა, რომლის ძალით აზერბაიჯანსა და სომხეთს ბათუმისაკენ თავისუფალი სავაჭრო გზა მიეცემოდათ; კიდევ მეტი: აღნიშნული წინადადების მიხედვით, ბათუმი საერთაშორისო ტრანზიტის პორტად უნდა გადაქცეულიყო; იგივე ნოტა იმეორებდა ლაზისტანისა და ჭოროხის ზოგი ადგილის საქართველოსთან შეერთების შესახებ.

მიღებულ იქმნა კი შემდეგი გეგმა: —

ბათუმი შეიქმნეს თავისუფალ ქალაქად, თავისი ტერიტორიით; დანარჩენი ნაწილი ბათუმის ოლქისა განაწილდეს ასე: საქართველოს შეუერთდეს ბათუმის ოლქის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილი; სამხრეთი კი — ართვინის რაიონი — მიეცეს სომხეთს; ლაზისტანი შეიქმნეს ავტონომიურ ერთეულად სომხეთის სუვერენობის ქვეშ. ამგვარად, სომხეთი უნდა გასულიყო ზღვაზე.

ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მოხსენებულ დადგენილებას 16 მარტს 1920 წ. საქართველოს დელეგაცია პასუხს აძლევს და მას უმტკიცებს წინაუკმოდ: რომ 1) ბათუმის მთელი ოლქი საქართველოს ეკუთვნის და 2) ყარსის ოლქის ორი მხარე — არდაგანი და ოლთისი — საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს.

ბ-ნი ზ. ავალიშვილი, რომლის კალამსაც ეკუთვნის პასუხი, ამ ნოტაში შემდეგს სწერდა: —

„1. ბათუმის ოლქი, ბათუმისა და ართვინის „ოკრუგების“ შემადგენლობით, ქართველ - მუსულმან მცხოვრებთა უმრავლესობით დასახლებული, უნდა შეერთებულ იქმნას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიასთან.

„2. ბათუმის ოლქის დანაწილება და მისი რაიმე ნაწილის არა საქართველოსათვის, არამედ რომელიმე სხვა სახელმწიფოსათვის მიჭრა, არ დააყოვნებს გამოიწვიოს უღრმესი უთანხმოება და გაამწვავოს ამიერ - კავკასიაში მეზობელ ხალხთა შორის ურთიერთობა.

„3. თუ დამტკიცებული იქნება, რომ გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული ან სხვა პირობათა ძალით სომხეთისათვის ზღვისაკენ გასავალმა გზამ უეჭველად უნდა ისესხოს ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელსაც ქართველი ხალხი თავის ეროვნულ ქონებად სთვლის, და რომელსაც იგი ამ საბუთით მოითხოვს კიდეც, — ქართველი ხალხის უფლებებს პატივი უნდა ეცეს. ზემოაღნიშნული გასავალი გზა ზღვისაკენ ესე იგი სომხეთის რკინისგზათა გადაბმა შავიზღვისაკენ მოსალოდნელ გასავალ გზაზე, შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებულ შეთანხმებათა ნიადაგზე, ამისათვის საჭირო ტერიტორიებზე საქართველოს უზენაესობის შეუბღალავად.

„4. შექმნა ბათუმში ავტონომიური რესპუბლიკისა, რომელიც უნდა შეიცავდეს აგრეთვე ბათუმის ოლქის ნაწილს, აუცილებლად გამოიწვევს უფრო მეტ გართულებას, უამისოდ საკმაოდ რთულ ურთიერთობაში ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის. ეს გადაწყვეტილება, რომელიც ქართველ ხალხს სასოწარკვეთილებაში აგდებს და რომელიცართმევს მას საუკეთესო ნავთსადგურს, სრულებით არ არის აუცილებელი საქართველოს მეზობელ ქვეყანათა სავაჭრო და ეკონომიურ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, არც საერთაშორისო ვაჭრობაში, განსაკუთრებით სპარსეთისაკენ საქონლის ტრანზიტის მოთხოვნილებათა მიხედვით, ვინაიდან ყველა ეს ინტერესი, რომლის მნიშვნელობას სისავსით აფასებს საქართველოს მთავრობა, შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნეს, და საჭირო გარანტიები უზრუნველ იყოს განსაკუთრებული შეთანხმებებით, პირდაპირ დაინტერესებულ მხარეთა შორის ან უმაღლესი საბჭოს ან ხალხთა ლიგის დახმარებით.

„ამ ნიადაგზე მოწყობილი ბათუმის პორტი შეიქნებოდა, საქართველოს უზენაესობის ქვეშ, მართლაც საერთო გასავალ გზად ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკისათვის, და ამავე დროს საერთაშორისო ვაჭრობისათვის საწყობად, და ისე, რომ ხელოვნურად ეს ქალაქი არ მოსწყდებოდა ზურგ-მხარეს (ჰინტერლანდს), და საქართველოს უფლებაც ბათუმზე არ შეილახებოდა.

„5. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს თავის მოთხოვნილებას.... ყარსის ოლქის ორ „ოკრუგზე“: არდაგანისა და ოლთისის მხარეზე.

„6. შეიძლება ,საერთო პოლიტიკის მოსაზრებათა მიხედვით და რათა უზრუნველყოფილ იქმნეს საზავო ხელშეკრულებათა აღსრულება, დიდმა სახელმწიფოებმა საჭიროდ დაინახონ ბათუმის პორტში შექმნან სამხედრო და საზღვაო ბაზა. ამ მიზნისათვის სათანადო პირობები უნდა მიეცეს დიდ სახელმწიფოებს და ამისათვის უადვილესი გზა იქნებოდა საქართველოსთან საჭირო შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა დადება“.

ასე სწერდა ბ-ნი ზ. ავალიშვილი ანტანტის უმაღლეს საბჭოს!

16 მარტის 1920 წ. ამ ნოტის მიხედვით, მოკლედ რომ მოვსჭრათ, ბათუმის ოლქი მთლიანად, და ყარსის ოლქის ორი ნაწილი — არდაგანი და ოლთისი — საქართველოს ფარგლებში უნდა დარჩენილიყო, ხოლო მეზობლებს მიეცემოდათ გზა ბათუმისაკენ.

რადგან მაშინ საერთაშორისო ვითარება ისეთი იყო, რომ აზერბაიჯანი კრინტს ველარ სძრავდა ბათუმის მას-თან შეერთების შესახებ, ამიტომ აზერბაიჯანული დელეგაცია ეკედლებოდა ქართულ დელეგაციას ბათუმის საკითხში და კიდევ მეტიც: იგი მოითხოვდა საქართველოსათვის მთელ ყარსის ოლქსაც! (სომხების ჯინაზე!).

ჩვენ კი, მოგვითხრობს ბ-ნი ზ. ავალიშვილი, გვემძიმებოდა ასეთი მოთხოვნილება, ვინაიდან ჩვენი მთავარი მე-




მთლიანი საქართველოს რუკა

მორანდუმში (1919 წ.) მოვითხოვეთ ყარსის ოლქის ოთხი „ოკრუგიდან“ მხოლოდ ორი: არდაგანის და ოლთისისა.

დიდი დავის შემდგომ აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა დელეგაციების საერთო სხდომამ, ბოლოს, აღიარა საქართველოს უზენაესობა ბათუმის ოლქზე; ხოლო ბათუმში დაცული იქნებოდა, როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის ინტერესები. მაგრამ სომხეთმა შემდეგ მოითხოვა კიდევ ბათუმის პორტის ნაწილი და საკუთრებად კი რკინისგზის გასაყვანი მიწა ყარსიდან ბათუმამდე. ქართული დელეგაცია ყარსიდან ბათუმში რკინისგზის გაყვანას არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სომხეთისათვის სარკინისგზო ტერიტორიის საკუთრებად მიცემაზე უარს ამბობდა, სარკინისგზო ექსტერიტორიალობას უარსჰყოფდა.

1920 წ. 16 აპრილის სხდომაზე სომხეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მას ბათუმის ოლქის ტერიტორია წარმოედგინა მხოლოდ მდინარე ჭოროხამდე ესე იგი საქართველოსა და სომხეთს შორის მდინარე ჭოროხი იქნებოდაო. ასე: სომხებმა ეხლა მოითხოვეს მდინარე ჭოროხის მარცხენა მხარე, ბათუმის ოლქში. ქართული დელეგაციისათვის, რასაკვირველია, ეს სრულიად მიუღებელი იყო და ამნაირად: დავა ისევ თავიდან დაიწყო. ამ დავის შედეგად სომხებმა ჭოროხის მარცხენა მხარეზე მოთხოვნილებას თავი დაანებეს და ქართველებმა კვლავ განუმეორეს თავისი თანხმობა: — გაეყვანა სომხეთს რკინისგზა ყარსიდან ბათუმამდე, საქართველოს მიწაწყალზე, ჭოროხის ხეობაში, მაგრამ ამ ტერიტორიაზე სუვერენობა საქართველოს უნდა ჰქონებოდა; სომხებმა კვლავ მოითხოვეს სარკინისგზო ტერიტორიის მათ ხელში გადაცემა. ქართულმა დელეგაციამ ეს მოთხოვნილება ისევ უარჰყო და ბოლოს სომხებმა მოითხოვეს, რომ შეთანხმების ტექსტში ყოფილიყო ნათქვამი: „რკინისგზა სავსებით სომხეთის საკუთრება“ იქნებაო. ქართულმა დელეგაციამ არ მიიღო ეს იურიდიული ფორმულა და შეთანხმება არ მოხერხდა (24 აპრილი, 1920 წ.).

ამ მოლაპარაკების დროს გამოირკვა ინგლისის როლი. ინგლისის წარმომადგენელი ბ. ვანსიტარტი აშკარად მხარს უჭერდა სომხეთის მოთხოვნილებას, — და ამით ცხადი ხდება ის პოლიტიკაც, რომელსაც ინგლისის გენერლები მისდევდენ ამიერკავკასიაში, როდესაც მათ მხარი დაუჭირეს „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის“ შექმნას, რომელიც ალბათ შემდეგში, თუ იცოცხლებდა, ავტონომიურ ლაზისტანთან ერთად, სომხეთის შემადგენელი ნაწილი შეიქმნებოდა, და ამნაირად , სომხეთი მესხეთის საშუალებით პირდაპირ ზღვას მიეკვროდა. მაგრამ, როგორც აღვწერეთ, „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის“ სახელმწიფო ბუშტივით გაჰქრა და ჩაიფუშა, საქართველომ დაიკავა მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, ხოლო ინგლისის წარმომადგენლებმა სომხეთს შეუნარჩუნეს არდაგანის მხარის ნაწილი.

სომხურ - ინგლისური პოლიტიკა დამარცხდა მესხეთში და კავკასიაში შექმნილ საერთო პირობების გამო, მას შემდეგ რაც აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთმა დაიკავა (28 აპრილს 1920 წ.) და აგრეთვე საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკისა და კერძოდ, საქართველო - რუსეთის 7 მაისის ხელშეკრულების შედეგად, ინგლისმა მოხსნა ოკუპაცია ბათუმში, 4 ივლისს 1920 წელს, და ბათუმიც საქართველოს ხელში გადავიდა.

ხოლო როდესაც ბოლშევიკური ჯარები შეესიენ სომხეთს, — სომხეთის მთავრობამ დაუბრუნა საქართველოს მის ხელისუფლებაში დარჩენილი ბორჩალოს მაზრის ნაწილი, და ოსმალეთის შემოსევის დროს, სომხეთისაგან მოწყვეტილი და უპატრონოდ დარჩენილი არდაგანის მხარის სამხრეთი ნაწილიც საქართველომ შეიერთა.

1920 წლის დასასრულისათვის ქართული ტერიტორია გაერთიანდა და გამრთელდა: შეიქმნა დიდი საქართველო, თავის ძველ საზღვრებში, თავისი ქართული მიწაწყალით, რომელიც ჟამთა სიავის სრბოლაში და ისტორიული უკუღმართობით მოსწყდა მას. აღსდგა საქართველო!

მაგრამ ახალი საფრთხე უკვე კარებზე იყო მომდგარი: — საბჭოთა რუსეთი და ქემალისტური ოსმალეთი!

რათა ნათელი გახდეს ისტორიული შემდეგი მსვლელობა და რუსეთ - ოსმალეთის მოქმედებათა მნიშვნელობა საქართველოს საქმეში, ჩვენ უნდა გავეცნოთ მოკლედ ფეთ ოსმალეთის ვითარებას მსოფლიო ომის შემდეგ და გავარკვიოთ ის მიზეზები, რომელმაც ისტორიის გრძელ მანძილზე მეტისმეტად არაჩვეულებრივი მოვლენა გამოიწვია და ამის შედეგად რუსეთ - ოსმალეთი დაამეგობრა, ხოლო კავკასიის რესპუბლიკებს, და კერძოდ, საქართველოს ბოლო მოუღო.

## 18. ახალი ოსმალეთის წარმოშობა და მესხეთის საკითხი თურქულ „ეროვნულ პაქტ“-ში

მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, 30 ოქტომბერს 1918 წ. ოსმალეთმა კუნძულ მუდროსზე დროებით ზავს მოაწერა ხელი. 3 ნოემბერს 1918 წ. ინგლისელებმა დაიკავეს მოსული და 13 ნოემბერს 1918 წ. მოკავშირეთა სახელმწიფოების ანუ ანტანტის ფლოტი კონსტანტინეპოლში შევიდა. დაიწყო ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების გეგმების შედგენა და მზადდებოდა სევრის ხელშეკრულება.

1919 წ. იანვარში ინგლისელებმა დაიკავეს თითქმის მთელი არაბეთი, ურფა, აინტაპი ადანა და სამსუნი; 29 აპრილს 1919 წ. იტალიელებმა დაიკავეს ანტალია; ფრანგებმა — კილიკია; 15 მაისს 1919წ. ბერძნებმა დაიკავეს იზმისი. ოსმალეთის იმპერია ინგრეოდა და ნაწილდებოდა. ამან გამოიწვია ოსმალეთში დიდი პატრიოტული რეაქცია და დაიწყო ეროვნული მოძრაობა „ერის უფლებათა დამცველ საზოგადოებათა“ დაარსებით. უკვე მუსტაფა ქემალ - ფაშა, რომელიც სულთანის მთავრობის მიერ დანიშნული იყო მეცხრე არმიის ინსპექტორად, მოუწოდებს სამხედრო უფროსებსა და გუბერნატორებს: გააძლიერონ ეროვნული სული ოსმალეთის დაცვისათვის ანტანტის წინააღმდეგ; ეძებს მოკავშირეს; კავშირს აბამს თავისი აგენტების საშუალებით მოსკოვთან და ბერლინთან და იწყებს ბრძოლას.

ამავე დროს მოხდა პირველი შეტაკება ოსმალებსა და ბერძნების საოკუპაციო ჯარებს შორის ოდემის-ში.

ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი მხრივ, და ანტანტის მიერ დამონებული სულთანის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა მეორე მხრივ, გამძლავრებული ენერგიით წარმოებდა ნაციონალისტების მიერ და 21 ივნისს 1919 წ. ქემალ-ფაშამ სივა-ში მიიწვია ეროვნული ყრილობა და შემდეგ ერზერუმში 10 — 23 ივლისს 1919 წ. ერზერუმის კონგრესმა მიიღო დეკლარაცია, რომლის პირველი მუხლი შეიცავს შემდეგს:

„მცირე აზიის აღმოსავლეთი ვილაიეტები, ტრაპეზონის ვილაიეტი და სანჯაყი ჭანიკი წარმოადგენენ ერთს, გაუყოფელს მთელს და შედიან როგორც ინტეგრალური ნაწილი ოტტომანის იმპერიის შემადგენლობაში. ტრაპიზონის ვილაიეტი, ჭანიკის (ჭანეთის. ვ. ნ.) სანჯაყითურთ და აგრეთვე ერზერუმის, სივასის, დიარბეკირის, ხარფუთის, ვანის და ბითლისის, რომელთაც ეძახიან აღმოსავლეთი ანატოლიის ვილაიეტებს, და ყველა ავტონომიური სანჯაყები, რომელნიც ამ ვილაიეტებში რაიონებში იმყოფებიან, არავითარი სახით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქმნენ ერთი მეორესაგან ჩამოშორებული და წარმოადგენენ ამგვარად ერთს მთლიანს“-ო, — იგივე გამეორებულ იქმნა სივასის კონგრესზე 1919 წ. 4 — 12 სექტემბერს, სადაც გარკვევით ითქვა (მუხლი მეორე): —

„ჩვენ ვარდგენთ, რომ მთელი ჩვენი ძალღონით უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ ერთად ჩვენ სამშობლოს ყოველგვარი შემოსევისაგან და განსაკუთრებით იმ ცდისაგან, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შეიქმნეს ბერძნული ან სომხური სახელმწიფო“-ო.

ერზერუმის ყრილობაზე 7 აგვისტოს 1919 წ. არჩეულ იქმნა აღმასრულებელი კომიტეტი, ნამდვილად: შეიქმნა ოსმალეთის მეორე მთავრობა — სულთანის მთავრობის წინააღმდეგ. 12 სექტემბერს 1919 წ. ანტანტის მოთხოვნით, შესწყდა დამოკიდებულება ანატოლიასა და კონსტანტინეპოლს შორის, ხოლო ინგლისის მთავრობამ სულ-

თანის მთავრობას ხელი მოაწერინა საიდუმლო ხელშეკრულებაზე, რომლის ძალით ოსმალეთს ინგლისის მანდატი უნდა მიეღო. ამავე დროს სულთანის მთავრობამ 7 ოქტომბერს 1919 წ. გამოაცხადა დეპუტატთა პალატის არჩევნები და 12 იანვარს 1920 წ. შეიკრიბა პალატა, რომელმაც პროტესტი განაცხადა ანტანტის სახელმწიფოთა მოქმედების წინააღმდეგ და მიიღო ეგრედ - წოდებული „თურქული ეროვნული პაქტი“ ანუ „ეროვნული აღთქმა“, რომელიც თურქეთის ეროვნულ ბრძოლას საფუძვლად უნდა დასდებოდა, და რომელიც მართლაც შეიქმნა თურქული ნაციონალისტური პოლიტიკის ქვაკუთხედად.

ოსმალეთის პარლამენტის მიერ 28 იანვარს 1920 წ. მიღებული „ეროვნული აღთქმის“ პირველი მუხლი ეხება არაბულ ქვეყნებს და ამბობს, რომ თვით არაბთა მოსახლეობამ უნდა გამოარკვიოს თავისი ნებისყოფაო.

ფაქტიურად ეს ოსმალეთის იმპერიაში შემავალი არაბული ქვეყნების განთავისუფლების დადასტურებას ნიშნავდა; დანარჩენი ტერიტორია კი, „რომელიც იმყოფება დროებითი ზავის მიერ აღნიშნულ ხაზის აქეთ და დასახლებულია ოსმალური და მუსულმანური უმრავლესობით, რომელსაც აქვს სრული ერთობა წარმოშობისა, რასისა და რელიგიისა და ღრმად გადაბმულია თავის ეთნიურ და სოციალურ უფლებებზე, არის იურიდიულად და ფაქტიურად განუყოფელი მთლიანი“.

ამ „აღთქმით“ ანუ "პაქტით“ გამეორებულია ერზერუმის - სივას კონგრესების დადგენილებები ოსმალეთის საზღვრების შესახებ, ხოლო უფრო ზოგადად.

ეს „ეროვნული საზღვრები“, რასაკვირველია, უნდა აღნიშნულიყო კავკასიის მიმართულებითაც, და მართლაც, „ეროვნული პაქტის“ მეორე მუხლში ნათქვამი იყო შემდეგი: —

„რაც შეეხება სამი სანჯაყის, ყარსის, არდაგანის და ბათუმის ბედს, რომლის მოსახლეობამ თავისი განთავისუფლების დღიდან დაამტკიცა ზეიმური კენჭისყრით თავისი ნებისყოფა დაუბრუნდეს სამშობლოს, ხელისმომწერნი ამ პაქტისა, თუ საჭიროა, დაუშვებენ, რომ ხელმეორედ მოხდეს პლებისციტი, თავისუფლად გამოთქმული“.

ასეთი არის ეროვნული პაქტის მეორე მუხლი, რომელიც კერძოდ კავკასიას ეხება.

აშკარაა: აქ ლაპარაკია ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ერთდროს შექმნილ ვითარებაზე *).

მაგრამ ერთი წუთითაც რომ ვიფიქროთ, რომ ბრესტლიტოვსკის ზავს კიდევ ჰქონდა მაშინ ძალა, ამ წარმოუდგენელ შემთხვევაშიაც კი, ოსმალეთის პალატას უფლება არა ჰქონდა მას დამყარებოდა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ყარს - არდაგან - ბათუმის მხარეებში უნდა მომხდარიყო პლებისციტი თვითგამორკვევისათვის მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ასეთ მოვლენას ადგილი არა ჰქონია. და ბათუმში ჩატარებული პლებისციტი კი უწესოდ იქმნა შესრულებული და იგი არამც თუ საქართველოს მთავრობას არ უცვნია, არამედ გერმანიის წარმომადგენელმაც უარჰყო, როგორც უკანონო.

„ეროვნულ პაქტ“-ში პირველად დასახელებული და შემდეგ დაუსახელებელი მხარეების მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და უფრო მეტად იმის მტკიცება, რომ იგი პლებისციტით „შეუერთდა“ „სამშობლოს“-ო, სიმართლეს სავსებით მოკლებულია.

„ეროვნული პაქტის“ პრინციპის მიხედვით ოსმალურ მიწაწყლად ითვლება ადგილი, დასახლებული „ოსმალური, ანუ „თურქული“ და „მუსულმანური“ მცხოვრებთა უმრავლესობით. აღნიშნული ეს სამი მხარე: ბათუმ - ყარს - არდაგანისა კი თურქული ანუ ოსმალური მოსახლეობის უმრავლესობით ესე იგი თურქული რასის თუ მოდგმის უმრავლესობით არ არის დასახლებული, თუმცა იქ მცხოვრებთა უმრავლესობა მაჰმადიანურია სარწმუნოებით და საერთოდ კი რასიულად წმინდა ქართულია, რადგან მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველი მაჰმადიანებისაგან შესდგება — 64 პროცენტი. და არც არავითარი წესიერად ჩატარებული პლებისციტით ამ მხარეთა მცხოვრებნი ოსმალეთს არ შეერთებიან. ამ „პაქტს“ ანუ „აღთქმას“ ჩვენ კიდევ შევეხებით.

16 მარტს 1920 წელს ანტანტის ჯარებმა ოკუპაცია მოუხდინეს კონსტანტინოპოლს და 17 მარტს ოსმალური ეროვნული ძალები შეეტაკენ ფრანგულ ჯარს ურფა-ში; ქემალ - ფაშამ პროტესტი განაცხადა კონსტანტინოპოლის ოკუპაციის გამო და 19 მარტს 1920 წ. მიიწვია ეროვნული ყრილობა ანგორაში. 1920 წ. 11 აპრილს ანტანტის მოთხოვნით ანუ უფრო სწორად, ვინაიდან კონსტანტინეპოლში ინგლისელები ბატონობდენ, გარეკილ იქმნა კონსტანტინეპოლის პარლამენტი, რომელმაც „ეროვნული პაქტი“ მიიღო; და სან - რემოს კონფერენციაზე (18 — 26 აპრილი 1920 წ.) დადასტურდა ოსმალეთის იმპერიის დაშლა: — არაბული ქვეყნები განთავისუფლებულ იქმნენ; თრაკია და სმირნა მიეკუთვნა საბერძნეთს; სომხეთი გამოცხადდა დამოუკიდებელი; თურქესტანი — ავტონომიური და სხვა.

ქემალ - ფაშის მიერ ანგორაში მოწვეული და 23 აპრილს 1920 წ. შემდგარი „ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა“ ადასტურებს კონსტანტინოპოლის პარლამენტის მიერ გამოცხადებულ „ეროვნულ პაქტს“, აუქმებს სულთანის აქტებს და სცნობს მას მხოლოდ ხალიფად. 30 აპრილს 1920 წელს ანგორაშივე გამოცხადებულ იქმნა ოსმალეთის ახალი სახელმწიფო და 5 მაისს 1920 წ. შესდგა მთავრობა (კომისარიატი) ქემალ-ფაშის თავჯდომარეობით.

15 მაისს 1920 წ. ბერძნები იკავებენ სმირნას და ილაშქრებენ ქემალის წინაალმდეგ, მაგრამ ამ დროს საფრანგეთი იცვლის ფრონტს, გაჰყავს თავისი ჯარები ოსმალეთიდან, ეხმარება ქემალ-ფაშას მალულად; და 18 ივნისს 1920 წ. კი ოსმალეთის „დიდი ეროვნული ყრილობა“ ფიცს სდებს „ნაციონალურ პაქტზე“; ხოლო 20 ივნისს საბერძნეთს დაევალება ანტანტის მიერ ძალით გაატაროს ნაციონალისტური ოსმალეთის მიმართ საზავო პირობები, და ამგვარად იწყება ბერძენთა სამხედრო მოქმედება, ერთობ შეტევა, 22 ივნისს 1920 წ., ქემალ-ფაშას წინააღმდეგ, ას-კილომეტრიან ფრონტზე. სულთანის მთავრობა კი 22 ივლისს 1920 წ. იძულებით თანხმობას აცხადებს

---

*) საინტერესოა და დამახასიათებელი ის ამბავი, რომ „ეროვნული პაქტის“ ეს მეორე მუხლი, რომელიც ოფიციალურად იქმნა გამოცხადებული, შემდეგში ფერს იცვლის და შინაარსსაც, და როგორც ოფიციალურ ოსმალეთის ისტორიაში („ისტუარ დე ლა რეპუბლიკ ტიურკ“, ისტამბულ, 1935), ისე რუსულ თარგმანშიაც (იხ. მელნიკ: ტურცია, მოსკვა, 1937) აღარ იხსენიება არც ყარსი, არც არდაგანი, არც ბათუმი. იქ ყველა სახელი გამოტოვებულია და აღნიშნულ ისტორიულ მეორე მუხლს აქვს შემდეგი სახე: —

„ჩვენ თანახმა ვართ, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ახალი პლებისციტი სამ სანჯაყში, რომლის მოსახლეობა, თავისი განთავისუფლების დღიდან, პლებისციტით შეუერთდა სამშობლოს“-ო.

აი, ასეა გადაკეთებული და დამახინჯებული „ეროვნული პაქტის“ მეორე მუხლი, რომელიც კავკასიას ეხება. ამ პაქტის რუსულად მთარგმნელი ა. მელნიკი ამბობს, რომ აქ იგულისხმება — „აღმოსავლეთის სამი სანჯაყი (გუბერნია), რომელიც შემდეგ მოსკოვის ხელშეკრულების შედეგად ს. ს. ს. რ.-იდან ოსმალეთის ხელში გადავიდა“-ო. ა მელნიკის ეს შენიშვნა, რასაკვირველია, ყალბია. მთარგმნელი, როგორც ეტყობა, არ იცნობს „ეროვნული პაქტის“ ნამდვილ ტექსტს, სადაც სწორედ ყარს - არდაგან - ბათუმია დასახელებული, და მაშასადამე, იქ განმეორებულია ბრესტლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლი სრულიად გარკვევით; ხოლო შემდეგ, რათა თვალში არავის სცემოდა ეს მოვლენა, სრულიად უკანონოდ გადაუსწორებიათ და დაუმახინჯებიათ „ეროვნული პაქტის“ მეორე მუხლი, საიდანაც ყარს-არდაგან-ბათუმის სანჯაყთა სახელები გამოტოვებული არის. ეს უსათუოდ აღსანიშნავია!

სევრის ხელშეკრულებაზე, რომელსაც ხელს აწერს 10 აგვისტოს 1920 წელს.

სევრის ხელშეკრულების ძალით ოსმალეთს ჩამოშორდებოდა თრაკია, ადრიანოპოლი, გალიპოლი, არიბეთი, სირია, პალესტინა, მესოპოტამია, არმენია (სომხეთი), ქურთისტანი — ავტონომიური და მერმე დამოუკიდებელი (მუხლი 27 — 35). არმენია იქნებოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ერზერუმის, ბითლისის, ვანის და ტრაპეზონის ვილაიეტებით. საზღვრები საქართველოსთან და აზერბაიჯანთან დადგენილ უნდა ყოფილიყო ამ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებით (მუხლი 88 — 93). მუდროსის დაზავების მუხლი აქაც განმეორებულია: ძველი რუსეთის იმპერიის საზღვრები 1914 წლისა აღდგენილ უნდა იქმნეს და ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება გაუქმებულია (მუხლი 132 — 139) და სხვა და სხვა.

თუმცა სულთანის უძლურმა და უსურმა მთავრობამ დაადასტურა სევრის ხელშეკრულება, მაგრამ ოსმალეთის ნამდვილმა პატრონმა, მუსტაფა ქემალ-ფაშამ კატეგორიულად უარჰყო იგი, და ომი ბერძნების წინააღმდეგ გაგრძელდა.

ქემალ-ფაშა ეძებს დახმარებას და პოულობს მას მოსკოვში, რომელთანაც აერთებს მას ერთი მიზანი: — ბრძოლა ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

## 19. საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური ოსმალეთის მოქმედება კავკასიაში

კავკასიაში დატრიალებული ამბების სურათის სისრულისათვის და ოსმალეთ - რუსეთის მოქმედებათა გასარკვევად, —თუმცა ამ საკითხს პირდაპირი კავშირი მესხეთთან არა აქვს, — საჭიროდ ვსცანით ორიოდე სიტყვით აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაღუპვის ისტორიაზე შევჩერებულიყავით.

კავკასიაში რუსეთის მეორედ შემოსვლა უკანასკნელად ბაქოს გზით მოხდა, და თუ რა როლი ითამაშა ამ საქმეში ოსმალეთმა და აზერბაიჯანმა, ამას ყურადღების გარეშე ვერ დავსტოვებთ.

უკვე ვთქვით, საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ ოსმალეთს საერთო მიზანი გაუჩნდათ: — ბრძოლა ანტანტის წინააღმდეგ. ამ ბრძოლისათვის საჭირო შეიქმნა ძალთა გაერთიანება, რუსეთის მხრით ოსმალეთისათვის დახმარების მიწოდება იარაღით, ფულით, ტეხნიკოსებით და სხ. ამისათვის აუცილებელი იყო ერთი მეორისაკენ გზის გაკაფვა. გზა კი გადიოდა კავკასიაზე და პირველად ყოვლისა მეტად იოლ სავალ გზად აზერბაიჯანი იქმნა მიჩნეული. აი. აქ ოსმალეთმა განსაკუთრებული ყურადღება აზერბაიჯანს მიაქცია, და ვინაიდან იქ მას დიდი გავლენა ჰქონდა, ამიტომ აამოძრავა ამ გავლენის მანქანა, რომელმაც ბოლოს თვით აზერბაიჯანი იმსხვერპლა და შეიწირა.

საერთოდ აზერბაიჯანში მრავალი ოსმალო მოღვაწეობდა და განსაკუთრებით ადმინისტრაციაში და ჯარში მათ ბევრი ადგილი და ფრიადი მნიშვნელობა ჰქონდათ. ოსმალეთის აგენტურამ აავსო პრესსა. აამოქმედა ჩუმი ძალები, და დაიწყო გაცხარებული და თავდადებული მუშაობა საბჭოთა რუსეთთან მეგობრობისათვის და ქადაგება შეუწყვეტელი, რომ რუსეთი მუსულმანურ ქვეყნებს ათავისუფლებს და ოსმალეთს ეხმარებაო. ხასან - ბეკ - აგაევი, აზერბაიჯანის პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დანგრევის შემდეგ თბილისში ემიგრანტად გამხდარი, 13 ივნისს, 1920 წელს უსაყვედურებდა ენვერ - ფაშას იმ მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ოსმალეთის აგენტებმა აზერბაიჯანში გასწიეს: ეს საყვედურიანი საბუთი იმდენად მნიშვნელოვანია ,რომ იგი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

ხასან - ბეკ - აგაევი ენვერ - ფაშას სწერდა, სხვათა შორის შემდეგს აზერბაიჯანის დაღუპვის მიზეზების შესახებ:

„ეს ერთი ხანია აზერბაიჯანულ პრესაში, განსაკუთრებით გაზეთ „ იტტიხად "-ში, დაჟინებითა და მუდმივად ვრცელდებოდა სულ სხვადასხვანაირი და ცრუ ცნობები ბოლშევიკების შესახებ, რომელსაც არხევდენ ოსმალო ოფიცრები, ბაქოში მცხოვრებნი და თითქო თქვენის დავალებით მომუშავენი".

„აზერბაიჯანელ თურქთა შორის სწარმოებდა ენერგიული ქადაგება იმის შესახებ, თითქო თქვენსა და საბჭოთა მთავრობის შეთანხმების ნიადაგზე, შეთანხმებულ მხარეთა ჯარები, შეერთდებიან რა ანატოლიაში, დაიწყებენ ომს ანტანტის წინააღმდეგ, მუსულმანურ მსოფლიოს და კერძოდ ოსმალეთის განსათავისუფლებლად. ამ ხმებში მეტად უმთავრესი და მნიშვნელოვანი არის შემდეგი:

„რუსული ჯარი გაივლის აზერბაიჯანზე, ბაქოში შეუსვლელად, ყარაბაღ - სომხეთის გზით ანატოლიისაკენ".

„მოხსენებული ოსმალო ოფიცრები, მოსახლეობა რომ დააჯერონ ამ სულელური ხმებით, იჩენენ დიდ ენერგიას და აქტივობას".

"ხალილ - ფაშა , ბახა საიდ, დ-რ ფუადი და ბახაედდინი მეთაურობენ ამ მოძრაობას".

„აზერბაიჯანის ხალხმა თითქო უკვე დაიჯერა ეს ხმები და ამ საქმის ინიციატორებს შეეძლოთ ამ შემთხვევაში ეფიქრათ, რომ მათი მიზანი მიღწეულია".

„სამხედრო ორგანიზაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდენ თქვენ მიერ რწმუნებული ოფიცრები და აზერბაიჯანის სტუმრები, ნელნელა შეჰყავდა თავის წრეში რუსი ბოლშევიკები და ცოტახნის შემდეგ თვით (ორგანიზაციამ) მიიღო ბოლშევიკური ორგანიზაციის ფერი".

24 აპრილს 1920 წელს ბოლშევიკურმა ჯარმა გადალახა აზერბაიჯანის საზღვარი, გაჰფანტა 300 მესაზღვრე აზერბაიჯანისა და 27 აპრილს რუსეთი ბაქოდან უკვე 15 კილომეტრზე იმყოფებოდა.

„და როგორც კი მისი ნაწილები შემოვიდენ ქალაქში, მათ მისასალმებელი სიტყვებით შეხვდენ ხალილ - ფაშა და დ-რ ფუადი, რომელნიც ეძახდენ წითლებს „ჩვენს მოკავშირეებს" და აჩერებდენ მოსახლეობას წინააღმდეგობა არ გაეწია".

„ბაქოში შემოსულ ბოლშევიკებს მკლავებზე ჰქონდათ წითელი „პოვიაზკა" თეთრ ნახევარ მთვარესთან ერთად, რომელიც სამი თვის შემდეგ მოიშორეს, რადგან, ცხადია, აღარ ჭირდებოდათ".

„ვინაიდან ქალაქში არ იყო არავითარი შეიარაღებული ძალა. პარლამენტი იძულებული იყო ხელისუფლება გადაეცა განსაკუთრებული კომიტეტისათვის, რომელიც გამოგზავნა ამ მიზნით ბოლშევიკურმა პარტიამ".

„ამგვარად, 27 აპრილს 1 — 2 საათზე ღამით, ხელისუფლება გადავიდა ბოლშევიკების ხელში და მეორე დღეს რუსულმა არმიამ, დაარღვია რა თავისი აღთქმა, დაიკავა ბაქო, სადაც განაიარაღა აზერბაიჯანული პოლიცია"....

ერთადერთი ძალა ქალაქში, იყო „პარლამენტის პოლკი", რომელიც შესდგებოდა უმთავრესად ოსმალოებისაგან და მისი კომანდირიც იყო ოსმალო. ბახა - საიდის ხელმძღვანელობით პოლკმა დაიკავა პარლამენტი და დასრულა ამით ბოლშევიკური გამარჯვება.

"გამოუთქმელი უბედურების მიზეზი, რომელიც თავს დაატყდა აზერბაიჯანს, არის შეცდომები თქვენი ოფიცრებისა, რომელნიც სტუმრად იყვნენ ჩვენთან თქვენი სახელით. აზერბაიჯანი იღუპება იმ შეთანხმების გამო, რომელიც თქვენ დასდეთ საბჭოთა რუსეთთან"....

და აზერბაიჯანი დაიღუპა, გადაეშვა უფსკრულში, ოსმალეთის ინტერესებისათვის, და თავის უბედურებაში თვით აზერბაიჯანმა მიიღო მხურვალე მონაწილეობა, ოსმალეთის ლოცვაკურთხევით და წაჯიკავებით. თვით აზერბაიჯანელები ეხმარებოდენ ოსმალეთს აზერბაიჯანის რესპუბლიკის რუსეთის ფარგლებში შესვლას და ამ საქმის მოწყობაში აზერბაიჯანელი მოღვაწენი თავს არ იზოგავდენ. ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკისა, მერმე ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, კიდევ მერმე მინისტრი, რომელსაც დაევალა მთავრობის შედგენა, ცნობილი მ. გ. გაჯინსკი, არა - ნაკლებ ცნობილი იქაც და აქაც, ამიგრაციაშიც. ემინ რასულ-ზადე ოსმალურ პოლიტიკას იზიარებდენ და ანხორციელებდენ. აზერბაიჯანის მთავრობის წევრები, „მუსსავატის" პარტიის გავლენიანი წევრები, „იტტიხადის" პარტიის დიდი წევრები, ოსმალეთის აგენტების ხელში მყოფი ჯარი,

მოტყუებული და თვალებახვეული მოსახლეობა, მეტად კეთილად განწყობილი ოსმალეთისადმი — აი ის ხალხი, რომელმაც შემოიყვანა საბჭოთა რუსეთი აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანმა ჩაიდინა ღალატი თავისი თავის წინაშე და ამით კავკასიის წინაშეც ოსმალეთის გულისათვის.

რომ ეს ამბავი უბრალო ჭორად არავის მოეჩვენოს, ჩვენ უნდა მოვიტანოთ აქ თვით ქემალ - ფაშის შემდეგი განცხადება: —

„26 აპრილს, 1920 წ. (ოსმალეთის) მთავრობის საბჭო ანგორადან მიმართავს რუსეთის საბჭოთა მთავრობას წერილით, რომელშიაც აცხადებს, რომ ოსმალეთი ვალდებულებას იღებს საბჭოთა რუსეთთან ერთად იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძოლოს და აზერბაიჯანზე იმ მხრივ გავლენა მოახდინოს, რომ აზერბაიჯანი საბჭოთა რესპუბლიკების ფარგალში შევიდეს“-ო.

ამისათვის მუშაობა უფრო ადრე იყო დაწყებული, და მალე, ადვილადაც გატარებული ცხოვრებაში.

ოსმალეთთან ერთად ანტანტის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, მოსკოვს თავისი საკუთარი დიდი ინტერესებიც ჰქონდა კავკასიაში: — ძველი რუსული საზღვრების აღდგენა, კავკასიური ბაზის დაბრუნება, ბაქოს ნავთი, ჭიათურის მანგანეუმი და ბათუმის პორტი.

აზერბაიჯანში შემობრძანებით რუსეთმა შემოარღვია კავკასიის ზღუდე, გასეირნებით გადმოალაჯა კავკასიურ ბჭეს და აღარ დაუყოვნებია საქართველოსა და სომხეთის წინააღმდეგ გაელაშქრა. იგი სწრაფლ გაეშურა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებისაკენ, და გაიმართა სასტიკი ომი საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის; ომი, რომელიც რუსეთის დამარცხებით და 19 მაისის 1920 წლის ხელშეკრულებით დასრულდა.

სომხეთში კი მოსკოვმა წინასწარ მოაწყო აჯანყებანი 1 — 14 მაისი 1920 წ. სომხეთის მთავრობამ 14 მაისს ჩააქრო ბოლშევიკური აჯანყება ყარსში, 18-ს — სარაკამიშში, 19-ს — ბაიაზეთში და 22-ს კაზახის რაიონში; ხოლო 21 მაისს 1920 წ. წითელი ჯარები იწყებენ შეტევას სომხეთისაკენ, იკავებენ კაზახის მხარეს, მაგრამ აქ სომხები მათ ამარცხებენ. შემდეგ აზერბაიჯანელებთან ერთად წითლები უტევენ ზანგეზურისაკენ; 5 ივლისს 1920 წ. იკავებენ გერუსს; სომხები აწარმოებენ კონტრშეტევას ჰდროს ხელმძღვანელობით და ხდება ნამდვილი ომი: მაგრამ ამასთანავე და მალე, იწყება ოსმალეთის თავდასხმა სომხეთზე; სომხები იძულებული არიან შეაჩერონ ბრძოლა რუსული მე-11 არმიის წინააღმდეგ. თითქმის მთელი ზანგეზური რჩება რუსეთის ხელში; ოქტომბერში იქ ხდება დიდი აჯანყება, რუსები განდევნილი არიან, მაგრამ ოსმალეთის ფრონტზე სომხები მარცხდებიან.

როგორ შეიქმნა საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური ოსმალეთის მეგობრობა?

როგორც აღვნიშნეთ: —

საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ ოსმალეთს მსოფლიო ომის შემდეგ საერთო მიზანი გაუჩნდათ: — ბრძოლა გამარჯვებულ სახელმწიფოთა კავშირის ანუ ანტანტის წინააღმდეგ. პირველი ებრძოდა მათ — სამხრეთ რუსეთში — თეთრგვარდიელთა ფრონტზე; მეორე — მცირე აზიაში — ბერძნების მიერ გაშლილ ფრონტზე. ამ საერთო ინტერესების გაჩენამ საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ ოსმალეთს მეგობრობის საერთო ინტერესები შეუქმნა და ვინაიდან ოსმალეთი განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მანაც პირველმა აღიმაღლა ხმა და რუსეთს თხოვნით მიმართა.

1920 წ. 23 აპრილს გაიხსნა ანგორაში „ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა“ და უკვე 26 აპრილს ამ ყრილობამ მიმართა თხოვნით მოსკოვს, რათა მას დახმარება გაეწია ქემალისათვის უცხოელების ინტერვენციის წინააღმდეგ და დაემყარებინა ანგორასთან მუდმივი კავშირი.

ამასთან ერთად ქემალის ოსმალეთი თავისთავზე ღებულობს ვალდებულებას: აზერბაიჯანის რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთში შევიდეს! ეს, ნათელია, ძვირფასი ფეშქაში და ძღვენი იყო!

თავის საპასუხო წერილში, 2 ივნისს 1920 წ. მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ მიიღო და დაუდასტურა ქემალის მთავრობას ის პრინციპები, „რომელიც გამოაცხადა „დიდმა ეროვნულმა ყრილობამ“ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით , ესე იგი: მოსკოვმა აღიარა ოსმალეთი "ეროვნული პაქტის" ფარგლებში, უარჰყო მანაც კაპიტულაციები, უცხოეთის კონტროლი, გავლენის სფეროები და სხ. ოსმალეთის მიმართ. საბჭოთა მთავრობა, იყო ნათქვამი იმ ნოტაში: „ოსმალეთისათვის ამ მძიმე დღეებში ... ბედნიერია ჩაჰყაროს საფუძველი მეგობრობისა, რომელმაც უნდა შეაკავშიროს თურქი და რუსი ხალხი“-ო.

ამასთანავე მოსკოვი წინადადებას აძლევდა ანგორას : დაუყონებლივ დაენიშნათ დიპლომატიური და კონსულური წარმომადგენლები. 1920 წლის ზაფხულის დამდეგს, მოსკოვს ეწვია ოსმალეთის პირველი დელეგაცია და დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება, რომელიც დასრულდა 24 აგვისტოს 1920 წელს დადებული მეგობრობის ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება მიზნად ისახავდა ერთად ბრძოლას იმპერიალისტური სახელმწიფოების ანუ ანტანტის წინააღმდეგ.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის დახმარება რომ პირდაპირი და საგრძნობი ყოფილიყო, საჭირო იყო პირდაპირივე კავშირი და იქ კი, კავკასიაში, რუსეთსა და ოსმალეთს შორის სამი რესპუბლიკის ტერიტორია იყო ჯებირად ვართაქმნილი — ბუფერი, რომლის გადალახვა უახლოეს მიზნად იქმნა დასახული.

ჯერ უფრო ადრე, ქემალ - ფაშის რჩევით თუ კარნახით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა 1920 წლის აპრილში კარებს ულებს წითელ ჯარებს, რომელნიც აზერბაიჯანის დაკავების შემდგომ პირდაპირ საქართველოს რესპუბლიკას ეჯახებიან, მაგრამ მარცხდებიან.

შემდეგი დარტყმა ხდება სომხეთის რესპუბლიკაზე.

მოსკოვის მთავრობამ ერევანის მთავრობას ჯერ „მეგობრული“ წინადადებით მიმართა, რათა უკანასკნელს რუსეთისათვის ნება დაერთო სომხური გზებით გადაეზიდვინებინა სამხედრო მასალა ქემალის ჯარების დასახმარებლად. სრულიად გასაგებია, სომხეთის მთავრობამ, რომელიც სევრის ხელშეკრულების განაღდებას დღითიდღე მოელოდა, მოსკოვის ასეთი წინადადება არ შეიწყნარა და მას უარი შეუთვალა. მაგრამ ეს უარი საბედისწერო აღმოჩნდა.

1920 წლის მაისში საქართველოს ფრონტზე რუსეთის შემოტევას და მერმე დამარცხებას თანმოჰყვა, 9 ივნისს 1920 წ., ქემალის მიერ აღმოსავლეთ ანატოლიაში მობილიზაციის გამოცხადება და კავკასიის მხარეზე მთავარსარდლად კიაზიმ - კარაბეკირ - ფაშის დანიშვნა. უკვე 7 ივლისს 1920 წ. ქემალის მთავრობამ სომხეთის მთავრობას ერევანში ულტიმატუმი გადასცა და ვინაიდან ოსმალეთმა მოიმიზეზა, რომ სომხეთი თავსგვესხმისო, თვითონვე შეუტია სომხეთს. ეს იყო პირველი ცდა სომხეთის განადგურებისა, რომელიც უფრო ძლიერად განმეორდა ოქტომბერში, როცა 30 ოქტომბერს 1920 წ. ოსმალებმა აიღეს ყარსი. და ამავე დროს რუსული წითელი ჯარებიც შეიჭრენ სომხეთის ტერიტორიაზე და დაიწყეს შეტევა. 7 ნოემბერს ოსმალებმა დაიკავეს ალექსანდროპოლი (გუმბრი). ორი მხრიდან შემორტყმული, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სომხეთის მთავრობა იჩქარის დასდოს ოსმალეთთან ხელშეკრულება, რათა შესძლოს ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ; იგი სდებს „ალექსანდროპოლის ხელშეკრულებას“ ოსმალეთთან, მეტად მძიმეს და აუტანელს, მაგრამ ეს მას არ შველის — რუსული წითელი ჯარები პარალელურად იკავებენ სომხეთის ტერიტორიას, სომხეთის რესპუბლიკა იჭყლიტება უროსა და გრდემლს შუა და 2 დეკემბერს ერევანში ცხადდება სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. და 3 დეკემბერს 1920 წ. საბჭოთა სომხეთი და ქემალისტური ოსმალეთი სდებენ „მეგობრულ“ ხელშეკრულებას. — ოსმალეთი და რუსეთი უკვე პირდაპირი მეზობლები არიან და ქემალს დახმარება უხვად მისდის.

ცნობილი ბოლშევიკი, საერთაშორისო საკითხების სპეციალისტი, მ. პავლოვიჩი, 1920 წელში სწერდა, რომ „სომხეთისა და საქართველოს არსებობის აზრი, საერთაშორისო იმპერიალიზმის აზრით, მდგომარეობს სწორედ

ამ მისიაში ორივე სახელმწიფოისა, იმსახურონ ბუფერად, გარდაუვალ კედლად ერთი მხრით რევოლუციურ რუსეთისა, საბჭოთა აზერბაიჯანისა და გაღვიძებულ აღმოსავლეთის შორის, პირველად ყოვლისა, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის“-ო. პავლოვიჩი ამით ახასიათებდა 1920 წ. არა მარტო „საერთაშორისო იმპერიალიზმის“ აზრს, არამედ რუსეთის აზრსაც, რადგან ასეთი აზრი არა ერთჯერ გამოთქმულა საბჭოთა პუბლიცისტების მიერაც. როგორც მაგალითად: — „მენშევიკური საქართველო და დაშნაკცაკანური სომხეთი — მთავარი ბაზაა საბჭოთა რუსეთისა და ანატოლიის ოსმალეთის დასაშორებლად და მუდმივი საფრთხე მათთვის ზურგიდან“...

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ „გამოჩნდა გზა, რომლის შემწეობითაც დაჩქარდა დაახლოება რევოლუციურ ანატოლიისა და საბჭოთა რესპუბლიკებისა“-ო.... ხოლო ევროპიელი ჟურნალისტი, ჟანტიზანი, რომელმაც საქართველოს გაზეთ „ტან“-ში მრავალი წერილი მიუძღვნა, 1920 წ. სწერდა: „უკვე ეხლა საქართველო კავკასიის ფრონტის დიდ ნაწილზე აბრკოლებს პირდაპირ ურთიერთობას ბოლშევიკებსა და ოსმალო ნაციონალისტებს შორის, რომელნიც თუმცა სხვა და სხვა მიზნებს მისდევენ, მაგრამ ერთნაირად სცდილობენ მოკავშირე დემოკრატიათა გამარჯვებას საბოტაჟი გაუკეთონ“-ო.

ეს ახსნა განმარტებაც საკმარისია, სხვა უფრო მძიმე მოსაზრებასაც რომ თავი დავანებოთ, იმის გასაგებად, თუ ოსმალეთი და რუსეთი რატომ ერთდროულად და ერთად დაესხენ თავს საქართველოს რესპუბლიკას და რატომ ასე ძმურად გაინაწილეს იგი.

რუსეთსა და ოსმალეთს შორის შეიქმნა საერთო საზღვარი — დახმარება იარაღითა და ფულით გაიზარდა: *) ქემალისტები აწარმოებენ ძლიერ კონტრშეტევას ბერძნების წინააღმდეგ; ბერძნები მარცხდებიან, სტოვებენ მცირე აზიას, და მზადდება ლოზანის კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქმნა 1923 წ. 29 იავარს. 1923 წ. 22 ოქტომბერს ოსმალეთი ცხადდება რესპუბლიკად და მისი პირველი პრეზიდენტია — ეროვნული გმირი — ახალი ოსმალეთის მამა — ქემალ ფაშა.

ასეთია სრულიად მოკლედ ოსმალეთის ისტორია იმ დროის მანძილზე, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხიც იდგა საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო აწ უნდა დავუბრუნდეთ საქართველოსა, ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობას და გავარჩიოთ ის ხელშეკრულებაც, რომელი ოსმალეთმა და რუსეთმა შეჰკრეს საქართველოს ზურგს უკან თვით საქართველოს ხარჯზე.

## 20. რუსეთ - ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულება, ყარსის ხელშეკრულება და მესხეთის საკითხი

მოსკოვის მთავრობამ ქემალის მთავრობა ფაქტიურად იცნო უკვე თავის საპასუხო ნოტით 2 ივნისს 1920 წელს. ამ ნოტის მიხედვით, რუსეთმა აღიარა ოსმალური "ეროვნული პაქტი“, და, მაშასადამე, სცნო ოსმალეთის პრეტენზიები სამ სანჯაყზე: ბათუმ - არადაგან - ყარსზე. ამ „ეროვნულ პაქტ“-ში, რომელიც ოსმალეთის პარლამენტმა გამოაცხადა ცალმხრივად, ბათუმ - არდაგან - ყარსის მხარე აღიარებულია თურქულ მიწაწყლად და ნაგულისხმევია აგრეთვე, რომ სწორედ ბრესტლიტოვსკის ზავით მიიღო იგი ოსმალეთმა. ნებით ეს მხარე ოსმალეთს არ დაბრუნებია, და ამნაირად, „ეროვნულ პაქტ“-ში გამოცხადებული უფლება ყალბია.

ასეთი იყო ნამდვილი ვითარება, რომელიც საბჭოთა მთავრობის საგარეო სამინისტროს არ შეიძლება არა სცოდნოდა; მოსკოვის საგარეო საქმეთა კომისარიატი მით უმეტეს ვალდებული იყო ამ საკითხში სათანადოდ გარკვეულიყო, რადგან იმავე კომისარიატმა რამოდენიმე კვირით ადრე, 7 მაისს 1920 წ. (7 მაისი — 2 ივნისი!) დე - იურედ აღიარა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოაქცია ბათუმის მთელი ოლქი.

საქართველოს ტერიტორიაში, მოსკოვის დე - იურედ ცნობის მიხედვით, არ შედიოდა მხოლოდ არდაგან - ოლთისი, რომლის შესახებ იქ ნათქვამი იყო: (ბათუმის ოლქის გარდა), თუ საქართველო მიიღებს არსებული ან მომავალში მოსალოდნელი სხვა სახელმწიფოსაგან ახალ ტერიტორიებს, მაშინ რუსეთი აღიარებს საქართველოსათვის იმ ტერიტორიებს, რომელიც ძველად შედიოდა კავკასიის სანამესტნიკოშიო. აქ ლაპარაკია მხოლოდ ყარსის ოლქის ორ „ოკრუგზე“ — არდაგან - ოლთისზე. საქართველოს უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ ეს ორი მხარე, რომელსაც მაშინ მხოლოდ სომხეთი ედავებოდა, სწორედ მის ფარგლებში მოხვდებოდა, და აქ კი, უცებ მოსკოვის საგარეო საქმეთა კომისარიატი იმასაც კი ივიწყებს, რომ 7 მაისის ხელშეკრულებით ბათუმის ოლქი საქართველოს ეკუთვნოდა! როგორ შეიძლებოდა ეს ამბავი დატრიალებულიყო? არის ეს მოხელეთა უვიცობის და დაუდევრობის შედეგი, თუ იგია განზრახული მოსაზრება საქართველოს ტერიტორიული შემცირების მიზნით, მის გასანადგურებლად და ოსმალეთის გულისმოსაგებად?

უეჭველია, რომ ფორმალურად, თურქული „ეროვნული პაქტის“ აღიარებით, 2 ივნისს 1920 წ., რუსეთმა ორჭოფულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი: — ან 7 მაისის 1920 წ. რუსეთ - საქართველოს ხელშეკრულება იყო მართალი, ან 2 ივნისის რუსეთის ნოტა ოსმალეთისადმი.

არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება იმის შესახებ: იცოდა რაიმე საქართველოს მთავრობამ ამაზე, თუ არა? ფორმალურად, ყოველ შემთხვევაში ის ვალდებული იყო სცოდნოდა ეს და ამის გამო შესაფერი ზომებიც მიეღო. ჩვენ ვეჭვობთ, რომ ეს მოხდა ასე.

იმ დროს, როდესაც საქართველო რუსეთის წინააღმდეგ 1921 წ. ომს აწარმოებდა; იმ დროს, როცა ქართულ ჯარებს ებრძოდენ ბოლშევიკური ჯარები, და ოსმალეთი კი საქართველოს პირდებოდა რა დახმარებას, სამარეს უთხრიდა, მოსკოვში რუსეთის მთავრობის და ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთა შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, და ამ მოლაპარაკების შედეგად იშვა ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს 1921 წლის 16 მარტს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ, თუმცა განადგურებული, ქართულ თავის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. რას წარმოადგენს მოსკოვის 16 მარტის 1921 წ. ხელშეკრულება?

რასაკვირველია: ხელშეკრულება იწყება ერთა ძმობისა და თვითგამორკვევის უფლებათა პრინციპის აღიარებით! და ამასთან რუსეთი და ოსმალეთი აცხადებენ თავის სოლიდარობას დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასახელებული ხელშეკრულების პირველი მუხლი უარჰყოფს ყველა საზავო ხელშეკრულებასა და საერთაშორისო აქტებს, რომელსაც არა სცნობს ან ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა ანუ კრება, ან საბჭოთა რუსეთი.

მაგრამ ვინ არის ეს ოსმალეთი და რას წარმოადგენს იგი? იმ დროს ხომ სულთანის ოსმალეთის მთავრობა სტამბულში იჯდა. ინგლისის მზრუნველობაში, და ახალი

* ,Les Armeniens, laissés à leur destin, se virent donc harcelés à la fois par les Turcs nationalistes et par les Russes bolchevistes«. V. D. v. Mikusch: «Ghazi Mustapha Kémal«, Paris. p. 221.

«La Russie comme aide matérielle et comme appui moral, était pour la Turquie d'une valeur inestimable«. ib. p. 223.

«L'entente conclue avec la Russie en 1921 a été d'une grande utilité pour la défense de la cause national turque«. Lamouch : Histoire de la Turquie, Paris, 1934. p. 390.

«Rien que le traité actuel ratifiant cet accord (1920) n'ait été signé que le 16 mars 1921, cela ne retarde pas la livraison sans arrêt par la Russie, dans les ports turcs de la mer Noire, des armes et des munitions nécessaires. A cet moment la Russie était le seul ami de la Turquie et les Turcs ne l'ont jamais oublié«. Gén. Sherrill: Mustapha Kémal, Paris, 1934.

ოსმალეთის მთავრობა კი ანგორაში;! იმ დროს ხომ ახალი ოსმალეთი ქემალ - ფაშის ხელმძღვანელობით, სასტიკად უწევდა ბრძოლას ანტანტის მიერ დადგენილ სევრის ხელშეკრულებას, რომელიც ოსმალეთს ანიავებდა, და ებრძოდა სულთანის მთავრობასაც, რომელმაც ეს სევრის ხელშეკრულება მიიღო?! ამიტომ საჭირო გახდა მოსკოვის ხელშეკრულებაში აღნიშნული ყოფილიყო, თუ სიტყვით: „ოსმალეთი“, რა იგულისხმებოდა! მოსკოვის ხელშეკრულების პირველი მუხლის მეორე განყოფილებაში ამის შესახებ შემდეგია ნათქვამი: —

„ამ ხელშეკრულებაში, მცნებით, ოსმალეთი, იგულისხმება ტერიტორიები, რომელიც აღნიშნულია 28 იანვრის 1336 (ანუ 1920) წლის ნაციონალურ ოსმალურ შეთანხმებაში, რომელიც გამომუშავებულ და გამოცხადებულ იქმნა ოტტომანის დეპუტატთა პალატის მიერ კონსტანტინეპოლში და რომელიც ეცნობა პრესსასა და ყველა სახელმწიფოს“-ო.

აქედან სჩანს, რომ ოსმალეთის ტერიტორიული შემადგენლობა და მისი საზღვრები დაუდგენია ოსმალეთის დეპუტატთა პალატას 1920 წ. 28 იანვარს, მაშასადამე, ცალმხრივი განცხადებით, პალატას განუსაზღვრავს ოსმალეთის ფარგლები და იმჟამად, 16 მარტს 1921 წელს, საბჭოთა რუსეთი ხელშეკრულებით სცნობს ოსმალეთის ტერიტორიულ შემადგენლობას, როგორც იგი არის განმარტებული „ეროვნულ თურქული პაქტით“. ამ საფუძველზე მოსკოვის ხელშეკრულების **პირველი მუხლის მეორე აბზაცში** გატარებულია საზღვრები შემდეგნაირად: —

"ოსმალეთის ჩრდილო - აღმოსავლეთის საზღვარი ტარდება: ხაზით, რომელიც იწყება სოფელ სარპთან, შავ ზღვაზე, გადადის მთაზე ხედის-მთა, წყალთგამყოფ ხაზზე შავშეთის მთისა და კანნი-დაღის შორის, შემდეგ მისდევს არდაგანისა და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთ ადმინისტრატიულ საზღვარს — ტალვეგზე — მდინარეთა არპა-ჩაი და არაქსი ქვემო - კარა-სუ-ს შესართავამდე“.

ამით დადგენილია ის საზღვარი, რომელიც დღესაც არსებობს, და რომლის ძალით ქართული ტერიტორიები: არდაგან - ოლთის - ართვინისა, თითქმის ბათუმამდე ოსმალეთის ხელში იმყოფება......

მოსკოვის ხელშეკრულების **მეორე მუხლის** ძალით —

„ოსმალეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სუზერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქზე და იმ ტერიტორიაზე, რაც ძევს ჩრდილოეთით საზღვარისა, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში. და შეადგენს ბათუმის ოლქის ნაწილს, იმ პირობით, რომ

„1) ხელშეკრულების ამ მუხლში მითითებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი ისარგებლებენ ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრატიული მხრივ, რომელიც თითოულ თემს უზრუნველჰყოფს კულტურული და რელიგიური უფლებებით, და რომ მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა გაატაროს ისეთი აგრარული კანონი, რომელიც მის სურვილებს შეესაბამება.

"2) რომ ოსმალეთს მიენიჭება თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარი საქონლისა, რომელიც იგზავნება ოსმალეთში ან იქიდან, ბათუმის ნავთსადგურის საშუალებით, უბაჟოდ, დაუბრკოლებლივ, და რაიმე გადასახადის დადების გარეშე, ოსმალეთისადმი იმ უფლების მიცემით, რომ იგი ისარგებლებს ბათუმის პორტით განსაკუთრებულ გადასახადთა გაუღებლად“.

**მეექვსე მუხლით:** რუსეთი და ოსმალეთი აღარ სცნობენ აქამდე მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და აუქმებენ მათ. ხოლო **მერვე მუხლით** ერთი მეორეს ავალდებულებენ თავიანთ ტერიტორიებზე არ დაუშვან მტრული ორგანიზაციები ან ჯგუფები, რომელნიც მეორე მხარეში მთავრობობის პრეტენზიებს აცხადებენ; და **მე - 15 მუხლით**, რუსეთს დაკისრებული აქვს, ამ ხელშეკრულებაში რაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ეხება, ყველაფერი გაატაროს და **მე - 16 მუხლით** რატიფიკაცია ამ ხელშეკრულებისა უნდა მოხდეს ყარსში, რაც შესრულებულ იქმნა 13 ოქტომბერს 1921 წ., როდესაც ხელი მოაწერეს ყარსის ხელშეკრულებას აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის და რუსეთის წარმომადგენლებმა ერთი მხრით და ოსმალეთის წარმომადგენლებმა მეორე მხრით.

ყარსის ხელშეკრულების ძალით დადასტურებულ იქმნა მოსკოვის ხელშეკრულება და პირველი მუხლის ძალით, რომლითაც ყველა ძველი ხელშეკრულება გაუქმებულად არის გამოცხადებული, იგივე მუხლი 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებას სრულიადაც არ უარჰყოფს — აღიარებს და ამტკიცებს. ამგვარად, როგორც ფორმალურად, ისე არსებითადაც ყარსის ხელშეკრულება არის მოსკოვის ხელშეკრულების განმეორება; მაგრამ ამ ამბავს წინუძღოდა ერთი პატარა, დიახ მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ღირსია ყურადღებისა.

იმის მიუხედავად, რომ მოსკოვის ხელშეკრულების ძალით ყველა ძველი, რუსეთ - ოსმალეთის ხელშეკრულება გაუქმებულად გამოცხადდა, ოსმალეთმა, როდესაც საქმე მიდგა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან იმავე მოსკოვის ხელშეკრულების გატარებაზე, მოითხოვა: სომხეთის დაშნაკურ მთავრობასთან იარაღის ძალით დაწერილი ხელშეკრულების განაღდება — ალექსანდროპოლის (გუმბრის) ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება — და დიდხანს უარს ამბობდა ალექსანდროპოლის რაიონიდან ოსმალური ჯარები გაეყვანა. (ალბათ ასევე მოიქცეოდა იგივე ოსმალეთი, მას რომ საქართველოს მთავრობასთან რაიმე ამგვარი ხელშეკრულება ჰქონოდა). ამას გარდა, ოსმალეთმა უარი განაცხადა ამ./კავკასიის ფედერატიულ მთავრობასთან ხელშეკრულების დადებაზე და მოითხოვა ცალ - ცალკე რესპუბლიკებთან მოლაპარაკების წარმოება. ასეთი ნაბიჯის მიზანი აშკარაა: ოსმალეთს სურდა მეტი ტერიტორია მიეღო კავკასიაში. მაგრამ მოსკოვმა მას ამის ნება არ მისცა, მოსთხოვა ხელშეკრულების განაღდება და დიპლომატიური მიწერმოწერის შემდეგ მოწვეულ იქმნა კონფერენცია ყარსში, სადაც 13 ოქტომბერს 1921 წ. მოსკოვის ხელშეკრულება დადასტურებული იქმნა.

მოსკოვ - ყარსის ხელშეკრულება გვიჩვენებს, რომ რუსეთმა სცნო სწორედ ოსმალური „ეროვნული პაქტი“ და არაფრად ჩააგდო 7 მაისის ხელშეკრულება. ეს მეტად აშკარაა, რადგან 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულება დაყრდნობილია სწორედ ოსმალურ „ეროვნულ პაქტზე“, ვინაიდან პირველი მუხლი ამ „პაქტს“ აღიარებს და მისი მიხედვით გაჰყავთ საზღვარი საქართველოსა (რუსეთსა) და ოსმალეთს შორის. ლოღიკურად, რასაკვირველია, აქედანვე გამომდინარეობს მეორე მუხლიც, რომელიც პირველი გაცნობით მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს; ეს მეორე მუხლი ხომ ამბობს, რომ **„ოსმალეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სუზერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქზე და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძევს ჩრდილოეთით საზღვარისა“**-ო!. აქ ოსმალეთი **უთმობს!** ცხადია იგულისხმება, რომ ბათუმიც ოსმალეთის ყოფილა და მას ეხლა დაუთმია იგი საქართველოსათვის და ისიც პირობით!

რა საბუთით ითვისებს ოსმალეთი ბათუმის მხარეს? რა მოსაზრებით ამტკიცებს იგი, რომ ბათუმი მისია?! ბათუმზე საკუთრების ამბავი გამომდინარეობს „თურქული ეროვნული პაქტი“-დან! იქ ხომ არის განცხადებული, რომ სამი სანჯაყი — ბათუმ - არდაგან - ყარსი — (იგულისხმეთ: ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით!) ვითომ ოსმალეთს ეკუთვნოდეს. რაღაი მას ეკუთვნის, მას ხომ შეუძლია „დაუთმოს“ იგი, ბათუმი, საქართველოს? და თან მფარველობა გაუწიოს ბათუმის რაიონში მცხოვრებთ და მოითხოვოს მათთვის ავტონომიაც! და როგორც ასე გულუხვ და კეთილ დამთმობს — ოსმალეთს — ენიჭება თავისუფალი ტრანსპორტის უფლება!

იმ იურიდიულ ურთიერთობაში, რომელიც გამოიხატა ბრესტლიტოვსკის და ბათუმის საზავო ხელშეკრულებით, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებით, „თურქული ეროვნული პაქტით“ და ბოლოს მოსკოვ-ყარსის ხელშეკრულებით, ბევრი გაუგებრობაა და უვიცობა, მაგრამ ეს ფორმალისტურ მოსაზრებათა საქმეა. აღსანიშნავი ისაა, რომ ოსმალეთი დაჟინებით ემყარება არ - არსებულ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და მის მიერ შექმნილ პრე-

ცენდენტს, ხოლო რუსეთი უდასტურებს მას ამ უსაბუთო მოთხოვნილებას, თუმცა ფორმალურად არც ერთი ძველი ხელშეკრულება აღიარებული არაა და გაუქმებულია. მიზეზი ამისა იმალება „მეგობრობის“ კავშირში. რუსეთ-ოსმალეთის საერთო მიზანია საერთო ბრძოლა ანტანტის სახელმწიფოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას უნდა შეეწიროს საქართველოს რესპუბლიკაც და მისი სამი „სანჯაყიც“!

რა დაჰკარგა კავკასიამ მოსკოვ - ყარსის ხელშეკრულებით ტერიტორიული მხრით? ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც მოსკოვ - ყარსის ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა — ყარს - არდაგან - ართვინი — უდრის ოცდაოთხათას (24.000) კვადრატულ კილომეტრს. საქართველომ დაჰკარგა არდაგან - ოლთისი და ბათუმის მხარის დიდი ნაწილი ანუ ტერიტორიული სივრცით — 13.046 კვადრატული კილომეტრი.

ჩვენ აღარ ვეხებით იმ სავალალო მოვლენას, რომ დაიკარგა მოსახლეობა, მურღულის მაღაროები და ქარხნები, ზღვის პირი, სიმდიდრე, ქართული სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული მიწა და ისტორიული აკვანი ქართული სახელმწიფოსი და კულტურისა.

## 21. რუსეთის მზადება საქართველოზე თავდასასხმელად და ოსმალეთ - საქართველოს ურთიერთობა რუსეთ - საქართველოს ომის დროს

აზერბაიჯანისა (28 აპრილი 1920 წ.) და სომხეთის (2 დეკემბერი 1920 წ.) რესპუბლიკათა დაკავების შემდეგ საბჭოთა რუსეთისათვის თავისთავად ისმებოდა საქართველოს ოკუპაციის საკითხიც. ამ საქმეში ევროპის შიში მოსკოვს არა ჰქონდა, და არც ოსმალეთის, რადგან ეს უკანასკნელი თვით რუსეთისაგან გამოელოდა შველას. რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდენ, მაგრამ რუსთა ჯარების სარდალი ჰეკერი მაინც მოითხოვდა: სცოდნოდა ანგორის განწყობილება საქართველოს ოკუპაციის გეგმის მიმართ. თავის მოხსენებაში, რუსული მეთერთმეტე არმიის სარდალი ჰეკერი აცნობებს 18 დეკემბერს 1920 წ. მე-11 არმიის სამხედრო - რევოლუციურ საბჭოს თავჯდომარეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის საწინააღმდეგო ოპერაციისათვის აუცილებელია უეჭვო მეგობრული ნეიტრალიტეტი ოსმალეთისა ანუ კიზიმ - კარაბეკის ჯარებისა, და რუსეთის მხრივ კი ამდენი და ასეთი ჯარებიო. სიტყვა-სიტყვით ჰეკერი სწერდა აღნიშნულ რევოლუციურ საბჭოს:

„თუ მეთერთმეტე არმიის სამხედრო საბჭო მიიღებს ნამდვილ გარანტიებს კიაზიმ-ბეკირის ჯარების ჩვენდამი მეგობრული დამოკიდებულების შესახებ, მაშინ საქართველოსა და თბილისის ოკუპაციის საკითხი პირველად ყოვლისა შეიქმნება უფრო რეალური“-ო .

ერთი მხრივ, თუ მოსკოვს მალულად უნდა მოემზადებინა ოსმალეთის მხრივ მეგობრული განწყობილება საქართველოს ოკუპაციის მიმართ, მიეღო მისგან ნეიტრალიტეტის დაპირება, — მეორე მხრით — ღიად და აშკარად მოსკოვი მსოფლიოს არწმუნებდა, რომ იგი საქართველოს ხელს არ ახლებს და მის დამოუკიდებლობას პატივსა სცემსო.

როდესაც ინგლისის მთავრობამ მიუთითა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, რომ იგი საფრთხეში აგდებს ბათუმს და საქართველოს დამოუკიდებლობასო, თავის პასუხში (ნოემბერ - დეკემბერი 1920 წ.) საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი ლორდ კერზონს უთვლის შემდეგს: "ეს მართალი არ არის. ერთადერთი საფრთხე მას (საქართველოს) მოელის ანტანტისაგან. რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა; ანტანტას ეს არ მოუმოქმედებია. რუსული პოლიტიკა მთლიანად მხარს უჭერს პატარა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და საქართველოსადმი არავითარი მოთხოვნილება არ წარგვიდგენია, გარდა იმისა, რომ ბათუმი არ უნდა იქმნეს მომავალში დაკავებული მტრული ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ გადაუდგამს და არც გადადგამს არც ერთ მტრულ ნაბიჯს საქართველოს წინააღმდეგ, ბათუმის ოკუპაციით თუ სხვაგვარად“-ო.

ასეთი მტკიცების მიუხედავად, მოსკოვი, რასაკვირველია, ემარაგებოდა საქართველოს წინააღმდეგ და ემზადებოდა თბილისზე წამოსასვლელად: თავსუყრიდა წითელ ჯარებს საბჭოთა სომხეთ - აზერბაიჯანში და ამტკიცებდა „მეგობრულ ნეიტრალიტეტს“ ანგორასთან.

ამ მეგობრული ნეიტრალიტეტის დასამყარებლად 1921 წლის თებერვლის დამდეგს მოსკოვში დაიწყო რუსეთ - ოსმალეთის მოლაპარაკება. როგორც კი ეს ამბავი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაიგო, იგი მაშინვე ეცადა იმ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ მისი თხოვნა ამის შესახებ უპასუხოდ დარჩა.

ამავე დროს, თუ ცოტა ადრე, თბილისს ეწვია ქემალის მთავრობის დელეგაცია, რომელმაც საქართველოს მთავრობასთან დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება საერთო ურთიერთობის დასამყარებლად. ამ მოლაპარაკების დროს ოსმალეთი თავისი „ეროვნული პაქტის“ განხორციელებას მოითხოვდა. ამ მოლაპარაკებას ომმა მოუსწრო.

სწორედ იმავე ხანაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება გასაბჭოებული სომხეთის მთავრობასთან და მიაღწია მას, რომ 1921 წლის 15 თებერვალს უნდა მომხდარიყო სომხეთისა და საქართველოს დელეგატთა შეხვედრა ყველა სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ თვით მოსკოვს ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება, აღარ აცალა არც საბჭოთა სომხეთს და არც სოციალისტურ საქართველოს მოლაპარაკების დაწყება და 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა სომხეთის მხრიდან დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებანი.

საქართველოს მთავრობის მიერ ანგორაში დანიშნული ელჩი, აქ განხვენებული სვიმონ მდივანი ანგორაში ჩავიდა 1921წ. 31 იანვარს. და თავისი რწმუნების ქაღალდი კი გადასცა ანგორის მთავრობას იმავე წლის 8 თებერვალს. მომყოლი მოვლენებიდან სჩანს, რომ საქართველოს ელჩს, რომელსაც უნდა სცოდნოდა, თუ რა საზღვრებში უნდა ეცნო ოსმალეთი, „თურქული ეროვნული პაქტი“ არ უღიარებია, და თბილისში დაწყებული კამათი სწორედ საზღვრების შესახებ, სხვა ამბებთან დაკავშირებით, ანგორაში გაგრძელებულა, როგორც ამას ეხლავე დავინახავთ.

სამი დღის შემდეგ დაიწყო რუსეთის თავდასხმა საქართველოზე. ცხრა დღის შემდეგ, ანგორის მთავრობამ გადასწყვიტა არდაგანისა და ართვინის მხარეში თავისი ჯარების შეყვანა და საქ. ელჩს აცნობა, რომ 1921 წ. 18 თებერვალს დილით ოსმალური ჯარი შევა ართვინშიო.

იმდღესვე, 18 თებერვალს 1921 წ. სვ. მდივანმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ანგორის მთავრობის წინაშე ასეთი მტრული მოქმედებისა გამო. და გამოითხოვა პასპორტი უკან დასაბრუნებლად. ანგორის მთავრობამ შეაჩერა თავისი მოქმედება, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე დღით; 21 თებერვალს ელჩმა მდივანმა მიიღო ანგორის მთავრობის ულტიმატუმი: არდაგანისა და ართვინის რაიონში ოსმალური ჯარების შეყვანის შესახებ; ამაზე სვიმ. მდივანმა კვლავ პროტესტი განაცხადა. 22 თებერვალს 1921 წ. ანგორის მთავრობა კვლავ იმეორებს თავის ულტიმატუმს; 23 თებერვალს 1921 წ. სვ. მდივანი ისევ უარჰყოფს ანგორის მთავრობის მოთხოვნილებას და სწერს მას: — „თქვენ მიერ განზრახული მოქმედება არდაგანისა და ართვინის ოლქებში შესვლისა, ჩვენთან შეუთანხმებლად, არის განმეორება იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომლითაც ძველმა ოსმალეთმა, განუწყვეტელი თავდასხმით, აიძულა ძველი საქართველო მოეყვანა ოსმალეთის კარზე მისი დაუძინებელი და უსასტიკესი მტერი — რუსეთი, და მით თავისი თავიც დაესაჯა. იგივე მეორდება დღესაც: როცა, ერთი მხრით, ახალგაზრდა ოსმალეთი ჩაბმულია საშინელ ბრძოლაში თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, ხოლო, მეორე მხრით, ახალი დემოკრატიული საქართველო უსასტიკეს ბრძოლას აწარმოებს თავისი თავისუფლებისა და არსებობის შესანარჩუნებლად, სწორედ ამ დროს, ნაციონალურმა დიდმა კრებამ გადას-

წყვიტა თავდასხმა საქართველოზე. ამიტომ სასტიკსა და ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და თან, ნებას ვაძლევ ჩემს თავს, განვაცხადო რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძალით შემოჭრის შემდეგ, რაიმე საკითხის გადაჭრა კავკასიის შესახებ, საქართველოს დაუკითხავად, შეუძლებელი იქნება“.... (!)

ამ დიპლომატიურ, მაგრამ არსებითად გულუბრყვილო ნოტის საპასუხოდ, ელჩმა მდივანმა მიიღო ახალი ნოტა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან: ამ ნოტაში ოსმალეთის მთავრობა ასაბუთებს თავის უფლებებს აღნიშნულ ოლქებზე (არდაგან - ართვინი) სან - სტეფანოს ხელშეკრულებით, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებით, და მით, რომ იქ ინგლისელებმა მოხსნეს ოკუპაცია. ყველა ეს დასაბუთება, ცხადია, ყალბი იყო, რადგან არც ერთი ეს ხელშეკრულება მქმედი არ იყო, უვარგისი იყო, ხოლო ინგლისელებს ოსმალეთისათვის არ გადაუციათ არც არდაგანი, არც ართვინი.

რასაკვირველია, ამ ნოტის საპასუხოდ ელჩმა სვ. მდივანმა ისევ პროტესტი განაცხადა. ეს დიპლომატიური ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა: მხოლოდ ხუთი დღით გადაიდო არდაგან - ართვინის ოკუპაცია — 17 — 23 თებერვალი, 1921 წ.!

იმ გაჭირვების დროს, როდესაც თბილისთან საბჭოთა რუსეთის ჯარებსა და საქართველოს ჯარს შორის ბრძოლები სწამოებდა, რომ ვიხმაროთ ელჩ მდივანის გამოთქმა, რომლითაც მან მიმართა ანგორის მთავრობას, ოსმალეთმა „მეზობელს ზურგში დანის ჩაკვრა დაუპირა“ და კიდეც აღასრულა ეს მუხანათური და მზაკვრული თავდასხმა.

საქართველოს მთავრობამ და მთავარსარდალის შტაბმა ასეთი მოვლენის გამო გადასწყვიტეს ოსმალეთის ძალადობის წინაშე უკან დახევა, ვინაიდან მთელი ყურადღება ბოლშევიკებთან ბრძოლაზე იყო მიქცეული. და 20 თებერვალს 1921 წ. მთავარსარდალის შტაბმა გასცა შემდეგი ბრძანება: —

„ფრონტის შესამოკლებლად და შექმნილი მდგომარეობისა გამო, გამოიყვანეთ ჯარები არდაგანისა და ართვინის ოლქებიდან და გადმოიყვანეთ ახალციხე და ბათუმის ოლქში; ფოცხოვის რაიონი რჩება ჩვენს ხელში: დაიკავეთ ახალი საზღვარი ჯარებით საზღვარის მხრიდან. ბორჩხა აუცილებლად უნდა იქმნეს დაკავებული: გადაყვანა დაიწყეთ დაუყონებლივ და დაასრულეთ 21 თებერვალს დილით: მიიღეთ ზომები ჩვენი ჯარების შეტაკების თავიდან ასაცდენად ოსმალურ ჯარებთან. რომელნიც დაიკავებენ არდაგანისა და ართვინის ოლქებს“.....

ამნაირად, ვინაიდან საქართველოს ჯარების მთავარ - სარდალს არ შეეძლო ერთდროულად რუსეთთანა და ოსმალეთთან ომის წარმოება, მან არჩია არდაგან - ართვინის დაცლა და მთელი ძალების რუსეთის წინააღმდეგ მიმართვა.

საქართველოს მთავრობამ თავის მხრივ პროტესტი განაცხადა ოსმალეთის მოქმედების გამო და თან აცნობა ანგორის მთავრობას, რომ მის მიერ არდაგან - ართვინის დაკავების ფაქტით არავითარ შემთხვევაში ეს საკითხი მოგვარებულად არ ჩაითვლებაო.

ჯერ 1921 წ. და მერმე 1925 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტებში. საქართველოს მთავრობა ზემოხსენებულ ფრიად მნიშვნელოვან ამბავს შემდეგნაირად მოგვითხრობს და განმარტავს: — 22 თებერვალს 1921 წ. ბოლშევიკებმა მიიღეს ახალი დახმარება; ანგორის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გადასცა ულტიმატუმი. რომლითაც იგი მოითხოვდა ქალაქ არდაგანისა და ქ. ართვინის დაცლას. ვინაიდან საქართველოს მთავრობას არ ძალუძდა საკმაო ძალები დაეპირისპირებინა თურქების თავდასხმისათვის ამ ახალ ფრონტზე, იგი იძულებული გახდა გამოეყვანა თავისი ჯარები ამ ქალაქებიდან და ამასთავე განაცხადა, რომ ეს საკითხი ამ ფაქტით არავითარ შემთხვევაში მოგვარებულად არ ჩაითვლება და რომ ეს მოგვარება შესაძლებელია შეთანხმებით ან არბიტრაჟითო.

აშკარაა: ოსმალეთმა ისარგებლა საქართველოს უბედურებით, მისი გაჭირვებით და წაგლიჯა მას არდაგან - ართვინი. მაგრამ საქმე აქ არ შეჩერებულა.

## 22. ოსმალეთის დაპირება და ღალატი

როგორც განმარტავენ: საქართველოს მთავარსარდალმა, სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო, 25 თებერვლს 1921 წ. სატახტო ქალაქი — თბილისი — მიატოვა; ქართულმა ჯარებმა მცხეთისაკენ დაიხიეს; ბოლშევიკები თბილისში შემოვიდნენ; ბრძოლა გაგრძელდა, მაგრამ დახევაც ბათუმისაკენ. გამოუვალი მდგომარეობა იყო შექმნილი: — საქართველო სრულიად მოუმზადებელი შეხვდა უეჭველად მოსალოდნელ ომს და ქვეყანა უფსკრულის წინაშე იდგა. ამ დროს ანგორის მთავრობა არწმუნებს საქართველოს მთავრობას, რომ არდაგანისა და ართვინის დაკავების შემდეგ, ოსმალეთისათვის აღარ არსებობს არავითარი სადავო ტერიტორია საქართველოში, და ანგორის ჯარები დაეხმარებიან ქართულ ჯარებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ომშიო; ამ მიზნით, აცნობებდა კიაზიმ - ბეი ნოე ჟორდანიას: საჭიროა ოსმალთა ჯარების შემოყვანა ბათუმის გზითო.

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდა....

შექმნილ უსასო მდგომარეობაში, ოსმალეთის მხრით დახმარების დაპირება და ბოლშევიკებთან ბრძოლის ერთად გამართვის მოლოდინი, ცის მანანასავით ეჩვენებოდა ალბათ საქართველოს მთავრობის თავჯდომარეს, და მანაც ნება მისცა ოსმალეთის ჯარებს შემოსულიყო ბათუმის ოლქში, ამ, ბოლშევიკების მიერ ჯერ დაუკავებელი მხარის დასაცავად და მილიტარული ბაზის შესაქმნელად რუსეთის წინააღმდეგ! ტყუილი იმედი იყო! ხომ უნდა სცოდნოდათ!?

უბედურება ის იყო, რომ შეთანხმების მიუხედავად, ოსმალები შემოვიდნენ თუ არა ბათუმში, მაშინვე მის დაკავებასა და ხელში ჩაგდებას შეუდგნენ.

რა მოხდა ბათუმში?

ამ საკითხის შესახებ ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთ საბუთს - მოგონებას, რომელიც დაწერილია ბათუმის ციხის კომენდანტის და შემდეგ „ვოენრუკ ობლვოენკომატის“ ი. ფურცელაძის მიერ. მისი მოგონება აგვიწერს ოსმალური ჯარის შესვლას ართვინში ბორჩხიდან და განაგრძობს: —

„ 4 თუ 5 მარტს (ზუსტად არ მახსოვს) მე მიმიწვიეს გენერალ-გუბერნატორ გ. ტ. გიორგაძესთან, რომელმაც გამიცხადა, რომ ანგორის მთავრობის წარმომადგენელ კიაზიმ - ბეისა და ჩვენი მთავრობის შეთანხმების თანახმად, ქემალ ფაშის ჯარები უნდა შემოვიდნენ ბათუმის ოლქში და დაიკავონ ბათუმის ოლქის საზღვრები ოზურგეთისა და ახალციხის მაზრებისაკენ. მაგრამ თვით ქალაქი ბათუმი ოსმალების მიერ დაკავებული არ იქნება; ძალაუფლება რჩება ჩვენს ხელში; ოსმალური ნაწილები ბათუმში არ შეჩერდებიან, ხოლო აქ თავს მოიყრიან მოეწყობიან და წავლენ წინ საზღვრებისაკენო. იმ დღეებში ჩემთან შემოვიდა ოსმალური ჯარების შტაბის უფროსი ტალანკ - ბეკ და წინადადება მომცა შემესრულებინა შემდეგი: 1) მიმეცა ბინა 5.000 ოსმალო ჯარისკაცისათვის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში; 2) ამგვარივე რიცხვის ჯარისკაცებისათვის ბინა აჭარისწყალზე; 3) ბინა ჯარის შტაბისათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ იქ დაეტეოდა 100 კაცი მცველებისა; 4) დამემზადებინა და გამეგზავნა ბორჩხაში 200 ფუთი პური; 5) მიმეცა შტაბის განკარგულებაში ორი მსუბუქი ავტომობილი. ამას გარდა მთხოვა გამეცა პასუხი საკითხზე: რა ვადაში შემიძლია მე გადავსცე ციხე ოსმალურ სარდლობას და გავიყვანო ქართული ჯარი ოლქიდან. ამ საკითხზე მე პასუხი არ გავეცი, რადგან არავითარი ინსტრუქცია არა მქონდა არამც თუ შემესრულებინა მოთხოვნილება, არამედ თუგინდ მელაპარაკნა ამის გამო. რაც შეეხება მოთხოვნილებას ბინის, პურის, ავტომობილების და სხ. შესახებ, მე მქონდა ინსტრუქცია კარგად მოვპყრობოდი ოსმალებს და შეძლებისდაგვარად დამეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნილება; ვცდილობდი, რაც ჩემს ხელისუფლებაში და შესაძლებ-

ლობაში იყო. 5.000 კაცისათვის ბინის მიცემა მოკლე დროში შეუძლებელი იყო. საინჟინერო მართველობამ შესაფერი ბინის მოძებნა ვერ შეძლო, და იძულებული ვიყავით ოსმალების ჯარებისათვის მიგვეცა ერთი-კორპუსი ბარცხანის ყაზარმებისა, რომელიც ეჭირა სახალხო გვარდიას; იქ დაეტევოდა მხოლოდ 500 კაცი; პურს ვაცხობდით ჩვენს ფურნეში და ვაგზავნიდით „პადვოდებით“ და „გრუზოვიკებით“ აჭარისწყალზე და ბორჩხაში. ოსმალების ჯარების შტაბისათვის ბინას ვეძებდით, მაგრამ ოსმალებს ბინები არ აკმაყოფილებდა ხან სივიწროის გამო, ხან მოუწყობლობის გამო; ისინი მოითხოვდენ შტაბისათვის იმ ბინას, სადაც იმყოფება ახლაც საინჟინერო მმართველობა. საერთოდ მოთხოვნანი და კაპრიზები ოსმალური სარდლობისა თავიდანვე მაიძულებდენ ეჭვის თვალით მეცქირა მათთვის. ოლქში შემოსვლის შესახებ ოსმალები რაღაც იგვიანებდენ; პირველი ეშელონი ოსმალთა ჯარებისა, ორი როტა ტყვიისმფრქვევებით (სულ დაახლოებით 500 კაცამდე) მოვიდა 11 საათზე 11 მარტს; ბათუმში ოსმალური რაზმის შემოსვლას ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობა დიდი ენტუზიაზმით შეხვდა; დიდი ბრბო ხალხისა მიაცილებდა რაზმს ძახილით და ფლაგებით.

„იმავე დღეს სახალხო გვარდიისაგან დაიწყო ჩივილი ოსმალების თვითნებობის შესახებ, და შეტაკების თავიდან ასაცდენად, იმას გარდა რომ ამის შესახებ არაერთჯერ მივმართე ოსმალურ სარდლობას შტაბში, იძულებული ვიყავი სახალხო გვარდია გამომეყვანა ბარცხანის ყაზარმებიდან აზიზიეს მოედანზე. და ბარცხანის ყაზარმები კი მთლიანად ოსმალებ[illegible]

„იმ ხნის განმავლობაში, როცა გადაწყდა საკითხი ოსმალების შემოსვლის შესახებ ბათუმის ოლქში, მათ ფაქტიურ შემოსვლამდე ( 4 — 5 დღე), დაწესებულებებში აგრეთვე ღელავდენ, ეშინოდათ. რომ ოსმალები არ შეასრულებენ ხელშეკრულებას და არ დაიკავებენ თავისი ჯარებით ოლქს; ეს შიში გავიგონე. სხვათა შორის. გენერალ-გუბერნატორ გიორგაძისაგანაც. აჭარისწყალზე ოსმალური რაზმი, რომელიც შესდგებოდა ორი როტისაგან ტყვიისმფრქვევებითურთ, მოვიდა ბორჩხიდან 10 მარტს, და გააგზავნა პატარა ნაწილები ხულოში და ქედაში. ოსმალთა ჯარების შემდეგი ეშელონი ბატალიონის კომანდირითურთ (ბეკ-ბაში) შემოვიდა ბათუმში 12 მარტს საღამოს; და მესამე, აგრეთვე დაახლოებით 500 კაცით. ღამე 15-დან — 16 მარტს; შემდეგ ეშელონებს მოველოდით, მაგრამ ისინი არ მოსულან წითლების ჯარების მიერ ბათუმის დაკავებამდე. სულ ბათუმში და ბათუმის ოლქში ოსმალური ჯარების რიცხვი იყო დაახლოებით სამი ათას ნახევარი, მათგან ქოროხზე და ოზურგეთის მაზრის საზღვარზე 200 კაცამდე, აჭარისწყალზე — 500 კაცამდე, დანარჩენები იყვნენ გზაში ლიმანიდან ბათუმისაკენ (ამ გზით მოდიოდენ ყველა ეშელონები ხოფიდან ბათუმში). ამ ხნის განმავლობაში ოსმალური სარდლობა ჩვენს შინაგან მართველობაში არ ერეოდა; აგზავნიდა პატრულებს, რომელიც ოსმალო ჯარისკაცებს თვალყურს ადევნებდენ. ამავე დროს ქუთაისიდან ჩამოვიდა კიაზიმ-ბეი. უკანასკნელ დღეებში, საბჭოთა ჯარების შემოსვლამდე, განწყობილება იყო შიშის; კიაზიმ-ბეისა და ოსმალური სარდლობის ყოფაქცევა და მათი საიდუმლო დამოკიდებულება აჭარლების წარმომადგენლებთან, მუდმივი ყოფნა კიაზიმ-ბეისთან მთის მთავრობის წარმომადგენელის ჰაიდარ ბამბატოვისა და ახმეტ ცალიკოვისა უფლებას გვაძლევდა გვეფიქრა. რომ ოსმალები რაღაცას ამზადებდენ; ეჭვიანობა გაძლიერდა მით. რომ აჭარისწყალზე მყოფი ოსმალური რაზმი არ უშვებდა ჩვენს დაზვერვას გოდერის გადასავალის მიმართულებით; ოსმალური სარდლობა გვატყობინებდა. რომ ახალციხის მხრით წითელი ჯარები არ არიანო. მაგრამ წინად ხულოდან მიღებული ცნობები ამბობდა. რომ გოდერის გადასავლით ახალციხის მხრიდან მოიწევიან წითელი ჯარები, ასახელებდენ პოლკის ნომერსაც — 105.

„15 და 16 მარტს ყველა ჯარი იყო სრულიად მზად: ღამით იგზავნებოდენ გაძლიერებული პატრულები, ინიშნებოდენ მორიგი ნაწილები. გარკვევით ლაპარაკობდენ, რომ ოსმალები ემზადებიან ღამით განაიარაღონ ქართული ჯარები და შეაიარაღონ აჭარლებიო: ჩვენ ამას ველოდით ყოველ ღამეს. 16 (მარტს) ღამით გავიგეთ, რომ ოსმალები 17-ს აპირებენ დაიკავონ ფორტები ნომერი 2 (კახაბერი), ნომერი 4 (პატარა სამება), და ბლოკჰაუზები: კვეცელური, ტორარტოსირტი, სამება და ანარია. დილით ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს კახაბერი სამთო ბატარეით და 300 კაცით მესაზღვრეებისა, ფორტი ნომერი 1 (ამოდავე) მხოლოდ ნახევარი; ბლოკჰაუზები: სამება და ანარია; ნომერი 4 ფორტის და ნომ. 1 ნახევარი ფორტის, ბლოკჰაუზების ტორარტ-სირტის და კვეცერულის დაკავება ჩვენმა ჯარებმა ვერ მოასწრეს, რადგან იქ ალ[illegible] ოსმალები. რომელთაც ისინი დაეკავებინათ წინა დღით; 17 მარტს, 12 საათიდან ვღებულობდით ცნობებს, რომ ოსმალები ბარცხანის ყაზარმებიდან გადიან სხვა და სხვა მიმართულებით და შემდეგ ცოტა ხნისა, ჩვენი ჯარების მიერ დაკავებული ფორტებიდან მივიღეთ ცნობები. რომ ოსმალური ჯარები მოითხოვენ მათგან დასცალონ ფორტები და შეუშვან ისინი შიგნით; შეიარაღებული შეჯახების ასაცდენად მე მთელი დღის განმავლობაში რამოდენჯერმე მომიხდა ვყოფილიყავი კიაზიმ-ბეისთან, ოსმალურ სარდლობასთან, ჩვენ მთავარსარდალ კვინიტაძესთან და მთავრობის თავჯდომარე ჟორდანიასთან; წავედი ფორტებზე ოსმალური სარდლობის დელეგატითურთ, მომეგვარებინა საქმე. ოსმალები დაჟინებით ითხოვდენ შეეშვათ ისინი ფორტებში და დაეყენებინათ ჩვენ ნაწილებთან ერთად, ასაბუთებდენ რა ამას მით, რომ ჩვენ ვართ ძმები და ვაკეთებთ საერთო საქმესო. ისინი არაფრის გულისათვის არ თანხმდებოდენ დაეწიათ უკან თავისი ნაწილები, თუგინდ ნახევარი ვერსით, რათა დაგვეყენებინა ბინებში და ამასთანავე არ უშვებდენ წინ ჩვენ როტებს, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ თავისი ადგილების დაკავება, არ უშვებდენ ჩვენებს ფორტებში ნომ. 4 და ალყა შემოარტყეს ბლოკჰაუზ სამებას, სადაც უკვე იყო ჩვენი როტა.

„მე ცხადათ ვხედავდი რაღაც მზაკვრობას („პოდვოხ“). მაგრამ ყოველნაირად ვცდილობდი ამეცდინა შეტაკება. ჩემს ნაწილებს ვუბრძანე, ყოველგვარად აეცდინათ გამწვავებული დამოკიდებულება: ოსმალები ჩვენს მიერ დაკავებულ ადგილებში არ შეეშვათ და მათ მტრულ მოქმედებაზე ეპასუხათ ძალით. საღამოს 17-ს და ღამით 18-ს ფორტებზე მაინცდამაინც შეტაკებები არ იყო; ის დაიწყო დილით 18-ს.

„17-ს საღამოს 10 საათზე ოსმალებმა დაიკავეს 40 კაცით ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი; ნახევარი საათით გვიან — ქალაქის მილიციის სამმართველო და მილიციის საუბნო სამმართველო. ქალაქში გაჩნდენ ძლიერი პატრულები. 17-ს საღამოს შესდგა ბათუმში დროებითი რევკომი, რომელიც საღამოს 9 საათისათვის გადავიდა ციხის შტაბის ბინაზე და ჩემთან ერთად ხელმძღვანელობდა ქალაქის გადარჩენას ოსმალების დაკავებისაგან. ყველა იქ მყოფი ჯარები დავაგროვეთ ციხის შტაბთან, გავაგზავნეთ მთელ ქალაქში პატრულები და „რაზიეზდები“. საღამოს დაიწყო დუქნების ძარცვა ქუთაისის ქუჩაზე. ჩვენი პატრულები და "რაზიეზდები" ფანტავდენ და ხვრეტდენ მძარცველებს; ბევრი გაძარცული წავართვით. სრულ 12 საათზე ღამით მივიღეთ კიაზიმ - ბეის ბრძანება, რომელშიც მან გამოაცხადა ბათუმის ოლქი ოსმალეთთან შეერთებულად და თავისი თავი კი გენერალ - გუბერნატორად. ჩვენს ჯარებს წინადადება ეძლეოდა 24 საათში დაეტოვებინა ოლქის ფარგლები, დაეყარა იარაღი. ამ ბრძანებაზე ჩვენ არავითარ პასუხს არ ვაძლევდით. მთელ ღამეს ჯარები გუშაგად იდგენ; ჩვენი „რაზიეზდები“ და პატრულები“ და ოსმალებისა შეხვედრის დროს იწყებდენ სროლას; ბოლოს ოსმალების პატრულები გაჰქრენ. ოსმალები შეეცადენ დაეკავებინათ ციხის შტაბის ბინა, მაგრამ რადგანაც გამაგრებული იყო იგი ჩვენს მიერ, — დაანებეს თავი. დილიდან დაიწყო ბრძოლები ფორტებზე; განთიადისას ოსმალებმა დაიკავეს რადიო-ტელეგრაფი და ემზადებოდენ დაეჭირათ საინჟინერო რო-



საქართველოს
პოლიტიკური რუკა
1934 წ.
შავი ზღვა
კასპის ზღვა

ტის ბინა. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. კახაბერზე გათენებისას ოსმალები უცბად შეიჭრენ და გაანარიალს ჩვენი ჯარისკაცების ნაწილი მაგრამ იქიდან გამოყარეს ისინი და შემდეგ სავსებით გარეკეს კახაბერიდან. 12 საათზე მოვიდა პირველი ეშელონი რუსული-წითლი არმიის 192 პოლკისა. და საღამოს ქლობის ბრიგადის პოლკები. ფორტეზე 18-ს, 19-ს და 20-ს სწარმოებდა სროლა, მაგრამ 21-ს ყველა ოსმალური ჯარი ტყვედ ჩავიგდეთ ხელში და განვაიარაღეთ".

ასეთი არის ბათუმის ისტორია, როგორც იგი აწერილია ბათუმის კომენდანტის ი. ფურცელაძის მიერ. რომელიც შემდეგ ბოლშევიკურ ჯარში სამსახურს განაგრძობდა.

რა ირკვევა აქედან? ჩვენ არ ვიცით, თუ აქ მოთხრობილი უბედური ამბავი სავსებით სწორადაა აღწერილი. მაგრამ იგი არსებითად სიმართლეს შეიცავს. და აქედან ირკვევა, რომ:
ოსმალები დაპირდენ საქართველოს მთავრობას: ისინი დაეხმარებიან მას ბოლშევიკების წინააღმდეგ; რომ ოსმალები ქართველებთან ერთად დაიცავენ ბათუმის ოლქს. ამ უკანასკნელ თავისუფალ ადგილზე გამაგრდებიან და შემოსეული რუსეთის წინაალმდეგ ბრძოლას განაგრძობენ. ოსმალებმა მოატყუეს საქართველოს მთავრობა. უღალატეს მას....

ამ მოვლენაში განსაცვიფრებელია საქართველოს მთავრობის, თუ მისი თავჯდომარის, გულუბრყვილობა და პოლიტიკური უსუსურობა. რა საბუთით უნდა ეფიქრა მას, რომ ოსმალები მისი დამარცხებული რესპუბლიკისათვის სისხლს დაღვრიდენ უკვე მეგობარი რუსეთის წინააღმდეგ: მან ხომ კარგად იცოდა. რომ ოსმალეთი დიდიხანია რუსეთს მეგობრობდა და იმჟამადაც მასთან მოლაპარაკებას აწამოებდა? ისიც იცოდა, რომ ოსმალები ყოველთვის ბათუმის ოლქსაც მოითხოვდენ და არგადან - ოლთისს არასოდეს სჯერდებოდენ! იცოდა ისიც. რომ ოსმალეთზე დანდობა ადვილად არ შეიძლებოდა! მაინც მან დაუჯერა ოსმალეთის დაპირებებს, დაუჯერა გულუბრყვილოდ, და შემოუშვა ოსმალეთი ბათუმის ოლქში. ჩვენ აქ გარკვევით უნდა ვთქვათ: — საქართველოს მთავრობას და არც მის ელჩს არავითარი ტერიტორია ოსმალეთისათვის არ გადაუცია; მაგრამ მან აწარმოა მეტად ცუდი პოლიტიკა, რომლითაც საქართველოს ვითარება მესხეთში გართულებულ იქმნა. ქართული პოლიტიკის ხელმძღვანელთა ეს გულუბრყვილობა, პოლიტიკური სიბეცე და დიპლომატიური მარცხი, სრულიად არ ათავისუფლებს ოსმალეთის მთავრობას იმ ღალატის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას აწევს კისერზე ქართველი ერის წინაშე. იმის მაგივრად, რომ კიაზიმ - ბეისთან შეთანხმების მიხედვით, ოსმალები დახმარებოდენ ქართველებს დაპირებისამებრ, მათ, პირიქით, მოითხოვეს ქართული ჯარების განიარაღება და ბათუმის სიმაგრეების ჩაბარება; ხოლო 17 მარტს 1921 წ. ოსმალთა ჯარების უფროსმა კიაზიმ - ბეიმ ქალაქ ბათუმში შემდეგი პროკლამაცია გამოაკრა: —

„უკანასკნელ დროს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, ბათუმის მხარე და ახალქალაქისა და ახალციხის ოლქები ჩვენი ჯარების მიერ იქმნენ დაკავებული. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც ემყარება სხვა და სხვა დროის ხელშეკრულებებით მრავალჯერ დადასტურებულ ეროვნულ უფლებებს, ეს მხარეები დღეიდან ბრუნდებიან სამშობლოს საზღვრებში და პოლიტიკურადაც, და ადმინისტრატიულადაც ექვემდებარებიან ოსმალურ ეროვნულ მთავრობას"-ო.

როგორც ამ განცხადებიდან სჩანს, ოსმალეთის მთავრობას პრეტენზიები ჰქონია არა მარტო არდაგანისა და ართვინის ოლქზე, არამედ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებზეც, და მთელ ბათუმის ოლქზე ბათუმითურთ — ესე იგი ქემალისტური ოსმალეთი ამ განცხადებით დაუბრუნდა ხონთქარის ოსმალეთის პოლიტიკას, რომლის ძალით მთელი მესხეთი ოსმალეთს უნდა დაეკავებინა.

მაგრამ რა არის აქ მართალი, კიაზიმ-ბეის ამ ვერაგულ განცხადებაში? — არც ერთი სიტყვა აქ სიმართლეს არ წარმოადგენს: — საქართველოს მთავრობას არ გადაუცია არც ახალქალაქი, არც ახალციხე, არც ბათუმის ოლქი, არც არდაგანი, არც ოლთისი! არც ერთი ეს მხარე. არც ერთი რომელიმე ხელშეკრულებით „ოსმალური ეროვნული უფლების" საგნად არ გამოცხადებულა. — და თუ ომში საქართველოს დამარცხების შედეგად ოსმალეთმა მესხეთი სულ მცირე ხნით დაინარჩუნა 1918 წელში. — ოსმალეთის დამარცხების მერმე საქართველომ იგი დაიბრუნა, რადგან მხოლოდ და მარტოოდენ საქართველოს აქვს მასზე ეროვნული უფლებები. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ქართული ეროვნული გრძნობისათვის, რომელსაც კიაზიმ-ბეის ასეთი განცხადებისა და აშკარა ღალატის შემდეგ, თვით ქართულმა, დამარცხებულმა და მოშლილმა ჯარმა ოსმალურ ჯარებს ომი გაუმართა ბათუმში და იგი დაამარცხა.

## 23. ოსმალეთის ღალატის გამართლება „თურქეთის რესპუბლიკის ისტორიით".

ამ მცირე მიმოხილვიდანაც აშკარად ხდება, რომ ქემალისტური ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის ინტერესები იყო საქართველოს რესპუბლიკის მოსპობა. საკითხი მხოლოდ ის იყო, თუ როგორ უნდა შეესრულებინათ და გაეტარებინათ ეს მიზანი. ერთიც და მეორეც საქართველოს მეგობრობას ეფიცებოდა, და თან სამარეს უთხრიდა, და იმ დროს, როცა გადაწყვეტილ იქმნა საქართველოს განადგურება. საბჭოთა რუსეთი მას ჯარებით მოადგა, ხოლო ოსმალეთი, გამზადებული ჯარით და ულტიმატუმებით. ამ ძალადობისა და -მიმძლავრების შედეგად ოსმალეთმა არდაგან - ართვინი დაიკავა და ამასთანავე საქართველოს მთავრობას, რომელიც უსწორო ომში იყო ჩაბმული, თავისი ძმობა გამოუცხადა, და ამ მომიზეზებით თავისი ჯარები ბათუმშიც კი შემოიყვანა! სწორედ ამავე დროს იგივე ოსმალეთი მოსკოვში რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და ქართულ მიწაწყალს მოითხოვდა. რა საბუთით???

ეს „საბუთი" კარგად მოსჩანს კიაზიმ - ბეის ბათუმში გამოქვეყნებული განცხადებიდან. მესხეთი ოსმალეთს ეკუთვნის, ვინაიდან ეს დადასტურებულია მრავალი ხელშეკრულებითო! და არც ერთი ხელშეკრულება კი ნამდვილი არა ყოფილა: არც ბრესტლიტოვსკის. არც ბათუმის ცხოვრებაში არ გატარებულა და ორივე იყო ოთხი თვის შემდეგ გაუქმებული. მაშასადამე, ეს ფორმალური მხარე არ არსებობდა და იგი საბუთად გამოსადეგი არც არის. მაგრამ მიუხედავად ამისა ოსმალეთი მაინც დაჟინებით სწორედ ამ გაუქმებულ და ყველასაგან უარყოფილ და მოსპობილ ხელშეკრულებებზე ეყრდნობა და დღესაც ამ ნიადაგზე სდგას.

თურქული ოფიციალური ისტორია ამჟამადაც იმეორებს ასეთ შეხედულებას და ცნობილ, ოფიციალურ წიგნში, რომელსაც ეწოდება „თურქეთის რესპუბლიკის ისტორია". შემდეგი სწერია: —

„მას შემდეგ რაც დამარცხებულ იქმნა სომხური ჯარი, თურქული ჯარები შევიდენ კავკასიაში და საქართველოსთან კონტაქტი დაიჭირეს. იმავე წლის ივლისის განმავლობაში ინგლისელებმა ბათუმს ევაკუაცია მოუხდინეს, რის შემდეგ ქართველებმა, რომელთაც ამ ქალაქზე უფლების პრეტენზია ჰქონდათ. მაშინვე გააგზავნეს იქ თავისი ჯარები. ვინაიდან ეს საქციელი ეწინააღმდეგებოდა საერთო ომის გათავებამდე საბჭოთა რესპუბლიკისა და ოსმალეთის იმპერიის შორის დადებულ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მუხლებს, და აგრეთვე ოსმალეთის იმპერიისა და ქართველების მიერ ტრაპიზონში დადებულ ხელშეკრულების მუხლებს, დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ქართველების მთავრობის წინაშე და მოითხოვა. რომ ეს ჯარები გაყვანილ ყოფილიყვნენ ამ ოლქიდან. დაბოლოს, ქართველების მიერ ანგორაში გამოგზავნილ ელჩთან დაწყებული მოლაპარაკების შედეგად, ისინი მოვალენი (იძულებული) გახდენ დაგვთანხმებოდენ იმაზე, რომ არდაგანი. ართვინი და ბათუმი თურქულ მმართველობაში დაყენებულიყო. ამ ოლ-

ქთა პატრიოტული მოსახლეობა, რომელიც მოუთმენლად მოელოდა თურქეთთან თავის შეერთებას, შეხვდა თურქის ჯარს დიდი ზეიმით (მარტი, 1921 წ.). თუმცა ბათუმი დაურჩა საქართველოს მოსკოვის ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქმნა ამ ქვეყნის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შესვლის შემდეგ, — პირიქით, არდაგანი და ართვინი, შემოერთებულ იქმნა თურქეთთან"....

ასეთია ოსმალური ისტორია უკანასკნელი ამბებისა, — სიყალბით აღსავსე, ვინაიდან დაუკვირვებელი წაკითხვაც კი, აქ მოტანილ ისტორიაში, ყოველი დებულების სიცრუეს ააშკარავებს. მართლაც: —

1. არავითარი ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება აღარ არსებობდა; იგი გაუქმებულ იქმნა: —

თვით საბჭოთა მთავრობის მიერ 20 სექტემბერს 1918 წ.

ოსმალეთთან დადებული მუდროსის დროებითი ზავის პირობებით (მუხლი 11) 30 ოქტომბერს 1918 წ.

საერთო დაზავების ანუ არმისტისის ძალით 11 ნომბერს 1918 წელს.

საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ მეორედ, 13 ნოემბერს 1918 წ.

ვერსალის საზავო ხელშეკრულებით, 19 ივნისს 1919 წ.

საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებით 16 მარტს 1921 წ.

და საქართველოს მთავრობას ბრესტლიტოვსკის ზავი და მასთან გადაბმული ბათუმის ზავი არასოდეს არ დაუმტკიცებია და იგი ძალაში არ შესულა.

ამ მრავალჯერ გაუქმებული ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ქემალისტურ ოსმალეთს არ შეეძლო და არ შეუძლია ილაპარაკოს და თავისი უფლებები დაიტკიცოს და არდაგან - ბათუმ - ყარსი მოითხოვოს. ქართველების მიერ ბათუმის დაკავება ამ მხრივ არავითარ ხელშეკრულებას „არ ეწინააღმდეგება".

2. ზემოამონაწერში მოხსენებული ტრაპიზონის ხელშეკრულება საერთოდ არც არსებულა. იყო ბათუმის ხელშეკრულება 4 ივნისს 1918 წ., რომლის დამტკიცება არასოდეს მომხდარა და რომელიც მოსპობილ იქმნა მსოფლიო ომის შედეგად. მაშასადამე, არც ბათუმის ხელშეკრულება ქართველების მიერ ბათუმის დაკავებას „არ ეწინააღმდგება".

3). ბათუმის ოლქი საქართველოა. ეს აღიარა საბჭოთა რუსეთმა თავის 7 მაისის 1920 წ. ხელშეკრულობით: ეს აღიარა ინგლისმა, როდესაც მან მესხეთი და კერძოდ ბათუმი, ოფიციალური აქტით, ოკუპაცის შემდეგ, 4 ივლისს 1920 წ. საქართველოს გადასცა. მაშასადამე, ქართველების მიერ ბათუმში ჯარების გაგზავნა არც ბრესტლიტოვსკის ზავის მუხლებს, არც მოჭორილ „ტრაპიზონის ზავის" მუხლებს და საერთოდ არავისა და არაფერს „არ ეწინააღმდეგებოდა". საქართველომ დაიბრუნა თავისი მიწაწყალი.

4). საქართველოს წარმომადგენელს ანგორაში, ვანსვენებულ სვიმონ მდივანს ოსმალეთისათვის არავითარი ხელშეკრულება არ დაუდევს, რომლის ძალით არდაგან - ართვინი და ბათუმი თურქეთს უნდა მიკუთვნებოდა. როგორც არსებული საბუთებიდან სჩანს, ოსმალეთის მთავრობამ მუქარის ძალით, ულტიმატუმის შედეგად, საქართველო - რუსეთის ომის დროს, დაიკავა არდაგან - ართვინი, ხოლო საქართველოს მთავრობას არ უცვნია კანონიერად ეს აქტი. მერმე კი ბათუმში შემოსვლის შემდეგ, მეგობრობისა და რუსეთის წინააღმდეგ დახმარების მომიზეზებით, ოსმალეთმა ჩაიდინა უმძიმესი ღალატი საქართველოს მიმართ.

5). ოსმალეთის ოფიციალური ისტორია გადმოგვცემს, რომ „ბათუმი დაურჩა საქართველოს მოსკოვის ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქმნა ამ ქვეყნის (საქართველოს) საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შესვლის შემდეგ"-ო. ესეც სიცრუეა!

საქართველო საბჭოთა კავშირში ნებით არ შესულა: საქართველოს ოკუპაცია მოუხდინა საბჭოთა რუსეთმა: ეს იყო ძალადობისა და მიმძლავრების აქტი; ამას გარდა, ეს იყო ძალადობისა და მიმძლავრების აქტი; ამას გარდა, მოსკოვის ხელშეკრულება დაიდო 16 მარტს 1921 წ. იმ დღეს ბათუმი კვლავ საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნოდა; იმ დღეს ბათუმში საქართველოს მთავრობა იმყოფებოდა. ასეა ფორმალურად.

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის ოფიციალური ისტორია სავსეა სიყალბით იმ მზაკვრული და მუხანათური მოქმედების გამო, რომელიც ოსმალეთმა საქართველოს მიმართ ჩაიდინა, როცა მან ისარგებლა საქართველოს ბედკრული მდგომარეობით და მას მიწაწყალი წაალიჯა. ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როცა ოსმალეთის წარმომადგენელნი, საქართველოს ზურგს უკან, მოსკოვში ხელშეკრულებას ამზადებდენ იმავე საქართველოს გასანადგურებლად მოსკოვთან ერთად. ამ შეერთებულმა თავდასხმამ, დიპლომატიურ და სამხედრო ასპარეზზე ომის წაგებამ ფიზიკურად დაღუპა საქართველოს რესპუბლიკა, და დაღუპა ქართველი ერის თავისუფლებაც.

## 24. სამი წლის ბრძოლა მესხეთის გამო.

აქ მონაცემი მასალებიდან ბევრი სხვა და სხვა საჭირბოროტო დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა. ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრების უკანასკნელი სამი წლის ისტორია გვიკარნახებს: არ ვიქმნეთ გატაცებული დღეს მოდაში არსებული კონფედერაციის მაღალი იდეალებით და სინამდვილეს თვალში პირდაპირ შევხედოთ; იგივე ისტორია გვიჩვენებს, თუ რაოდენ განმარტოებული არის საქართველო, როდესაც საკითხი კავკასიის ნებაყოფლობით სახელმწიფოებრივ მოწყობას ეხება: იქიდანვე სჩანს, თუ რაოდენ ჩვენი მეზობლები სხვა და სხვა გზით მიემართებოდენ და კავკასიის მთლიანობას შეგნებულად არღვევდენ. — პირველ რიგში ამ მხრივ სდგას აზერბაიჯანი, რომელიც არა კავკასიაზე და თავის თავზე, არამედ ოსმალეთზე ოცნებობდა, და თავის ინტერესებს მას სწირავდა; იგივე ისტორია გვეუბნება, რომ მეზობლები საქართველოს ტერიტორიის შემცირებას და ამით საქართველოს დასუსტებას ცდილობდენ და ამ მიზანს დაბეჯითებით ემსახურებოდენ; იმავე მოკლე წარსულმა დაგვანახა, თუ რატომ დამარცხდა საქართველო, რომელიც გახდა მსხვერპლი საგარეო პოლიტიკაში ორმაგი და მერყევი პოლიტიკის წარმოებისა; ეს მოკლე ხანის გუშინდელი წარსული თვალწინ ნათლად ჰშლის იმ სისუსტესა და მოუმზადებლობას, რომელიც საქართველოს მთავრობამ გამოიჩინა რუსეთის მიმართ; და იგივე აშკარად და უეჭველად ამბობს, რომ ოსმალეთი რჩება საქართველოს დაუძინებელი მტერი დღესაც: კიდევ ბევრი ირიბული დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენთვის დღეს პირველ რიგში, როგორც ეს ამ ნარკვევიდანაც ცხადია, ისევ მესხეთის საკითხი სდგას...

ჩვენთვის დავის საგანი არ არის, რომ მესხეთი საქართველოს განუყრელი ნაწილია: გეოგრაფიულად, ისტორიულად, გეოპოლიტიკურად, რასობრივად, ეროვნულად.

რუსეთის იმპერიის დროს მესხეთის შემოერთება — ეს იყო დაბრუნება ძმებისა, როგორც ილია ჭავჭავაძე სწერდა; და მთელმა საქართველომ ასე მიიღო იგი, და ტერიტორიულ დაბრუნებასთან ერთად დაიწყო ეროვნულ - კულტურული გადაბმა-გადაკავშირება დედა - საქართველოსთან; ესაა პროცესი, რომელიც მსოფლიო ომის დროს ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, ვინაიდან ქართული ეროვნული შეგნებისა და კულტურის ათვისებას მესხეთში ხელსუშლიდა ერთი მხრით რუსეთის მთავრობა, რომელიც თავის განსაკუთრებულ გამარუსებელ პოლიტიკას აწარმოებდა და რუსული ეკლესია, რომელიც მაჰმადიანობას ებრძოდა; და მეორე მხრით კი თვით ოსმალეთი, რომელიც პანისლამური და პანთურქული ქადაგებით მესხეთის მუსულმანური მოსახლეობის ერთ ნაწილს მაინც თავისაკენ მიიზიდავდა. ამ პოლიტიკათა შედეგებმა აღმოხეთქა მსოფლიო ომის დროს, აჭარლების პროცესში, როდესაც რუსეთის მთავრობამ განსაკუთრებული დევნა დაუწყო მაჰმადიან ქართველებს და მერმე ოსმალების შემოსევის დროს კავკასიაში, როდესაც ოსმალური აგენტების ქადაგებით მოტყუებული და გაბრუებული მაჰმადიანთა ზოგი წრეები ოსმალეთს მოუძღოდენ და მის პანისლამურ მისწრაფებებს გზას უკაფავდენ. ასეთი მძი-

მე და რთული საკითხების წინ დადგა საქართველო მსოფლიო ომის და რევოლუციის ხანაში.

მესხეთის საკითხი პრაქტიკულად დაისვა ზავთან დაკავშირებით პირველად ბრესტლიტოვსკში, შემდეგ ტრაპეზონში და ბათუმში. ჩვენ უკვე გამოვთქვით აზრი, რომ ბრესტლიტოვსკში ამიერკავკასიის დელეგაციის არ-გაგზავნა შეცდომა იყო. ბრესტლიტოვსკში დასწრება გამოიწვევდა ერთი მხრით საბჭოთა რუსეთისაგან ფორმალურადაც სწრაფლ გამოყოფა-ჩამოშორებას, და მაშასადამე, სათანადო დროს სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც დამოუკიდებლივ შეეძლებოდა ლაპარაკი; ხოლო მეორე მხრივ შესაძლებელი იქნებოდა ოსმალეთის მადის ალკვეთა იმავე გერმანიის შემწეობით, რომელიც ფორმალურად ახლად შექმნილ ამიერკავკასიის სახელმწიფოს მფარველობას გაუწევდა, როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე ოსმალეთის წინაშე. ასეთია დღესაც ჩვენი მოსაზრება.

ბრესტლიტოვსკში ოსმალეთმა პირობით მიიღო ყარს-არდაგან-ბათუმის მხარენი: ქართული მესხეთის ნაწილი და სომხეთის — ყარსი —. ამიერკავკასიის სეიმმა და მთავრობამ, რომელსაც ფაქტიურად ქართული ძალები ხელმძღვანელობდენ, ერთხმად უარჰყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება; მაგრამ არსებითად ეს უარჰყოფა არ იყო მტკიცე და ერთნება, რადგან აზერბაიჯანი და ბევრი მაჰმადიანობა ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხში ორმაგ და თვალთმაქცურ პოლიტიკას მისდევდა: ერთი მხრივ ქართულ-სომხურ პოლიტიკას ლებულობდა და მეორე მხრივ ოსმალეთს სამხედრო, პოლიტიკურსა და მორალურ დახმარებას უწევდა. აზერბაიჯანმა არ მოიაურვა ფაქტიურად ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების უარყოფა. როდესაც კავკასიის საზღვრების დაცვა აუცილებელი გახდა, გამოეცალა საერთო ფრონტს, რომლის შედეგად თვით ამიერ კავკასიის რესპუბლიკა დაირღვა. მესხეთის საკითხმა გამოიწვია ეს მოვლენა.

შეეძლო ქართულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გადაეცა ოსმალეთისათვის მესხეთის დიდი ნაწილი; ბათუმის მთელი ოლქი? ჰქონდა მათ ამისათვის ან იურიდიული, ან პოლიტიკური, ან ზნეობრივი, ან ეროვნული უფლება?
— არა ჰქონდა,
იმიტომ, რომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება დასდო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, რომელსაც ამიერკავკასიის მთავრობა არა სცნობდა;
იმიტომ, რომ ქართული შეგნება და აზროვნება, ქართული ცხოვრება მესხეთს საქართველოდ სთვლიდა და თავისი პოლიტიკის ფარგალში ატარებდა;
იმიტომ, რომ ისტორიის შეგნებითა და რასიული ინსტიქტით, ქრისტიანული და მაჰმადიანური საქართველო ერთი იყო და არის, და სხვისი ხელით გაცემულ თუ გაყიდულ მესხეთს, საქართველოც ვერ გასცემდა;
იმიტომ, რომ გეოგრაფიულად, სტრატეგიულად, ეკონომიურად, პოლიტიკურად, მესხეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია;
იმიტომ, რომ ქართულ შეგნებაში და ინსტიქტში გრიგალივით წამოიჭრა ქართული ძველი სული, მოგონება სავლავთა, ტაძართა, კულტურის ნაშთთა, და შოთა რუსთაველის.

ეს რეალ-პოლიტიკური მისწრაფება და ეროვნული მისტიციზმი, განიცადა ყველამ. ვინც იმ ხანას მოესწრო, დიდი საქართველოს შექმნა, გაერთიანება ქართულ კუთხეთა — ეს იყო დიადი მიზანი, რომელსაც მრავალი მსხვერპლი შეეწირა, და ჩვენ ქედს ვიხრით მოწიწებით იმ გმირთა წინაშე, ვინც ამ ბრძოლაში დაიღუპა.

უცხოელთათვის ეს ბრძოლა გაუგებარი დარჩა და საქართველოს ბრალსა სდებდენ შოვინისტობაში: ეს აიხსნება იმით, რომ უცხოელები არც ქართულ ისტორიას იცნობდენ და მათ არც ქართული ეროვნული ინტერესები გაეგებოდათ. ამიტომ გასაკვირი არ არის, მაგალითად, ერთი ინგლისელის, ბ-ნ ბეჰოფერის ასეთი შეხედულება: — „თავისუფალი და დამოუკიდებელი სოციალდემოკრატიული სახელმწიფო საქართველოსი ყოველთვის დარჩება ჩემს ხსოვნაში, როგორც კლასიკური მაგალითი იმპერიალისტური პატარა ეროვნებისა, როგორც თავის საზღვართა გარეშე ტერიტორიების მიტაცებით, ისე თვით სახელმწიფოს შიგნით ბიუროკრატიული ტირანიით. მისი შოვინიზმი სცილდება ყოველგვარ ფარგლებს“-ო.

დასახელებულ პირს რომ საქართველოს ცხოვრების რამე გაეგებოდეს, ასე იოლად არ დააფასებდა ქართველი ერის ბრძოლას თავისი ტერიტორიული თავდაცვისათვის. საქართველოს მთავრობას რომ ასეთი პირებისათვის ყური ეთხოვებინა და მათთვის დაეჯერებინა, მაშინ მას უარი უნდა ეთქვა მთელ მესხეთზე, მთელ საინგილოზე, მთელ ბორჩალოზე, მთელ აფხაზეთზე, მთელ „სამხრეთ-ოსეთზე“ და საქართველო რაღა იქნებოდა??!? — სულ მხოლო ორიოდე მაზრა, ესე იგი: საქართველოს უარი უნდა ეთქვა თავის თავზე, მას უნდა მოეკლა თავი საკუთარი ხელით და საერთოდ, ყოველი განზრახვაც სახელმწიფოებრივი არსებობის შესახებ უკუეგდო, როგორც ბოროტი აზრი და უბედურება. მაგრამ ქართველ ერს აღმოაჩნდა სიცოცხლისა და ბრძოლის უნარი; მისმა ეროვნულმა ინსტიქტმა თვით გამოძებნა გეზი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის, თავდაცვისათვის; ეს კი გულისხმობდა სისხლისღვრას. და მან დაიცვა საინგილო, დაიცვა აფხაზეთი, დაიცვა „სამხრეთი ოსეთი“, დაიცვა ბორჩალო, და იცავდა გამწარებით მესხეთს.

ჩვენ შევეხეთ ამჟამად მხოლოდ მესხეთის საკითხს, და მოკლედ ავწერეთ ის ბრძოლა, რომელიც მის დასაცავად სწარმოებდა. ჩვენ დავინახეთ, რომ მესხეთის წალების პირველი მოსურნე და მებრძოლი იყო ოსმალეთი. ჰას კი მხარს აძლევდა ამისათვის აზერბაიჯანი და საერთოდ მაჰმადიანობის ნაწილი; პირველ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ საქართველო დამარცხდა. მან დაჰკარგა მესხეთის დიდი ნაწილის მაგიერ თითქმის მთელი მესხეთი. მაგრამ საქართველო ამას არ შერიგებია; მან განაგრძო ბრძოლა დიპლომატიურ ასპარეზზე.

მსოფლიო ომში მოვლენათა მსვლელობის შედეგად: მესხეთი კვლავ საქართველოს უბრუნდება. და ეხლა მის ძალიან დიდ ნაწილზე სომხეთმა განაცხადა სურვილი; სომხეთმაც მოინდომა მესხეთის თავის ფარგლებში მოქცევა. აქაც საქართველომ სისხლით დაიცვა თავისი მხარე.

აიშალენ შინაური მტრები, ოსმალეთის და სხვათა აგენტები, რომელთაც აჯანყებანი მოგვიწყვეს მესხეთში — ამას გადაება დიპლომატიური ხრიკები და თავდასხმანი. საქართველო ამ დავიდანაც გამარჯვებული გამოვიდა. მთელი ქართველი ერი საქართველოს მთავრობას ზურგს უმაგრებდა საქართველოს ტერიტორიის აღდგენისათვის და დაცვის გულისათვის. იგი სათანადო მსხვერპლს იღებდა და იარაღით ხელში იბრძოდა. გარნა შემდეგ დაემხო საქართველოს რესპუბლიკა და მას ისევ რუსეთი დაეპატრონა. ეს მოვლენა არ ყოფილა გამოწვეული ტერიტორიისათვის ბრძოლით ან საზღვრების შესახები ომით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაქცევისა და დაღუპვის მიზეზი არა ერთი და ორია, როგორც საშინაო, ისე საგარეო. ჩვენი თემის საგანს დღეს ამის გამორკვევა არ შეადგენდა, თუმცა ზემომოთხრობილიდანაც გასაგები უნდა იყოს, რომ მაშინ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, საქართველო-რუსეთის 7 მაისის ხელშეკრულებით განმარტოვებული საქართველო გახდა მსხვერპლი ოსმალეთ-რუსეთის მეგობრობისა; იარაღით ბრძოლაც რუსეთის წინააღმდეგ შესაფერად არ იყო მომზადებული და არც ომი იყო წარმოებული მთავრობისა და მხედრობის მიერ სათანადოდ. ორივე საქართველოს დამარცხებაში დამნაშავე და პასუხისმგებელია.

---

**დამატება:** — რა ამბავი დატრიალდა მესხეთის საკითხის გამო ემიგრაციაში, — ეს ყველამ იცის, ვინც ემიგრანტულ პოლიტიკურ ცხოვრებას თვალს ადევნებს. ემიგრაციაში არავინ ფიქრობდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ანუ მესხეთის საზღვრებზე დავა დაეწყო და კამათი აეტეხა. ეს საკითხი მიყუჩებული იყო, როგორც ბევრი სხვაც. მაგრამ ბ-ნ ბამატის ჟურნალ „კავკაზი“-ს დაჟინებითმა პროვოკაციულმა ქადაგებამ, რომელსაც პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა უგულვებელჰყოფდა. დაბოლოს პასუხი გამოიწვია, რაც გამწვარდა განსაკუთრებით მას შემდეგ, ოდეს "კავკაზი"-ს ქართველმა თანამშრომლებმა ბ-ნ ბამატის დებულება გაიზიარეს; ჩვენ ამ დავის აღწერას არ შევუდგებით, და თუ ამ საკითხზე დღეს კვლავ იძულებული ვართ შევჩერდეთ, ეს უკვე არის ეგრედწოდებული „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო"-ს „დამოუკიდებელი საქართველო"-ს ბრალი. უკანასკნელამდე ეს ორგანო, სხვა ქართულ გამოცემებთან ერთად, „კავკაზი"-ს წინააღმდეგ ეწეოდა ბრძოლას საზღვრების საკითხის გამო: ქართულ ფრონტზე გაერთიანებული შეტევა სწარმოებდა ბ-ნ ბამატისა და მისი თანამშრომლების მიმართ. ეს გაერთიანებული ფრონტი გაარღვია სწორედ „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო"-მ „დამოუკიდებელმა საქართველო"-ს ამა წლის თებერვლის ნომერმა. სადაც მეთაურ წერილში კავკასიის საკითხებზე შემდეგი სწერია: —

„როცა ამ საგანზე ვბაასობთ. ჩვენ უნებლიეთ გაგვახსენდება პოლიგლოტ „კავკაზის" კამპანია იმის გამო, ვითომ ჩვენ, ქართველები, მებრძოლნი რუსეთისაგან განთავისუფლებისათვის, თურქეთის **დღევანდელი საზღვრების გადაწევას მოვითხოვდეთ....** ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა უკეთ იციან კავკასიის ერთა სულისკვეთება, რომელნიც თავდადებულად იბრძვიან რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად **არსებულ საზღვრებში**"-ო.

და უნდა ვიკითხოთ: — რამ გამოიწვია ეს ფრონტის ცვლა? გუშინ თუ მოსკოვ - ყარსის ხელშეკრულებას ებრძოდენ და არა სცნობდენ დღევანდელ საზღვრებს — დღეს რა მოხდა?

არ ვიცით დრომოჭმული და გამოფიტული „საქართველოს პოლიტიკური პარტიები" ინაწილებენ ამ დებულებას და იზიარებენ მეთაური წერილის განცხადებას, თუ არა. მაგრამ ჩვენ ანგარიშს ვუწევთ თვით წერილს და არ შეგვიძლია მას გულგრილად შევხედოთ.

როგორც ჟურნალ „კავკას"-ს ვუმტკიცებდით, რომ მისი პოზიცია არაა კავკასიური და არც ქართული. არამედ სხვისი ინტერესებით ნაკარნახევი, — იგივე უნდა გავუმეოროთ „დამოუკიდებელ საქართველოს", რომელსაც **თავისი საკუთარი პოლიტიკა არასოდეს არა ჰქონია და, რასაკვირველია, არც დღეს გააჩნია.** მიზეზი ამ მოვლენისა ერთი და იგივეა. აქაც ის ხდება, რაც „კავკაზის" ბანაკში.

„დამოუკიდებელ საქართველო"-ს და „კავკაზ"-ს თავთავისი მაჯლაჯუნა აწევთ კისერზე. **არც „დამოუკიდებელი საქართველო" და არც „კავკაზი" თავის პოლიტიკას არ აკეთებს; ისინი სხვის პოლიტიკას მისდევენ და ქართველი ერის ინტერესებს სხვისი და თავისი საკუთარი ინტერესებით შინჯავენ...**

ამით აიხსნება „დამოუკიდებელ საქართველოს" აბრუნდი და ფერისცვლა, რომელიც საზღვრების საკითხში ეხლა "კავკაზს" ამოუდგა გვერდით. „დამოუკიდებელი საქართველო" და „კავკაზი" ერთად მიემგზავრებიან და ჩვენ მივულოცავთ მათ ასეთ დაძმობილებას... ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან..

ჩვენ ავსტეხეთ ბრძოლა „კავკაზის" წინააღმდეგ. ჩვენ გავაგრძელებთ მას, და თუგინდ „კავკაზის" წინააღმდეგ ფრონტზე მყოფი გუშინდელი მოკავშირენი რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით თუ ანგარებით, თუ ანგარიშით გამოგვეცალონ, ჩვენ მაინც არ შევაჩერებთ კალამს მოსკოვ-ყარსის ხელშეკრულების გასაკიცხად და დასაგმობად. ვინაიდან ჩვენ უმაღლეს პოლიტიკურ და ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია: დავიცვათ ქართველი ერის ინტერესები, რომელსაც დღეს ხმის ამოღება და თავდაცვა არ შეუძლია. ჩვენ განვაგრძობთ იმ გეზსა და ბრძოლას. რომელიც ქართველმა ერმა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარიჟრაჟზე წამოიწყო. ჩვენ დავიცავთ საქართველოს მთლიანობას, დავიცავთ მესხეთს და გვრწამს ქართველი ერი ამ ბრძოლაში ჩვენთან იქნება.

ვიკ. ნოზაძე

## მასალები საკითხისათვის


ბატონიშვილი ვახუშტი: საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913 წ.

ივ. ჯავახიშვილი: ქართველი ერის ისტორია. თბილისი.

ივ. ჯავახიშვილი: საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919 წ.

ექვთიმე თაყაიშვილი: არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა - ოლთისში და ჩანგლში, პარიზი. 1938 წ.

ს. ჯანაშია: ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფილისი, 1935 წ.

პ. ი. : საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. კონსტანტინეპოლი. 1918 წ.

ექვთიმე თაყაიშვილი: სამუსულმანო საქართველო. აქვე.

შალვა მაღლაკელიძე: ნაწყვეტი ახლო წარსულიდან. აქ.

Georgian Delegation to the Peace Conference: Memorandum presented to the Peace Conference. Paris, 1919.

Le Caucase, la Géorgie et l'Europe. Tours.

Ph. Carajanidès: La politique asiatique de Moscou, dans «Orient et Occident», p. 476. Paris, 1922.

Jean Schlicklin: Angora. Paris, 1922.

A. Rustem Bey, ex-ambassadeur de Turquie à Washington et député à l'Assemblée d'Angora: La Paix d'Orient et l'Accord franco-turque. «Orient et Occident», N. 1. Paris, 1922. p. 56 — 57.

Berthe Georges — Gaulis: Le Nationalisme turc. Paris, 1921.

Paul Gentizon: La Résourrection géorgienne, Paris, 1921.

*** Georgien und der Weltkrieg, Zürich, 1915.

W. E. D. Allen: A History of the Georgian People, London, 1932.

James Bryce: Transcaucasia and Ararat. London, 1878

Le Baron Ernouff: Le Caucase, la Perse et la Turquie d'Asie. Paris, 1876.

Erich Ludendorff: Urkunden der Obersten Heeresleitung über ihre Tätigkeit . 1916/18. Berlin, 1920.

Erich Ludendorf: Meine Kriegserrinerungen 1914 1918. Berlin, 1919.

Der Friedensvertrag von Brest-Litovsk, herausgegeben v. Dr Friedrich Purlitz, Leipzig, 1918.

Der Deutscher Geschichtskalender, II Band, 2 Hälfte, Leipzig, 1918.

Deutsch — Russischer Ergänzungsvertrag... R. Decker's Verlag, Berlin, 1918.

Amtliche Auslassung zu den Deutsch — Russischen Zusatzvertragen, R. Decker's Verlag, Berlin, 1918.

Documents relatifs à la question de la Géorgie devant la Société des Nations, Paris, 1925.

L'Etat du Sud — Ouest du Caucase, Batoum, 1919.

G. Véchapéli: La Géorgie turque, Berne, 1919.

Traité conclu le 7 mai 1920 entre la République Démocratique de Géorgie et la République Soc. Féd. Sov. Russe. Paris, 1922.

Gaston Gaillard: Les Turcs et l'Europe. Paris, 1920.

Baron de Worms: England's Policy in the East. London, 1877

A Good Europian: Europe in Asia Minor. London, 1921

M. Leonetti: La Démocratie, le Socialisme et la S. D. N. contre la Paix. Documents. Pompei, 1937.

Jean Mélia: Moustapha Kémal. Paris, 1929.

Colonel Lamouche: Histoire de la Turquie. Paris. 1934

10 Ans de la République. Ankara, 1933.

Georgica, N. 2 — 3. London, 1936.

Omer Kiazim: L'Aventure kémaliste. Paris, 1921.

Général Sherrill, ancien ambassadeur des Etats-Unis en Turquie: Mustapha Kemal, l'homme, l'oeuvre, le pays. Paris, 1934.

Dagober von Mikusch: Ghazi Mustapha Kemal. Paris..

Edgard Pech: Les Alliés et la Turquie. Paris, 1925.
Nicol: Les Alliés et la crise orientale. Paris, 1922.
Bourgoin: La Turquie, Paris, 1936.
Général G. Korganoff: La partipicipation des Arméniens à la guerre mondiale sur le Front du Caucase (1914 — 1918). Paris, 1927.
J. Angel: Manuel historique de la question d'Orient. Paris, 1923.
Arménia, in The Encyclopedia Britanica, 14-th Edition, p. 381.
Histoire de la République Turque, rédigé par «La Société pour l'Etude de l'Histoire Turque», Istam., 1935
**З. Авалов:** Независимость Грузии в международной политике. 1918—1921 г.г., Париж, 1924.
**Я. Шафир:** Гражданская война в России и меньшевистская Грузия, Москва.
**Сборник** Действующих Договоров и Конвенций, вып. I. 1928.
**Ставров:** Закавказье и турки.
**Десять лет советской дипломатии,** Москва, 1927.
**А. Мельник:** Турция, Москва, 1937.
**М. Танин:** 10 лет внешней политики СССР, Москва, 1927.
**Е. Драбкина:** Грузинская контр-революция, Ленинград, 1928.
**И. Борисенко:** Советская республика на Северном Кавказе, т. I и II, Ростов-на-Дону, 1930.
**Сборник** действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных Р. С. Ф. С. Р. с иностранными государствами, Москва, 1924.
**Из истории армяно-грузинских отношений.** 1938 год. Тифлис, 1919.
**Документы и материалы** по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919 г.
**Мустафа Кемаль:** Путь новой Турции, Литиздат, 1929.
**Красный Архив,** т. XXV.
**Я. Шафир:** Очерки грузинской Жиронды, Москва, 1925.
**Проф. Е. А. Коровин:** Международные договоры и акты нового времени, Госиздат, Москва, 1924.
**«Демократическое правительство»** Грузии и английское командование. Подготовлено к печати **С. Б. Сефом.** Заккнига 1928.
**М. Рафаил:** Ближний Восток, Госиздат, Москва, 1926.
**Мирные переговоры** в Брест-Литовске с 22/9 декабря 1917 г. по 3 марта 1918 г. Полный текст стенограмм, т. I, Москва, 1920.

# ისტორიული დოკუმენტები

II.

# LES DOCUMENTS HISTORIQUES

ჩვენ გვსურდა გამოგვექვეყნებინა ყველა ისტორიული დოკუმენტი (ხელშეკრულება, განმარტება, ზავის და დაზავების პირობები და სხვ.) მთელი სისრულით. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ შევსძელით უსახსრობისა გამო; ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით, მოვათავსოთ მხოლოდ ის ტექსტები, რომელიც ქართლოსის ამ რვეულში აღძრულ საკითხებს პირდაპირ შეეხება.

## БРЕСТ-ЛИТОВСКИЙ ДОГОВОР, 3 МАРТА 1918 Г.

### Статья IV.

«...Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно очищаются от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно-правовых и международно-правовых отношений этих округов, а предоставит населению новый строй, в согласии с соседними государствами, в особенности, с Турцией».

См. Проф. Коровин: Международные договоры, стр. 229. Москва, 1924 г.

## ARMISTICE de MOUDROS, 30 octobre 1918.

**Art. XI.** Retrait immédiat des troupes turques du nord - ouest de la Perse, jusqu'en arrière de la frontière d'avant la guerre, a déja été ordonne et mis à exécution.

L'évacuation par les troupes turques d'une partie de la Transcaucasie a déja été ordoné. La partie de la Transcaucasie que les troupes n'ont pas encore évacuée sera évacuée si les Alliés, après avoir étudié la situation, en demandent l'exécution.

**Art. XV.** Des officiers alliés seront placés pour contrôler tous les chemins de fer, y compris les portions de chemins de fer transcaucasiens se trouvant actuellement sous le contrôle de la Turquie, qui devront être mis à la libre et entière disporition des autorités alliées, en prenant en considération les besoins de la population.

L'occupation de Batoum est comprise dans cette close.

La Turquie ne s'opposera pas à l'occupation de Bakou par Alliés.

## GEORGIAN DELEGATION to the PEACE CONFERENCE: — MEMORANDUM presented to the PEACE CONFERENCE. Paris, July, 1919.

«... the territory of Georgia should contain:

«The provinces of Tiflis and Kutais,, the district of Sukhum and Zakatali, the province of Batum, the two Western districts of the provinces of K ars (Olti and Ardaghan) and some parts of the province of the Black Sea and of the vilayet of Trebizonde.

«This territory is exclusively Georgian, with 75 % of Georgian population and forms an ethnical and historical as well as an economical homogenous unit among the Christian states of the East«...

...« Bisides, when the Armenan frontiers in the former Turkish Empire are fixed, Georgia will insist that Lazistan, now Turkish, must be joined to he territory; she will ask also the rectifications of the frontier on the upper Tchorokh river, as none but she has so much right to those ancient Georgian lands».

## L'ETAT du SUD — OUEST du CAUCASE

დედნის მართლწერა დაცულია:

«Les Comité Central juge utile et nécessaire de reproduire intégralament une des parties les plus saillantes de cette déclaration:

««Le basant sur les principes Wélsoniens qui reconnaissent aux peuples le droit de libre-disposition, d'eux-mêmes, l'Assemblée Nationale considère que les territoires situés au sud-ouest du Caucase sont les propriétés légitimes des peuples qui l'habitent et qui s'y sont attachés par des liens d'intérêts sans se préoccuper des droits historiques et préhistoriques qui puissent être allégués.

«L'assemblée National qui comprend même les représentents des élémants constituant la minorité comme les Russes, les Grecs etc. a pris la décision suivante:

«1. L'Etat du Sud-Ouest du Caucase qui comprend les provinces de Batoum, de Kars, les districts d'Akiskha et de Sourmaly, ainsi que les parties accidentales des districts d'Ahilkelek et d'Etchmiadzine peuplés en grande partie par les musulmans, est un état indépendant. Elle proclame la République dans ces contrées jusqu'à la réunion de la Constituante. L'Assemblée Nationale ne renonce pas non plus à la décision antérieure prise par les populations de Batoum, de Kars et d'Ardakhan, concernant leur annexion à la Turquie. De plus dans le cas où les résultats du plébiscite précédent seraient reconnus ou la Conférence de Paix décidérait de recourir à un nouveau plébiscite, l'Assemblée Nationale souhait que ce plébiscite se fit aussi pour Sourmaly et pour les parties accidentales d'Akhilkelek et d'Etchmiadzine.

«. Il sera procédé pour l'envoi à la Conférence de la Paix à Paris d'une délégation chargée d'exposer aux représentants des Puissances alliées et associées les decisions prises par l'assemblée Nationale aussitôt qu'une telle possibilité pourra être envisagée.

«3. L'assemblée Nationale informe le Gouvernement provisoire, le peuple, ainsi que les Etats voisins des décisions prises par elle».

Batoum le 19 octobre 1919

Pour le président du Comité Central pour la défense des intérêts de la population de Caucase du Sud-Ooust

**S. F. ATABEC, PRINCE DE COBLIAN**

Voire: «L,Etats du Sud-Ouest du Caucase, publié par le Comité Central pour la défense des intérêts de la popualtion du Sud-Ouest du Caucase», Batoum, Imprimerie H. Chmaivsky, 1919».

## PACTE NATIONAL

Les membres soussignés de la Chambre des députés Ottomane reconaissent que l'indépendance de l'Etat et l'avenir de la Nation ne peuvent être assurés que par une observation strict des prin-

(გაგრძელება იხილეთ 349 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწყვეტი ახლო წარსულიდან — მესხეთის გარშემო.

D'. Chalva Maglakélidzé

## LES SOUVENIRS DE LA LUTTE POUR LA MÉSKHÉTHIE

დიდი ომის დროს სტუდენტობა უმაღლეს სკოლებიდან სამხედრო სკოლებში გაიგზავნა. ადრევე აღრიცხვაზე აყვანილი, მეც ვალდებული გავხდი მოსკოვის სამხედრო უფროსის განკარგულებაში გამოვცხადებულიყავი. სამხედრო უფროსის კანცელარიის უფროს მოხელეს მაგიდა ეზოში გამოეტანა და სხვა და სხვა უმაღლეს სკოლებიდან მოსული სტუდენტებიც რიგში ჩამდგარიყვნენ; მეც მათ რიგს დავემატე. მოხელე სათანადო სკოლის სიას აიღებდა, ჩვენც ვინაობას დავუდასტურებდით და იგი გვანაწილებდა სხვა და სხვა სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში.

მე გამაგზავნეს თბილისში. მეორე დღესვე თავის დროზე სადგურზე ვიყავი; აქ თავი მოეყარა ჩემს მეგობრებს გასაცილებლად. ერთი ჟანდარმი სადგურის კარებთან იდგა და ხმამაღლა სტუდენტებს მოუხმო. მას ხელში 33 სტუდენტის სია ეჭირა; მოგვათავსეს მატარებელში; თან 6 ჟანდარმი გამოგვყვა. გავეშურეთ თბილისისაკენ.

გზაში, რასაკვირველია, ახალგაზრდობა მხიარულად ვიყავით და პოლიტიკასაც ვეწეოდით. უკრაინელი სტუდენტი სკიპას შემდეგი წინადადებაც განვიხილეთ და მივიღეთ: — ყველა, ოცდაცამეტივე მოსკოველი სტუდენტი ერთსა და იმავე გუნდში უნდა ვყოფილიყავით.

სრულიად ვერ გავითვალისწინეთ, რომ ჩვენ სხვა და სხვა სიმაღლის ვიყავით და ასეთი დადგენილება განუხორციელებელი დარჩებოდა.

თბილისის სამხედრო სასწავლებელში ექვს გუნდში დაგვარიგეს. მე პირველ გუნდში მოვხვდი. აქ სტუდენტთა მეგობრობა ისევ გრძელდებოდა; რევოლუციური სული, უნივერსიტეტიდან გამოყოლილი, არ გვასვენებდა და საქმეზეც გვეჭირა თვალი. რაღა გავაგრძელო: მოსკოველ 33 სტუდენტიდან თორმეტმა შევძელით საიდუმლო „შეთქმულ იუნკერთა ჯგუფი" დაგვეარსებინა. ამ შეთქმულთა ჯგუფში ჩემი წინადადებით შევიყვანეთ ერთი არა მოსკოველი სტუდენტიც: ბაგრატ ილურიძე, მეხუთე გუნდის იუნკერი, ადრე ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი. „შეთქმულ იუნკერთა ჯგუფის" სათავეში მე ვიდექი და ჩემი თანაშემწე ბაგრატი იყო, კაცი მესაიდუმლე, კარგი მოვარჯიშე, მომღერალი და საერთოდ მეტად საყვარელი ადამიანი; იგი ესერი იყო. დღეს მისი ფერფლი, ამბობენ, ვერის სასაფლაოზეა მოთავსებული. 14 წლის უკან მან თავისი ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა, პრაღაში; მიზეზი ბოლშევიკები იყვნენ.

უახლოესი მიზანი შეთქმულთა იყო: — სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა ნაწილებში განწესებული ოფიცრები ვეცდებოდით ჩვენს ხელქვეით მყოფი შეიარაღებული ძალები ხალხის მხარეზე გადაგვეყვანა, თუ რევოლუცია იფეთქებდა. აგრეთვე თავიდანვე თვით ჩვენს მორჩილებაში მყოფ სამხედრო ნაწილებში შვიდ-კაციანი სამხედრო ჯგუფები დაგვეარსებინა; სასწავლებელი ყველას საუკეთესოდ დაგვესრულებინა, რათა სასურველი ნაწილების არჩევა შეგვძლებოდა.

დავასრულეთ კურსი; მეგობარ შეთქმულებთან შეთანხმებით მე ავირჩიე ახალციხე. დანარჩენი თორმეტიც ამიერკავკასიაში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებში განმწესდნენ. შევთანხმდით ერთხელ კიდევ, რომ კავშირი არ გაგვეწყვიტა ერთმანეთთან და მოქმედებას დაუყონებლივ შევდგომოდით.

***

ბორჯომიდან სომეხი მეეტლე სიმღერითა და ხმაურობით ახალციხისაკენ მიმაქანებდა. ეს ქალაქი ადრე არ მენახა. ის-ის იყო ახალციხის ძველი და ახალი ნაწილის შემაერთებელ ხიდს მდ. ფოცხოვზე გადავდიოდით, რომ დავინახე თითქმის ძონძებად ქცეულ თურქულ ტანისამოსში, მოხუცი შეშით დატვირთულ ვირს ყურებში ჩასჭიდებოდა და წინ ეტანებოდა; ვირი კი ადგილიდან არ იძვროდა. გარშემო სომხის ბიჭები შემოსეოდნენ, მოხუცსა და მის ვირს ჯოხებით სცემდნენ; იქვე ახლო მდგომი სომხის ვაჭრები, ამ სანახაობით ფრიად კმაყოფილნი ხითხითებდნენ და ბიჭებს უფრო აქეზებდნენ. ეტლიდან ძირს გადმოვედი. ბავშვები ჩემს დანახვაზე მიიფანტნენ. თვალცრემლიანი მოხუცი რაღაცას ლუღლუღებდა. ჩემს რუსულად შეკითხვაზე პასუხი ვერ გამცა. თურქული მე არ მესმოდა; სომხების საუბარში ჩარევა არ მოვისურვე. პირველი — ეს მოხუცსა და ვირს მოვუალერსე. იქვე ხიდის ყურში „გოროდოვოი" იდგა, ვანიშნე და ის წარმომიდგა. შევეკითხე რუსულ ენაზე, ვისი წესრიგის დამცველია აქ, თუ მოხუცს ასე აწვალებენ და ის კი სდგას, თითქო არც ეხებოდეს. განმარტება ვერ მომცა რიგიანად; ეტყობოდა, რუსული ცუდად იცოდა. ვკითხე ეროვნება. მიპასუხა: რაბათელი ვარ, აი ამ ხიდის გაღმა ახალციხის ძველი ნაწილიდანო. მაშინ ქართულად გამოველაპარაკე და „გოროდოვოი" რაბათელი ურია გამოდგა. მან მიამბო, თუ როგორ ძლიერია ახალციხის ქალაქის ახალ ნაწილში სომხობის გავლენა და იგი, პოლიციელი, ამიტომ ვერა ჰბედავს ასეთ საქმეში ჩარევასო. გამოირკვა: გლეხს მაჰმადიანს შეშა ყაფანზე მიეტანა გასასყიდათ; იქ მას სომხის ბავშვები აკიდებოდნენ და ქალაქიდან აძევებდნენ. მაშინვე „გოროდოვოის" დავავალე უკანვე ყაფანზე ვირი და მისი პატრონი დაებრუნებინა, იქ თვალყური ედევნებინა და მერმე ქალაქიდან გაეცილებინა. მოხუცი მწვდა და ხელებზე კოცნა დამიწყო. „ერმენ დუშმან, გურჯი ყარდაშ," აღელვებული ბუტბუტებდა საბრალო.

ეს პირველი შთაბეჭდილება და მე მაჰმადიანებისადმი მეგობრულად განწყობილი შევიქენი.

***

სანამ პოლკის უფროსს წარვუდგებოდი, საჭიროდ ვსცან იმ დღესვე მაზრის უფროსი მენახა და მაჰმადიანების შევიწროებაზე მელაპარაკნა. ვეწვიე. მოახსენეს და შემომეგება ახალციხის მაზრის უფროსი, როტმისტრი გუდიევი. მე მას საყვედურით მივმართე: — აბა როგორ შეიძლება მოხუც სოფლის კაცს ქალაქის მცხოვრებნი ავიწროებდნენ და განსაკუთრებით დაუშვებელია მაჰმადიანთა დევნა; თურქეთთან ომში ჩაბმულ სამხედრო ძალებს ზურგი საიმედო ესაჭიროება და ასეთი საქციელი, რომლის მოწმე მე გახლდით, უთუოდ დასაგმობია-თქო.

თვით როტმისტრი გუდიევი მაჰმადიანი აღმოჩნდა, ინგუში ჩრდილო-კავკასიიდან, ადრე „ველური დივიზიის" ოფიცერი. ამჟამად კი მაზრის პატრონი ისეთი სახის, რომელიც სულ სხვა ამოცანებითაც იყო დატვირთული; იგი ოსმალეთის სასარგებლო მუშაობას აწარმოებდა თურმე და სამხედრო ნაწილიდან განსაზღვრული მიზნებით გადმოსულიყო პოლიციურ სამსახურში. რასაკვირველია, ეს მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გახდა ნათელი.

ორი საათის მასთან საუბარი და ჩვენ მეგობრებად დავცილდით ერთმანეთს: გამაცნო მოსახლეობის მდგომარეობა და საკუთარი ოჯახის ახლობლადაც დამსახა: წარმომიდგინა თავისი მეუღლე: „ეს ჩემი მეუღლეა; ერთიც კავკავში ცხოვრობს და ერთიც ბაქოში"-ო, განმიმარტა მან. როტმისტრი 45 — 46 წლის იყო; ომში დაჯილდოებული, მხიარული, ენერგიული, ნამდვილი საქმის კაცი და ამავე დროს სომხობის სასტიკი მტერი. ეს სიძულვილი სომხებისადმი ყოველ მის წინადადებაში სჩანდა და არც სურდა დაემალა.

***

სამხედრო სკოლაში შეთქმულთა რიგებში მიღებულ გადაწყვეტილების განხორციელებას თავიდანვე შევუდექი. ჩემს გუნდში აღმოჩნდა ჯარისკაცი ბასოვი, ძველად

მსახიობი - მომღერალი და თანაც რევოლუციონერი. მან ყველა ჯარისკაცებზე ადრე მიიპყრო ჩემი ყურადღება და მთავარ თანამშრომლადაც ის ავიყვანე. ჯერ მისი დახმარებით ჩვენს გუნდში მოეწყო შვიდკაციანი შეთქმულთა ჯგუფი, უმთავრესად უნტეროფიცრებისაგან; შემდეგ ჩვენი ბათალიონის სხვა გუნდებშიდაც შესდგა ასეთივე უჯრედები და ბოლოს მთელს პოლკში, აგრეთვე საარტილერიო და სხვა სპეციალ ხასიათის ნაწილებშიაც. სამი თვე გავიდა ჩემი ახალციხეში ჩასვლის შემდეგ და მთელს გარნიზონში სრულიად მოეწყო ის, რაც მიზნად მქონდა დასახული. ერევნიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და სხვა ადგილებიდან ჩემი სკოლის მეგობრები, ეხლა ოფიცრები, მატყობინებდენ, რომ ისინი აგრეთვე მუშაობენ სასურველი მიმართულებით.

ამგვარად სიტყვა და ფიცი, ცამეტი იუნკერის მიერ მიღებული, გაუტეხელი რჩებოდა: ოღონდ ამ ცამეტიდან სამი მალე ოსმალებთან ომში დაიღუპა და ორიც მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში იყო. ვრჩებოდით რვა კაცი და სულ დღითი-დღე მოლოდინში ვიყავით: — აი, დაჰკრავს საათი და ჩვენც რევოლუციაში ჩავებმებითო..

***

მაჰმადიანთა წრეებში ნაცნობობა როტმისტრ გუდიევის საშუალებით გავიჩინე. პირველად გავეცანი ალი - ეფენდი ეფენდიევს — სამცხე - ჯავახეთისა და ფოცხოვის უმაღლეს სასულიერო პირს. ყაზის თანამდებობისათვის ალი - ეფენდი სრულიად შესაფერი სჩანდა. ეს წარმოსადეგი გარეგნობის ქართველი მაჰმადიანი, ჭკუიანი და თავაზიანი დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე და ერთ დროს იქამდეც კი მივიდა, რომ მაჰმადის რჯულის მიღება მირჩია: —

რაც მეტი მაჰმადიანი ქართველი გვეყოლება, მით საქართველოს საქმე უფრო საიმედო იქნებაო!

ალი - ეფენდი აშკარად ოსმალეთის მომხრე იყო და ცდილობდა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთის საზღვრებში ცხოვრება მაშინ უფრო გაადვილდება, თუ ქრისტიანული საქართველოც ხონთქარის მფარველობაში იქნებაო.

მას რუსები ეზიზღებოდა და მეც ყოველ-დღე უფრო და უფრო მაძულებდა მათ.

ყაზი ალი ეფენდიმ გამაცნო ვინმე ექიმი ლორთქიფანიძე, ქართველი მაჰმადიანი, რომლისთვისაც ახალციხეში ცხოვრების უფლება საგანგებოდ გამოეთხოვათ: ეს ექიმი არავის ექიმობდა; მხოლოდ გავლენიან მაჰმადიანებს ხვდებოდა ხოლმე და თვით ჩვენი გარნიზონის ოფიცრობაში დიდი ნაცნობობა ჰქონდა და პატივიც. რევოლუციის პირველ დღეებშივე ის ფიცხლავ ფოცხოვის მხარეში გადავიდა და იქ თურქეთის სამხედრო ინსტრუქტორებს წრთვნიდა და ხელმძღვანელობდა. მხოლოდ შემდეგ გავიგეთ, რომ ის იყო თურქეთის ღენერალური შტაბის ოფიცერი, განგებ ჩვენს მხარეზე გადმოსული დაზვერვისა და ჯაშუშობის მიზნით.

მთელი სამაზრო ადმინისტრაცია — პოლიციაც ხომ სულ მაჰმადიანების ხელში იყო. ბოქაულებად და უბრალო „სტრაჟნიკებადაც" მხოლოდ ინგუშ - ოსები და აზერბაიჯანელები იყვნენ. სამაზრო ცხენოსანი რაზმი ძარტო ინგუშებისაგან შესდგებოდა; ქვეითი რაზმი კი — ოსებისაგან. ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და ოსმალეთისათვის ნაკლებ საიმედო საბოქაულო — აწყვერის — მინდობილი ჰქონდა ქართველების დიდ მტერს, ინგუშ მუსაკიევს, იმ მუსაკიევს, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მონაწილეობა მიიღო ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილ, სერვერბეკ ათაბაგის აჯანყებაში. ხოლო უკან დახეულმა აჯანყებულებმა იგი მოჰკლეს, როგორც ადგილობრივი მაჰმადიანების წამქეზებელი საქართველოს წინააღმდეგ.

სამაზრო აგრონომად მოწვეული იყო ზია-ბეკ ავალიშვილი, კაცი რუსული განათლებით, მაგრამ მთელი თავისი არსებით თურქი. სამაზრო ექიმად — აზერბაიჯანელი აზიზბეკ კადიმბეკოვი; ისიც ოსმალეთის მოტრფიალე.

სოფელ აწყურში მასწავლებლობდა ვინმე ომარ - ფაიკი, უწინ „ახალგაზრდა თურქთა" აჯანყების აქტიური მონაწილე ოსმალეთში. მის განკარგულებაში იყვნენ 30 აზერბაიჯანელი და 10 სამცხე-ჯავახეთიდანაც ახალგაზრდა მაჰმადიანი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის, თუ სხვა სკოლის მსმენელები, რომელნიც, უმთავრესად ზაფხულობით, ხალხს სოფლებში წერა-კითხვას ასწავლიდნენ. სინამდვილეში ესენი იყვნენ პროპაგანდისტები და ომარ ფაიკის ხელით გაწრთვნილი აგენტები ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავენი.

თვით მაზრის უფროსი გუდიევი დადიოდა სოფლიდან სოფლად და ყრილობებზე შეკრებილ ხალხს უცხადებდა: — თქვენ ამ მოკლე დროში იმდენს ეცდებით, რომ ოჯახი არ დარჩება მაჰმადიანს, რომელსაც ერთი დედალი ორასი კვერცხით არ გაუჩნდესო!

ომარი ფაიკის აზერბაიჯანელი "ინსტრუქტორები" კი მსმენელთ გუდიევის სიტყვების მნიშვნელობას ურკვევდენ. მთელს მაზრაში მდგომარეობა ისეთი შეიქმნა იმ დროს, რომ ორი - სამი რუსის ჯარისკაცის იარაღით ყოფნა ქალაქს გარედ სახიფათო ხდებოდა.

„ერთი დედალი" — თოფი და „ორასი კვერცხი" — 200 ტყვია — ეს იყო იდეალი ყველა ვაჟკაცი მაჰმადიანისათვის.

გუდიევი თავის მაზრის გარეშეც ახერხებდა მუშაობას: ჯავახეთისა და არტაანის ოლქის ფოცხოვის მხარის დამშეულ მაჰმადიანებისათვის ის ღებულობდა მეფის მოადგილის კანცელარიიდან თანხებს, იძენდა სურსათ-სანოვაგეს და უხვად ურიგებდა მათ; თან პროპაგანდასაც ეწეოდა ოსმალეთისათვის.

ყველაზე უფრო დაგეშილი და ოსმალეთისათვის სასარგებლო პიროვნება იყო ომარ ფაიკის დისშვილი, აწყვერელი ახმედ ბეგ ფეფინოვი, უნივერსიტეტში ჩემი მეგობარი და ამ დროს კი ერობათა და ქალაქთა კავშირის რწმუნებული კავკასიის ფრონტზე. ის აღმოჩნდა „კავშირი" ოსმალეთის დაზვერვისა და რუსეთის მიწაწყალზე ოსმალთა სასარგებლოდ მომუშავე აგენტების შორის. ასეთი მისი მუშაობა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გამოირკვა.

დამარცხებული ოსმალთა ჯარები 1916 წლის მიწურულში დიდი იმედის მომცემი როდი იყვნენ მათდამი კეთილგანწყობილ მაჰმადიანთათვის. ამის მიუხედავად, მათი სითამამე და კადნიერება ხშირად საზღვარს სცილდებოდა. აღვნიშნავ ერთ დამახასიათებელ შემთხვევასაც.

***

ქვაბლიანელი ბეკის სულეიმან ერისთავის (ისტორიული თორნიკე ერისთავის ხაზის გამგრძელებელი) ვაჟი, ბოქაული ქალაქ ახალციხისა, უნდა შეუღლებოდა აჭარელ გავლენიან ბეგის თეიმურ ხიმშიაშვილის ასულს. დანიშნული მას არასდროს არ ენახა და თვით დანიშვნაც სიძლოს დაბადების მეშვიდე დღეს მომხდარიყო, ოცი წლის უკან, რაც სიმამრისა და მამამთილის შუამავლით შესრულებულა.

სამოცი რჩეული ცხენოსანი მაჰმადიანი სამცხე-ჯავახეთიდან თანგაჰყვა სასიძოს; მე ერთადერთი არა მაჰმადიანი ვიყავი მთელს მხლებლებში და თვით ქორწილშიც. რამოდენიმე დღის შვებულება უკვე გამოვითხოვე სათანადოთ.

სასიძო ბახრი-ბეკმა და მისმა მამამ სულეიმან ერისთავმა მთხოვეს „ძმადედ" მე ვყოფილიყავ.

წინ ცხენს მიაჭენებდა. აღმოსავლური მუსიკოსების თანხლებით, ქალბატონი მაჩაბლისა. მამიდა სასიძოსი, ერისთავის ასული. მას სახე ჩამოფარებული ჰქონდა, მაგრამ ხანდახან ქარი საფარს გვერდზე გადაუგდებდა და მაშინ სულ მცირე ხნით გამოჩნდებოდა მისი მომხიბვლელი და წარმტაცი სილამაზე. ის ერთადერთი მანდილოსანი ექვს ათეულ ცხენოსან მამაკაცთა რაზმის, ასე ვთქვათ, მეთაური იყო.

საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ მისი ქმარი იყო ბახში-ბეკ მაჩაბელი, ისიც ოსმალეთის სასარგებლო მომუშავე; შემდეგ იგი, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, თავისი ქვეყნის სამსახურს შეუდგა და გულწრფელადაც.

ახალციხის მაზრიდან გადავედით აჭარაში. აქ შეგვეგება ორმოცი აჭარელი ცხენოსანი; სალამი თოფის სროლით მოგვცეს და უკან გამოგვყვენ. მივუახლოვდით სოფელ ხულოს; ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის სასახლის ეზოდან იგ-

რიალა ზარბაზანმა. ამ გვარს ჰქონდა ზარბაზანი, ძველიდანვე შენახული, რომელიც აწინდელი ომისათვის გამოუსადეგარი იყო, მაგრამ ხმის მხრივ თავზარდამცემი. სროლითა, ყიჟინითა და სიმღერებით შევუდექით აღმართს. სასახლესთან ყველა ცხენზე გადმოვხტით, გარდა ქ-ნი მაჩაბელისა. შეგვეგება თვით სასიმამრო თეიმურ-ბეკ ხიმშიაშვილი. იგი დაეხმარა ქალბატონ მაჩაბლისას ცხენზე გადმომხტარიყო; მკლავი გამოსდო და მოგვცა ყველას საერთო თურქული სალამი. სასახლის აივნიდან მრისხანედ გადმოიყურებოდა ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილი, ბიძა სარძლოსი, რომელიც როგორც უფროსი ძმა თეიმურ-ბეკისა, თვით იყო მასპინძელი და ძმისწულსაც თვითონ ათხოვებდა. მე სასიძოს მარცხენა გვერდზე ვიდექი; მარჯვნივ თვით მამა სულეიმან-ბეკ ერისთავი; ჩვენს უკან ყველა დანარჩენი მხლებელი, ახალციხელები და თვით აჭარლებიც.

მეორედ იგრიალა ზარბაზანმა; აივნიდან ჯემალ ბეკი დაეშვა და მოგვესალმა. მალე იქვე მყოფ ქ-ნ მაჩაბლისას ეახლა და ორივე ძმამ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი მანდილოსანი სასახლიდან ახლო მდგომ, პატარა ლამაზ ოდისაკენ მიიწვია და მთელი ქორწილისა და ზეიმის დროს ერთხელაც ჩვენ აღარ გვინახავს იგი.

უფროსი მოურავი სტუმრებს ჯერ აივანზე შეგვეპატიჟა; აქ ყველას ხელი დაგვაბანინეს და მერმე საერთო დარბაზში მიგვიწვიეს. ამ დროს ჯემალ-ბეკი და თეიმურ-ბეკი ხიმშიაშვილები, ჩვენი მასპინძლები, უკან დაბრუნდნენ და გაიმართა ლხინი, რა ლხინი!

სასიძო ბახრი-ბეკ ერისთავი იმ ღამესვე წავიდა და ისიც ხუთი დღე ჩვენ აღარ გვინახავს.

მასპინძლობა იყო საგანგებო; მთელი დღეები ეზოს გადაღმა არ გადავსულვართ. მოახლოვდა მეექვსე დღეც: სულეიმან-ბეკ ერისთავმა, სასიძოს მამამ, გამიხმო და იმ ოდისაკენ წამიყვანა, სადაც რამდენიმე დღის უკან ქ-ნი მაჩაბლისა მიაცილეს.

როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც აქ, ამ შენობაში, მარტო მანდილოსნები ვნახე. ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი. ყველას სახე დაფარული ჰქონდათ: საერთო სალამი მივუძღვენი მათ; ერთმანეთს კი ისინი ქართულად წასჩურჩულებდნენ: — ქართველია, ბოშო, ქართველია ეს ოფიცერი-ო!

სულეიმანმა ერთ ოთახში შემიყვანა და ქართულად მითხრა: — აბა შენ იცი, სრულიად მხარი უნდა დაგვიჭირო-ო. მე არ ვიცოდი, როგორ უნდა დამეჭირა მხარი და შეკითხვაც ვერ გავუბედე.

იმავე ოთახში შემოვიდა ერთი ხანში-შესული აჭარელი; მას ორი ფანქარი ეჭირა ხელში; მომესალმა და ერთი მე გადმომცა. ფანქრითა და ქაღალდით ხელში ჩვენ ორი სულეიმან-ბეკ ერისთავისა და თეიმურ-ბეკ ხიმშიაშვილის თანადასწრებით, შევუდექით იმ უამრავი სამზითვო ნივთების აღწერას, რომლებიც სარძლოს საკუთრებად უნდა ქცეულიყო, შეფასებულიყო და თუ, მაჰმადიანთა ადათის მიხედვით, შეუღლებულნი ერთმანეთს დასცილდებოდნენ, გათხოვილ ქალს უკანვე უნდა მოეტანა თვით ნივთები ან მათი საფასური.

შევუდექით შეფასებას. სარძლოს ოჯახის წარმომადგენელი ნივთს პირველი აფასებდა; მე უსიტყვოდ მას ვეთანხმებოდი და სათანადო აღნიშვნასაც სიაში ვაკეთებდი: უკვე ნახევარზე მეტი შევაფასეთ; ასე მიდიოდა საქმე. სანამ მოთმინებიდან გამოსული, სასიძოს მამა სულეიმან-ბეკი არ მწვდა ხელში და აღელვებით არ მითხრა, ეხლა უკვე რუსულად: — რაშია საქმე? მეც ხომ ქართველი ვარ, რაღა მაგ აჭარელს უჭერ მხარს დაჟინებით-ო?! — მე მივხვდი ჩემს დანაშაულს, მაგრამ გვიანღა იყო, თუმცა დანარჩენი ნივთების დაფასებაში ერთხელაც არ დამითმია და, რაც შესაძლო იყო, ყველაფერს დაბლა ვაფასებდი. სია გამზადდა. ოთხივემ ხელი მოვაწერეთ. შემდეგ ჩვენივე დასწრებით, სასიძო დანიშნულის ოთახში შევიყვანეთ, კარები გამოვუხურეთ და იქ ჩავტოვეთ. თვით სარძლო კი არ დაგვინახავს. შემდეგ ისევ უკან, სასახლეში დავბრუნდით და საერთო ლხინს შევუერთდით.

მეშვიდე ღამე იყო სწორედ, რაც იქ ჩვენ მოვსულიყავით; სმითა, ქართულ - თურქული სიმღერებითა და ქართულ - თურქული მუსიკით ვერთობოდით. უკვე ნაშუაღამევი იქნებოდა, ჩვენთვის მოულოდნელად, გაიღო ჩვენი დარბაზის კარები და გამოჩნდა მაჰმადიანების სასულიერო პირი, თორმეტი თურქულად ჩაცმულ, თავიდან ფეხამდ შეიარაღებული ვაჟკაცის თანხლებით; თორმეტსავეს თავი ყაბალახით ჰქონდათ წაკრული.

სუფრის თამადა, ჯემალ-ბეკი, პირველი წამოდგა. მოსულთა სალამს ჩვენც ფეხზე ამდგარი ვუპასუხეთ; მივიწმოვიწიეთ და საერთო სუფრას ისინიც შემოუერთდნენ.

პირველი სიტყვა თვით მოსულების მხრიდან იყო.

სიტყვა სთქვა იშვიათი ვაჟკაცური გარეგნობის კაცმა, თვით ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის ძმამ, რომელიც ომის დაწყებიდანავე ოსმალეთში გადასულიყო და იქ თურქთა ჯარებში აჭარელ მოხალისეებს მეთაურობდა რუსეთის წინააღმდეგ. ამ თორმეტი სტუმრიდან ექვსი აჭარელი აღმოჩნდა. — ყველა მშვენიერი მოქართულე და ქართული სიმღერების მცოდნე. თვით წინამძღვარი სასულიერო პირი იყო, წმინდა თურქი; დანარჩენი ექვსი კი თურქი ოფიცრები, საგანგებოდ მოსალოცად აქ მოსული მტრის მოწინავე რაზმებიდან.

როცა მე სტუმრების მეთაურის, ხიმშიაშვილის სიტყვა მოვისმინე, თავი მეტად უხერხულად ვიგრძენ; მე რუსის ჯარის ოფიცერი თურქის ოფიცრებთან ერთად რუსეთის მიწაწყალზე! შევწუხდი. ეს იგრძნო ჩემთან ახლო მყოფ ჯემალ-ბეკმა და საპასუხო სიტყვა ქართულად უთხრა თავის ძმას თხოვნით, რომ თურქულად იმ ექვსი ოფიცრისათვის და სასულიერო პირისათვის მასვე გადაეცა.

თვით სიტყვა თურქეთიდან დაბრუნებული ხიმშიაშვილისა იყო ფრიად მჭერმეტყველური, კარგი ქართულით ნათქვამი. მახსოვს მისი სიტყვის ერთი ადგილი კარგად: —

— ჩვენ გამოვცხადდით ქორწინების დასასრულს აქ, მტრის სამფლობელოში: ბრმა და ბინძურ რუსის სადარაჯოები გადმოვლახეთ და გაბედულად ხულოს სასახლეს — ჩემი ძმის და პატრონის ჯემალის ბინას თავი შემოვაფარეთ. ჩემს ძმას ამშვენებს, მართალია, რუსის პოლკოვნიკის ეპოლეტები, მაგრამ ჩვენ სტუმრები, აქ, ხიმშიაშვილის ოჯახში, მოყვრულად დავრჩებით მიღებული. იმედს გამოვსთქვამ, ჩემი საყვარელი ძმა, რუსთა თვალის ასახვევად ატარებს ამ თავის რუსულ მუნდირსაო — და შემდეგ დაუმატა: — მე ადრე გავიგე, რომ აქ სუფრაზე რუსის ოფიცერია, მაგრამ არა რუსი, არამედ ქართველი, ჩვენი ძმა. მე მივმართავ ამიტომ მოურიდებლად ჩემს საყვარელ ღვიძლ ძმას, როგორც საქართველოს შვილს, ხელი შეუწყოს ოსმალეთს რუსთა განდევნისათვის და მრწამს: დიდებული ხონთქარი გახდება მოკავშირე აღორძინებული და გაერთიანებული საქართველოს სამეფოსი-ო!

ჯემალ-ბეკი სდუმდა; თავი ჩაეღუნა; სიტყვაზე პასუხის გაცემას აგვიანებდა. სტუმრები კი ფეხზე დამდგარნი პასუხს ელოდენ; ბოლოს თამადა ჯემალ-ბეკიც ადგა და განაცხადა: — მე მესმის ნათესაური გრძნობა, რაინდობა, ვაჟკაცობა, მაგრამ თქვენი აქ ასე დაუპატიჟებლად გამოცხადება როგორც თქვენთვის, უფრო მეტად ჩვენთვის სახიფათო და არა სასურველია; მაგრამ მაინც გიქებთ გამბედაობას; გმადლობთ მოლოცვისათვის და იმედი მაქვს ეხლავე დასტოვებთ აქაურობას და მამაცურად თქვენს სადარაჯოზე დაბრუნდებით-ო!

ჯემალ-ბეკის ძმამ ეს სიტყვები თურქულად გადასცა თავის თანამგზავრ თურქებს; ერთმა თურქის ოფიცერმა, სხვა თურქების სახელით, მადლობის განცხადებაც მოასწრო, ჯემალ-ბეკს გულზე ეამბორა, შემდეგ მე მომწვდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და გამოგვემშვიდობა. ყანწით ხელში, და დარბაზიდან უკან-უკან ხევით, ჯემალის ძმა სხვა ექვს აჭარელ მხლებლებთან ერთად, მშვენიერ „მადლობელი ვართ"-ს მღეროდენ. სუფრაზე ხომ მათ მიერ იყო შესრულებული ისეთი ძველი ქართ. სალხინო სიმღერები, რომელიც წინად და არც შემდეგში აღარ მსმენია.

სამცხე-ჯავახეთის აღელვებული ბეგები — ერისთავები, ფალავანდიშვილები, მაჩაბლები, აბაშიძეები, ავალიშვილები, ამილახვრები და სხვა დამსწრე ქართველი მაჰმადია-

ნები სტუმრების სიმღერას აჰყვენ და დაუპატიჟებელნი, მაგრამ მეტად სასიამოვნო სტუმრებიც გაჰქრნენ.

ამ შემთხვევამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ერთი ფიქრი მომივიდა თავში: ჯემალისათვის გამენდო და მე თვით გავყოლოდი მათ; თითქო მან ეს იგრძნო და დინჯად მითხრა: —

„გაუშვი, თავზე ხელაღებულია ჩემი ძმა, მაგრამ ეს თურქის ოფიცრები რაღას ფიქრობდენ?! ვაცალოთ, ბატონო, რუსისა და თურქის ჯარს, იქნებ ორივე დაიღუპოს და მაშინ გვმართებს ჭკუა და საქმიანობა ქართველი ხალხის ბედი სასურველად გამოვჭედოთ“-ო.

***

ახლა ორი ცხენოსანი მანდილოსანის მეთაურობით, ხმაურობითა და ყიჟინით გამოვდიოდით აქარიდან; ქორწინება სასიძოს სახლში უნდა გაგრძელებულიყო.

გადმოვედით ახალციხის მაზრის პირველ სოფელში. აქ შეგვეგება ასამდე ცხენოსანი ქვაბლიანელი მაჰმადიანი, თოფის სროლითა და სიმღერებით.

ერისთავის სამფლობელო სოფელ ადიგენში სამი დღეღამე ვიდღესასწაულეთ ქალის მოყვანა. უკანასკნელ დღეს მე, როგორც ახლო ნათესავი ამიერიდან, პატარძალს უნდა გამოვშვიდობებოდი; მან თავისი ქმრის მამიდა ქბ-ნ მაჩაბელის თანადასწრებით მიმიღო თავის ოთახში: ორივეს სახე დაფარული ჰქონდა, როცა თვით ბახში-ბეკ მაჩაბელმა კარებს მიაკაკუნა, ნელა შეაღო და შიგ შემიშვა. ქალბატონ მაჩაბლისამ პირველმა აიხადა რიდე და მეჩვენა ღია სახით; შემდეგ სწვდა რძალს, აუწია საფარი და ტკბილის ღიმილით ორივე ყავით გამიმასპინძლდა.

გამომშვიდობებისას, ადათის მიხედვით, საჩუქარი უნდა გამეღო. მე ადრე ვიყავი გაფრთხილებული; ას-მანეთიანი ქაღალდის ფული მზად მქონდა, მაგრამ დავირცხვინე და არ იქნა და არა, ვერ გავბედე ფულის მაგიდაზე დადება. მთლად დაღონებული გარედ გამოვედი: იქ ხუთი-ექვსი ბეგი მიცდიდა; მე ასი მანეთი ამოვიღე და ბახ ბეკს ვთხოვე: თვით შეეტანა და მაგიდაზე დაედო. ასტყდა სიცილ-ხარხარი: ბახში-ბეკ მაჩაბელმა სამაგიეროდ გამომიტანა საჩუქარი: თვით რძალის მიერ დაგვირიშტებული და მოქარგული ორი პერანგი, ორი პირსახოცი, მისივე მოქსოვილი აბრეშუმის წინდა და ექვსი ცხვირსახოცი. თურმე ამ საჩუქარს თვით რძალისაგან მივიღებდი, რომ გამებედნა და ფული დროზე თავის ადგილას დამედო.

სრულიად კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული, ათი დღის შეუწყვეტელი დროსტარების შემდეგ, ვბრუნდებოდი ახალციხეში, სადაც მიცდიდა ჩვეულებრივი ყოველდღიური ვარჯიშობა და მაცადინობა რუსის ჯარისკაცებთან — საქმე ნაკლებ საინტერესო და არა-დამაკმაყოფილებელი.

***

1917 წლის თებერვლის რევოლუციას ახალციხეში მდგომ მე-116 პოლკში შევხვდი. ამ დროისათვის გარნიზონის ყველა ნაწილში არსებობდენ შეთქმულთა ჯგუფები იმ მიზნისათვის, რაც ზემოდ უკვე აღვნიშნე.

ერთ საღამოს ჩვენი პოლკის უფროსი პოლკოვნიკის კლოდნიცკის ბრძანებით, ოფიცრების მთელი შემადგენლობა საკრებულოში მიგვიწვიეს. უკვე ამ დროისათვის ხმები იყო დარხეული, რომ იმპერატორი აღარა გვყავს, ის გადადგა და დროებითი მთავრობა შესდგა. გარნიზონის უფროსს ოფიციალი ცნობა მიეღო და ამით იყო გამოწვეული ჩვენი შეკრებაც. ოფიცერთა დარბაზი ძლივს იტევდა მრავალრიცხოვან მოწვეულთ. პოლ. კლოდნიცკიმ დაიწყო: — მოსულია ცნობა, თითქო იმპერატორი გადამდგარიყოს და რუსეთის პატრონობა დროებით მთავრობას აეღოს ხელში. ეს დაუჯერებელი, დაუშვებელი ამბავია. ჩვენ ფიცი გვაქვს მიცემული ხელმწიფისა და ქვეყნის წინაშე; გვესმის ჩვენი მოვალეობაც; ვუბრძანებ უფროს ოფიცრებს: დაუყონებლივ გაეშურონ ყაზარმებში, თან გაიყოლიონ უმცროსი ოფიცრები და უცადონ ჩემს ბრძანებას-ო.

აი აქ იჩინა თავი ჩემმა მოუთმენლობამ, განსაკუთრებით, როდესაც კლოდნიცკიმ ბრძანება მოგვცა ას-ასი პატრონა ნაგანისა ახლავე მიგვეღო. დარბაზიდან გასვლის წინ პოლკ. კლოდნიცკის წინ გადაველობე და მოვახსენე: — არას დროს არ დავუშვებთ ხალხის სურვილის წინააღმდეგ ბრძოლას, და ვისთვის იქნება დანიშნული ნაგანის პატრონები-თქო?

მან ფიცხლავ უბრძანა ბატალიონის უფროსს, პოლკოვნიკ შუხოვს დავეპატიმრებინე; მე ხმალი ვიძვრე. თვით კლოდნიცკი, მშიშარა და მხედრულ სულს მოკლებული, საჩქაროდ დარბაზიდან გავიდა. მე კი შუაგულ დარბაზში ვიდექი. პოლკოვნიკი შუხოვი, მეტად აღელვებული, მომიახლოვდა და მთხოვა ხმალი ჩამეგო. მეც, ვიგრძენი რა უხერხულობა და უთუოდ უადგილობაც ასეთი ქცევისა. მზად ვიყავ თხოვნა შემესრულებინა, რომ წინ წამოიჭრა პოდპორუჩიკი მოროზი; მასაც ამოღებული ხმალი ეჭირა ხელში და რუს ოფიცერთაგან წაქეზებული ჩემსკენ მოიწევდა. ჩვენს შუა იდგა პოლკ. შუხოვი, რომელმაც ჩვენგან მოითხოვა ერთმანეთს წესიერად შევხვედროდით. მე ხმალი ჩავაგე და პოლკ. შუხოვისაგან მკლავგამოდებული გარედ ქუჩაში გამოველ. გამოიშალა მთელი კრებულიც და პოდპ. მაროზმა კვლავ ჩემსკენ მოიწია, მაგრამ ეხლა მარტო კი არა, არამედ პორუჩიკ მიროშნიჩენკოსთან ერთად; ორივე ხმალამოღებული, და სამი რუსის ოფიცერიც გვერდით დადგომოდა. მე მოთმინება დავკარგე, პოლკ შუხოვს ხელიდან გავუსხლტდი და მათ ხმლით შევეგებე. პირველი ერთმანეთის მოსინჯვა და შუხოვმა დაიღრიალა: — რას ჩადიხართ, სადაა თქვენი სინიდისი და ვაჟკაცობა: ორი ერთზე მიდიხართ-ო —. კვლავ შუაში შემოიჭრა და ერთმანეთთან აღარ მიგვიშვა.. მთელი რიგი რუსის ოფიცრებისა ხმაურობდენ, და ამ დროს მოხდა ის, რაც ჩემთვის, სანამ ხსოვნა მექნება, დაუვიწყარი დამრჩება. — პოლკის უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი დევიძე მომიახლოვდა და ქართულად მიბრძანა: — დაუყოვნებლივ ხმალი ჩააგე! — ბატალიონის უფრსმა ა. ხოშტარიამ კი რუსულად მიმართა ქუჩაში მდგომ რამდენიმე ათეულ რუსის ოფიცრებს: — აი, ჩვენ ვართ სულ რვა ქართველი (მოვიხედე: მართლაც, ყველა ქართველი ოფიცერი ჩემს უკან დამდგარიყო). ან თქვენ დაემორჩილებით ყველა პოლკოვნიკ შუხოვის განკარგულებას და საშუალებას მისცემთ მაღლაკელიძეს და მაროზს ხვალ ტენგინის მოედანზე ერთმანეთს წესითა და რიგით შეხვდენ, ანდა, თუ შებმისათვის ვაჟკაცობა არ ჰყოფნის თქვენს ფალავნებს, პოდპორ. მაროზს და პორუჩიკ მირონიშჩენკოს, ჩვენ რვა ქართველი მზად ვართ ეხლავე გაგისწორდეთ-ო!

პოლკოვნიკი დევიძე და ა. ხოშტარია ორივ მხრივ გვერდში ამომიდგენ და დანარჩენი ქართველი ოფიცრებიც უკან დადგენ. მოროზი და მიროშნიჩენკო წახდენ და უკან-უკან ხევით რუს ოფიცერთა გროვას შეუერთდენ და სულ მალე გაიფანტენ.

უცბად რაღაც ნახევარ საათში ყველა ქართველი ოფიცრები შეკრებილყვნენ ჩემს ბინაზე და შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობდენ; ამ დროს ჩემთან გამოცხადდა შეთქმული უფროსი უნტეროფიცერი ბასოვი ცხრა შეიარაღებული ჯარისკაცით ჩემი გუნდიდან. თურმე შეთქმულთა რიგებში იყო ვინმე სომეხი არტემი, ოფიცერთა საკრებულოს მოსამსახურე: მას თვალი მოუკრავს ამბისათვის, ყაზარმაში გაქცეულა და ბასოვისათვის ყველაფერი გადაუცია; ამით იყო გამოწვეული ჯარისკაცების მოსვლა. ჩემი სტუმრები — ქართველი ოფიცრები — დაკმაყოფილებულნი ჩემი მოხსენებით, დაიშალენ. ისინი მე დავითანხმე, რომ დროებითი მთავრობისადმი ერთგულება შექმნილ ვითარებაში სასურველი და აუცილებელია-თქო. შემდეგ კი ბასოვთან ერთად განვიხილეთ, თუ რა ნაბიჯები გადადგმა გვეშოვნა, საგანგებო მოწოდება შევადგინა და სამხედრო კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით გვემოქმედნა. იქვე შევადგინეთ გარნიზონისადმი მიმართვა; მე პირადათ ბასოვთან ერთად მესტამბე აბიბიანცთან გავეშურე; იქ დილისათვის მოწოდება მზად იყო და მთელს გარნიზონს და მცხოვრებლებს ემცნო ანონიმური სამხედრო პრეზიდიუმის სახელით: რომ ამიერიდან მის ხელში გადადიოდა მართვა-გამგეობა და სამხედრო ძალები.

მთელი დღე სამზადისში ვიყავით. ბასოვმა შეუკვეთა

წითელი დროშა წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას“. სამხედრო ორკესტრიც კი განაწყო; გადავწყვიტეთ: მეორე დღეს მუსიკით მეოთხე ბათალიონი გამოგვეყვანა და საჯარო მიტინგი მოგვეწყო.

აღელვებული რუსის ოფიცრობა პორ. მარტინოვის ბინაზე შეკრებილიყო. თვით გარნიზონის და პოლკის უფროსი კი ავადმყოფობის მომიზეზებით შინ დარჩენილიყო. მეც მივიღე მიწვევის ბარათი და დაუყონებლივ დანიშნულ ადგილას გამოვცხადდი. კრება დაწყებული დამხვდა; მართზიც აქ იყო. ჩემს მისვლასა და გამოჩენას ყველა ფეხზე ადგომით შეხვდა და პოლკ. შუხოვმა კრების თავჯდომარეობა მე შემომთავაზა. მე მას მოვახსენე, რომ ეს შეუძლებელია და თანაც რისთვის უნდა დავარღვიოთ წესი და ვათამჯდომარეოთ უმცროსი ოფიცერი, როცა თქვენ აქ ბრძანდებით-თქო. მან მწარედ ჩაიცინა და მითხრა: — აქ მთელი ხელისუფალნი, დღეს გარნიზონში დარიგებული ფურცლების მიხედვით, თქვენთან ახლო მყოფი პირები არიან. მე ვფიქრობ, სამხედრო პრეზიდიუმის პატრონი სწორედ თქვენა ხართ-ო. მე მაინც დაჟინებით უარი ვთქვი თავჯდომარეობაზე და ის-ის იყო პოლკ. შუხოვი შეუდგა კრებას, რომ დარბაზში შემოიჭრა აღელვებული პორ. მიროშნიჩენკო, იმ დღეს გარნიზონის მორიგე ოფიცერი და განაცხადა: ბატონო ოფიცრებო, მეოთხე ბათალიონი ფეხზე სდგას; უკვე ნაშუაღამევი დაიწყო და არავის სძინავსო. თვით პოლკოვნიკი შუხოვი ამ ბათალიონის უფროსი იყო. მან მე მომმართა და მთხოვა: ჯერ ერთი ყაზარმებში წავსულიყავ მასთან ერთად და ჯარისკაცები დაგვეწყნარებინა; შემდეგ გარნიზონისა და პოლკის უფროსად პოლკ. დევიძე დანიშნული ყოფილიყო. ორივე თხოვნა შევუსრულე მას. შემდეგ კრება ისევ განაგრძო შუხოვმა, მაგრამ მორიგმა ოფიცერმა კვლავ მოიტანა ცნობა, რომ მეექვსე გუნდში რაღაც კრებაა და ოფიცრების „შავ სიას“ ადგენენო. იქ ბასოვს მართლა მოეწყო კრება. კრებიდან ყველა 25 დამსწრე ჯარისკაცი ოფიცერთა კრებაზე მოვიყვანე და აქ ოფიცრებისა და ჯარისკაცების ერთად შეხვედრისა და ხელისჩამორთმევით ურთიერთ კეთილგანწყობილების და პატივის შენახვა დავსახე.

მეორე დღეს, დილის 10 საათზე, წითელი დროშით და მუსიკით მეოთხე ბათალიონი ჯიქით-მოედანზე გამოცხადდა. აქ მე ფიცი მივაღებინე მას დროებითი მთავრობის ერთგულებისადმი. იმ დღესვე, იქვე, საჯაროდ ახალციხის ქალაქის თავმა მოსესიანცმა ქალაქი ჩამაბარა და თავისი ხელისუფლება გადმომცა; ამავე კრებაზე მაზრის უფროსმა გუდიევმაც შეკრებილ ბათალიონსა და ხალხს აცნობა, რომ მაზრის მცხოვრებთა ბედს მე მანდობს, როგორც ყველაზე საიმედოს და ხალხისადმი კეთილ განწყობილ ადამიანს. ჯარისკაცების "ურა" იცვლებოდა სომხური „კეცე“-თი, ქართული „ვაშა“-თი და თურქული „იაშასუნ“-ც გაისმოდა.

იმ დღეს, საღამოს, მეორე მიტინგზე სომხის, თურქთა და ქართველების სამღვდელოება, შეკრებილ იმავე მეოთხე ბათალიონის წინ ფიცსა სდებდა: შეენახათ კეთილ-მეზობლური განწყობილება ამ სხვა და სხვა ერის ურთიერთობაში. ერთმანეთის მოძულე სომხები და მაჰმადიანები უფრო რუსის ჯარით იყვნენ დაშინებული და საჭირო ხდებოდა ერთგვარი დემონსტრაცია მათი მხრივ ეროვნული სოლიდარობის შესახებ.

პირველი და მეორე ბათალიონი ორი დღე კიდევ იკავებდა თავს და მესამე დღეს უკვე შემოგვიერთდა.

გავიდა მთელი კვირა; სამხედრო და სამოქალაქო საქმეები ჩემს ხელში გადმოვიდა; მე ცენტრალურ მთავრობას დეპეშა გავუგზავნე, მაგრამ პასუხი არსაიდან სჩანდა.

მესამე ბათალიონის უფროსი პოლკოვნიკი შელუდჩენკო და ბატარეის უფროსი კაპ. დილლე ჩემს მორჩილებაში გადმოსვლას არ აპირებდენ.

მესამე ბათალიონი ყაზარმებში ჩაიკეტა მთელი შვიდი დღე; მასთან იყო თვით უფროსი პოლკ. შელუდჩენკო და ჯარისკაცებს აიმედებდა — ყველაფერი შეიცვლება, დაიცადეთო. — ათეული ჯარისკაცი ამ ბათალიონიდანაც გადმოვიდა ჩვენს მხარეზე, მაგრამ ესენი ადრინდელი შეთქმულნი იყვნენ და თვით ნაწილი კი ჯერ მტრულად იყო განწყობილი ჩვენდამი.

გარნიზონისა და 116 პოლკის უფროსად ჩემ მიერ დანიშნული პოლკ. დევიძე არ მირჩევდა რეპრესიული ზომები მიმეღო და მაფრთხილებდა: — სისხლს ნუ დავღვრით: თადარიგი გქონდეს; თუ გაბედავენ და ჩვენს წინაალმდეგ გამოვლენ, მაშინ ვიმოქმედოთო.

კაპ. დილლე და მისი ბატარეია ციხეში იდგა, რაბათში; ჯარისკაცებს იქიდან არ უშვებდა და თვით ციხეში სხვა ნაწილებიდანაც ვერავინ შეეპარებოდა. ამ ბატარეის წარმომადგენლები დიდიხანია ჩვენ მხარეზე იყვნენ გადმოსული, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შეეძლოთ. კიდევ ორი დღე და პოლკ. შელუდჩენკომ მაცნობა, რომ სურს პირადათ ჩემთან შეხვედრა. მეც ვეწვიე. ის აღელვებას მალავდა, მაგრამ აღარ ეხერხებოდა და მაშინვე მომახალა: არ შეიძლება ბრბოების გაბატონება. თუ იმპერატორმა გონება დაჰკარგა და გადადგა, ეს კიდევ არ გვიკარნახებს, ჩვენ, მხედრებს უარი ვთქვათ რუსეთის ტახტის გადარჩენაზე.

მე მორიდებით ვუმტკიცებდი, რომ ყველაფერი გათავებულია, ერთად-ერთი გზაა ერთგულება დროებითი მთავრობისადმი-თქო. ისიც გავახსენე, რომ თვით პოლკ. კლოდნიცკიმ ერთი დღის უკან შეკრებილ პირველ, მეორე და მესამე ბათალიონს ამცნო — ჩემს სრულ მორჩილებაში ყოფილიყო და რად სურს მას აჯანყებისა და არ-დამორჩილების სული შეინახოს მესამე ბათალიონში-თქო. ამაზე პასუხი არ მომცა, მხოლოდ სთქვა: ერთადერთი ოფიცერი, რომლისადმი ნდობა მაქვს, ესაა კაპ. დილლე, ბატარეის უფროსი. გუშინდლამდე მე მასთან სრული თანხმობა მქონდა და დანარჩენი, ბრბოებად ქცეული ბათალიონების განიარაღება მსურდა. დღეიდან ეს საკითხი მოხსნილია. ის ერთი საათის უკან ახალციხიდან გავიდა და აწი აღარ დაბრუნდება; ჩემმა ოფიცრებმა კი უარი მითხრეს ჩემს გეგმაზე. აღარაფერი შემიძლია. მე ვარჩევ ადრე სიკვდილს, ვიდრე ჯარისკაცს ხელი გავუწოდო. ყველაფერი გათავებულია; ამიერიდან თქვენ ჯარის ნაწილები კი არ გეყოლებათ, არამედ გამხეცებული ბრბოები; შეიძლება თქვენ თვითონ აგაგონ ხიშტებზე ამ გაბოროტებულმა და უზნეო შეიარაღებულმა ხალხმა. სამხედრო საქმისათვის ხომ ყოვლად გამოუსადეგარია და დამღუპველია ეს წითელი ქინძებით შემკული მოხეტიალე გამხეცებული ადამიანები. ერთი თხოვნა, დაამთავრა მან: ბორჯომამდი ორი საიმედო კაცი მომეცითო. მე გამოვემშვიდობე და ორი ინგუშის თანხლებით პოლკ. შელუდჩენკო სადღაც შორეულ რუსეთში საიმედო და სანუგეშო სამხედრო ძალების მოსაძებნად წავიდა, ისიც უკვე წაქცეული ტახტის აღსადგენად.

ერთ თვეში ყველაფერი მოგვარდა და ცენტრალური მთავრობის მიერ მე დავინიშნე სამხედრო და სამოქალაქო საქმების საგანგებო რწმუნებულად ახალციხე - ახალქალაქის მაზრებში და არტაანის ოლქის ფოცხოვის მხარისათვის.

ამას მოჰყვა სამაზრო კომისარიატის შედგენაც, სადაც წევრებად ჩემთან ერთად შევიდა როტმისტრი გუდიევი და სახალხო სკოლების ინსპექტორი მიტროფანოვი.

აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ომარ ფაიკი და მის მოადგილედ ახმედ-ბეკ ფეფინოვი.

სულ მალე სომხურ - მაჰმადიანური დამოკიდებულება გაფუჭდა და გაუარესდა, და თვით ჯარის ნაწილებიც არა საიმედო და არევდარევის მომტანი გახდა. პოლკ. შელუდჩენკოს სიტყვები მალე გამართლდა და წინად, მიტინგებზე თუ სულ „ურას“ ძახილით მეგებებოდენ, ეხლა სულ „ძირს“ და „ძირს“-ო, გაიძახოდენ.

დადგა დრო, როდესაც რუსის ჯარისკაცები წესიერების მტრად უნდა აღგვეარებინა და საიმედო ქართული ნაწილების შედგენაზე გვეფიქრა.

***

ჩემს თანამშრომელ ქართველ ოფიცრებთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება: „არტაანის რაზმის“ სახელით ახალი სამხედრო ძალა შეგვექმნა. გამოირკვა, რომ ამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმისათვის პირველ რიგში ჩვენივე გარნიზონებიდან დარჩენილი ქართველი ჯარისკაცები გამოგვადგებოდენ; უნდა ითქვას, რომ რუსეთიდან დაბრუნებული სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებნი, ნათესავების ნახვის შემდეგ, სიამოვნებით ჩვენს პოლკში ცხადდებოდენ; ასე რომ სამი გუნდი ქართველებისაგან, სულ რაღაც ორ კვირაში, შესდგა.

ამავე დროს ცხენოსანი რაზმი ინგუშებისა და ოსებისა, გაძლიერებული ადგილობრივი მაჰმადიანებითაც, ორ ასეულს აღწევდა. ყველა ესენი ერთად შეადგენდენ „არტაანის რაზმს", რომლის პირველი ამოცანა იყო, წესრიგის დაცვის გარდა, გაბოლშევიკებული ჯარისკაცთა ნაწილები განეიარაღებინა. — სიმართლე უნდა ითქვას: არცერთ რუსის ჯარისკაცს, კავკასიის ფრონტიდან მოხსნილს და ახალციხეში გამოვლილს, იარაღი ბორჯომამდი არ ჩაუტანია: ყველას ჩამოართვეს.

ამგვარად, ქ. ახალციხეში თავის დროზე შესდგა ძალა, რომელსაც როლი უნდა ეთამაშნა მრავალფეროვან სამცხე-ჯავახეთში. რასაკვირველია, მთელი იმედი ქართველი მხედრები იყვნენ.

ეს იყო დრო რუსის ჯარისკაცების თარეშისა, ოფიცრების დევნისა და შევიწროების.

თბილისამდისაც მიეღწია ცნობას, რომ ახალციხეში ქართული ნაწილები შესდგაო. და აი, მოუპატიჟებლად, მეწვია პოლკოვნიკი კაჭახიძე, პოლკ. კობეშავიძე, პოლკ. იესე ვაჩნაძე, კაპ. აბაშიძე და ორმოცამდე უმცროსი ქართველი ოფიცერი. ყველა ესენი თხოულობდენ მხოლოდ სამსახურს ამ მხარეში. მათ ეშინოდათ, რომ სამცხე-ჯავახეთი ოსმალოებს არ ჩავარდნოდათ ხელში; ამ შიშს, რასაკვირველია, საფუძველი ჰქონდა. თვით ჩემი პოლკიდან შემრჩა ოთხი ოფიცერი. შესდგა სამხედრო შტაბი. ყველა ახლად გამოცხადებული ოფიცრები მხოლოდ ჯარისკაცის ულუფითა და ტანისამოსით კმაყოფილდებოდენ.

ქართველი ჯარისკაცებიც, თუმცა ბოლშევიკების აგიტაციით ნაკბენნი, მაჰმადიანთა საშიშროების გამო, ბეჯითად შეუდგენ საქმეს და ახალციხის მტრის მიერ დაკავება ადვილი არ იქნებოდა. სომხობა ქართული ნაწილების შექმნას ვერ ურიგდებოდა: ბევრი, ძლიერ ბევრი პროვოკაციები მოგვიწყვეს სომხებმა; არა ნაკლებ უმსგავსოდ მოქმედებდენ მაჰმადიანებიც. საქმე იქამდე მივიდა, რომ კაპ. აივაზიანცის მთაგონებითა და ხელმძღვანელობით მე მესროლეს თვით ქალაქ ახალციხის შუაგულში, ოღონდ თვით დამცემი ერთმა ჩემმა მცველმა იქვე მოჰკლა.

ეს თავდასხმა მოხდა სომხების მხრიდან.

***

მაჰმადიანებმა მოიწვიეს ყრილობა აბასთუმანში: მას დაესწრენ წარმომადგენლები აჭარიდან, არტაანის ოლქიდან, ჯავახეთიდან. მეც მიმიპატიჟეს ამ ყრილობაზე, როგორც ამიერკავკასიის ხელისუფლების წარმომადგენელი. ყრილობაზე უნდა დასმულიყო მხოლოდ კულტურული და სარწმუნოებრივი ხასიათის საკითხები. სინამდვილეში კი კრებამ მიიღო, სასურველად სცნო დაუყონებლივ ცხოვრებაში გატარებულიყო შემდეგი დადგენილება: — გაერთიანდეს აჭარა, ფოცხოვი, ახალციხე და ახალქალაქის მხარენი ერთ ყარსის მხარეში; ამ დადგენილებით, რასაკვირველია, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები თბილისის გუბერნიიდან უნდა გამოყოფილიყო.

მე ამის წინააღმდეგ პროტესტი გამოვსთქვი და ყრილობას განვუცხადე, რომ ჯერჯერობით არავითარი ადმინისტრატიული საზღვრების გადასინჯა არ ხდება და ყველაფერი ჯერ ისე უნდა დარჩეს, როგორც ამდენი ხანი იყო-თქო.

ყრილობა დიდი უკმაყოფილებით შეხვდა ამ ჩემს განცხადებას, მაგრამ ვერაფერი გაუვიდათ.

უკვე დაღამებული იყო, ავტომობილით რომ აბასთუმნიდან ახალციხის გზით გამოვედი; ნახევარი კილომეტრით გამოვცილდი აბასთუმნის საზღვრებს და ორი მხრიდან სროლა ამიტეხეს. უსულოდ დაეცა ჩემს გვერდში მყოფი უნტეროფიცერი ბერიძე და მძიმედ დაიჭრა ცხინვალელი ოსი, ჩემი ერთგული კაცი.. აქაც გადავურჩი თავდამსხმელთ; ახლა მაჰმადიანებმაც დამიწყეს დევნა.

***

როგორც ყველგან, ქალაქ ახალციხეშიც არსებობდა ე. წ. აღმასრულებელი კომიტეტი. მის პირველსავე სხდომაზე ახმედ-ბეკ ფეფინოვის წინადადებით ქალაქ ახალციხის სახელის გადაკეთება დაედგინათ; ამიერიდან ამ ქალაქს „ახისხა" უნდა რქმევოდა (ახისხა ოსმალურად ჰქვია ამ ქალაქს). ფეფინოვს სხდომისათვის დაუმტკიცებია, რომ „ახსიხ" იყო ქალაქის ძველი სახელი და რუსებმა, ქართველების მთაგონებით, ახალციხედ გადააკეთესო. მე ომარ-ფაიკსა და ფეფინოვს ამგვარი მოქმედებისათვის დაპატიმრებით დავემუქრე, რადგან მათ მოქმედებაში ვხედავდი უკვე ქართველობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას.

ახალქალაქშიაც არ იყო საქმე სასურველად; იქაც სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს თბილისის გუბერნიიდან ამოჭრისა და ერევანზე მიწერის დადგენილება მიეღო. იძულებული გავხდი სასწრაფოდ ახალქალაქში გავმგზავრებულიყავი. იქ მე გადავაყენე მაზრის კომისარი — სომეხი — და მის მაგივრად დავნიშნე ქართველი. იმჟამად უკვე მოსჩანდა სომხების პრეტენზიები ახალქალაქის შესახებ.

ვერ მოვასწარი უკან დაბრუნება, რომ სამაზრო კომისარიატის წევრს როტმისტრ გუდიევს ქალაქ ახალციხის სომხურ აღმასკომთან შეთანხმებით განკარგულება გაეცა: — რუსულ წარწერებთან ერთად სავაჭროებსა და დაწესებულებებზე წარწერა აგრეთვე თურქულადაც ყოფილიყო: თვით როტმისტრ გუდიევს თურქული ენა არ ესმოდა. მე კი მოვითხოვე და გავატარე კიდევაც: — რუსულ წარწერასთან ერთად მხოლოდ ქართული ყოფილიყო!

დღითიდღე დამოკიდებულება ჩემსა და მაჰმადიანებს შორის უარესდებოდა. ასევე ხდებოდა სომხების მხრიდანაც. ერთ დროს საქმე იქამდე მივიდა, რომ მაზრის აღმასკომის თავჯდომარეს, ომარ ფაიკს, ავუკრძალე კომიტეტის მოწვევა. რასაკვირველია, იგი საიდუმლო მუშაობასაც ეწეოდა. როტმ. გუდიევმა ერთ დღეს მომთხოვა, რომ „უპატრონოდ დარჩენილი" რუსთა შენობანი და ზოგიერთი ყაზარმა მაჰმადიანებისათვის გადამეცა: გლეხობის ნაწილი ქალაქის მცხოვრებლებად უნდა გადაიქცეს და დატოვებული შენობებიც მათ საკუთრებად მიეცესო.

ადგილობრივი „დაშნაკცუტუნის" პარტიაც შეტევაზე გადმოვიდა. ერთ საღამოს მისმა სამმა წევრმა როტმისტრი გუდიევი გაიტაცეს და თბილისის მუშათა საბჭოს გადასცეს გასასამართლებლად, როგორც კონტრრევოლუციონერი. იქ მას არაფერი არ უყვეს, ხოლო მე მას ავუკრძალე ახალციხეში დაბრუნება და ის ბაქოში გადასახლდა.

ომარ-ფაიკი და ფეფინოვი ბაქოდან გამოწვეულ აზერბაიჯანელ ოფიცრებთან ერთად დიდ საიდუმლო სამზადისს შეუდგენ ჩვენი, ქართველების, ამ კუთხიდან გასაძევებლად.

***

უკვე ცხრა თვემ განვლო დიდი თებერვლის რევოლუციიდან. გარეგნულად მყუდროება სუფევდა მთელს სამცხე-ჯავახეთში. 1917 წლის ნოემბერიც დადგა და ერთ სუსხიან დღეს ჩემთან ახალციხეში წარმოსდგა სამი მაჰმადიანისაგან შემდგარი დელეგაცია, ჩემივე ცხენოსანი რაზმის უფროსის თანაშემწის ზია-ბეკ აბაშიძის მეთაურობით. ამ დელეგაციამ მაჰმადიანების სახელით შემდეგი მოთხოვნილება წარმომიდგინა: 1). ქალაქი ახალციხე გამოეცხადებინა მთავარ ქალაქად სამცხე-ჯავახეთის და არტაანის ოლქისათვის; 2). მიმეღო ახალციხის მაგიერ სახელი „ახისხა"; 3). გადამეცა თავისუფალი ყაზარმები მაჰმადიან მოხალისეთა განკარგულებაში; 4) დამეთმო ოფიცერთა საკრებულოს შენობა მერვე მაჰმადიანთა პოლკის შტაბისათვის; 5) გარნიზონის უფროსად ქართველის მაგივრად დამენიშნა პოლკოვნიკი კაჯარი, რომელიც ამ მერვე პოლკის უფროსად იყო დანიშნული თბილისიდან, და რომელსაც მე დღემდე ახალციხეში არ ვუშვებდი; 6). 24 საათით მე და ჩემი სამხედრო ძალები გადავსულიყავით ქალაქის ძველ ნაწილში, რაბათში; 7). თუ ამ წინადადებას არ მივიღებდი, მაჰმადიანების შეიარაღებული ძალები დაუყონებლივ ქალაქში შემოიჭრებოდენ და სომხებ-

თან ერთად ქართველი ქრისტიანებიც იქნებოდენ ამოხოცილი.

ამ მოთხოვნილებამ მეტად ამაღელვა და ზია-ბეკ აბაშიძეს შევუძახე: — როგორ გაბედეთ თქვენ, ჩემმა ხელქვეითმა, აქ დელეგატის სახით გამოცხადება და ასეთი უმსგავსო მოთხოვნილებათა წამოყენება;!.

მან მიპასუხა: — ბატონო, მარტო მე არა ვარ თქვენს წინააღმდეგ; ქალაქი ალყაშემორტყმულია; აბასთუმანის გზიდან ახალციხის საზღვრებს მოადგა ქვაბლიანის მაჰმადიანთა რაზმი, რომლის სათავეში თვით თქვენი კომისარი ბახში-ბეკ მაჩაბელია; აწყურიდან ახალციხეზე მოვიდა ომარ - ფაიკისა და ახმედ - ბეკ ფეფინოვის რაზმი; ურაველის რაიონიდან კი აჯანყებულები მინაძის ხიდს გადმოცილდენ და მხოლოდ საერთო ხელმძღვანელის ერთ სიტყვას ელიან და მსწრაფლ ქალაქში შემოიჭრებიან-ო.

დელეგაცია იმ წუთშივე დავაპატიმრე და ტელეფონით ცხენოსანი რაზმი, რომელიც ინგუშებისა და ოსებისაგან შესდგებოდა, გამოვიწვიე და რაზმითა და მისი უფროსის, ეფენდიევის თანხლებით, აჯანყებულთა მეთაურის ომარ-ფაიკის შესახვედრად გავეშურე.

ბორჯომის მიმართულებით გავედი და მალე სასაფლაოს ახლო ჩვენზე მომავალ ძალებს შევეხეჩეთ. გვანიშნეს გაჩერებულიყავით ;თხრილებიდან ზევით ამოვიდა სამი კაცი; მოგვიახლოვდენ, დარცხვენილად სალამიც კი მოგვცეს, ვინაიდან მიცვნეს, და შეკითხვით: — რად ისურვებთ ჩვენზე წამოსვლასო, გამომწვევი ტონი აიღეს..

მე მათ მოვთხოვე ალმასკომის თავჯდომარე ომარ-ფაიკი წარმოედგინათ.

ეს ვუთხარი და უუნაგრო თეთრ ცხენზე, თვით ომარ - ფაიკი წარმოდგა, მომესალმა და შემდეგი მითხრა: —

საუკუნოების მანძილზე ახალციხე - ახალქალაქისა და ფოცხოვის კუთხეები ჩვენი წინაპრებისა იყო. დღეს თვით ცენტრი ახალციხე.ერზერუმელ სომხების ხელშია, და ვერ შევურიგდებით აწი ამ მდგომარეობას; სისხლის დაუღვრელად ქალაქში შეგვიშვი, საღამომდის მთელ სომხობას ამოვხოცავთ და შემდეგ მოვილაპარაკოთ ჩვენ. ქართველმა მაჰმადიანებმა და თქვენ, ქრისტიან ქართველებმაც ჩვენ ძმებ თურქებთან და სხვა მაჰმადიანებთან, რომელთა რიცხვი მაზრაში ყველა სხვა ხალხის რიცხვს სჭარბობსო.

— ყოველი მხრიდან, დაუმატა მან, — ახალციხე გარშემორტყმულია; ჩვენს რიგებში ბევრია აჭარელი, ჯავახი და ფოცხოველებიც; გამარჯვება ჩვენია და ტყუილად ერთმანეთს ნუ გადავეკიდებით სომხების გულისათვის-ო.

ამ საუბარის დროს ჩემს უკან იდგა სამოცი შეიარაღებული ცხენოსანი, მათი უფროსის ეფენდიევის მეთაურობით.

ომარ ფაიკის ამ უტიფარმა საქციელმა წონასწორობა დამაკარგვინა, მათრახი მაღლა ავსწიე. მან ფიცხლავ ცხენს დაახევინა და დარტყმა აიცილა. ერთი წუთი კიდევ და მთელი ჩემი რაზმი და მისი მეთაური ჭენებით მტრის ბანაკში გადავიდა, იქვე თხრილებში ჩასაფრებულ აჯანყებულთ უკან ამოუდგა და მე ერთადერთი რაზმელით — ქრისტიანი — ბერიძით მოწინააღმდეგეს პირისპირ შევრჩი.

ეხლა უკვე გაჯავრებული ომარ ფაიკი, რომელიც გარეგნულად მაინც თავს იჭერდა, მორჩილების კილოთი მევედრებოდა:

— შვილო, რად იცავ მაგ სომხებს? იცოდე სწორედ ეგენი არიან ქართველების მტრები და არა ჩვენ-ო.

მე განრისხებული და მეტად დალონებულიც ჩემი ცხენოსანი რაზმის ღალატის გამო, ბერიძის თანხლებით უკან ქალაქს დავბრუნდი. ნახევარ კილომეტრზე თვით ომარ - ფაიკი მომაცილებდა თავისი თეთრი ცხენით; აქ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ.

***

ახალციხის ხიდის თავში სომეხ ვაჭართა ატირებული ქალები და ბავშვები მიცდიდენ. ჩემს სამმართველოში იმ საათშივე მივიღე დაშნაკცუტუნის პარტიის დელეგაცია. მან აღმითქვა დაუყონებლივ 350 წევრის საბრძოლველად გამოყვანა; ამათში იარაღი არავის ესაჭიროებოდა; ექვსასი რაზმელისათვის კი ითხოვეს იარაღი და ტანისმოსი.

თხოვნა დავაკმაყოფილე და ამგვარად ერთი ათასეული სომხებისა სწრაფად გავიჩინე. სომხებს ჰყავდათ მეთაურები, მაგრამ მათ საერთო ხელმძღვანელად პოლკოვნიკი კაჭახიძე დავნიშნე, დიდი ომის დროის წმიდა გიორგის კავალერი.

მთელი ქალაქი სამხედრო ბანაკად გადაიქცა. ყველა სავაჭრო დაიხურა და მთელი მცხოვრებლები თავის გადარჩენას შეუდგა. სომხები ამ შემთხვევისათვის ფრიად სასურველი აღმოჩნდენ და მათ მაგალითს გაჰყვა ქართველობა და ჩვენი ებრაელობაც, რომელიც ქალაქის ძველ ნაწილში, რაბათში ცხოვრობდა.

კაპიტან აბაშიძის ქართველ ოფიცერთა რაზმი ხომ აღრეც მზად იყო: ციხეში მყოფი არტილერიის სათავეში იდგა: ერთი უკრაინელი პორ. მაცაკი და მეორეც პოლონელი პორ. კარინსკი.

იმ დროისათვის ქართული სამი გუნდი სრულ ბატალიონამდე ავიდა და მას სათავეში წმიდა გიორგის კავალერი პოლკოვნიკი კობეშავიძე ჩავაყენე.

საქმე ისე მოეწყო, რომ ახალციხეში შემოჭრასა და მის დაკავებას ადვილად ვერ შესძლებდენ და ძვირადაც დაუჯდებოდათ. მართალია, აჯანყებულთა ძალები ოთხ - ჯერ სჭარბობდა ჩვენსას, მაგრამ მათ არ გააჩნდათ არტილერია და მხოლოდ ორი ტყვიამფრქვევი ჰქონდათ, მაგრამ მათ სათავეში გავლენიანი ბეგები იდგენ და თვითეულ მათ რაზმში რუსეთის ჯარში ოფიცრად ნამსახური აზერბაიჯანელები და ოსმალო ინსტრუქტორები იმყოფებოდენ. უკვე მზე ჩადიოდა და მეამბოხენი ქალაქისაკენ არ მოიწევდენ. ყველა გასასვლელ - გამოსასვლელი გზები მათ ხელში იყო და ჩვენი ძალები მათ წინწამოწევას უცდიდენ. მთელი ღამე დილამდე მტრის შეტევის მოლოდინში გავატარეთ. რაკი გვიანდებოდა, და შეკრებილი ცნობების მიხედვით, მათი ძალები მატულობდენ, დილის 5 საათზე, ბორჯომის გზაზე, თხრილებში დაბანაკებულ აჯანყებულებებზე პირველი იერიში მიიტანა ოფიცერთა რაზმმა კაპ. აბაშიძის მეთაურობით. ამ რაზმს მიჰყვა სომხების ათასეულის ორი გუნდი პოლკ. კაჭახიძის ხელმძღვანელობით და სულ ორი საათის ბრძოლის შემდეგ აჯანყებულნი დამარცხდენ და ომარ-ფაიკიც აწყურისაკენ გაეშურა და იქ, უკანდახეული თავისი ძალებით, გამაგრებას ეპირებოდა.

ამავე დროს აბასთუმანის მიმართულებით შეუტია ქართულმა ბატალიონმა პოლკ. კობეშავიძის მეთაურობით და ქვაბლიანელ-ფოცხოველ-აჭარელთა შეიარაღებული ორი ათასამდე კაცი უკუაქცია და ერთბაშად ექვსი კილომეტრით უკანდაახევინა.

ურაველის საბოქაულოდან ახალციხეზე წამოსული მაჰმადიანთა რაზმის სათავეში ინგუში მუსაკიევი იდგა; მას დაკავებული ჰქონდა ხიდი სოფელ მინაძესთან და წინ ვეღარ მოიწევდა; აქ მათ წინააღმდეგ იერიში მიიტანა პოლკ. იესე ვაჩნაძემ სომხების ორი გუნდით; შეტევის წინ პორ. მაცაკის ბატარეია ამოქმედდა და მუსაკიევის რაზმის ზურგში სოფელი მინაძე მიანგრ-მოანგრია. აქაც აჯანყებულნი დამარცხდენ და მთებს შეაფარეს თავი.

ამით საქმე არ დასრულებულა: იხევდენ უკან, ძალებს მოიკრებდენ და ისევ ახალციხეზე მოდიოდენ; სულ-კი დამარცხებული რჩებოდენ.

ახალციხის დაკავებისათვის ბრძოლა ორი კვირა გაგრძელდა, მაგრამ აჯანყებულთათვის ყოვლად უშედეგოდ.

უნდა გავახსენოთ, ეს ის დრო იყო, როცა ოსმალეთის ჯარები ბრძოლას აწარმოებდენ ამიერკავკასიის რესპუბლიკის და ფაქტიურად ქართველ - სომეხ ჯართა წინააღმდეგ.

***

ბოლოს ომარ - ფაიკის ბრბოებმა თვით მაზრაში დაიწყეს მოქმედება და ქრისტიანული სოფლები დაარბიეს; საჭირო შეიქმნა ქრისტიანულ სოფლებს თავდაცვის საქმე თვითვე მოეგვარებინათ. მაგალითისათვის დავასახელებ სოფელ უდეს, რომლის განკარგულებაში ორი ზარბაზანიც კი გადავგზავნე და ეს სოფელი ჩინებულადაც ახერხებდა თავდაცვას.

აწყვერი და აბასთუმანი კი ხელიდან ხელში გადადიო-

და ოთხი თვის განმავლობაში.

თავდაცვის საქმე ჯავახეთშიაც მქონდა მოგვარებული და იქაც ქრისტიანი სოფლების დაცვის მოსაწყობად სათანადო სამხედრო გამოცდილების ოფიცრებს ვგზავნიდი. მაგალითად, სოფელ საროს დაცვის დროს მოკლულ იქმნა პოლკ. კობეშავიძე.

თბილისი ვერაფრით გვეხმარებოდა და მაჰმადიანთა გავლენით, რომელნიც ამიერკავკასიის კომისარიატში შედიოდნენ, თვით კომისარიატი ჩემს გადაყენებასა და პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდა.

ამიერკავკასიის მთავრობის ბრძანება — დამეტოვებინა ეს კუთხე და შეუწყვეტელი ბრძოლა ქრისტიან და მაჰმადიან მოსახლეობის შორის ამით შემეჩერებინა, — მე არ შევასრულე და საკუთარი პასუხისმგებლობითა და ინიციატივით განვაგრძობდი ამ კუთხეში ქართველობის დაცვას.

თბილისში არ ესმოდათ, თუ რა ხდებოდა სამცხე - ჯავახეთში; ჩემთვის კი საკითხი ნათელი და გარკვეულ იყო: — საქმე ეხებოდა მთელ მესხეთს: დარჩებოდა იგი ჩვენს ხელში, თუ შემოვიდოდა იქ ოსმალეთი, ვინაიდან აჯანყება მოწყობილი იყო ოსმალეთის აგენტების მიერ და მიზნად ჰქონდა ოსმალეთთან ამ მხარის შეერთება.

ამიტომ როდესაც ვინახულე აწყურში ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც წევრებად იყვნენ: — ახმედ ფეფინოვი, ლენ. არჯევანიძე და ნიკოლოზ ქარცივაძე, და მან მე მომთხოვა ეს კუთხე დელეგაციისათვის ჩამებარებინა, არც ეს შევასრულე და უარი ვუთხარი მას.

უკმაყოფილო დელეგაცია თბილისს დაბრუნდა და იქიდან უკვე მომივიდა ფიცხელი და კატეგორიული ბრძანება: — თბილისს ავსულიყავი მოსახსენებლად. ჩემი თანამშრომლების თხოვნითა და დაჟინებით არც ეს ბრძანება შევასრულე და მხოლოდ მოხსენება გავაგზავნე.

გარდა ზემოდნახსენები პირებისა ამ კუთხეში მეხმარებოდა ჯარისკაცთა საბჭოს თავჯდომარე პრ. ძიძიგური; სწორედ ეს ძიძიგური გაემგზავრა თბილისს ჩემი მოხსენებით: აწყურში ის შეიპყრეს მაჰმადიანებმა, ჯერ ყურები მოსჭრეს, შემდეგ მარჯვენა ხელი და ბოლოს ცულით თავი გააგდებინეს; მასთან ერთად აწამეს ორი ქართველი ჯარისკაციც, მისი მხლებელი. ეს იყო 1918 წლის მარტის დასაწყისში.

მე იძულებული გავხდი ახალციხიდან რაზმით აწყურზე წავსულიყავ, სასტიკად დამესაჯა ბოროტმომქმედნი და გზა ბორჯომისაკენ ისევ გამეხსნა.

თბილისში ჩემით მეტად უკმაყოფილო იყო ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც ფიქრობდა: მთელი ხელისუფლება უნდა გადამეცა მთელ ამ მხარეში მაჰმადიანებისათვის. სასურველ კანდიდატად მიჩნეული იყო პოლკოვნიკი კაჯარი; ის იმჟამად უკვე აბასთუმანში იყო გამაგრებული თავისი მეორე მაჰმადიანთა პოლკის ნაწილით, და თბილისში მყოფი მთავრობისაგანაც ნდობა ჰქონდა მოპოვებული. მე კი ის სანდო პირად არ მიმაჩნდა და ამიტომ სხვა პიროვნებაზე ვფიქრობდი, ვისაც მე უნდა შევეცვალე. ასეთი იყო გენერალი ბალო მაყაშვილი, დიდ ომის გმირი, მხედარი საუკეთესო და დიდი ქართველი პატრიოტი. მე თბილისის მთავრობას დავეთანხმე მის წინადადებაზე იმ პირობით, რომ ახალციხის დაცვა და ახალციხე - ახალქალაქისა და ფოცხოვის კუთხეთა პატრონობა გენერალ ბალო მაყაშვილს ჩაბარდებოდა.

გენ. მაყაშვილი ახალციხეში თავისი სურვილით იყო გამოცხადებული და მე ფასდაუდებელ დახმარებას მიწევდა.

ამიერკავკასიის მთავრობამ მიიღო ჩემი წინადადება; გ. ბალო მაყაშვილიც დამეთანხმა და ჩემი თანამდებობაც მას გადავეცი და მე კი თბილისს გავემგზავრე საგუბერნიო კომისარის ადგილზე.

კიდევ რამოდენიმე თვე და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

გენერალი ბალო მაყაშვილი განაგრძობდა ისევ ახალციხის დაცვას და ერთხელაც კი ოსმალო ოფიცერ-ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით შემდგარმა ადგილობრივმა მაჰმადიანების რაზმებმა ვერ შესძლეს ქალაქის დაკავება. მალე საქართველოს მთავრობა, ბათუმის ზავით, ძულებული იყო მთელი მესხეთი და რასაკვირველია, ახალციხეც ოსმალეთისათვის დაეთმო. სახელოვან გენერალს მაყაშვილს ის-ღა დარჩა, რომ სრული სამხედრო წესით თავისი შეიარაღებული ძალები ბორჯომისაკენ გამოეყვანა და სამხედრო ქონებაც თანწამოეღო, მიუხედავად ოსმალეთის სამხედრო წარმომადგენლის პროტესტისა. მუქარისა და საჩივრებისა ჩვენი მთავრობის წინაშე.

ინტერესს არაა მოკლებული, თუ რა დაემართა იმ ხალხს, ვისაც მე აქ ხშირად ვასახელებდი.

გენ. ბალო მაყაშვილი მივიწვიე თბილისის კომენდანტად, როდესაც მე აღმოსავლეთ საქართველოში გენერალ-გუბერნატორად ვიყავი. შემდეგ ერთხანს მე თვით სამსახურის გარეშე დავრჩი და გენერალიც მოხსნეს თანამდებობიდან სხვა ბევრ ჩემთან კარგ განწყობილებაში მყოფ პირებთან ერთად. იგი წავიდა აზერბაიჯანში.

აწყვერელი ახმედ-ბეკ ფეფინოვი (რუსულად: პეპინოვი) იმ დროს უკვე აზარბაიჯანის პარლამენტის გავლენიანი წევრი იყო. მან მშვენიერად დაასრულა რუსეთის დროს თავის თავზე აღებული ოსმალური მუშაობა და რუსეთ - ოსმალეთის შეთანხმების შედეგად აზერბაიჯანში თვითონ შემოუძღვა წითელ ჯარებს 28 აპრილს 1920 წელს.

ბაქოშივე მოღვაწეობდა აწყვერელი ომარ-ფაიკიც; იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პოლიციის დირექტორი იყო.

გაბოლშევიკებულ აზერბაიჯანში გენერალ ბალო მაყაშვილს რა ბედი უნდა სწვეოდა?! იგი შეიპყრეს ბოლშევიკებმა, ხელფეხ შებორკილი ჩასდეს ნავში და ზღვაში გადააგდეს.

როტმისტრი გუდიევი, ბაქოს "გრადონაჩალნიკი", სომეხ კომუნისტების მოთხოვნით ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

მალე საქართველოსაც მოასკდა წითელი ბრბოების ტალღები და მოსკოვში შედგენილ ბოლშევიკურ მთავრობის წევრად მოგვევლინა ომარ - ფაიკი.

ეს ცოტაა. მას გვერდი დაუმშვენა იმავე შულავერის ბოლშევიკურ მთავრობაში ზორი ზორიანცმა, დაშნაკელთა ბელადმა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში.

ომარ - ფაიკი და ზორიანცი, ახალციხეში ერთმანეთის უსასტიკესი მტრები, დღეს ერთად აღმოჩნდნენ ... საქართველოს წინააღმდეგ. არ ვიცი, რა თანამდებობა მიიღო შემდეგ ამისსათვის ომარ - ფაიკმა, მაგრამ ზორიანცი კი ახალციხის რევკომის თავჯდომარე გახდა.

ახალციხე - ახალქალაქში მომუშავე ოსმალეთის მომხრე ბეგები მიიფანტ-მოიფანტნენ და ბევრი მათგანი ოსმალეთში გარდაიხვეწა.

***

ასეთია სრულიად მოკლედ ის ამბავი, რომელიც დატრიალდა სამცხე-ჯავახეთში რევოლუციის პირველ ხანში. აქედან ირკვევა, რომ ოსმალებს თავიდანვე, ომის პირველი დღიდანვე მშვენიერად ჰქონდათ მოწყობილი სადაზვერვო აპარატი, და პანისლამისტურ - პანთურქულ ნიადაგზე ამ მუშაობაში ქართველი მაჰმადიანებიც იყვნენ ჩათრეული.

რუსეთი ქართველ მაჰმადიანებს ეზიზღებოდათ, საქართველოს სახელმწიფო არ არსებობდა და ქართული ეროვნული პროპაგანდა კი აქ უსუსტესი იყო, არც კი არსებობდა, შეიძლება ითქვას.

სომხები და მაჰმადიანები დაპირისპირებული იყვნენ და მათ შემარიგებელ როლს ქართველობა თამაშობდა. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ორივე მაინც, როცა საქმე ქართველობას ეხებოდა, ერთად მის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი და საშიშიც იყო. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და საკუთარი სახელმწიფოს შექმნამ ქართველ მაჰმადიანთა გული თბილისისაკენ მოაბრუნა და საქართველოს მთავრობას რომ სათანადო და წესიერი პოლიტიკა ეწარმოებინა ამ მხარეში, ჩვენ ავსცდებოდით მეორე, დიდ აჯანყებას, რომელიც სერვერ - ბეკ ათაბაგის ხელმძღვანელობით მოხდა.

***

ამ ნაწყვეტში მოხსენებული არ იყო სერვერ ათაბაგი ქვაბლიანელი. სერვერი იყო მთელს სამცხე - საათაბაგოში დიდათ ცნობილი და გავლენიანი ფეიზულ - ბეგის შვილი. თვით ფეიზული რუსეთის ერთგული იყო და აბასთუმანიდან დიდი მთავარის გიორგი ალექსანდროვიჩის კუბო ხელით რომ გამოჰქონდა, უსულოდ ძირს დაეცა.

ფეიზულის შვილი სერვერი მესხეთში ოსმალთა აგენტების მუშაობას არ თანაუგრძნობდა; პირადათ ჩემთან იყო მჭიდრო მეგობრულ დამოკიდებულებაში, და თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იგი მას გადაუდგა და სხვა გზა აირჩია, ჩვენს მთავრობას აჯანყებაც მოუწყო, ახალციხეც დაიკავა, ეს იყო გამოწვეული არა ოსმალეთისადმი სიყვარულით ან ოსმალური ორიენტაციით, არამედ იმ ყოვლად მიუღებელი აგრარული რეფორმის მიზეზით, რომლის ძალით სერვერ ათაბაგი, დიდი მიწათმფლობელი, უნდა გაღატაკებულიყო. ამ ნიადაგზე მას შეუერთდენ ბევრი დანარჩენი ბეგებიც.

მართალია, ეს მეორე აჯანყებაც დამარცხდა, და სერვერ ათაბაგიც გაიხიზნა, მაგრამ საქართველოს შეეძლო ამ ჭკვიანი, განათლებული და მარჯვე კაცის შემწეობით დანარჩენი გავლენიანი ქართველი მაჰმადიანები თავის მხარეზე გადმოეყვანა, საქართველოსათვის შემოემტკიცებინა და თავიდან აგვეცილებინა ის დიდი გართულებაც, რომელიც, სამწუხაროდ, სერვერ ათაბაგის ავანტიურ თანმოჰყვა.

შალვა მაღლაკელიძე

## ისტორიული დოკუმენტები

(გაგრძელება 340 გვერდიდან)

**cipes ci-bas, lesquels principes constituent le maximum des sacrifices que la nation peut cosentir pour l'obtention d'une paix juste et durable, et que l'existence d'une empire Ottoman et d'une nation ottomane est impossible sans ces principes.**

**Article I. — Etant donné que le sort des parties de l'Empire Ottoman exclusivement peuplées d'une majorité d'Arabes et demeurées sous l'occupation des armées ennemies lors de la conclusion de l'armistice du 30 octobre 1918, doit être fixé conformément au voeu librement exprimé par les populations, il importe de préciser que l'ensemble des territoires qui, se trouvant compris dans la zone à l'intérieur de la ligne fixée par l'armistice, sont habités par une majorité ottomane et musulmane dont la communauté d'origine de race et de religion est complète, et qui est foncièrement attachée à ses droits raciaux et sociaux, constitue un tout juridiquement et effectivement indivisible.**

თურქული „ეროვნული პაქტის" პირველი და მეორე მუხლი, როგორც იგი გამოქვეყნებულია ოსმალეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ისტორიაში:

**Article II. — Nous acceptons qu'il soit procédé les cas échéant à un nouveau plébiscite dans les Trois Livas (sous-préfectures) dont la population, dès qu'elle a joui de sa liberté, s'est ralliée par un plébiscite à la Mère-Patrie.**

**Voire: «Histoire de la République Turque, rédigé par La Société pour l'Etude de l'Histoire Turque». Istanbul, Derlet Basimevi. 1935**

**ТУРЕЦКИЙ НАЦИОНАЛЬНЫЙ ПАКТ,**
**принятый оттоманским парламентом 28 января 1920 года.**

Статья 2. Мы соглашаемся на производство, в случае надобности, нового плебисцита в трех санджаках, население которых со дня своего освобождения присоединилось плебисцитом к отчизне.

**Примечание:** Имелись в виду три восточных санджака (губернии), отошедших впоследствии по Московскому договору от С.С.С.Р. к Турции. (См. А. Мельник: Турция. Москва, 1937).

См. А. Мельник: Турция. Москва, 1937, стр. 65, или-же: «Histoire de la République Turque», Istambul, 1935, p. 46.

თურქული „ეროვნული პაქტის" ნამდვილი ანუ პირველადი ტექსტის მეორე მუხლი, მიღებული კონსტანტინეპოლის პარლამენტის მიერ 28 იანვარს 1920 წ. :

**Article II. — Quant au sort des trois sandjaks de Kars, Ardahan et Batoum dont la population avait dès sa libération affirmé par un vote solonnel sa volonté de faire retour à la mère - patrie, les membres signataires du présent pacte admettent qu'au besoin il soit procédé à un second plébiscite librement exprimé.**

**Voire: «Orient et Occident», N. 1. Paris, 1922. p. 56 — 57.**

**МИРНЫЙ ДОГОВОР МЕЖДУ Р.С.Ф.С.Р. И ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКОЙ ГРУЗИИ, ЗАКЛЮЧЕННЫЙ В МОСКВЕ 7 МАЯ 1920 ГОДА.**

**TRAITE conclue le 7 mai 1920 entre la République Démocratique de Géorgie et la République Socialiste Fédérative Soviétiste Russe.**

რუსეთ - საქართველოს 7 მაისის 1920 წ. ხელშეკრულების მესამე მუხლის რუსული დედანი თავის დროზე ამოვიწერეთ, მაგრამ დაგვეკარგა და ამჟამად ველარ ვიშოვნეთ; მოგვაქვს აქ ფრანგული ტექსტი; დანარჩენი, ძველად ამოწერილი, დედნიდანაა:

**Art. III.**

**1. La frontière d'Etat entre la Géorgie et la Russie longe à partir de la Mer Noire, la rivière Psoou jusqu'au mont Akhakhtcha, franchit le mont Akhakhtcha et le mont Agapet, suit la limite septentrionale des anciens gouvernements de la Mer Noire, de Koutais et de Tiflis jusqu'au district de Zakataly et la limite orientale de ce district jusqu'à la frontière de l'Arménie.**

**2. Tous les cols situés sur la ligne frontière ci-dessus mentionnée sont déclarés neutres jusqu'au 1-er janvier 1922. Ils ne peuvent être ni occupés par les troupes d'aucune des deux parties contractantes, ni fortifiés par aucune de ces deux parties.**

**3. Au Col du Darial, la neutralisation prévue au paragraphe 2 du présent article s'étendre sur la partie du Col comprise entre Balta et Kobi; au Col de Mamisson; de Zaramag à Oni; et, à tous les autres Cols: sur une distance de cinq verstes de chaque côté du point où passe la frontière.**

**4. Le tracé exact de la frontière d'Etat entre les deux parties contractantes sera déterminé par une Commission de frontière mixte spéciale se composant à nombre égal de représentants de chaque partie. Les résultats des travaux de cette Commission seront enregistrés dans un traité spécial à conclure entre les deux parties contractantes.**

**Статья IV.**

Россия обязуется признать безусловно входящими в состав Грузинского Государства, кроме отходящих к Грузии, в силу пункта 1 статьи III настоящего договора, частей Черноморской губернии, нижеследующие губернии и области бывшей Российской Империи: Тифлисскую, Кутайсскую и Батумскую со всеми уездами и округами, составляющими означенные губернии и области, а также округа Закатальский и Сухумский.

**V.**

**Статья 5, пункт 1.** Признавая справедливым домогательство России о недопущении отныне на территории Грузии никаких военных операций, пребывания военных сил и прочих действий, могущих создать на территории Грузии условия, угрожающие ее независимости, или могущих превратить территорию Грузии в базу для операций, направленных против Российской С. Ф. С. Республики или союзных с нею государств, и установленного в ней государственного правопорядка, Грузия обязуется:

Немедленно разоружить и интернировать в концентрационных лагерях, находящиеся к моменту подписания настоящего договора, буде таковые окажутся, или имеющие впредь перейти в ее пределы, военные и военно-морские части, команды и группы, претендующие на роль правительства России или части ее, или на роль правительства союзных с Россией государств, а равно представительства и должностные лица, организации и группы, имеющие своей целью низвержение правительства России или союзных с нею государств.

**Пункт 5.** Принять меры к удалению с территории Грузии в тех пределах, кои определены статьей IV настоящего договора, всякого рода войск и военных отрядов, не входящих в состав правительственных войск Грузии.

**Пункт 6.** Принять меры к недопущению впредь пребывания на территории Грузии войск и военных отрядов, пере-

გაგრძელება იხილეთ 355 გვერდზე

# ვაემანი მთაწმიდაზე

Simon Béréjiani

## «MAMA — DAVITHI».
(poême) (პოემა)

ილიას უკვდავ ხსოვნას

ვაჟა გიყვარდა, მგოსანო,
ფშაველი ენა წყლიანი;
ენაზედ უფრო უჭრიდა
ქართული მკლავი ხმლიანი.
ხელში ფანდური ავიღე,
ვაჟას ფანდური მზიანი;
ოდნავ ჩამოვკრავ სიმებსა,
არ მივაყენო ზიანი.

ქართული გუთნის მწეველნო,
სამნი ხართ სამოთხეშია:
აკაკი ალბად ოხუნჯობს,
ვაჟა გაჭრილა ტყეშია.
ვაჟას იქ არ მასწყინდების,
თუ ჰპოვა მთა, კლდე, ხრეშია.
შენ მეცოდები, ბატონო!
ვაი, რა ცუდსა დღეშია!
შენ იქ რა გაგაძლებინებს,
ფესვები დაგრჩა ერშია.
შენ, ზეციერი, ჰპოვებდი
შვებასა მიწიერშია.
შაიკრიბენით ერთადა,
ფანდურსა ვიღებ ხელშია.
ყური დამიგდეთ მამებო,
დაგენაცვლებით ყელშია.

***

სიზმარი ვნახე, ქართველნო,
არვისგან ჯერ არ ნახული.
რაც ვნახე, რაც გავიგონე
მაქვს თქვენთვის შემონახული.
ყური ათხოვეთ ფანდურსა,
სულია შიგ ჩამარხული;
ქართველის ბედია სიმების
წკრიალში გამოსახული.
სიმღერით მინდა ვუკვალო
მომავალს გზა დასახული.
მოჯარდით ახლოს, შემოკრბით,
გაითბეთ ამბით თქვენც გული.

1.

მესიზმრა: თეთრი, პატარა
ღრუბელი ცაზე გაცურდა.
საღამო იყო მყუდრო და
ფოთლებს ჩურჩულიც არ სურდა.
ვიწექი ზურგზედ, ობლადა...
ღრუბელი ჩემსკენ მოცურდა.
გამხვია თეთრ საბანშია,
ისევ ზეცაზე აცურდა....

სუნთქვა შამეკრა, შავშინდი:
ვშორდები არე-მარესა!
მივცურავთ ზევით, სულ ზევით,
ვუახლოვდებით მთვარესა.
ვხედავ გაფურჩქვნილ ვარსკვლავებს,
გვიღებენ ოქროს კარებსა;
გაიცინეს და სხივები
თვალთაგან გადმოღვარესა.
„ღრუბელო!“ — ვამბობს: — „ვესტუმროთ
ჩემსა მშობელსა მხარესა.
ზეცაში ყოფნას მირჩევნის,
რომ ვიწვე მის სამარესა“!

შაკრთა ღრუბელი, შაჩერდა,
შაიკრა კუშტად სახე და
ბრაზმორეულმა დაცინვით
თავით-ფეხამდე ამხედა.
„ეს რა სთქვი, რა წამოროშე?“
თანც მიპასუხა მკვახედა:
„რა არის შენი სამშობლო?!
გუშინ ვესტუმრე დილითა;
ცივ გომბორზედა ჩამავჯექ,
დაბურვილ იყო ნისლითა;
ფერდობი, ვაკე, ველები
სულ მარწყულია სისხლითა.
შახედე მუშთარს, ოტარიდს
და კაეშნიან ზუალსა,
მთვარეს, ასპიროზს, მარიხსა —
ხმლით აპობს ბნელეთს უვალსა;
მზე სამოთხეში შაბრძანდა,
გვირგვინად ადგას უფალსა“.

— „მართალ ხარ თეთრო ღრუბელო,
მაგრამ მომეცი მეც ნება,
რომ გითხრა: შვიდნი მნათობნი
ჩვენ ქვეყნისა არნ შვენება.
არ მოგატყუებ, მისმინე,
გამომრევია ჰალარა,
ზეცამ მშვა, თვის თავზედ უფრო
სამშობლო თვით შემაყვარა“. —

გაშავდა თეთრი ღრუბელი,
მკვირცხლავ ჩამაჯდა ქარზედა:
მივქრით და თავი მეგულვის
ტარიას რაშზე ჩქარზედა.
ხან ვარსკვლავთ ვუახლოვდებით,
ხან დავეშვებით ბარზედა,
ხან მთაზე წამავსკუპდებით,
ხან გავალთ შარა-გზაზედა.
შუა ღამისას ღრუბელი
ჩამაჯდა გორის ფხაზედა:
ტუჩით შაეხო ბალახებს,
შასრულა ცვარი ცვარზედა.
ცვარით წყურვილი მაიკლა,
ისევ ჩამაჯდა ქარზედა.
„არ გამიცივდე, ვაჟიკავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბან მაისხი ტანზედა!
არ გესმის ტალღათ ტყლაშუნი;!
მივცურავთ შავსა ზღვაზედა!“.
საბანი შამავიხვიე,
თავი დავიდე მკლავზედა.
ჩემ ქვეყნის ნახვის მოსურნეს
ცრემლი მერევის თვალზედა.

2.

შავარდნის ხედვა ამეხსნა,
სმენად გარდიქცა ყურია:
გამოჩნდა ჩემი ქვეყანა,
ვისც ნახვა ეგრე მწყურია:
აფხაზეთ, სამეგრელოი
და ჩვენი ჩქარი გურია;
აქ ცხენის წყალი მოშხუის,
იქ ჟუჟი, აქ ენგურია.
ზურმუხტად შლილი ბალნარი,
ჭალები საამურია....
ჭალარა კავკასიონი,
დევებთა სად სადგურია.
გამოჩნდა შოთას აკვანიც,
მიძინებული მესხეთი.
ოქროს ყანებზე გაშლილა
პურადი აქ ჯავახეთი.
აჰა, რიონიც გრიალებს!
იწყება იქ იმერეთი;
ციხე-კოშკებით ნაჭედი
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი.
მტკვარსა არაგვი ჩაჰკვრია.
იჰ, უყვართ მათ ერთმანეთი!
ქართლის ჭირიმე, ქართლისა!
აჰა, გამოჩნდა კახეთი!
ფარად აკვრია ბურჯებსა
ლომი თუშ-ფშავ-ხევსურეთი.
სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ეგეთი?!
სულ ხელის გულზე გაშლილა
ამიერ და იმერეთი.
არწივთა ბუდეს მაგონებს
ჩერქეზეთ, ქისტეთ, ლეკეთი.
შორს მეზობლებიც მოსჩანან —
— ადარბადაგან, სომხეთი!

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე უფლისა?!
მთვარე ქათიბსა უკერავს,
მზე ოქრომკედით უვლისა.
ხან თეთრ კაბასა ჩაიცვამს,
ხან შავსა, — ჭირისუფლისა.
სულ მუდამ კოხტა კი არის,
კვნესა მე იმის სულისა!

„ღრუბელო, საით მიგყევარ?
მეყოფა ეგ სილამაზე:
მთებთა ამაყი ჭალარა,
ველებთა ლურჯი სინაზე“.
თითქოს არც გაუგონია,
არ მიპასუხა ამაზე.

შამოუარეთ თბილისსა,
დავეშვით ოქრო-ყანაზე.

მარტოდ დამტოვა ღრუბელმა,
მე არ დავღონდი ამითი.
ჯერ დავიბანე ხელ-პირი
ქართული ცვარით ნამითი.
შემდეგ ბილიკზე დავეშვი,
გამოჩნდა მამა-დავითი.

შუა ღამე გარდასულიყო,
ნიავი ჰქროდა გრილია.
იწვა მთებისა აკვანში
დედის ერთგული შვილია;
თავზე გუმბათი ეხურა,
ვით დედის ძუძუ ტკბილია.

გალავნის კარი შევაღე,
ვიყავი სათნო, ფრთხილია.
აქ მეგულვების მხცოვანნი:
ჩვენი აკაკი, ილია.
ვიხილე მათი სამარეც
გარდმამსკდა ცრემლი წყვილია.

3.

უცებ მომესმა შორიდან
ხმა წინწილისა, დაფ-ბუკი!
გადმოეფინა ზეციდან
გზა განიერი — მზის შუქი.
ავარდა მზისა შუქზედა
ოქროს მტვერი, ვით ქარ-ბუქი:
მოაქროლებდა რაშებსა
ოთხი რაინდი ჩაუქი.
შავშინდი, კლდეს მავეფარე
არ ვაჟკაცი, არ ჭაბუკი.

გარდახდეს ცხენთა, მაუშვეს
უნაგირთ მოსართავია.
საროსა მჯობთა შვენოდათ
წვერი, ულვაში შავია;
ჯაჭვ-მუზარადით ემოსათ
ლომებს ბაჯაღლო თავია;
აბჯარზე მსხვილად ესხურად
ბროლ, მარგალიტი, ლალია.
ტანზე ემოსათ ოთხთავეს
კაბა, — ვეფხისა ტყავია.
ვამბობ: სიზმარში ხომ არ ვარ?
რა უცხო სანახავია!

ნეტა ვინ ვპოვო ამ ქვეყნად
ლომების შესადარია?
შოთას მხარ-ბეჭსა უმშვენებს
ფრიდონ, ავთანდილ, ტარია.
ელავს ვეფხისა ტყავებზე
აბჯარი საომარია.
ჰაუ, განათდა ბნელეთი!
ოჰ, რა მზიანი დარია!

ვეფხურ მივიდნენ საფლავთან,
ლომურ იშიშვლეს ხმალნია:

დაიქუხა და დაელვა!..
და მოიხარეს თავნია.
თურმე ილიას საფლავზე
დღესა აქვთ პაემანია.
ტარიამ ხლმით გადასწია
აკლდამის მძიმე ქვანია.
ვამბობ :ამასთან სად მოვა
ამირან, ყარამანია!
გარდიხსნა ბნელი სამარე.
მამესმა შოთას ხმანია:
„გამოიღვიძე მოხუცო,
ერის გუშაგო, ილია!
მოვსულვართ: შოთა, ტარიელ,
ფრიდონი, ავთანდილია.
შენებრ გულუხვსა მასპინძელს
როდი შეგშვენის ძილია.
ასი წლის თავსა გილოცავთ,
ხელები გამოწვდილია!“.

წამოდგა ცივ სამარიდან
მემატიანე ქართვლისა,
მნათი უმთვარო ღამეში,
მომგვრელი დღის სინათლისა;
აზრი პიტალო, დამცველი
ჩაგრულთა და სიმართლისა
შუბლი მაღალი, გახსნილი:
მომნიჭებელი მადლისა.

ბრძანა: „ვერ ძალმიძს სულმნათო,
ენით თქმა სიხარულისა.
მოსულხარ მეფე მგოსანთა,
შვენება მზისა სრულისა.
მოგიყვანია ლომები,
დარაჯნი ქართვლის სულისა.
თამარის შვილებს გესურვათ
ხილვა ძმის ბედით კრულისა.
მადლობას გიძღვნით, მაგრამ რით
გამოვსთქვა ლხენა გულისა?!“.

დადუმდა. ოთხთავ მივიდნენ
და ეამბორეს გულზედა.
შოთამ ჯერ გულზე აკოცა,
შემდეგ სისხლიან შუბლზედა.
ილიას ცრემლი მოადგა,
ცრემლი, თვალების ლულზედა.
სთქვეს: „მოვილხინოთ და შემდეგ
ვიფიქროთ დაკარგულზედა“.

უცებ გაისმა ღამეში
ჩუმი წკრიალი ქნარისა...
გამოჩნდა ლომი ქალარა,
ულამაზესი მთვარისა.
მარჯვნივ ვაჟაი ეყენა,
არწივის შესადარისა.
მარცხნივ ნიკოლოზ ვიდოდა,
დამამშვენები მხარისა.
ბესიკი და ალექსანდრე,
გრიგოლ — არიფნი თარისა.
ვინ ჩამოვსთვალო, ვინ ერთი?
სულ ყველანი აქ არისა!

თითქოს გათენდა... თითქოს მზე
ღამეში ამოსულიყო.
აკაკი მღერის: „მოვდივართ!
სადა ხარ, ჩემო სულიკო?“.

ქათ მიეგება ილია
სახითა მომღიმარითა.
შოთა რა ნახეს, გაკვირდნენ,
გაოცდნენ ერთის წამითა.
ფერხთ მოეხვივნენ, მოსთქვამდნენ·
„ვართ ბედნიერნი ამითა!“.
ჰკოცნიდნენ ლეკვნი ლომებსა,
დასდისთ ცრემლები ღვარითა.

4.

ამართეს დროშა მეფისა
მთაწმიდის გალავანშია.
გაშალეს სუფრა, რა სუფრა!
ილია დასვეს თავშია.
ავთანდილ სუფრას განაგებს,
ტარიელ მწვადის წვაშია,
ფრიდონი მერიქიფეა,
და შოთა ტოლუმბაშია.
სიტყვას იძახის მარგალიტს.
ვუსმენ, მაჟრჟოლებს ტანშია.
განა ქართული მოლხენა
მარტოდენ ყანწის ცლაშია?!
არ გავცვლი შოთას მოძახილს
თვით იადონის ხმაშია.
ავთანდილ გამყინავია:
ხმა შააცურა ცაშია.
ფრიდონი აკრიმანჭულებს:
შაიჭრა მტრისა რაზმშია.
ტარია დაბალ ბანს ამბობს:
დინჯად დაეშვა ბარშია...
ქვანი სმენათა გარდიქცნენ
და მკვდართა დაჰკრეს ტაშია.

ადიდეს ქვეყნის გამჩენი.
ადიდეს ქრისტეს რჯულია.
ხოტბა შეასხეს წარსულსა.
ერთიც რამ იყო თქმულია:
— ვეღარა აღსდგეს ივერი,
თუ ერი დაქსაქსულია.
თუ ერთ ჰანგზედ არ ამღერდა.
მამული დაკარგულია.

ბევრი რამ იყო იქ თქმული,
ყოველი სიტყვა განძია!
შოთამ აავსო პირამდე
ატენის ღვინით ყანწია:
„შვიდასი წლისა ზეიმზე
მოგელისთ ყველას ვარძია!“.
ხალხნო, ხომ გესმისთ, რა ბრძანა?
ხმა დავარხიოთ ერშია:
„ვეძიოთ შოთას საფლავი
ვარძიის მონასტერშია!“.

**
*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიამ ჰკითხა ვაჟასა:
„რაზედ ხარ მოწყენილია?“.
— შვლის ნუკრი ავად გამიხდა,
ჩემო ბატონო, ილია.
აქაც ვერ ვპოვე წამალი,
ვერც საიქიოს ბაღშია.
გული ცრემლებით მევსების,
ვბრუნდები სახტად სახლშია. —

ილიამ ჰკითხა ტატოსა:
„რაზედ ხარ მოღრუბლულია?“.
— მთაწმინდის დანახვაზედა
გარდმეხსნა ძველი წყლულია.
დაწყევლილ ყრმასა მიყვარდა
აქ ხშირად სიარულია.
აქედან ცად მიილტვოდა
ჩემი ობოლი სულია.
ამ ქვეყნიურსა შვენებას
მიკვირს, რად დავდე წუნია?
სამოთხეშიაც ვერა ვძლებ:
არ მესმის მტკვრის დუდუნია. —

ილიამ უთხრა რაფიელს:
„მოწყენა, ე, რა წესია?“
— წაართვეს ჩემსა თანდილას
რაც უხნავს, რაც უთესია.
ნეტაი კი ეღირსება
ცხოვრება უკეთესია?! —
ეს სთქვა. შეხედა თვალებში,
ხელიც დაადო ხელზედა:
„მითხარ, ილიავ, რად გცხია
ეგ სისხლი საფეთქელზედა?“.
— მე და ზაქრო ვიყავით
სანადიროთა ტყეშია.
უკან მომდევდა ერთგული,
თოფი ეჭირა ‎ ხელშია.
გავარდა.. და ‎ ისი ტყვია
ჩამაჯდა საფეთქელშია.
ვითომ და განგებ მოვეკალ,
დაირხა ხმა სოფელშია.
ამას მე არ დავიჯერებ,
რაფიელ, თავის დღეშია. —

ხალხნო, ეს რა გავიგონე!?
ეგრე სთქო თავის პირითა:
„ჩემს სისხლში ზაქროს ბრალს ნუ სდებთ,
ჩემს ბედსაც ნუ დასტირითა“.

ილიამ ჰკითხა აკაკის
მომღიმარ, მომცინარესა:
მაღლიდან რო დასცქეროდა
ცა ფირუზ ზურმუხტ მხარესა:
„რაზედ დაფიქრდი მგოსანო?
ახალს რას მეტყვი მე, რასა?
მითხარ, თუ ამჩნევ ცვლილებას
ჩამქრალ ეროვნულ კერასა?“.
— ბევრი ბრძოლითა დაქანცულს
ქაჯნი ვერ უქმენ ვერასა.
„ჩვენ ჩვენი თავი გვეყუდნეს!“,
ამბობენ შენ სიმღერასა.

გული დღეს დადუმებული,
დაიწყებს ისევ ძგერასა.

ილიამ უთხრა მამიას:
"გრიგოლსა ჰკითხე, მამია:
სამოთხეში თუ სჭირდება
რუსული მოსასხამია?“.
გრიგოლმა გადიხარხარა:
„ჰუჰ, შენი ენა შხამია!
რასა იქმ, ვეჟო, მარგალიტს
გადაჰკრავს ხშირად ნამია.
ქართული გზის გასაკაფად,
მტრის მესხა მოსასხამია“.

გაიცინეს და გალაღდნენ,
ერთმანეთს ეამბორესა.
ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი,
ბევრი რამ მოიგონესა.
დამატკბეს ტკბილი ქართულით
და თანაც დამაღონესა.

ილიამ ჰკადრა ძმად ნაფიცთ:
„შოთამ გიკურთხათ ჯანია!
რას მეტყვით? როგორ დავიხსნათ
ტყვედ ქმნილი დარეჯანია?“.

ფრიდონ თქვა: „ერთი ნახტომით
ავიღებ ნარიყალასა“.
ავთანდილ ამბობს: „დევ-გმირო
ხერხი სჯობია ძალასა.
ჯორს გადავკიდებ აბჯარსა,
ჩავიცვამ ვაჭრულ კაბასა.
შევეტყუები. და ქაჯებს
დავსხეპ ხმლით ვით ცხვრის ფარასა“.
ტარიელ ამბობს: „ლომნი ხართ
და არც მე ვგევარ ქალასა.
ერთად გავსხლიტოთ ცხენები.
მე ამას გირჩევთ ამასა.
თანაცა ვთვალოთ, ვინ რამდენს
გააპობს თავის ქალასა“.

შოთას შეხედეს სამთავემ.
განმარტოებით მდგარია.
ფრიდონ თქვა: „ვაჰმე, რა მოსდის?“
მივლენ ავთანდილ, ტარია.
ჰკადრეს: „რადა ხარ დაღრეჯით?
რადა გაქვს გული მკვდარია?
ვაჰ, თუ არ მოგწონს სულმნათო
შენ ჩვენი საუბარია!“.
გაიღიმა... მათ მოჰფინა
მზის შუქი უებარია.
ვფიქრობ: მგოსანსა რა უგავს?
ეგ ამირ-სპასალარია!

ბრძანა: „რად მკადრებთ მაგ სიტყვას?
წყენა რა მოსაჭორია.
ვიცი, გწადსთ ომი ფიცხელი.
ჰა, ბურთი. ჰა მინდორია!
მეც თქვენებრ მიჭრის მხარ-მკლავი.

ლეკვი ლომისა სწორია....
მაგრა არ მიყვარს სიფიცხით
საქმენი ანაწონია.
ნუ მიწყენთ, ჩემო ლომებო!
წყენა რა დასაჯერია.
მე თქვენი ვცანი გმირობა,
მეც თქვენებრ ხრმალი მჯერია.
ზოგჯერ სიფიცხით დაშავდეს,
ზოგჯერ მიხტომაც ჯერია.
მარტონი ვერას გავხდებით:
ვერ იქმს ერობას ერია.
ჯიქურ მისვლასა არ გირჩევთ.
სჯობს რომ გამოხდეს ხანია.
ლოდინით არ დაშავდების:
წამოგვეზრდება ყრმანია.
თამარის აბჯრით შევმოსოთ
მეფე ერეკლეს სპანია.
ციხე შიგნიდან ავიღოთ.
ვღვაროთ სისხლისა ტბანია".

ფრიდონ თქვა: „ვფიცავ შენს მზესა
ჩვენი სთქვი მოსახსენები.
მაგრა გონიერ სიტყვებსა
ხშირად წინ უსწრებს ენები".
იცინეს, გახსნეს ბაგენი.
ბროლ ვარდით დანაშვენები.

და როს მყინვარ[illegible] [illegible]ოდისფერად
შეღება შუქმა [illegible].
გააყარნეს. არ დას[illegible]ლდათ
ახალი სუფრა, დ[illegible]ს სმა.
გული დამეწვა, ავცრდი...
ამოიოხრა თბილისმა.

სიზმარი ვნახე, ქართველნო,
არვისგან ჯერ არ ნახული.
ოთხი ვეფხის კლდე მეზმანა
სალ კლდეზე გამოსახული.
ქუსლი ჰკრეს... ცაში ასტყორცნეს
რაშები ყარაბახული!...

⁂

გასრულდა ესე სიზმარი
არვისგან განაგონია...
თვალებსა ვახელ და თავი
მაინც სიზმარში მგონია.
ფანდურო, ჩემო ფანდურო,
რაზედ ხარ დანაღონია?
ჩვენ წინაპართა ჰანგებმა
შეგასხეს ფრთები, ღონია.
გააცან ნორჩ მომავალსა
სიზმრად წასულნი დრონია.
წარსულის მაგალითებზე
თვით გამონახოს ფონია.
ვაი ერს, — თუ სიზმარშიაც
არრა აქვს მოსაგონია!
ვაი ერს, — თუ გამარჯვება
სისხლით არ აუწონია!
ვაჟკაცი მნახო, ვტიროდე,
მაშინ ვარ მოსაწონია.

ს. ბერეჟიანი

1937 წ. 26 ნოემბერი.

პარიზი.

## ისტორიული დოკ[illegible]ები (გაგრძელება 349 გვერდიდან)

численных в предшествующем пункте 5 настоящей статьи.

**Пункт 10.** Меры, обусловленные в пункте 5 настоящей статьи, должны быть начаты исполнением немедленно после подписания договора. Грузия обязуется закончить их в кратчайший срок, не останавливаясь перед применением вооруженной силы.

**Статья 6.** Россия обязуется не допускать на своей территории пребывания и деятельности всякого рода групп и организаций, претендующих на роль правительства Грузии или части ее, а также всякого рода групп и организаций имеющих своей целью низвержение правительства Грузии. Россия обязуется оказать все свое влияние на союзные ей государства с целью недопущения на их территории, указанных в настоящей статье групп и организаций.

**Статья 16.** Настоящий договор вступает в силу самым фактом и с момента его подписания и не будет подлежать особой ратификации...

**Л. Карахан. Гр. Уратадзе.**

См. Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных Р.С.Ф.С.Р. с иностранными государствами. Вып. II. Москва, 1921.

### ДОГОБОР МЕЖДУ Р.С.Ф.С.Р. И ТУРЦИЕЙ, ЗАКЛЮЧЕННЫЙ В МОСКВЕ 16 МАРТА 1921 ГОДА.

«....Разделяя принципы братства наций и права на самоопределение, отмечая существующую между нами солидарность в борьбе против империализма....»

**Статья I.**

Каждая из договаривающихся сторон соглашается не признавать никаких мирных договоров или иных международных актов, к принятию которых принуждалась-бы силою другая из договаривающихся сторон. Правительство Р.С.Ф.С.Р. соглашается не признавать никаких международных актов, касающихся Турции и не признанных Национальным Правительством Турции, представленным ныне ее Великим Национальным Собранием.

Под понятием Турции в настоящем договоре подразумеваются территории, включенные в Национальное Турецкое Соглашение от 23 января 1936 (1920) года, выработанное и провозглашенное Оттоманской Палатой Депутатов в Константинополе и сообщенное прессе и всем Державам.

Северо-восточная граница Турции определяется: линией, которая, начинаясь у деревни Сары, расположенной на Черном море, проходит через гору Хедис-Мта, линией водораздела горы Шавшет — горы Канни Даг, она следует затем по северной административной границе Ардаганского и Карсского санджаков — по тальвегу рек Арпа-чай и Аракс до устья Нижнего Кара-Су (подробное описание границы и вопросы к ней, относящиеся определены в приложении 1-м (А) и (В) и на прилагаемой карте, подписанной обеими договаривающимися сторонами).

**Статья II.**

Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в статье I нынешнего договора, и составлявшей часть Батумского округа, при услови, что:

1) Население местностей, указанных в настоящей статье договора, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и что населению